ISSN 0132-6023

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ცისკარი

8

1981

ელექტრონული
ბიბლიოთეკა

# ცისკარი

290

გამოცემის ოცდამეხუთე წელი

8

აგვისტო

1981

თბილისი

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა

ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და მწერალთა კავშირის ორგანო

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შინაარსი

## პოეზია და პროზა

3. გივი ალხაზიშვილი — ლექსები
9. თამაზ ხმალაძე — მოთხრობები
14. მერაბ ელიოზიშვილი — ლექსები
17. ბათუ დანელია — ციკლიდან — „დატირებანი“. ლექსები
22. მანანა ხელაია — მოთხრობები
29. ჯაბა ასათიანი — წიგნიდან: „დაეკიდება აივანს ქარი“. ლექსები
32. ვაჟა ჩორდელი — მოთხრობები
79. მიხეილ ქვლივიძე — ლექსები
82. ზაურ კალანდია — მალე მოგვიდი, გაზაფხულო. მოთხრობა
107. ბონდო კეშელავა — ლექსები
108. გურამ გიორგობიანი — ლექსები
110. თენგიზ მორჩიაული — ლექსები
111. ავთანდილ გალდავაძე — ძრწოდე მდევართა შიშით. რომანი. გაგრძელება
123. მზია წიკლაური — ლექსები
124. ქეთევან ჯავახიშვილი — მიხეილ ჯავახიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა. გაგრძელება

## ხუთწლედის მხარდამხარ

133. არჩილ ფირცხალავა — საჩინოელი ლაურეატი

## „იმ ქარცეცხლიან დღეების ექო“

135. ტრისტან ჩინჩილაკაშვილი — ქედუხრელნი

## წერილები

143. ივანე გიგინეიშვილი, გენადი ბურჭულაძე — სასიქადულო მეცნიერი
148. ლალი ავალიანი — „შუბლმთვარიანი“
153. სულხან ქეთელაური — ჩვენ და ბუნება
156. საზღვარგარეთული ქრონიკა

## იუმორი

159. ვანო ცინცაძე — გაუთხოვართა და უცოლოთა საყურადღებოდ

## „ცისკრის“ ფოსტა

160. გივი საყვარელიძე, სოკრატ სალუქვაძე — გასწორება

მთავარი რედაქტორი
მორის ფოცხიშვილი
სარედაქციო კოლეგია:
ჭაბუა ამირეჯიბი,
გივი გეგეჭკორი,
გურამ გვერდწითელი,
რისმაგ გორდეზიანი,
გიორგი გუბლია,
ნოდარ დუმბაძე,
მერაბ ელიოზიშვილი,
ვაჟა ლორთქიფანიძე,
მთავარი რედაქტორის მოადგილე
ოტია პაჭკორია,
გურამ ფანჯიკიძე,
ნუგზარ შატაიძე,
ჯანსუღ ჩარკვიანი,
სოსო ცინცაძე
გივი ძნელაძე,
ნუგზარ წერეთელი,
თამაზ წივწივაძე,
ფარიელ ჭანტურია,
რეზო ჭეიშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პოეზია და პროზა

## გივი ალხაზიშვილი

●

სიზმარში ისევ ბავშვივით ვმღერი,
გავიღვიძებ და მივდევ საფიქრალს,
წუხელ რომ მენთო სანთელის ღერი,
გამეღვიძა და მყისვე ჩამიქრა.

დრო გადის, შუქი აკლდება, დედა,
სიზმარსაც, როგორც მკვდრის მზეს
თანდათან,
და მენატრება იმ ფოთლის ბედი,
ქარმა რომ სადღაც წააფარფატა.

### ფოთლები

1.

ნაცრისფერი —
ყველაზე ნაცნობი და შეჩვეული ფერი.
ნაცრისფერი სახლი, ნაცრისფერი ქუჩა
და ნაცრისფერის დედა — ნაცარი.

ფოთლები, რომლებიც ინკვიზიტორი მენაგვეების
„აუტო დაფეს“ გადაურჩნენ,
ქარს უმადლიან ყვითელ სიცოცხლეს
და უგზო-უკვლოდ მიფარფატებენ.

ხის ტოტებზე შემორჩენილი ფოთლები
დაბლა არც კი იხედებიან,
რადგან ჰგონიათ სამუდამოდ იშრიალებენ.

დღე — შენი ლაბადისფერი, ნაცრისფერი.
შენ, ყინწვისის ანგელოსი მეგონე ოდესღაც.
რა განსხვავებაა შენსა და ყინწვისის
ანგელოსს შორის?
იგი ანგელოზია და არც კი იცის
ყველაზე უფრო პოპულარული სიტყვა — ღალატი.

კ. მარქსის სახ. საქ. სსრ
სახელმწიფო რესპუბლიკ.
ბიბლიოთეკა

ვერ დავიჟინებ, შეიძლება იცის კიდეც.

„აწმყო ცვლის წარსულს"
და წარსული დღესდღეობით არც სამოთხეა,
არც ჯოჯოხეთი,
წარსულია მარტოოდენ.

ჩვენ კი, ხეზე შემორჩენილი
შემოდგომის ფოთლები,
დაბლა არც კი ვიხედებით,
ვდარდობთ, როცა ქარს მიჰყავს ვინმე,
მაგრამ მალე გვავიწყდება და გვეჩვენება:
სამუდამოდ ვიშრიალებთ.

2.

შენი ხელისგული
საქართველოს კონტურულ რუკას ჰგავს —
მოსაფერებელს;
წვრილი ხაზები მდინარეებია,—
ორი ზღვისკენ, საპირისპიროდ მიიჩქარიან.

შენი ხელისგული ცრემლით ინამება
და ცრემლიანი მზერა იმახსოვრებს
ხელისგულზე მოქსოვილ ბედისწერის აბლაბუდას.

სუსხიანი ქარი ნაცრისფერი დღის
ნაცარს გვაყრის თვალებში
და ჩვენ მივალთ ხელიხელჩაკიდებულნი,
როგორც ბრმები,
და ჩვენი ხელისგულები —
შეერთებულნი, ერთმანეთში გადაზრდილნი,
ერთმანეთის იმედით თბებიან.

3.

ყველაზე ლამაზი ფოთლები
ბავშვებს შინ მიაქვთ
და შემოდგომის პაწაწინა დროშებივით აფრიალებენ,
როგორც ნაღვლიან სილამაზეს,
როგორც ჩავლილ დღეთა ნაკვალევს.
ყველაზე ბედნიერი ფოთოლი
ახლადგამოცემული „ოთხთავის"
ერთ-ერთ გვერდზე ჰპოვებს სიმშვიდეს;
მე და შენ კი ისევ ვირწევით
გაშიშვლებულ ხის კენწეროზე...

ეროვნული ბიბლიოთეკა

4.

ნაცრისფერი დღე, ნაცრისფერი ქუჩა,
დამწვარი ფოთლების ნაცარი.
შენ, ყინწვისის ანგელოზი მეგონე ოდესღაც,
მაგრამ როცა აღმოვაჩინე,
რომ ყინწვისის ანგელოზი
ხელოვნების მუზეუმში ცხოვრობს,
ხოლო შენ...

5.

ვზივართ კაფეში,
დღეს თევზის დღეა.
ნაცრისფერი ხუთშაბათი ნელა დაცურავს ქალაქში,
როგორც ვეება აქვარიუმში
და ამოძრავებს ნისლის ფარფლებს,
იმზირება ვიტრინების გაყინული თვალებით
და წამდაუწუმ აღებს პირს,
როგორც მეტროს გვირაბში ჩასაძრომ კარს
და ყლაპავს მგზავრებს,
რომლებსაც სახლში მიეჩქარებათ.

ჩვენ არსად გვეჩქარება.
ვზივართ კაფეში და ვწრუპავთ შამპანურს,
რომელიც გვიანი შემოდგომის ნაცრისფერ ხუთშაბათს
მინდვრის ყვავილებით მოჩითავს
და ისევ, ისევ შეაერთებს
ჩვენს ხელისგულებზე დახატულ
კონტურულ რუკებს
თავის მდინარეებით და ბორცვებით.

6.

ხვალ ნოემბერი მოვა,
რომ ქარ-წვიმის სახრეებით სცემოს ბაღები,
რომ უფრო მეტად ჩააჟალტამოს შემოგარენი
და გაძარცვული, სველი ხეები
დაამგვანოს უმოძრაო გრავიურას.

ერთ მშვენიერ დღეს გადიღებს წვიმა,
ჩადგება ქარი, დაყრილ ფოთლებში
უკანასკნელად გაიშრიალებს,
წავა ღრუბელი,
ღრუბელიდან ცის სარკმელი გამოიხედავს
და ერთმანეთს მოგვანატრებს ისე მძაფრად,
რომ ჩვენი მზერის შეხვედრის წერტილში,
ცის სარკმელში კენტი ვარსკვლავი აღმოცენდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სხვაობა

თქვენ მრავალნი ხართ,
ის კი ერთია,
სასიყვარულოდ იგი მაქეზებს,
ის სიყვარულის თეთრი ღმერთია,
მზე დასთამაშებს ლამაზ ბაგეზე.

და მას, ერთადერთს ვეძებ ნიადაგ,
თქვენს საუბარში, ლამაზ თვალებში,
წამით გაკრთება და სევდიანად
მეტყვის: „ძალიან დაბლა დაეშვი."

მე ავიხედავ ზევით, ცისაკენ
და ჭაობიდან ავიმართები,
ჭაობისაა, თურმე, ის სარკე,
მე რომ მოვჩანდი ჩემი დარდებით.

ის ზევითაა, თქვენ კი მიწიერ
ერთფეროვნებას მისდევთ უძლურნი,
მან ფარდასავით ჩამომიწია
ცა ვარსკვლავებით ჩამოხუნძლული.

წავა, გაქრება ღრუბლის ქურციკი
და მას ერთადერთს თქვენში დავეძებ,
გზაზე თუ სადმე წავიბორძიკე,
ხელს გამომიწვდის რომ არ დავეცე.

სიცოცხლეს ლამაზს, მაგრამ
                    ბინდისფერს,
მოვეფერები თვალის შევლებით,
ვმღერი, სიმღერას ჩემსას ვინ ისმენს,
ვტირი, ვის უნდა ჩემი ცრემლები.

## სოფლის სასაფლაო

ცხელოდა სოფლის სასაფლაოზე,
ხავსიან საყდრის ჩამონაშალი
ჰგავდა ბერდედას ქვებზე წაქცეულს,
ეკალბარდებში პირქვეჩამხობილს.

დახტოდა ბავშვი საფლავის ქვებზე
და სიცილის ხმა მდუმარებაში
მიწკრიალებდა როგორც ეჟვანი
და ანათებდა კენტი სხივივით.

ცხელოდა სოფლის სასაფლაოზე
და სასაფლაოს ყვავილთა ნექტარს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეზიდებოდნენ სკაში ფუტკრები,
ჩვენ კი შინისკენ მიგვქონდა სევდა.

სწავლობდა ფრენას ბეღურას
ბარტყი,
საფლავის ხიდან — საფლავის ხემდე
მიფრთხიალებდა და დავყურებდი
მიწას — მომავალს, გარდუვალ
შედეგს.

საყდრის ნაშალზე აღერილ იფანს
ბუდე ეჭირა პატარა ტოტით
და გაშიშვლებულ ძლიერი ფესვით
მკერდში ჩაეკრა საფლავის ლოდი.

ჩანდა სოფელი, ძველი სახლები
ჰგავდნენ მგზავრობით დაქანცულ
გემებს,
საუკუნეთა ზღვა რომ გაცურეს
და წამიერად სიცხეში თვლემენ.

ასე თვლემაში უახლოვდება
ოცდამეერთეს მშვიდი სოფელი
და როგორც სოფლის მეხსიერება —
თვლემს სასაფლაო უარყოფილი.

●

(ნ. ბარათაშვილს)

უკვე განზავდა სინათლე და სიბნელე ჩემში
და სიმარტოვე მირჩევნია სხვებთან ხეტიალს,
მე გზას გავყვები ფიქრებით შეშლილს,
რომელიც ჩემთვის ერთადერთია.

რადგან მომწყინდა მოჩვენებითს ვტოვებ სიმშვიდეს
და სიტყვების ბაღს, თვალთმაქცურად რომ ამიყვავე,
ან დამანგრიე, ხერხემალი გადამიფშვნიტე,
ან ჭაობიდან ამომიყვანე.

თქვენ, ყველას, ვისაც ოდნავ მაინც გეიმედებით,
დაგტოვებთ ყველას, რადგან მომბეზრდა,
შენ, ორეულო, ჩემო მონავ, როგორ ბერდები,
რა ობოლივით მოკუნტულხარ ეკლის ღობესთან?!

შენი ხვედრია ეს ტკივილი და ეს ეკალი,
საკუთარ თავთან განშორებაც შენი ხვედრია,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ო, ნეტავ ადრე დაგერბიე და მოგეკალი,
ჭაობი რაა, ამ ჭაობსაც რომ მაყვედრიან.

შენ ერთფეროვან დღეთა ტევრში ხარ მიკარგული,
მე კი გულს მიკლავს ეს თანხმობა, კვდომა უაზრო,
დიდი ხანია გახმა ნერგი ბაღში დარგული,
მზიან ამინდში გულგრილობის სუსხმა მოაზრო.

შენც ხომ წახვედი, სევდის კარი შენც მიიხურე,
შენც ჩამიტოვე გულისგულში ერთი ეკალი,
რატომღა გიკვირს, გაოცებით რატომ მიყურებ,
თქვენ ყველამ ერთად, ყველამ ერთად პირი შეკარით.

თქვენ შეეგუეთ, მე კი მტანჯავს და ვერ ვეჩვევი
ხავსსა და ჭაობს, შმორსა და ჟალტამს,
ფითრი და სურო გაფოთლილა სულში ეჭვების
და მარტო ვრჩები უამურ და შხამიან ჟამთან.

მე ვიცმევ ძონძებს და მომიჩანს შიშველი ხორცი,
მიწის მსუბუქ და გრილ სამოსით შესამოსელი,
შენ წარმოგიდგენ უწმინდესო და ისე გკოცნი
ხატს რომ აკოცებს ვინმე მლოცველი.

თამაზ ხმალაძე

# ჩანახატები

## დ ა რ დ ი

ჩემი სხეული რომ დაღლილია,
ეს უკვე ნიშნავს გარდაცვალებას.

ტერენტი გრანელი

ოთახი სუსტადაა განათებული. მკრთალი, ნარინჯისფერი შუქი სიბნელეს ვერ ერევა. კაცის ღვიძლისფერი ტუჩებიდან ყვითლად ანათებენ ჯანსაღი, მაგარი კბილები. კაცი იცინის. მეორის სახე არ ჩანს სიბნელეში. ხმა ისმის მხოლოდ მისი.

რა უნდათ?

ნამდვილი და მოჩვენებითი მატარებლის ლიანდაგივით გვერდიგვერდ მიჰქრიან დაუსრულებელ სივრცეში. ისინი არაფრით არიან ერთმანეთზე დამოკიდებულნი, არაფერი აქვთ საერთო. პარალელური ხაზები არ კვეთენ ერთმანეთს.

კვეთენ, კვეთენ...
არ კვეთენ, არ კვეთენ...

. . . . . . . . . . .

დამასვენეთ, დამასვენეთ.

ის კაცი ისევ იცინის.

გვიანი შემოდგომის მზე სახლის სახურავზე იჯდა. სახურავი გადასისხლული იყო. შეშლილი გისოსებიანი სარკმლიდან მზეს უყურებდა. თვალებში ყვითელი ალი უკრთოდა, მონასტრის ბნელ კუთხეში ანთებული თაფლის სანთლის ალი. ჩამომდნარ სახეზე ნაცრისფერი დასდებოდა.

დაბლა ვიწრო ქუჩას ახალგაზრდა ჭადრები ჩასდევდნენ. ჭადრები ნელ-ნელა შიშვლდებოდნენ და ლაზათს კარგავდნენ. ფოთლები შეშლილის აზრებივით დაფარფატებდნენ ნელ ქარში.

რაღაცას დარდობდა შეშლილი, სახეზე კუნთები უთახთახებდნენ.

ქუჩაში ნაკლებად იყვნენ გამვლელები, მითუმეტეს ამ ქუჩაზე. გრძელულვაშა მეეზოვე ჩაყვითლებულ ფოთლებს ხვეტდა ტროტუარიდან და მერე ცეცხლს უკიდებდა. მეეზოვეს არ უყვარდა შემოდგომა.

შეშლილი დარდობდა, ვერაფრით გაეხსენებინა რაზე, და უფრო მეტად დარდობდა.

ქუჩა ახალგაზრდა წყვილმა გადაჭრა, ეტყობოდა, შეყვარებულები იყვნენ.

გოგო ლამაზი იყო, ბიჭიც. ბიჭი ხელების შლით ყვებოდა რაღაცას, გოგო კისკისებდა. ვერ გრძნობდნენ შემოდგომას და ფოთლების ფარფატს.

ვერც შეშლილი გრძნობდა ვერაფერს, სარკმელთან იდგა და იმ ამბავს იხსენებდა, დიდი ხნის წინ რომ დავიწყებოდა, ან შეიძლება, არასოდეს რომ არ იცოდა.

...ჯუნგლებში სპილოების ჯოგი მიდიოდა. მილეწავდნენ ლიანებით ერთმანეთთან ჩახუტებულ ხეებს, ვეება ფეხებით მიჩქლეთდნენ ყველაფერს, წინ მიიწევდნენ. ჯოგს ავადმყოფი სპილო გამოეყო, გვერდზე გადაუხვია. დანარჩენებს არ მიუხედავთ მისკენ, სიმწვანეში გაუჩინარდნენ. ავადმყოფი სპილო მიიწევოდა: ვეღარ ერეოდა უშველებელ ტანს. თვალწინ ძვლები ტრიალებდნენ. წინაპრების ჩაყვითლებული ძვლები. როგორმე იქამდე უნდა მიეღწია სპილოს...

მუქლურჯი ღრუბლები ჩამავალი მზისკენ მიიწევდნენ. მზე ჰა და ჰა ჩააფარებდა თავს.

შეშლილს ისიც გადაავიწყდა, რაღაცის გახსენება რომ უნდოდა. აღარაფერზე ფიქრობდა. კუნთებმა შეისვენეს სახეზე, დალაგდნენ. უცებ იგრძნო, რომ საკუთარი თავი დაენანა, ჩამავალ მზეს შეხედა და უფრო მეტად დაენანა რაღაც...

ესეც სულ რამდენიმე წამს გრძელდებოდა.

# სისხლი

„ადე, ამირან, ნუ გძინავს!“

ბაზაფხული იდგა ოთხსავკუთხივ, მისი სუნთქვა იგრძნობოდა ყველგან, მისი ხელი ეტყობოდა ატალახებული საურმე გზის დაბლა აყეფებულ, ქჩოაშლილ მდინარეს, პირდაპირ აყუდებულ, წაბლით შემოსილ ქედებსაც და ქედებქვეშ თითო ნაბდის გაშლაზე დამუშავებულ საყანეებსაც. გრძელი ზამთრისაგან თავგაბეზრებული პატარა სოფელი რაღაც ახლისა და შეუცნობის მომლოდინე ქალიშვილივით ილამაზებდა თავს, ყვავილებით ირთვებოდა, ყვავილებში მალავდა ხინჯსა და ზადს. მზე მზეობდა, ბუნება კეკლუცობდა, ღმერთი კიდევ ერთხელ გვაჩვენებდა ედემის იმიტაციას დედამიწაზე და გვახსენებდა, რა განძი დავკარგეთ ჩვენი დაუფიქრებელი წინაპრის მეოხებით. მაგრამ იმას არ ითვალისწინებდა, რომ ამ სიმშვენიერეში არავის ეცლებოდა წარსულზე საფიქრალ-სადარდელად, უკან საყურებლად.

იმ დღეს მე და ჩემი ქმრის მასწავლებელი ერთად ვბრუნდებოდით მეზობელი სოფლის სკოლიდან. გული წინ გამირბოდა, ფეხებს ვერ ვიოკებდი, მიჭირდა მოხუცი კაცის ნაბიჯით მევლო მეცხრეკლასელ ბიჭს. ისიც ჩემს ჯინაზე იქცეოდა, ხვნეშა-ხვნეშით, სვენებ-სვენებით მომდევდა გვერდით, გაჩერდებოდა, ისეთი ინტერესით ჩააცქერდებოდა ალაფებულ შარას, თითქოს მთელი სიცოცხლე ამ გზაზე სიარულში არ გაელიოს. სოფლის კართან ერთხელ კიდევ შედგა, ერთხელ კიდევ ჩააკვირდა საკუთარ ფეხებს და როცა იმედი გადამიწყდა, გათავდა, ეხლა კი აღარ დააყენებს-მეთქი წამოსვლას საშველს, მომიბრუნდა და ამდენი ხმის მანძილზე პირველად ამოიღო ხმა:

— ისინი გასწავლიან, რომ დედამიწის გული გამდნარი ლავით არისო სავსე და შენც გჯერა, არა?

მე მაშინ თექვსმეტი წელიც არ შემსრულებოდა, ახლად გაჩენილი ღვთისწულივით ლაღი და ლამაზი ვიყავი და

ცოტა ქერქეტა და ცეტიც მასავით. აპრილი იდგა და სიყვარულის ისეთ შემოტევას განვიცდიდი, სულ არ მენაღვლებოდა, რა ოხრობით იქნებოდა გავსილი დედამიწის შიგანი. ვიდექი და უაზრო თვალებით შევყურებდი მასწავლებელს.

— არ დაიჯერო ეგ არაკი, შვილო. იქ, — გამხმარი, სანთლის ფერი თითი ზედ დააბჯინა ტალახიან გზას, — იქ სისხლია ჩალექერტებული და ჩაკოლტებული, ცხოველისა და კაცის სისხლითაა გათამთამებული, წვეთწვეთობით თუ ერთბაშად რომ დაქცეულა ამ ქვეყნად. სისხლი არც შრება და არც არაფრით მოიბანება, იგი მიწის გულამდე აღწევს, იქა გროვდება და უფრო და უფრო ამძიმებს ქვეყნიერებას.

ვინ აღარ დააქცია, ვინ აღარ გაუსინჯა ძმის სისხლს გემო, რომლის კისერია საუკუნო ცოდვისაგან დაუმძიმებელი?

სისხლი ძმისა შენისა ღაღადებს ჩემდამო ქვეყნითაგანო.

საწყალი კაენი!

ღმერთმაც და ადამიანმაც ბოლოს ჰას შეახოცა დასვრილი ხელი. მე რას მემდურითო, თქვა ღმერთმა და განზე გადგა. უხ, მაგისიო... დაიძახეს ადამიანებმა, ეგა ყოფილაო ყველაფრის მიზეზი, მაგას დავუქცევივართო და შვებით ამოისუნთქეს: ჩვენც კი ვცოდავდით, მაგრამ პირნათლები ვართ მაინც, რადგან ეგ რომ არ ყოფილიყო... და ის ერთიც, მოძალებული სიბნელისა და ბოროტების წინააღმდეგ ხმა რომ აიმაღლა: ხალხო, სხვაზე გადაბრალებით საქმეს არ ეშველება, პირველად საკუთარ გულში ამოვძირკვოთ ცოდვა, მერე ვეძებოთ სხვების თვალებში ბეწვიო, ღმერთის ძალასა და სამართალშიც რომ ეჭვი შეიტანა და შეჭიდება დაუპირა, შებოჭეს და შორეულ გამოქვაბულში სამარადჟამო ტუსაღობა მიუსაჯეს...

სადღაც შიგნით ჩამყურებდა ბებერი ქიმიკოსი თავისი უფერული თვალებით. ცდილობდა ჩემი გონების საიმედო კუნჭულამდე ჩაეღწია და იქ გადაენახა მთვარეულის ნაბოდვარივით არეულ-დარეული თავისი მწვალებლური აზრები. მე თავი და ბოლო ვერ გავიგე ამ მონოლოგისა.

მე მაშინ თავი და ბოლო ვერ გავიგე მისი მონოლოგისა. დღეს კი პატიებასა ვთხოვ ყველა დიდი მეცნიერის აჩრდილს, თუ ზოგჯერ ჩემი ქიმიის მასწავლებლისა უფრო მჯერა, ვიდრე მათი მრავალსაუკუნოვანი მოღვაწეობისა ტექნიკის სასწაულისა, ფანტასტიკური მიღწევებისა.

გიჭირს სიბნელესთან პირისპირ დარჩენა, როცა შენში ერთმანეთს აუმხედრდება ღვთისწილი და მაცილისწილი ორი მე სამკვდრო-სასიცოცხლოდ შეებმება ერთმანეთს. მე იმას უფრო ეთქმის, მოპირდაპირეს, რადგან სხეული მისი საკუთრებაა და სულის ნაწილსაც დაუფლებია. მარტო ხარ, ვერც ვერავის მოუხმობ მისაშველებლად, მხარში ამოსაყენებლად. და გეშინია, გეშინია შენს გამო კი არა, ჯანდაბამდე გზა ჰქონია საკუთარ თავს, უბრალოდ მაცილისწილის გამარჯვებისა გეშინია მთელ დუნიაზე. მაშინ კი გადმოაბიჯებს ზღვარს დიდხნობით ნაგროვები ცოდვა, ველარაფერი დაამაგრებს, გადმოანგრევს თანდათანობით ნათხელებ მიწისპირს და ერთიანად წალეკავს არსებულს.

და სადღაც მიუდგომელ გამოქვაბულში გმინავს კაცი ამ მოლოდინის ელდით დაზაფრული.

წყალგაღმელი მეზობელი კი მიმტკიცებს: ნეიტრონს არ დაჰკრავსო ამელილი მზის გემო, იგი ბევრად უფრო ჰუმანურიაო, მე ვამბობ და ვისაც უნდა დამიჯეროს, ვისაც უნდა — არაო.

მე ჩემს მტკავლისტოლა ეზოში მდგარი ატმის დაღალული რტოს ბედი მა-

წუხებს: მის გადარჩენას ვევედრები მამაზეციერს ლეკური ბრინჯის მარცვლებზე შიშველი მუხლებით დაჩოქილი, ჩემი მეზობელი კი მზაკვრულად მიღიმის და მეუბნება: შენ მე გადამრევ, ადამიანო, კაცს თავსა ჰრიდნენ, ის კი გაიძახოდა, კისერზე რომ მუწუკი მაქვს, ის არ მატკინოთო. მე ამ ატმის ფესვჯილაგიანად ამოძირკვას ვაპირებ ხვალ თუ არა ზეგ, შენ კი დაღალული რტოო, გაიძახი.

ღამეა, მარტო ხარ და გიჭირს სიბნელესთან პირისპირ დარჩენა.

მთვარის ნალევმა ბევრი ვერაფერი დააკლო სიბნელეს, ან რას უზამდა, საკუთარ თავსაც ძლივს ანათებდა. ხევებში შედედებული ნისლები ნელინელ წამოიზლაზნენ მთის წვერებისაკენ. შორს, ძალიან შორს, ძლივს ილანდება გერგეტი — გაქვავებული გველეშაპი. ყრუდ მოისმის გმინვა კაცისა მდინარეთა ხმიანობას გამოღწეული.

ბევრი უშალეს ხანმოვლილებმა: კარგს არაფერს დაგაყრისო ამდენი ნადირის ცოდვა, ნუ შესდგომიხარო ეშმაკის გზას. არც ჯალაბი ჰყავდა მადლიერი დღენიადაგ კლდე-ღრეში ხეტიალის გამო. არ მოიშალა. ვერც შეელეოდა. ნადირობა უყვარდა და ჯიხვის მწვადი. მათზე მეტად კი — სახელი და ჯარზე დაჯდომა. არას იმჩნევდა, მაგრამ ეამაყებოდა, მასზე სიმღერებს რომ მღეროდნენ პირ-იქით და პირ-აქეთ.

ჯანღმა აატანა მთებამდე. აღარსაიდან ისმის ჩქამიც. იქნებ გაწყდა ერთიანად ყველა სულდგმული. მდინარეები მიპყეფენ მხოლოდ ძველებურად. რა აღრე ჩაჰხდი მთვარევ. რა კურუმია სთვლის ღამე მთაში, ბნელსაც ვერ იტყვი, ბნელ ღამეში სიშავეს მაინც ხედავს კაცის თვალი. ამ წკვარამში კი არაფერი არ ჩანს სრულებით. იშვიათად გოგირდოვანი ცეცხლის ორი წერტილი გაკრთება მხოლოდ — ოჩოპინტრე დანავარდობს კლდიდან კლდეზე უხმოდ, უჩუმრად.

შენ მომიმართე ხელი ოჩოპინტრე — ნადირთმბრძანებელო!

ქვიშას მიაჩხრიალებს ფეხწრიაპიანი მოყმე, დროზე უნდა ააღწიოს ეხამდე, სიცივე რა სახსენებელია, სიბნელეს ეშველებოდეს რამე. ანდეზე მიდის გზას კი არა, ღამეს მიიკვლევს. გუმანი კარგი აქვს, სიზმრად სისხლი ნახა, ბევრი სისხლი. ამიტომ ჯანღსაც არაფრად აგდებს, რა ბედენაა, სადაცაა ინათებს კიდეც, შურთხი ზარს დარეკს სადაცაა მთების მამალი და გამოჩნდებიან ჯიხვებიც დაწალიკებულნი, ანგელოზებივით მშვენიერნი. მალე დაებჯინება ტინებზე ნალეს რქებს ბერხენი, წამოიჩოქებს წამოსადგომად, მაგრამ ამაოდ.

მაგრამ ამაოდ, ვეღარ მოესწრებით მზის ამოსვლას ვერც ის და ვერც შენ. ყორნები დალოდებიან თქვენი თვალებით.

აკი გიშალეს, ვაჟო, რად არ დაიჯერე!

ორი-სამი დღის შემდეგ იმ ბერხენის რქებს დააკრავენ შენს საფლავზე, ეგ იქნება შენი მოსაგონარი, და კიდევ ლექსი, გაფრთხილებად, მაგრამ თან უცნაურ, ქრქოლისმომგვრელ მოწოდებად რომ გადაევლება საუკუნეებს.

როდემდის უნდა ისისხლებოდეს ბისნისა და ჩორეხის კლდეები, ბანდუხის ჰიუხები. როდემდის უნდა წითლდებოდეს მიწა ნადირისა და კაცის სისხლით. სანამდე უნდა უთახთახებდეს ობოლ ნუკრს და ფოთრს შიშისაგან დაზაფრული სხეული ამ წკვარამში, ამაოდ ელოდეს უმწეო ბარტყი მშობლის მოფრენას და მისდევდეს გაწამებულ ადამიანს კვალდაკვალ ბედი-მდევარი — პილოო იგი ამრიზებული. როცა ამ ქვეყნად გოჯიც აღარ დარჩა სისხლით დაუნამავი, ცოდვილი უწოდეს მაშინ დედამიწას.

რახანია დადგა ჟამი ცოდვათაგან განწმენდისა.

ირგვლივ წყვდიადია თვალშეუდგამი. შორიდან ისმის კაცის გმინვა და ყეფა

ძაღლისა. ნეტავ დადგება ნანატრი ჟამი დაიყრევინებს ტანზე აბჯრად ასხმულ ყინულებს? გაწყდება ჯაჭვი ვარდისფერი ენისაგან გათხელებული?

დაუსვენარია არდოტის წყალი, ჩქარი და დაუსვენარი.

თაფლაზე მჯდომმა ჯაჭვ-თორიანმა ვაჟკაცმა გამოგლიჯა ნისლის კრეტსაბმელი და უკანაფშავის გადასახედს გადმოადგა. ქვაში ნათალივით გაირინდა ცხენ-კაცი.

რას უყურებ, თორღვავ, რას გაარჩევ ამ თვალით გაუჩხვერავ ღამეში. ძე-ხორციელი არსადა ჩანს, სიბნელის კალთამ შეიფარა ყველა სულდგმული, მარტო ლაშდაღრენილი გაჯაგრული დევები დააშლაპუნებენ წყალს დაბლა ხევებში. რას გაარჩევ, თორღვავ, რას (მგელს უთქვამს: შავ ღამეში ხუთი დღის საქცევზე შავი ბატკანი არ გამომეპარებაო)?

რა გაწუხებს, თორღვავ,* რა გინდა? არც შენ იცი და ეს უფრო მეტად გაწუხებს. ვერავინ ითვისე. აღარც სახლში გეპრიანება ვინმე და აღარც გარეთ. ადამიანსაც შემოსწყერ და ხატსაც, არა ეს ის სალოცავი არ იყო, შენ რომ უნდა მუხლი მოგეყარა. ძველს აუჯანყდი და ახალსაც ვერაფერს მიაგენი აყმუვლებული სულის დამამშვიდებელს. დროსთან ბრძოლაში ვერც რა მაგარმა მკლავმა გიშველა, ვერც რა ქაჯთაგან ნაჩუქარმა ლურჯმა ბეგთარმა. გრძელი ზამთრის გრძელ ღამეებში თვეობით იჯექი გაუტეხელ მუცოში და ეძებდი საშველს სიბნელისაგან თავდასაღწევად. ღონდებოდა შენი ლანდი მარტოობით თავმოძულებული და ამაოდ აწყდებოდა ქვიტკირის კედლებს. ცის გახსნას ელოდი და პირველ ქუხილს, მაგრამ გვიან მოდის მთაში გაზაფხული. არ ეწერა შენს ოცნებებს აყვავილება. ისევ ჭრაქის სუსტი შუქით განათებული ღამეები და მძიმე, სპილენძისფერი სიჩუმე.

და როცა მომავლისაკენ შეკრული კამარა წაგიხდა, როცა შენი სული მთლიანად დაცარიელდა იმედებისაგან, გაბოროტდი და ის ცარიელი ადგილი ვეშაპმა დაიჭირა შენდაუნებურად. სისხლითვე სცადე სისხლის მობანვა. მას შემდეგ აჰყვა კვნესა-გოდება შენს ნატერფალს. მტრისაგანაც შესაბრალისი იყავი, საკუთარ თავს და საკუთარ წარსულს რომ შეებრძოლე თავგამეტებით.

ყველა სოფელში თითო ჰამლეტი მაინც ცხოვრობს, მაგრამ იმათგან ერთეულებს თუ შეუძლიათ თავისი ტვირთის ბოლომდე ზიდვა.

არ აპირებს ფეხის მოცვლას ცის უფსკრულებიდან დაშვებული ღამე. კბილებით ებღაუჭება კლდის ნაპრალებს, ხევებსა და ბალახებს ჩაჰფრენია, არ ეთმობა საბრძანებელი.

ვერაფერს შეგძენს თორღვავ, არწივის მხრები, ვერც ეს ნაცრით სავსე ტომრები. ფშავი გაკვირვებული უფროა, ვიდრე შეჭირვებული ამ უცნაური ბეგარისაგან, მაგრამ ვერც ამას მოგითმენს დიდხანს.

რას ეძებ, თორღვავ, რას? არ იცი? მე გეტყვი მაშინ: ჩოთას მჭვარტლიან ისარს ეძებ ბეჭებშუა გაყრილს. მადლიანია ის ისარი. ხევსურეთსაც დაასვენებს და ფშავსაც, შენც დაგასვენებს და შენს ტანში დაბინადრებულ ვეშაპსაც.

იელოვანი გადაწითლდა შენი დაუცხრომელი სისხლით. ეხლა დაცხრება!

ისევ სისხლი, სისხლი... როდის ამოისუნთქებს შვებით ცოდვილი მიწა.

საუკუნეებს გადმოუარა ანაკვერჩხლებულ ლეგენდებში შეფუთნულმა შენმა სახელმა და დღესაც გვიფორიაქებს სულს. გვეყო, დაგვასვენე, დარჩი შენს დროში.

შემტრედისფერდა აღმოსავლეთი.

დილა-ბინდში კვლავ გამოჩნდა გერგეტი — გაქვავებული გველეშაპი.

აღარ ისმის გმინვა კაცისა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მერაბ ელიოზიშვილი

## იყო და არა...

ამასწინაზე,
აპრილის ღამით,
ვნახე სიზმარი.

სასწაულებრივ
უკიდეგანო
სივრცეში ვფრენდი.
იყო კოსმოსიც,
თითქოს არც იყო,
მიწაც იყო და
არც იყო თითქოს,
წყალიც იყო და
წყალიც არ იყო,
ჰაერიც იყო,
არც იყო თითქოს.
რაღაც სინთეზი
გახლდათ ისეთი,
ათაბაბიდან
რაც გვინახია,
გვინახია და
არც გვინახია.

არავითარი
განსაკვირველი
თითქოს არც იყო
და თანაც იყო.
არც ბაბილონი,
ემპაიერი,
არც ეიფელი,
იყო — არც იყო,
არც ბრინჯაო და
არც მარმარილო,
არც მარგალიტი,
ლალი და თვალი,
იყო, არც იყო,
ბუნება იყო,
ნაძერწი თვითონ,
გასაოცარი
მძერწველის ხელით,
ეს იყო, იყო,
ნამდვილად იყო,
მსგავსი არაფრის,
უკვე ნანახის.
დაახლოებით,
აი, ასეთი:
წარმოსახვითის,
არასახიერ,
არაკაციერ,
სამყარომდელი,
გაფართოების,
უპირველესი
ამფეთქებელის,
მუხტის კარნახის,
ნებით ნახატი;
არტერიებად
ანდა ვენებად,
ვენერებად და
დანარჩენებად,
უახლოესი,
ნისლოვანედის,
მსგავსი ასლების,
უშორეულეს
სარქველის გლეჯის,
ღრიალში თქმული,
მრავალსახელად,
ნაცვლად სახელთა,
მანამდე, ვიდრე,
ნიკოდ, ვანიკოდ,
სიკოდ, ალეკოდ,
თიკოდ, ნანიკოდ,
როგორიც იყო.
აი, ასეთი,
ბუნების კარი,
თვალწინ გამეღო,
აპრილის ღამით
და შევაფრინდი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

განა-თუ ფრთებით,
ანგელოზებრით,
კუნთების ძალით,
საკუთარივე,
მკლავების რხევით.

სხეული ისე,
ჩამომხვეწოდა,
გონზე მოსული,
ტვინის კარნახით,
ათლეტსა ვგავდი.
ტანზე არ მეცვა,
არც არაფერი,
შიშველი გახლდით,
მაგრამ, ხაზგასმით,
ჩემი სხეულის,
ვერა-რა ნაკვეთს,
კაცისეულის,
ვერა ვხედავდი,
მივფრინავდი და
ჰაერს ვკვეთავდი.

ვის აღარ შევხვდი
საჰაერეთის
ამ გასაოცარ
გამჭვირვალეთში,
კლდეთა შუალედ
აღსასვლელებში
ვინ არა ვნახე!..
უპირველესი,
ზეკოსმიური,
რაც მე ვიხილე,
და დავინახე,
იყო იური,
ღრუბელზე მდგარი,
სამყაროს ძეი,
არწივის მართვე.
განა თუ წკირი,
ბაფთებიანის,
მაესტროს ჩხირი
ეპყრა ხელთა და
იმას მიქნევდა,
სწორუპოვარი,
ღიმილის სხივით,
სამყაროს სრბოლას,
აწესრიგებდა.
გაგარინული,
მოდგმის ტიტანიც,
იქავე იდგა —
გერმან ტიტოვი,
იმავე ღრუბლის
ანაფთილევზე.
გადმომცქეროდა
და მაფრთხილებდა:
ხილვის სიჩქარეს,
არ ავყოლოდი,
არ გავეტაცნე,
აღმავალ ჭავლებს,
დედალოსის ძის,
იკაროსივით,
არ შევხეთქოდი,
უცხო გრიგალებს...

ურთიერთ რწმენის
გრძნობათა წრედი
გვაწესრიგებდა
უთქმელი წესით...
საერთო ფრენის
დიდი წამმზომნი
გახლდნენ ის ორნი,
ის ორი ლომი,
გაგარინი და
გერმან ტიტოვი.

რის ჭამა, რის — სმა,
ხაში და ფაშვი,
ჯამების ტვლეპა,
სასმელის ხვრეპა,
ან, უშოვნელის,
ნატვრის თვალების,
გაელმებული
ჭყლეტვა და სრესვა!
ადამ და ევას
ედემის ბაღში
მუქთი ვაშლების
ბერტყვა და ხეთქვა!
ყოფნა-არყოფნის,
უძმო-დაძმობის,
არავითარი
ფიცი და ტეხვა!
სხვის თვალში წკირის,
თვისაში — დვირის
ხედვა-ვერხედვა,

მე არ მინახავს...
რა ხდება, ნეტავ,
ზეციდან დაბლა
ჭეშმარიტება
რად იგვიანებს,
რა ემართებათ,
ნეტავ ვიცოდე,
დედამიწაზე
ადამიანებს!

აპრილი გახლდათ,
იყო და არა,
აპრილის ღამით
ვნახე სიზმარი.

## ჰო თუ არა...

ნეტავ თუ სტკივათ
კატებს ძუძუები,
უპატრონო სახლში,
უპატრონო კატებს?..
როცა ჩამოვლენ,
მათი პატრონები,
რძეს მისცემენ და
კნუტებს გადუყრიან,
სტკივათ თუ არა
კატებს ძუძუები?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბათუ დანელია

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ციკლიდან — „დატირებანი“

## სიჩუმის დატირება

მიყვარს, სიჩუმევ, მელნისფერი ყვავილი შენი — სურნელოვნებით თორმეტივე გრძნობას მიბრუებს... ჩემი ოთახის ცა მოიღრუბლა... ვერ მივალ, ვერა, ფანჯარასთან, ვერ გავწევ ფარდებს — შიში მაქვს, შიში, რომ არ მივასკდე თვალსაწიერის ცხელ მარმარილოს...

მე წითელ ხეებს ვიზმანებ ეხლა, ჩამავალ მზესთან რომ მიმელიან... და ჩემს ოთახში შემოდის ბავშვი, — მამა — მეძახის ის გამწარებით და ჰქრება, თითქოს თავისსავე ხმას შეუერთდა... მე უნდა გავხდე იმ ბავშვის მამა, რომ ზღვის მიქცევა ჩემგან ფიქრებს დასჯერდეს მხოლოდ და დედაჩემმა არ დასწყევლოს ზღვა უცოდველი...

ჩემი სიფითრე წითელი ხეა. დგას ის დამშეულ ყანის ბოლოში და მშიერი მისი ფესვები შიმშილისაგან მკვდარი ძაღლის ძვლებს ეხვევიან (ძაღლი მშიერმა მგზავრმა დამარხა)... ცოტა იქით კი, ორიოდე ნაბიჯის იქით — ოქროსფერ პერანგს იხდის სოფელი და ფეხშიშველა ბილიკებით შესაწირავებს ერეკება, ცისკენ კი არა — ტყისკენ, სადაც ერთიმეორის შესაჭმელად კბილებს ილესენ.

ყვავილობს ჩემში აქარყოფნის ცნობიერება. მე ჩემს თავს მივდევ, რომელიც მირბის ყოფიერების საზღვრებს გადაღმა... ოთახში, როგორც ნავსაყუდელში მშვიდად შემოდის შიშველი გემი, სიშორეების შარიშურით გაბეზრებული და დაღალული იდუმალებით და მოაქვს ლურჯი სარკეების მშვენიერება... მე მისალმებაც ვერ მოვასწარი, მან ისე სწრაფად ჩაიშრიალა და ყველა ჩემი ავი განზრახვა კილვატერში ჩ ა ი ყ ო ლ ი ა...

მშვენიერია დაღლილობა ზეშთაგონებით, როცა მდინარის ცხელი გულიდან ნაპირებზე საბალახოდ ამოსულ ნისლებს, გულს კეთილ მწყემსად გააყოლებ და დარდიც არ გაქვს, დაბრუნდება თუ არა უკან...

იძულებული ვარ სიჩუმისგან ვიყო მომთმენი და თავმდაბალი, მაგრამ მოადენს ზღვის ტალღა ზღართანს და უხსენებელს შებმულ ზღარბივით აღგზნებული უსაზღვროება აღიმართება მზერის ზღურბლზე და მთხოვს საზღაურს, ჩემი ბედკრული წუთისოფლის საზღვრებისათვის...



მარქსის სახ. საქ. სსრ სახელმწიფო რესპუბლიკ. ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

უზომო იყო დედის ალერსი, მაგრამ მე უფრო მეტი მინდოდა. — ახალგაჩენილ ხბოს სველ ბალანზე მარილს აყრიდა ბებიაჩემი, თუმცა ისედაც თავდავიწყებით ლოკავდა დედა თავის ფუჩინას, რომლის თვალებში ყოფიერება კრთოდა სიჩუმის მწიფე ნაყოფად...

ო, ეს ოთახი — ჩვენი დროის ხელოვნური გამოქვაბული, თითქოს სიჩუმის სარკოფაგია... მაგრამ უეცრად ატეხავს განგაშს ბუზი ობობას ციხე-კოშკიდან და მდუმარების ზღვა ჩააშრება ჩემი მზერის აქვარიუმებს და იშლება ჩემში კვირტივით გზააბნეული თევზების სევდა.

შეშინებული თევზების შფოთი წარმოშობს იქნებ ზღვის მღელვარებას და კუზიანი ტალღების ომი ჩვენ სხვა მიზეზის გამო გვგონია...

ისე გაიღო ოთახის კარი, თითქოს აკვანში ბავშვს გაეღვიძა და მე სიჩუმის უძლურება მასევდიანებს... ეს კიდევ რაა, — სოფლის ბოლოში ვინმე გლეხი რომ გუთანს პირავდა, როგორ მარღვევდა მე იმისი ხმა იდუმალი...

მშვენიერია დაღლილობა ზეშთაგონებით, როცა არ ხედავ, მაგრამ იცი, რომ ეზოების ყვითელ ჩქერში ხმელ ფოთლებს, როგორც ხმელეთის თევზებს დაფნის ბუჩქები იჭერენ მშვიდად... ქარს მოაქვს გვრინი განდეგილ ხარის და ხარხარებენ ხმელი ხეები...

## გაურკვევლობის დატირება

რაღაც ხმა მესმის მე ყოველ წამს, რაღაც ხმა მესმის, ოღონდ არ ვიცი, რა ხმაა და საიდან არი... მე ვერ ვიცოცხლებ სიცოცხლისთვის, არ შემიძლია, — ოქრო ვეძიო, ჯარს წარვუძღვე, კოშკი ავაგო, დარბაზობები გავუმართო დიდგვაროვანებს... და არც დავრჩები უმადური სიცოცხლისაგან, თუკი ამისთვის ის საკადრის სასჯელს მომიზღავს (რაც უნდა მოხდეს, არ მოხდება, არ მოხდეს იგი).

თქვენ კი რა მოგდით მოკვდავებო, რით ვერ გაუგეთ ყოფიერების ერთფეროვან იდუმალებას... თუ გიფიქრიათ ერთხელ მაინც ყოფნა-არყოფნის — შავ-თეთრ მდინარის დაგუბებულ მდინარებაზე... ან თუ გაქვთ რამე ცისთვის სათქმელ-საალსარებო... ნუთუ არ გქენჯნით სააქაოს დავიდარაბა... ნუთუ ვერ აღწევს თქვენს გულამდე ხმა ვულკანური — არამქვეყნიურ სიხარულის და მწუხარების...

წუთისოფელი მწვანე კვამლი არარსებულის არსებულისკენ მიისწრაფვის და რომ იცოდეთ, ამ კვამლის

ზღვაზე ხომალდია ყველა თქვენგანი და ვარსკვლავები, ვით მუდმივი გ ა მ ც ი ლ ე ბ ლ ე ბ ი — ხელმანდილების ნაზი ქნევით გეთხოვებიან...

ასეა, ასე, მოკვდავებო, მე კი საერთო დღე-ღამის გარდა არაფერი არა მაქვს თქვენთან. ეგ ყველაფერი: არსებული, არარსებული — სიკვდილ-სიცოცხლე, ვით კაკალში ორი ლებანი — ორი სამყარო დევს ჩემს სულში და მე ხიდი ვარ, ზესკნელ-ქვესკნელის შორის — ხიდი, სადაც რიგ-რიგად შუასკნელის მტვრით დატვირთული ფორანები მიჭრიალებენ...

საპყრობილეა ჩემთვის ბ რ ი ყ ვ თ ა თავისუფლება... ზოგჯერ კი ასეც მგონია, რომ ეს (მომიტევეთ)... ეს მზე და მთვარე ყოფნა-არყოფნის ნაყოფია, სხვა არაფერი...

(რაღაც ხმა მესმის მე ყოველ წამს, რაღაც ხმა მესმის), და ასე ვლიან ეს დღეები დასაწყისისკენ...

ირხევა ჟამი უჟამური ჩემს მყოფობაში, ირხევა ჟამი, ვით წითური მოჩვენებანი მზის ჩასვლის შემდეგ ჟნებადამცხრალ თვალსაწიერზე. მოელტვის ჩემსკენ ყველაფერი მხოლოდ იმიტომ, მხოლოდ და მხოლოდ იმ მიზეზით, რა მიზეზითაც მდინარეები ეშვებიან მაღლიდან დაბლა... მე კი ყოველი საგნის გულში დავანებული, გაურკვევლობის ფესვებიდან ვიწოვ სინათლეს, რომ ამდენ გზიდან გავინათო გზა მარტოობის...

არადა ჩემი ყავისფერი მზერიდან დაღვრილ თაფლით ცხოვრების მშიერ ფესვებს უნდა ვკვებავდე... და აღარ ვიცი, რა ვიღონო, რა ვქნა, როდესაც არ შემიძლია სამყაროულ ადათ-წესების დაცვა იმიტომ, თუნდაც, ერთიც რომ არ მეგულვის მათ შორის ჩემი შთაგონების ნაკარნახევი... და არც დავრჩები უმადური სიცოცხლისაგან, თუკი ამისთვის ის საკადრის სასჯელს მომიზღავს...

არა ვარ-მეთქი გაჩენილი იმისთვის სულაც, აქაურობამ მიყუდრებას რომ შემაჩვიოს და დამავიწყოს ეს უკვდავი ყოფნა-არყოფნა სიამტკბილობით, მეგობრებით ან ქალწულების სიცილის თოვლით და ბაგეთა შაქარყინულით... მსხვილკერტებიან ჟრუანტელის აელვარებით ანდა მკლავების მარყუჟებით, ხშირ შემთხვევაში განშორებისას რომ იციან ყელზე მოჭდობა...

სულ ამაოა ყველაფერი — ხეებს რგავდე და აღარ იცოდე, — საკუბოვეც რომ გაიხარებს... და ღმერთო ჩემო, რა საქმე მაქვს ამ ცისქვეშეთში, სადაც მზის ჩასვლა და ამოსვლა ილუზიაა...

რაღაც ხმა მესმის მე ყოველ წამს, ოღონდ არ ვიცი, არ ვიცი-მეთქი, რა ხმაა და საიდან არი...

## უძლურების დატირება

რანი ვართ, რანი, მოკვდავები — პირში ენა ვერ დაგვტევია, ხოლო სხეულში ქარები გვაქვს ჩაგუბებული!

ჩვენ იმას ვცოდავთ, რომ ცოდვები არ გვეცოდება, და საცოდავნიც ჩვენა ვართ, რადგან, მაინც დაგვნათის მზე უცოდველი...

ნეტა რას ფიქრობს, რას, მომწყდარი ფოთოლი გზაში — სანამ მიწასააფეთქებდეს... ან გამოწვდილი ხელის ნავი — რომ მოირწევა ჩვენსკენ, ჩვენივე კითხვის ნიშნებით აღელვებულ ჰაერის ზღვაში... რას ფიქრობს ის და მისი მენავე, ჩვენ ხომ ამაზე არასოდეს არ გვიფიქრია!

ო, უძლურება ყვავილია უიმედობის და ურწმუნობის, რომელსაც ფესვებს უსაზრდოებს სევდა და ურვა... და აჭკნობს ერთი გულიანი ჩაღიღინება... ის შეიძლება ობიც იყოს, ჩვენს აუხდენელ ოცნებებს რომ უჩნდება მუდამ... იქნებ კბილია, არსებობის ჭიანი კბილი, რომელსაც ძირი ისე ძლიერ აქვს გამოხრული, რომ შეიძლება ნებისმიერ ლუკმას გადაჰყვეს, ჩვენ კიდევ ხელი გვაქვს ჩაქნეული...

აი, ბალახი ხომ ამოდის ლოდქვეშ? — ამოდის! ამოდის რაა, უფრო მეტიც — თითქოს ის ლოდი ფაფახივით ახურავს თავზე...

ჩვენ პურს მივირთმევთ და ვძლიერდებით. ესეც ბევრს ნიშნავს ჩვენთვის, მაგრამ, ჰეე, რომ იცოდეთ,— პურის მარცვალში რა ძალაა დავანებული..

ფითრი კი? ფითრი! — ხე უწმინდესი, ყველა ხეზე პატარა როა, მაგრამ ძლიერი თვითონ ძელქვაზეც! ფითრი, რომელიც ხედ ამოდის ხეთა ტოტებზე, ბეჩავი ჩიტის კუდქვეშეთიდან მჭყიტავი მზის გადმონასხივით — გასაოცრად საოცარია... და ძლიერებაც იმაშია სწორედ იმისი, სწორედ იმაში, რომ ბოტანიკურ კანონებს არ ემორჩილება!..

თუნდაც ის ჩიტი ხომ ციცქნაა და უსუსური, მაგრამ ის არის მშობელი ფითრის...

კოლოზე უთქვამთ, ლომს ერევაო და ლომის მძლეველს, ძლევს გამბუზია — პაწაწკინტელა თევზი... და ია! აი, სად არის ძლიერება მათი, რომლებიც ჩვენ შეგვიძლია თითით გავსრისოთ...

არის უძლურთა ძლიერებაც. არის! ხომ არის? ვტყუივარ? როგორ? რითი მიმტკიცებთ? იმითი, რომ ჩვენ ვართ უძლურნი? არა! — ჩვენ ყველა ძლიერები ვართ, უბრალოდ გვწამს, რომ არაფერი არ შეგვიძლია...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძლიერები ვართ, ძლიერები, როგორ ვერ ხედავთ?
თვითონ ეს სიტყვა „ძ ლ ი ე რ ე ბ ა" რა ძლიერია!
თუნდაც „ძ" ბგერას რომ წარმოვთქვამთ, მკერდის დაძაბვას
ვერა გრძნობთ, ძმებო?!

ჩვენში მზეები ბინადრობენ, ყოვლად ძლიერნი...
ჩვენ კიდევ მზვარეს გავურბივართ... ჩრდილოვანში
მიგვიწევს სული...

## მოუთმენლობის დატირება

ასე უგულოდ და უგემურად ჯერ არასდროს დაღამებულა! მე ყველაფერი მეჩქარება, და უფრო მეტიც — მე ფრენა მინდა ყველაფრისკენ დაუსრულებლად, რომ მიგრძნოს ჩემმა ყოფიერებამ, როგორც ბრძენმა ქვეწარმავალმა, მიწისძვრის სუნი თუ (რაც არი, რა საჭიროა)...

თეთრი ღრუბელი გასიებას რომ იწყებს ცაზე — მე უკვე მაწვიმს და მზესაც ვხედავ ნაწვიმარზე მობანოვანეს...

როცა წერილს ვწერ, მე პასუხსაც ვკითხულობ მაშინ;

ყანას რომ ვთესავ — ჭირნახულსაც იმ დღესვე ვიმკი;

ვაზს რომ ვსხლავ, იმ დღეს ღვინოსაც ვწურავ;

სად მივისწრაფვი, რა მაწუხებს, საით, რა მინდა, მე დარწმუნებული იმაში, რომ ბედნიერება ილუზიაა, ბუნებისგან გამოგონილი, უფრორე თავის სასარგებლოდ, მოკვდავისთვის კი — სასიამოვნოდ, გასართობად, როგორც ჩვენს დროში ესტრადისა და ცირკის ყველა ილუზიონისტს აქვს განზრახული... და გვავიწყებს ყოფიერებას ბუნება — ილუ-ზიო-ნისტი ბედნიერებით, მხოლოდ იმიტომ და იმასაც მხოლოდ დროებით, რათა მის ჭერქვეშ არ გამეფდეს ერთფეროვნება — ყველაზე დიდი მტერი მისი... სად მივისწრაფვი — ყველაფრისკენ თუ არაფრისკენ?

რაც უფრო ვღელავ და ვისწრაფვი, მით უფრო ჩნდება ჩემში სურვილი აქარყოფნის, თუმცა სადა ვარ? — იქნებ ვიყავი იქ, სადაც ვილტვი და ეხლა იქნებ უკან ვბრუნდები!..

რა წრეებია ჩემს გარშემო?... და მატულობენ ისინი, როგორც ქვის ჩაგდების წერტილის ირგვლივ ტალღები წყლისა, რა უნდა იყოს, რა, თუ არა ჰორიზონტები დარჩენილ წლების, და მე მინდა ხელების გაშლა ისე, რომ ბოლო წრესაც მივწვდე და მოვიხვეჭო ჩემსკენ ყველა, რაც შემიძლია და მათ რვიანის ცენტრში მოვექცე...

დარწმუნებული ვიყო იმაში, რომ რაც კი მიყვარს— შემძულდება, ხოლო, რაც მძულს — შემიყვარდება, —ეხლავე, აქვე, სადაცა ვდგავარ, ჩემს სიმაღლე საფლავს გავთხრიდი და... მგონი მიხვდით... და თუმც ყველაფრის საფლავებია ჩემი თვალები — მე მაინც მინდა, მაინც მინდა, ვიხილო ჩემი ყოფიერება, რანაირიც არის ისეთი...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მანანა ხელაია

# სიმდიდრე

ოთახში მიხაკების გულისამრევი სუნი ტრიალებდა, მეტი არაფერი ახსოვს. ჰო, კიდევ მაღალი, ძველებური ფანჯარა იყო ღია, „აქედან გადაეშვა" — გაუელვა — „იმან გამოაღო გადასახტომად და მერე აღარ დაუკეტიათ". მოეჩვენა, რომ ამ ფანჯრის დაკეტვა ამიერიდან შეუძლებელია, „ასე იქნება მუდამ, ღია".

ქუჩაში აპრილის დღე იყო, თბილი. ხალხი ჯგუფ-ჯგუფად იდგა. ახლაღა მიხვდა, რომ იქ — ოთახში, თითქოს ბურანში იყო. ღრმად შეისუნთქა ჰაერი. ნელ-ნელა დაეწმინდა მზერა, რამდენიმე ნაცნობი სახეც აღიქვა. ძალიან მოუნდა თავის სახლში, თავის ოთახში. ფრთხილად აუქცია გვერდი დაბალ ხმაზე მოსაუბრეთ და ქუჩას გაუყვა.

ცოტა ხანში ისევ შეჩერდა. საკინძე შეიხსნა. „რამდენი ნაცნობი სახეა..."

— არა, ცოტა უცნაური ყოველთვის იყო საწყალი ირა.

— ღმერთო შემინდე და, მაგას უცნაურობა აღარ ჰქვია...

— ეჰ, ჩემო კარგო, ჩვენ ახლა ისეთ ასაკში ვართ... ხანდახან მგონია, ვგიჟდები-მეთქი, წამომახურებს, წამომახურებს...

— შენ გგონია, მაგის ამბავი იყო?!

— მე მგონი მაგის ამბავია, თორემ ქალს — ქმარი, შვილი, აწყობილი ოჯახი და უცბად ფანჯრიდან ხტება...

— არაფერი უსიამოვნება?!

— აპა, არაფერი, მარიკა, არაფერი, გესმის შენ?!

— ღმერთო, შენ გვიშველე, კიდევ ერთი-ორი წელი და მერე ხომ ჩავწყნარდებით, ჰა?!.

მარიკას პირზე მომდგარი ღიმილის შერცხვა და ტუჩები დაპრუწა, მერე უცბადვე გაისწორა სახე.

— არა, არა, კაცო, ეს საწყალი თავიდანვე არ იყო მთლად დალაგებული. არ გახსოვს, ბატონი ნიკო რომ გარდაიცვალა, რა უცნაური განცდები ჰქონდა?

— ეგ არა-და, ის მახსოვს...

იგრძნო, რომ გაჩერება უარესი იყო, თან კიდევ უფრო მეტად მოუნდა თავის სახლში, თავის ოთახში. გააცნობიერა კიდეც — მაგიდაზე, წითელ ინდურ კოლოფში ირას დაწერილი ფურცლები ეგულებოდა. ერთხელ, სამსახურში, სხდომაზე დაჯლაბნა. გაუგებარი ხელით, ცოტა ბავშვურად, ბატისფეხურით იცოდა წერა ირამ. მაშინ ახალგაზრდები იყვნენ. წამოიღო ის ფურცლები და შეინახა, თვითონაც არ იცოდა, რატომ. ახლა ძალიან ეჩქარებოდა წაკითხვა. ისეთი განცდა ჰქონდა, თითქოს მძიმე ავადმყოფთან მიეჩქარებოდა და უნდა მიესწრო.

სახლში არავინ დახვდა. გასაღებით გააღო კარი და პირდაპირ თავის ოთახში შევიდა. ფურცლები ოდნავ შეყვითლებულიყო. ფრთხილად, ფრთხილად ამოიღო რაღაც უმწეო და უქომაგო. ფრთხილადვე გაშალა ოთხად გაკეცილი. ცოტა დამშვიდდა, ამოისუნთქა, მოუსწრო თითქოს, სათვალეც კი გაიკეთა და ისე დაიწყო კითხვა:

„სადამდე შეიძლება იტივტივოს ადამიანმა. კი არ იცხოვროს, შეგნებულად, ადამიანურად, არამედ იტივტივოს?! დაბნეულმა, დატუქსულმა, დათრგუნულმა, თავდახრილმა, ფრთამოტეხილმა, უცხოებში, გაუგებრებში, ერთმა, გულისამრევმა, დოყლაპიამ, ლენჩმა, საცოდავმა, ოცდარვა წლისამ, ენის მოჩლექის ღირსმა, უღირსმა — ღირსების დიდმა პატივისმცემელმა;

უჭკუომ — ჭკუის თაყვანისმცემელმა.

იმთავითვე ცოდვილმა — სიკეთის მაძიებელმა და სიკეთის მოსურნემ; კბილებღალრეცილმა და კბილებდაჭიანებულმა — სილამაზის ტრფიალმა; ორგულმა და პირფერმა — სიმართლის მოყვარემ;

ჩაბნელებულმა და უხასიათომ — სინათლისა და გულგახსნილობის მოყვარემ.

უპრინციპომ, არამდგრადმა, ეჭვიანმა და გულნამცეცამ — რაღაც სიმაღლეებს შეჭიდებულმა;

პრეტენზიულმა და ეგოისტმა — სისადვის მოტრფიალემ და მოყვასის მოყვარულობაზე თავდადებულმა;

ანჩხლმა და თავშეუკავებელმა — მშვიდისა და თავდაჭერილის ნიღბით;

ყოველ წამს ტყუილისა და უპასუხისმგებლობის, თამაშის მორევში ჩათრეულმა და ვერც ჩათრეულმა, უსულგულობაში ჩაფლულმა და ვერც ჩაფლულმა. ღამურამ — არც თაგვმა და არც ფრინველმა — არარამ, სადამდე?!

მერყევმა და ინფანტილურმა?!

დაშინებულმა, დამფრთხალმა ფრთხილმა — ვაჟკაცობისა და რაინდობის ტრფიალმა?!

ოცნებაში სამშობლოსათვის თავგანწირულმა — სინამდვილეში უხერხემლომ და ჩიამ;

შებორკილმა, ტუსაღმა — თავისუფლების მოსურნემ;

სხვების წამხედურამ — თავისთავადობის მოსურნემ!

ვინა სთქვა ადამიანის გამოსწორება, შეცვლა, გაზრდა?! დაბნეული დაბნეულადვე ბერდება და კვდება. ჩია — ჩიად კვდება. ეგოისტი — ეგოისტად, მატყუარა — მატყუარად, თავხედი — თავხედად.

ასე უნდა კიტიკტივო ბოლომდე, საშველი არ არის, ჯვარს ეცვი თუ გინდა..."

შემდეგი ორი სტრიქონი ვერ ამოიკითხა, გაკეცილის ადგილას გაქექილიყო ფურცელი. მერე ისევ განაგრძო:

„ერთი ჭკვიანი კაცი მეორე ჭკვიან კაცზე წერს, ბრწყინვალე იდეები ჰქონდა. ბრძენი იყოო, მაგრამ რა... ცოფიანი ძაღლის ნერწყვი საკმარისი აღმოჩნდა, რათა გამქრალიყო ის ბრძენი, ცოლი ყოფილიყო ცოცხალი, რა უაზროა ყოველივეო.

რას ნიშნავს „გამქრალიყო"?! რას ნიშნავს „ცოცხალი"?! განა ისევე არ ვცხოვრობთ აქაურებში, როგორც წასულებში?! რა ფორმალობაა — აქ თუ იქ. გურამ მხეიძე აქ არის, ჩემში — თავის რაინდობით. თავის ღიმილით, თუმცა წასულია. თემოც ჩემშია — „გაზაფხული მევიდათი". მამაც ჩემშია. ასე გამიგია ხშირად — წასული კაცისთვის რაღაცის თქმა გინდა და ვერეუბნები და სწუხარ. მაშინ გენატრება ხოლმე წასული ახლობელიო.

თქმა?!

აქ მყოფისთვის, გვერდით, სულ ახლოს მყოფისთვის თქმა რომ გინდა, ეუბნები ყოველთვის?!

ეფერები, როცა გინდა მიეფერო?!

უმხელ, რისი გამხელაც გინდა?!

ეძახი, როცა ძახილი გახრჩობს?!

ეჭიდები, როცა გრძნობ, რომ ეფლობი?!

ტირი, როცა გინდა, რომ იტირო?

აჩერებ, როცა კარგად იცი, რომ უნდა გააჩერო?!

არ ესვრი შენს წილ ქვას, როცა იცი, რომ არ არის ჩასაქოლი?!

მიუტევებ, როცა მიტევებაა საჭირო?!

უჩუმდები, როცა გაჩუმებაა საჭირო?!

ბღავიხარ, როცა გისკდება გული?!

გიყვარს, როცა გიყვარს?!

კაცი ხარ, როცა კაცი ხარ?!

და ცხოვრობ ასე — დღიდან დღემდე, თვიდან თვემდე, წლიდან წლამდე ცხოვრობ აქ — ცოცხალი ადამიანების გვერდით და თან გენატრება ცოცხალი ადამიანი.

მაშ სულერთი არ ყოფილა — წასულია თუ არწასული კაცი?! თუ შენში შემოვიდა რაღაცით ერთხელ, შენშივე დარჩება, შენთან ერთად ივლის ერთხანს აქ — მერე შენ და ის ერთად გა-

დახვალით სხვაში რაიმეთი — ან გემრიელი ხელის ჩამორთმევით, ან... სულერთია, რაიმეთი. მერე ის სხვა, სხვა და შენ — ერთად კიდევ სხვაში და ასე უსასრულოდ. „გაქრობა“ რაღას ნიშნავს?“.

გული ჩაწყდა. რამდენი წელია, რაც სამსახურს თავი დაანება ირამ. არც კი მიუკითხავს. უცხოებივით, შორი-შორს ცხოვრობდნენ, თავთავიანთი ცხოვრებით.

ადგა. ფანჯარასთან მივიდა. წვიმისგან გალოკილ ასფალტზე მუშტივით მოკუმული ქალი იდგა, ძველ, გაქექილ შალში ერთიანად გახვეული და მზესუმზირას ყიდდა. „წვიმასაც მოუსწრია, კიდეც მოსულა, კიდეც გადაუღია“, გაიფიქრა.

უცნაურ სალოცარი სიმძაფრით იგრძნო, როგორი ნესტიანი იქნებოდა იმ უცხო, სოფლელ ქალს ფეხები ნაწვიმარზე.

ბავშვობის მერე ასეთი [illegible] უცდია უცხოს მიმართ [illegible] ავადმყოფი, რომელსაც სულზე მიუსწრო, თვითონ იყო.

დედური სინაზით დაკეცა ხელნაწერი, როგორც ჩვილებს ახვევენ ხოლმე საფენებში. მერე გაახსენდა, უმწეო და უქომაგო რომ უწოდა გუნებაში ამ შეყვითლებულ ფურცლებს და გაეღიმა.

„ღმერთმა იცის, ვინ უფრო უმწეოა — ჩვილი დედის ხელში თუ დედა ჩვილით ხელში“...

კაპასი ვარდისფერი ღრუბელი სალოცარი სისწრაფით მოძრაობდა ცაზე.

ის კი იდგა ფანჯარასთან, უცნაური სიმდიდრით გამდიდრებული და ფეხებზე ნაწვიმარი ასფალტის სიგრილეს გრძნობდა.

# პროცედურა

— მაიცა ქალო, მაიცა, რო ჯდები აღარ უნდა იკითხო — გსვაამ, არა გსვაამ... დაბრძანდით ქალბატონო, დასვით ბავშვი. Ах ты Антошка проидошка, — მიუალერსა ჭრელგეტრებიან, ქერა ბავშვს ექთანმა.

დატუქსული „ქალო“ კი შეცბა და ავადმყოფი ბავშვი ხელში აიყვანა. ისიც ვერა თქვა, ჩემი რიგიაო. მერე მობჯენილი ცრემლის შერცხვა და ფანჯარაში გაიხედა.

— დაჯდეს, დაჯდეს, ჩვენ არ გვეჩქარება. ეგეც არ იყოს, მისი რიგია... დაბრძანდით — ქურქიანი ქალი თავისუფალი ღიმილით და ლამაზი ჟესტით უთითებს სკამზე...

ექთანი მეორე ოთახში გადის და ბრაზიანად ბურტყუნებს: „ზოგი რა ეშმაკია... ახლა ეგ კარგი გამოვიდა, მე — ცუდი. სიკეთე უნდა გაუკეთო ვინმეს?“...

ქალი უხმოდ დაეშვა სკამზე და ბავშვი პროცედურისათვის მოამზადა.

„ამათთან ჩხუბი არ ღირს, ამათ ხელში ხარ, ამათი... სადა ხარ, ოქროუა, მომენატრე. გინება ვისწავლე, ოქრო“...

ქურქიანი კი მშვიდად იღიმებოდა და ფრჩხილებს ითვალიერებდა: რა არიან ეს სოფლის ქალები მაინც... თან რა ავადმყოფი ბავშვი ჰყავს საწყალს. ...შორს ჩვენგან. თფუი, ღმერთო, როგორ ვერ ვიტან ამ საავადმყოფოებში სიარულს, ხასიათი მიფუჭდება... — ღიმილი კი ისევ ისეთი მშვიდი და ნათელი ჰქონდა...

ხოლო ოქროუა, იჯდა სოფლის კანტორაში, ჩუმჩუმად შეჰყურებდა იზოლდას ყელზე შებმულ მძივს და ფიქრობდა:

„რაღაცას მაგონებს, რაღაცასა... ჰოო, ხეს ფოთლები რო გასცვივა და მარტო მწიფე ხურმები დარჩება, იმასა ჰგავს“.

— რა არი გოგო ეგა, მარჯანია?

— ჰო, მარჯანია. — ვითომდაც არაფერიო, თავი არ აუწევია დავთრებიდან იზოლდას.

„მაშ მარჯანი ხურმასა ჰგავნებია“...

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩ ვ ე ნ...

(ნაწყვეტი პლასტელინისგან გამოძერწილი კაცუნას დღიურიდან)

კარგია თბილი ოთახი ახლა. ძვალრბილში ატანს სიცივე. კარგი იქნება თბილი ოთახი და ცოტა არაყი გასათბობად. ძეხვი და პური. შენს ქალაქში, შენს სახლში რატომ არასოდეს გაგონდება და გინდება ასეთი რამ?! არაყი, ძეხვი, პური — მშვენიერია, ოღონდაც ეშველოს, მოვიდეს მანქანა.

უბრალოდ და კუს ნაბიჯით მიიწევს წინ რიგი. ნიკო და ირაც სდუმან, ცხვირგალურჯებულები. თავზე, რა თქმა უნდა, არც ერთს არ გვახურავს — ჭეშმარიტი ქართველები ვართ. ცივა. რა სერიოზულად დგას ეს პატარა — კაცივით, მაგრამ თვალები არა აქვს დიდის. ფიქრობს რაღაცაზე. ასე კარგად ფიქრი მარტო ბავშვებმა იციან. დავუთმობ ამ შეცივებულ პატარას ჩემს რიგს. კარგია. ცხოვრება მაინც კარგია. შენზე არაა დამოკიდებული?! გაალამაზე, გააკეთილშობილე ყოფა. ცოტა კია — დაუთმო შენი რიგი ბავშვს, ეს ხომ ასეც უნდა ყოფილიყო... ჰო, მართლა, რატომ ადრე არავის მოაფიქრდა, რომ რიგში პატარა ბიჭი დგას და იცდის...

რა კარგია, მოვა მანქანა და ჩვენ არ ჩავსხდებით. ბიჭის მშობლები გაიფიქრებენ: „ძლივს არ მიხვდა ვიღაც...“ ხმამაღლა კი იტყვიან „გმადლობთ“ და ჩასხდებიან. ბიჭი ვერც მიხვდება ვერაფერს, ყველაზე კმაყოფილი მე დავრჩები. რა ცოტაა საკმარისი ბედნიერებისათვის...

ნიკო და ირა? რა სისულელეა, არა მგონია. მე არ ჩავჯდები, გათავდა და მორჩა, ხომ არ დამტოვებენ?! კი მაგრამ, ჭიდაობას დავუწყებ?!

მატრაბაზობაში ჩამითვლიან, მერე რა დამცინავი ღიმილი აქვს ირას... არ უნდა შეამჩნიო ეს ღიმილი და გათავდა, ყველაფერი რიგზე იქნება, ყველაფერი შენზეა, თუ გინდა, გააკეთებ.

რამდენს ვფიქრობ, უსუსური ვარ მაინც, მშიშარა, წვრილმანი... ბოლოს და ბოლოს, თვითონ ნიკო და ირა ცხოველები კი არ არიან! არ ღირს ეს ამდენ თავისმტვრევად.

მოვიდა, მოდის მწვანე შუქი. დავუთმობ. ბიჭი ფიქრობს, ან არაფერზე არ ფიქრობს, ეძინება. დავუთმობ.

ნიკო კარს აღებს, ირა მოხერხებულად და სწრაფად ჯდება მანქანაში, ნიკო მელოდება, რომ კარები დაკეტოს და თვითონ წინ ჩაჯდეს. ბადურაში არაყი, ფუმფულა პური და სურნელოვანი ძეხვია. მე ვყოყმანობ, სულ ცოტა ხანი, მრცხვენია ნიკოსი, რომ ვაცდევინებ უაზროდ და ჯიუტად და ... ვჯდები.

— ჩვენი რიგიც მოახლოვდა, — კმაყოფილია ბიჭის დედ-მამა. ვხედავ მათს წინ გადმოდგმულ ნაბიჯს...

ნიკომ და ირამ საყელოები ჩამოწიეს, წელში გაიმართნენ, აელურტულდნენ.

— ხო, ხო, რამდენი ჭორი იცი, ნიკო, რა ამბავია, მიყვარს შენთან ლაპარაკი, — თვალები უციმციმებს ირას.

„ჩვენ — პლასტელინისგან გაკეთებულები“ — მაგონდება სადღაც ამოკითხული. მერე როგორ წერს მწერალი, აღარ მახსოვს. მაგრამ ვაგრძელებ — ჩვენ, პლასტელინისგან გაკეთებულები, რბილები ვართ, იმდენად რბილები, რომ ძვალი არ გაგვაჩნია, ხერხემალი... თუკი რაიმე ფორმა მივიღეთ, სულ ცოტა ხნით, დროებით, რადგან ოდნავი სითბო ან ხელის მოჭერაა საჭირო, რათა გავდნეთ და კვლავ უფორმონი გავხდეთ... ჩვენ, პლასტელინისგან გაკეთებულები...

თითქოს მამშვიდებს იმის აღმოჩენა, რომ პლასტელინისგან გაკეთებული ვარ. ეტყობა, როცა სახელს არქმევ საკუთარ უსუსურობას, რაღაცით ამსუბუქებ და ადვილად ასატანს ხდი მას. ეგეც არ იყოს, თვითონ ბიჭის დედ-მამასაც არ მოსვლია მე მგონი აზრად, რომ შეიძლებოდა ვინმეს დაეთმო.

...მართლაც, რამდენი ჭორი იცის ამ ნიკომ. არა, არა და, ძალაუნებურად მაინც გეცქვიტება კაცს ყური... თბილა ალბათ პრასკოვია ივანოვნას ბინაში. ძეხვი, პური ფუმფულა... კარგია, კარგი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

# აგარაკი

— გაუშვი ახლა ეგ საქმეზე, კაცო, რაები უქნია, გიჟი არ არის?! გიჟი, ნამდვილი ქარაფშუტა... კალია...

— აბა რისი იმედი გქონდა, რა გეგონა! გაფიცებ, რას მოელოდი...

— გინდა თუ არა, მე წავალ, მე მოვრწყავო და ნახე, რა უქნია?! ვაზი და მწვანილის კვალი მაგას არ ეხება, მიმდგარა და დაუღლბია წყალში ყვავილები. ყვავილები ჰგონია საქმე. ბაზარში ნაყიდი მწვანილი უნდა აჭამო, არ არის მეტის ღირსი...—სოფლის შუაგულში, ავტობუსის გაჩერებაზე რამდენიმე დედაკაცი ჩუმად შეჰყურებდა აბობოქრებულ ქალაქელს. ტუჩებდაწკურულებს შიგადაშიგ ქალის მბზინავი, ახალგარეცხილი ოქროსფერი ბოტებისკენ გაურბოდათ მზერა.

...ცოტა ხანში ტაქსმა ჩამოიარა და წაიყვანა სოფლის სტუმარი ცოლ-ქმარი.

— თამაშობენ რა...

— როგორც მაგათი გოგო თამაშობს, ეგენიც ინგრე თამაშობენ...

ახალგაზრდა დედაკაცი ჩუმადაა გატვრენილი — ბოტები ახსოვს, ოქროსფერი, მბზინავი...

— მაშ ჩვენაცა და ეგენიც ერთნი ვართ?! არხეინი ხალხია, რა... არხეინი წუთისოფელი აქვთ, — განაგრძობს ჩაშავებული ქალი.

— რათა ქალო, მაგას იქა თავისი საქმე აქ — ერთი კი ამოღერღა ახალგაზრდამ, მაგრამ ისე შეხედეს, მიწაში ჩააძვრინეს და ისიც გაჩუმდა: „ე ტვინი რო არ მემატება, ვერა და ვერ ვისწავლე — გაჩუმდი რა, ჩემო თავო, გამააბამენ ახლა იმოტოლა კუდებს..."

„ვეუბნებოდი იმ ჩემ დონდლოსა, ფურთხით გაკეთებულს — ეგ ქალი შენ არ გამაგადგება-მეთქი. დამიჯერა?! რა დამიჯერა რო... ე პრუწკია ჩვენ გვიზამს საქმეს, გვაჭმევს სირცხვილს, აგერ თქვენა და აგერ მე..." აფიქრიანდა ჩაშავებული ქალი, საქმისგან შეჭმული დედამთილი.

ტაქსში კი კაცი არა ცხრებოდა. ცოლი იჯდა, იჯდა ჩუმად და ბოლოს თქვა:

— კარგი რა, თუ ასე ჩაიმწარე ყველა შაბათი, რაღა ჭირად გინდა ეგ აგარაკი.

— ყველაფერი ფეხებზე გკიდიათ თქვენ. მე ვიკითხო, თორემ თქვენ... თქვენ რო გიყუროთ...

ამ დროს მამისგან „კალიად" და „ქარაფშუტად" მონათლული წუნა (ასე ეძახდა ყველა და თვითონაც გუნებაში თავის თავს ასე მოიხსენიებდა ხოლმე) გრილ სახლში ტახტზე იწვა. თვალები დაეხუჭა. თითქოს სოფლიდან წამოჰყვა ფოთლებზე დაპკურებული წყლის და ახალგადაბარული მიწის სიჯანსაღე და სურნელი, ბებერი ხეების გარინდება; იწვა და ფიქრობდა:

„ის ატმის ხე მაინც, ვარდისფერყვავილებიანი, ვიღაც ძალიან ნაცნობს მაგონებს, მაგრამ ვის, არ ვიცი. მამამ თქვა — ეს აწი ნაყოფს აღარ მოგვცემს, მოსაჭრელიაო... არადა, ვიღაცას მაგონებს, ვიღაც ძალიან ახლობელს... მამამ — ამ ძველ და უმაქნის ხეებს სუ გავკაფავ და ახალ-ახალ, კაი ჯიშისებს დავრგავ, კაი, გემრიელი ხილი რო გვქონდეს, არ გინდათო?! ხანდახან ისეცაა, ახლობლად მიგაჩნია ვიღაც — ყოველდღე ქუჩაში ხვდები, გრძნობ, დღეს როგორ ხასიათზეა, გუშინ როგორზე იყო, გახსოვს, სინამდვილეში კი სახელიც არ იცი მისი, ეგებ ასეთ ახლობელს ჰგავს, მაგრამ რომელს, რო არ მაგონდება: მამამ თქვა — ეს ატმის ხე მაინც, სულ ცუცა ერკემლიძეს ჰგავს. ჩემს ბავშვობაში, მახსოვს, ქუთაისში ტუტუცი, აცუნცრუკებული ბებერი იყო, აისხამდა სამკაულებს, ფერ-უმარილს წაის-

ვამდა და დადიოდა თავმომწონედო...

ცუცა ერქემლიძის წარმოდგენაზე ერთი ნახატი გაახსენდა წუნას, ცნობილი იმპრესიონისტისა. კარგად ახსოვს — 1975 წელს ნახა, პრაქტიკაზე რომ იყვნენ, მოსკოვში. პირველ კურსზე. ვინ იცის, ატმის ხე სწორედ იმ ნახატზე გამოსახულ ქალს მიამსგავსა... „საიდან სადაო, კაი ვინმე ვარ. ახლობელს-მეთქი რომ ავიჩემე. არადა გუშინდელ დღესავით მახსოვს — კარებში კინაღამ გამჭყლიტეს, მერე კარისკაცმა მუშტი მითავაზა პირდაპირ მკერდში და გამომაგდო, არ ვიცი, რა მოეჩვენა, ვატყუებდი თუ რა... გამოვბრუნდი შეურაცხყოფილი, არც თქვენი ასი ნახატი მინდა და არც არაფერი-მეთქი, მაგრამ ასევე შემობრუნებული, ზურგით შემიტანა ხალხის ჯგრომ კარებში. კიდევ კარგი, შემიტანა. ახლაც მახსოვს. მეტროპოლიტენის 100 ნახატი. აგერ მადონნა ვიწრო მხრებით, სევდიანად მზრუნველი. ნათელი, ნათელი. ანდა „საპნის ბუშტი" — დიდი კაცი ბავშვური სახით, არა ბრიყვულად ბავშვური, არამედ ბავშვურად სუფთა, დაფიქრებულგაღიმებული. ხელები კი ცოტა უცნაური, მოკლეთითებიანი, ინფანტილური. აგერ, თითქმის ჩემხელა ქალი ფანჯარასთან. მაგრამ ჩემსავით წუნა კი არა, ქალი. ფანჯარაში წყვილი ჩანს, ისე, სხვათაშორის... ქალი აქეთ იყურება, ზურგით დამდგარა ფანჯრისა და წყვილისკენ, მე მიყურებს, მე კი რაღაც მაშფოთებს, მთლიანად მიპყრობს მისი დარდი, ვერ ვისვენებ, ვაკვირდები — მზის სხივი ეცემა, სინათლეა. სხეული დატენილია ქალურობით, ლამაზი თმები აკრეფილია კეფაზე, სხივები ეცემა მზის, ქალია... და ვგრძნობ, სევდის მიზეზი სხეულშია, ლამაზ, მზით გამთბარ სხეულში და ფანჯარაში, ორად რომ გაუყვია სამყარო: მის აქეთ — სავალდებულო, წესიერი, მზრუნველი და მოსაბეზრებელი სახლი, მის იქით — გაუგებარი, თავისუფალი, შეუცნობი, გრილი და საოცნებო ქვეყანა...

რა ცოტაა ირგვლივ სიცილი — მშვიდი ღიმილი, სევდა და სინათლე, ნათელი შუბლები, ჭკვიანი თვალები, შეკავებული ვნებანი...

და აი, ისიც — ვარდისფერებში შემოსილი ხანშიშესული ქალი, ერთი შეხედვით სასაცილო, მაგრამ დააკვირდები სახეს და მიხვდები—არაფერია სასაცილო; ეს ის ადამიანია, რომელსაც ცხოვრების ბოლომდე შეუძლია მიიტანოს ვარდისფერი. ჩაის მიირთმევს, გარინდული ღიმილით, ბურუსშია, ვარდისფერია ბურუსი. მხატვარი კი, რომელსაც მახვილი თვალი აქვს და ალბათ ვერავინ დაასწრებს დაცინვას საჭირო წუთში, ახლა არ იცინის. არ დასცინის ბებერ ვარდისფერს. აი, ეს არის, ატმის ხემ რომ მომაგონა, ეს ქალია, არ ჰგავს განა?!

...გოგენი, ჩემი (მე და ბარათაშვილის არ იყოს)... მაგრამ მაინც ჩემი. შოკოლადისფერი ტაიტელები, ველური ყვავილებით და ველურად ჭკვიანი, ფხიზელი, ეჭვიანი თვალებით (მხოლოდ არა შმაგი ეჭვი, არც ავადმყოფური, რაღაცნაირი ჯანსაღი ეჭვი). ფიქრი, ფიქრი ირგვლივ, ყველა სურათში ფიქრი, სხვადასხვანაირი — ფიქრი გარდასულზე და ფიქრი ანგარებიანი, ფიქრი ღვთაებრივზე...

პატარა ბიჭი! ჰოო, რა ბიჭი — ვიკონტ... სახელი აღარ მახსოვს. პირდაპირ თვალებში გიყურებს. შენზე ძლიერია, შენზე კი არა, რამდენიმე თაობის სიძლიერე აქვს თვალებში, ხასიათი. თან კიდევ პატარა ბიჭია და ამიტომ მართალი, სუფთა. ძლიერი და სუფთა — დიდებული სანახავია.

აგერ, ქალი — მთელი ტანით, შავ კაბაში, სახე — პროფილში, წვეტიანი ცხვირი. ვითომ დახვეწილი ადამიანი, გაწკეპილი, მაგრამ ბუნება მისი იყიდება ფუნთუშა თათებით (თვითონ მაღალია და არისტოკრატულად გამხდარი) და წითელი ყურით. ღიმილი ირონიული აქვს, სადღაც თვალის უპეებში გამკრთალი, ყური კი წითელი.

დადის ზოგი და იწერს გვარებს, თარიღებს. სულ საათნახევარია დრო, მე-

რე ჩვენ გავალთ და მეორე ნაკადი შემოვა დამთვალიერებლების. როგორ შეიძლება დახარჯო ზედმეტი წუთი გვარის და თარილის ჩასაწერად? სულერთი არ არის, ვინ დახატა? თუმცა შეიძლება დაიმახსოვრო, იმიტომ რომ მერე მოძებნო — ოდესმე რომ გაგახსენდება და მოგინდება ნახვა.

ერთი სქელი ტიპი იყურება ჩარჩოდან· უცბად ვავლებ ჩემს თავს, რომ გავიპრანჭე, გავეპრანჭე. კარგად ვაკვირდები, რა ძლიერი ხასიათია, როგორი თვალები, შეიძლება დადგე და ელაპარაკო, უამბო დარდები. რა ფორმალობაა — ამ ცილინდროსანს, გვერდით რომ მიდგას, ქუდის მოხდა რომ ვერ მოუსაზრებია და შოკოლადით იტკბარუნებს პირს (ბარემ ამითაც ისიამოვნოს), ადამიანი ჰქვია, ჩარჩოში ჩასმულ ტიპს კი, მავანისა და მავანის ამა და ამ წელს შესრულებული ნახატი, საგანი, უსულო. ვემშვიდობები ზრდილობიანად (რა თქმა უნდა, გუნებაში) და მივდივარ სხვასთან, თან ვერ ვივიწყებ სხივიან და ოდნავ დამცინავ თვალებს. მგონი შემიყვარდა“.

წუნას ისე ჰქონდა შენახული გონებაში რამდენიმე წლის წინ ნანახი, თითქოს ახლა, ამ წუთში უყურებსო, იმგვარად შეეძლო ეთვალიერებინა დამახსოვრებული სურათები, უკან წასულიყო, თვალები მოეხუჭა, მერე ისევ წინ გადაედგა ნაბიჯი, გვერდიდან შეეხედა, მერე მეორე გვერდიდან, მერე აღელვებულიყო კიდეც, დრო არ გამომელიოს და არ დამრჩეს რაღაცები უნახავიო. დარჩებოდა თუ არა მარტო, გულდაგულ გადამალულ სადიდო წიგნს რომ ამოაძვრენენ ხოლმე საიდანღაც პატარა ბიჭები და კითხულობენ სულმოუთქმელად, არავინ მოგვისწროსო, ისე ემართებოდა წუნასაც. დახუჭავდა თვალებს და ხან რომელი სურათის პირისპირ აღმოჩნდებოდა, ხან რომელის და თან ღელავდა, დედამ და მამამ არ გამიგოსო. ოღონდ აქ პირიქით იყო, დიდობას კი არ ედავებოდნენ, არა — სადამდე შეიძლება ადამიანს ბავშვობა გაუგრძელდესო, ამას უკვე ბავშვობის გაგრძელებაც აღარ ჰქვია, ყველაფერს თავისი სახელი აქვს, გენაცვალეო. რა იციან, ეს ოხერი, ეგებ რაზე ფიქრობს...

კაცმა რომ თქვას, ძალიან კი არ ხვდებოდა გულზე წუნას ეს უკმაყოფილო ბურტყუნი, მაგრამ რაღაცნაირად გული შეუქანდებოდა მაინც, ასე ეგონა, მართლა შეიძლება ვიღაცამ ხელი შეახოს ფიქრს და დაუშავოს რამეო.

ახლაც ზანტად წამოდგა — „მოვლენ ალბათ მალეო“ — ტელევიზორი ჩართო, სინათლე აანთო, ფანჯარაც გამოაღო — მანქანების ხმა შემოვარდა. „მოვლენ მალე“ — რამდენჯერმე გაიმეორა გუნებაში. თითქოს უნდოდა გაეგდო, მოეგერიებინა, სადღაც მიემალა, შეენახა საყვარელი ფიქრი და მოსულებს პირნათლად დახვედროდა.

მანქანა სადარბაზოს უახლოვდებოდა. „ყველა დასვენების დღე ასე უნდა ჩამმწარდეს. მძიმე კაცი იყო ყოველთვის და აწი რაღა, უარესი გახდება ალბათო“ — დარდობდა წუნას დედა. მამა თვლემდა.

სოფლის შუაგულში დარჩენილი დედაკაცები ისვენებდნენ, გულიანად იცინოდნენ — ვიღაცა რაღაცას ჰყვებოდა — ნიკაროგოა, ნიკაროგოაო. მხოლოდ რძალ-დედამთილს არ უხსნიდა დანა კბილს. რა ენიკავებოდათ.

„ღმერთო, რა ადვილია თითქო — მე ამაი არ ვუშლიდე და ეს მე, ვიყოთ ტკბილადა. რა უნდა, სუ ცოტა მოთმინება, სუ ცოტა გაგება. მაგრამ რა ძნელია... რაღაცა ჭია ჭამს ადამიანს შიგნიდან, ნელ-ნელა, მოსვენებაი არ აძლევ, ჭამს და, ვართ ასე. განა ეს კი არ არი ცოდო?“ — გახედა ხმაგაკმენდილ დედამთილს — „ცოდოა, მაგრამ რა ვქნა; მე რა შამიძლიან. ასეთები გაგიჩენივართ, როგორც ჩანს... ის ჩემი ბედოვლათი მაინც იყოს ისეთი, ხანდახან გამიხარებდეს გულსა. ეეჰ, აფსუს...“ — რაღაც გაურკვეველი გაიფიქრა ბოლოს ახალგაზრდა ქალმა, წამოდგა, კაბა ჩამოიბერტყა და პაპანაქება მზისკენ მიმავალ ბილიკს დაადგა უხალისოდ, მიდიოდა და თვითონაც ვერ ხვდებოდა ისე, მზზინავ ბოტებზე ფიქრი მიჰყვებოდა.

ჯაბა ასათიანი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# წიგნიდან: «დაეკიდება აივანს ქარი»

## რა კარგი ჰქენი, რომ მოხვედი

გადამეკარგა
მტერიც, მოკეთეც,
თითქოს ტყვია მესროლოს მათთვის.

ხანდახან ვაღებ
კარსა და სარკმელს,
ეშმაკიც კი გაურბის ამ სახლს.

შუაღამისას,
მთვარის მკრთალ შუქზე
თოვლში ვჭრიდი მე შენთვის
ბილიკს.

დაჯექ ბუხართან,
ჩაის მოგიტან,
გაგთოშია სულმთლად ხელები.

როცა მოგბეზრდეს,
მაშინვე წადი,
ეშმაკიც კი გაურბის ამ სახლს.

## შემოდგომა

მე მოგიტანეთ მთვლემარე სხივი,
თქვენ რომ ვერა და ვერ გამოსტაცეთ
მიმწუხრის ღრუბლებს,
კვლავ დარჩით ჩრდილში,
მშვიდი ცხოვრების
ნავლისფერ ჩრდილში არჩიეთ ძილი.

მწვანე ფიჭვნარში გარბოდა ცხენი,
ადევნებოდა გაბაწრულ ღრუბლებს
და ცხენის ფლოქვთა მძიმე თქარუნი
აფრთხობდა ტყეში დაძენძილ
ჩრდილებს.

თქვენ კვლავ გეძინათ,
საბნად გეხურათ ქათიბი სიზმრის.

მე მოგიტანეთ მთვლემარე სხივი.

შემოდგომა კი კვდებოდა იმ დღეს
და სახე ჰქონდა ცრემლებით სველი.

## ჩიტი

ვერვის მიჰყიდა ცრემლის გალები,
ფუჭად იარა ნაცნობ ქალაქში,
ტკივილი ყველას ჰქონდა თავისი...
ვის რად უნდოდა სხვისი ცრემლები,
თუნდაც უბიწო, თუნდაც კრიალა.

ჩამოჯდა კაცი ხიდის ბოლოში
(ჭორფლებად აჩნდა მღვრიე
მდინარეს
გულზე დაყრილი მწვანე ფოთლები).

მზით გაფიცხებულ, მთრთოლვარე
მხარზე
ჩამოისვენა ლაბუა ჩიტმა,
დაკეცა ფრთები და გაიტრუნა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ნიკოლოზ კაპანაძეს

ცარიელია როცა დარბაზი
და ყველა სკამი თავისუფალი,
სცენაზე ადის ჭაღარა კაცი,
მშვიდად მიუჩენს თავ-თავის ადგილს
ტახტსა და ბაგირს,
თოფსა და ხანჯალს,
რკინის გალიას
და მერე მთელი საღამო ისმის
სროლა, სიმღერა,
კივილი, ტაში,
ღვრება სისხლი...

ბოლოს კი, გვიან,
სცენაზე ჩნდება ლურჯი ტრამვაი
და ნაღვლიანი ოსტატი სცენის
სახლისკენ მიჰყავს.

## კედელზე დარჩა

ქარი აწყდება მორყეულ ლატანს
და წყალი ლოკავს ჩაქცეულ ნაპირს.

ო, როგორ ცივა!

კედელზე დარჩა მთრთოლვარე
ლანდი
და შენი კაბის ყვავილთ შრიალი.

მას შემდეგ ვზივარ
შენს მთრთოლავ ლანდქვეშ,
ვით მოგიზგიზე კოცონის პირას —
კედელს გართხმული უთავო ჩრდილი
და უგზო კაცი.

ქარი აწყდება მორყეულ ლატანს,
მთვარე კი მალე წყალგაღმა გავა.

## იჩქარე!

მოგონება შეგრჩება მხოლოდ
უსიხარულოდ ჩავლილ დღეების,
დაეკიდება აივანს ქარი.

მაშ, შენც იჩქარე!
ქვაფენილზე დაყრილი სხივი
საფითაოდ აასხი ტოტზე
და იმ ქალიშვილს,
მოწყენილი რომ მიაბიჯებს,
უხმოდ მიართვი...

მოგონება შეგრჩება მხოლოდ.

## ირინას

ისევ ჩურჩულებს
შენ სახელს წვიმა
და აივნების სტუმარი — ქარი.
გალაღებულა კედელზე სურო,
ჩემს კედელს ისევ გაუჩნდა ბზარი.
ქაღალდზე დარჩა
ყველა სიმაღლე,
ყველა ჩუქურთმა და საფიცარი,
ხელისგულზე კი სიცოცხლის ხაზი
ისევ მიიწევს, როგორც ისარი.

## სხვისი ღიმილი, ცრემლებიც სხვისი

სხვისი ღიმილი,
ცრემლებიც სხვისი,
გამოთხოვნილი სიტყვების დასტა,
რამდენჯერ ითქვა,
ამ წმინდა ცაშიც
შენი გგონია სხვისი აჩრდილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაწყვეტილია კვალი და ძაფი,
აღარც თავი ჩანს
და აღარც ბოლო
და ყოყლოჩინა შენი სიტყვები
ჰკიდია ტირში ციყვების გვერდით.

ვით შეხსენება ჩავლილ ცხოვრების,
საწოლქვეშ,
მტვერში ყრია ნიღბები...
სხვისი ღიმილი,
ცრემლებიც სხვისი.

## შენი მდინარე

ვაჟა მებაღიშვილს

ყველა წავიდა,
სარკმელთან დგახარ,
შუშას ჩამოსდის
წვიმის ღვარები
და გეჩვენება,
მოადგა სარკმელს
შენი ბავშვობის ლაღი მდინარე
და შენც,
ხის ჩრდილში მჯდარი ყმაწვილი
წყალში ყრი რიყის გაკროლილ
კენჭებს.

რა დააბრუნებს გასროლილ ტყვიას?!

ყველა წავიდა,
ისევ მარტო ხართ,
შენ და
საწოლქვეშ მთვლემარე ლეკვი.

## სარკე

უკანასკნელად თვალს იხატავდა
ის ამ ოთახში,
მაღალ სარკესთან,
უეცრად ცრემლით აევსო თვალი,
ფერმკრთალი ღაწვი ჩამოეღარა.
ხელჩანთას დასწვდა,
გაიჯახუნა ოთახის კარი:
„მე აღარ მოვალ, არ გირჩევ ძებნას“

დაბრუნდა კაცი,
ძლივს ჩაიკითხა ორიოდ სიტყვა,
დაეშვა სკამზე,
და როცა თავი ასწია მაღლა,
ის ქალი ისევ სარკეში იდგა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვაჟა ჩორდელი

## მოთხრობები

# სიკვდილი ასტიონს ეძებს

„ნეტარ იყვნეთ თქვენ, რაჟამს გყვედრიდენ და გდევნიდენ და თქვან ყოველი სიტყვა ბოროტი თქვენდა მიმართ სიცრუით ჩემთვის: გიხაროდენ და მხიარული იყვენით, რამეთუ სასყიდელი თქვენი დიდი არს ცათა შინა“.

„და კვალად მომავალ-არს დიდებით განსჯად ცხოველთა და მკვდართა, რომლისა სუფევისა არა არს დასასრული“.

ზევიდან რომ დაგეხედათ, სოფელი თავკომბალას მოგაგონებდათ; მრგვალი, დაცემული ვაკე მჭიდროდ იყო დასახლებული, იქით და იქით კი ვიწროვდებოდა და მომიჯნეებიც ჯგუფად კი არა, სიგრძივ-სიგრძივ იყვნენ განლაგებულნი. მარჯვენა მხარეს საკმაოდ მაღალი, კლდე-ღორღიანი, წვრილ-წვრილ ბუჩქნარიანი, ჯუჯა რცხილნარ-მუხნარიანი მთის მაგვარი ქედი თავიდან ბოლომდე საგულდაგულოდ აშენებულ ყორესავით გასდევდა სოფელს. ქედი ბოლოში უფრო მაღლდებოდა, ჟამისგან ჩაკბეჩილ-ამოკბეჩილი ღორღი და ბუჩქი კლებულობდა და მის ნაცვლად უზარმაზარი, უხსოვარი დროიდან მოყოლებული, ნაცრისფერი ქვის ლოდები ეყარა სიგრძე-სიგანით.

სოფლის ბოლო მოსახლე და ბინადარი ასტიონის დედა გახლდათ. პატარა, ფარღალალა ნაგებობა და ეზო ღობით იყო შემოკავებული. ღობისა და ორიოდე მეტრის სიგრძის ყეროს შესაყართან ჭიშკარი იყო ჩადგმული, რომელზეც გაცვეთილი ნალი და სამგან გახვრეტილი პენზის ქვა ეკიდა.

თვით ასტიონი ქალაქში იყო წასული. მდგმურად შეკედლებული ბიჭი რომელიღაც სასწავლებელში სწავლობდა. ათასში ერთხელ თუ მოინახულებდა დედას, იქაურობას და მერე ისევ უკანვე გარბოდა...

...ასტიონს დედა გარდაეცვალა. ბიჭი რამდენიმე დღით ჩამოვიდა, წესისა და ადათის მიხედვით დაიტირა მშობელი, მამის გვერდით დაასაფლავა და ისევ ქალაქს დაუბრუნდა.

წასვლისას მეზობლობაში ორიოდე სიტყვა დააგდო:

— ეს კაკლის ხეები, ვაშლი და მსხა-

ლი თქვენ მოიხმარეთ, ყანა დახანით და დათესეთ, მიწას ნუ მოაცდენთ, ღობეს ხელი შეავლეთ, ხანდახან სახურავიც შეაქციეთ, აქაურობას მთლად ნუ ჩამოალპობთ, ოდესმე ეგებ დამჭირდესო...

მის მერე ასტიონი სოფელში არავის უნახავს...

ზუსტად ვერ გეტყვით, რვა წელი გავიდა თუ ათი, რაც ასტიონი არ გამოჩენილა, რომ ზაფხულის ერთ საღამოს, სოფელში უსაშველო მითქმა-მოთქმა შეიქნა: ასტიონი გაგიჟებულაო, ქალაქიდან ფეხით ჩამოსულაო, წვერი მოუშვიაო, გამოგლეჯილ-გამოფხრეწილი შარვალ-ხალათი აცვია, ჩამურულ-ჩამოგოჯიჯებული თავ-პირი აქვსო, ერთ ადგილზე ვერ ჩერდება, ცმუკავს და ხტუნავს, თან რაღაც-რაღაცებს ხმამაღლა გაჰყვირისო...

...ასტიონი სახლში ჩაიკეტა და გარეთ, თვალის საწიერზე, არ გამოჩენილა...

.სოფლის გრძელი ენა ფეხად დადიოდა კარიკარ და გიჟების შესახებ ათას რამეს ჰყვებოდა...

— რამ გააგიჟა ასტიონიო? — ამ კითხვის ამოხსნამ სოფელს კინაღამ ტვინი გაუჭყლიტა, სანამ სისუას ბიჭი გრამიტო არ ჩამოვიდა ქალაქიდან და ამბავი არ ჩამოიტანა.

შემოეგროვნენ სოფლელები მოამბეს... გრამიტო სახლის პატრონის ნათქვამს სიტყვა-სიტყვით იმეორებდა: ბოლო დღეებში იძახდა, ცუდად ვარო, ამდენი წვალება მგონი წყალში მეყრებაო, ლამის გული გამისკდესო; მერე და მერე თავზე იკიდებდა ხელს და სიცილით მეუბნებოდაო, ამ თავში დიდი ქია მაქვს ჩაბუდებული, ამოღება მინდა, მარა კოდალა ჩიტი არც ექიმებსა ჰყავთ და არც ზოოპარკს ეშოვებაო, თორემ ჩამოვისვამდი ამ კეხიან ცხვირზე, მიადგებოდა შუბლს თავისი მაგარი ნისკარტით, ჩამიხვრეტდა, იმ ქიას ამოიღებდა და გამანთავისუფლებდაო; მერე ვკითხე, ეგ ყველაფერი ყველაფერი, მარა, რანაირად გაგიჟდა, ის მაინტერესებს-თქვა. ძაან რომ ჩავაჯინდი, ასე გააგრძელა საუბარი: ჰო, მართლაო, ერთი გოგო დადიოდა ხშირად ასტიონთანო, ბოლო დღეებში ორჯერ-სამჯერ [illegible] იმ დღესაც მოვიდა, კარი ჩაიკეტეს და გარეთ არ გამოუხედიათო; მთელი საღამო ვთვალთვალობდიო, შარდზეც კი არ გავსულვარო, მერე ყვირილი და ყვირილი, ბღავილი და ღრიალი შემომესმა, ფანჯარას თავი მივანებე, ეზოში გავვარდი და, დედა, ეს რა ნახა ჩემმა თვალებმაო, ასტიონის ოთახიდან სულ შიშველი, დედიშობილა გოგო გამოვარდა, ხელში რაღაც-რაღაცები ეჭირა და ისე გავარდა ქუჩაშიო; ასტიონი კი ისევ ყვიროდა და ღრიალებდაო, იქაურობას აქცევდა და ამტვრევდაო, მერე მეზობელი ბიჭები შეცვივდნენ და თოკითა და ქამრებით გაკოჭესო...

●

ალბათ სამიოდე კვირა იქნებოდა ჩამოღეული ასტიონის დაბრუნებიდან, რომ კალისტინე სოფლის შარაზე მეზობლებს ასეთ ამბავს უყვებოდა:

— ერთი ორჯერ მივედი, დავუძახე, არ გამომხედა. კალისტინე ვარ-მეთქი, ვუთხარი, საჭმელი მოგიტანე, აჰა, აიღე, ჭამე, შიმშილით არ მოკვდე, რას იტყვის ქვეყანა-მეთქი, შევძახოდი და შევძახოდი, თან კი მეშინოდა, ამ ჩაპუტკუნებულ ქვრივს არ გამომივარდეს, არ დამტაცოს ხელი და არაფერი მომწიოსო, მარა, ნურას უკაცრავად, ყურიც არ მათხოვა, რომ იტყვიან, ძაღლადაც კი არ ჩამაგდო. რადგან ხმას არა მცემდა, ცოტა გავთამამდი, კიბემდე მივედი, კიდევ ერთხელ დავუძახე. არ მიპასუხა, იმაზეც კი დავეჭვდი, ალბათ სახლში არც არის-თქვა, მარა მაინც შიშით ავედი კიბეზე, სვეტთან დავდგი კალათა და კიბეს უკან ჩამოვუყევი. ორჯერ-სამჯერ თვალი ვიბრუნე, ხომ არ მომდევს-მეთქი, მარა არც გამომკიდებია და არც ხმა გამიგია მისი. ის-ის იყო, ჭიშკართან უნდა მივ-

სულიყავი, რომ კარის ჯახუნი და ყვირილი შემომესმა: აჰა, შენ მოგძებნეს და გამოგგზავნეს ურჯულოებმა, ხომ? ეს ალბათ მათი ოქროს კალათია, საწამლავს რომ ინახავენ! ვნახოთ, ვნახოთ! — თქვა ბეჩა და კალათა ამოალაგა. ისეთი რა იქნებოდა, ახლა, იქ, ერთი წველა ყველი, პამიდორი, კიტრი, ერთი თეფში ნიგვზიანი ლობიო, მწვანილი, მოხარშული ლორის ნაჭერი და პური. გახევებული ვიდექი და არ ვიცოდი, რა მექნა. თან ცალი თვალი ჭიშკრისკენ მეჭირა. ვერ მომწამლავთ, ვერ მომკლავთ, — იყვირა ისევ, — თქვე ვაგინდარებო, მე ქვეყანას ვჭირდები, ვერ გამსრესთ, სანამ სული მიდგას, თქვენ ნიჭიერთ შხამავთ, არ ინდობთ, თქვე უნიჭოებო, მათხოვრებო. იქ არ მომეშვით და ახლა აქ დამიწყეთ ძებნა, ხომ? ჩემი შუშა მეტყვის სიმართლეს, ჩემი!— თქვა ყვირილით, მერე ამოიღო ჯიბიდან რაღაც, თვალზე მიიდო და დარაბაზე დაწყობილ სანოვაგეს დაუწყო ცქერა. მერე კი წამოავლო ხელი კალათას და მესროლა; იმას პამიდვრები, კიტრები, ყველი და თეფში მოაყოლა, მწვანილი მიბრდღვნა-მობრდღვნა, პური დაფშვნა და ეზოში გადმოყარა, მერე ხელები შემართა მაღლა და იყვირა: ოო, კახ! ოო, კახ! ოოოო, ოოო! — შიშისგან ისე აცახცახდი, მუხლი მომეკვეთა და ძლივძლივობით გამოვედი ჭიშკრიდან. დედა ბეჩა, დედა ბეჩა, გასაკვირლად მიკვირს, საიდან მოიგონა შხამი და საწამლავი, მართლა გიჟია ეგ უბედური,—ისე ჰყვებოდა კალისტინე, რომ შიში და გაკვირვება ახლაც კი ერთიორად ემატებოდა.

გაფაციცებით, ყურებდაჭიმული და წარბებაპრეხილი უსმენდნენ კალისტინეს მეზობლები, შორიდან რომ შეგეხედათ, ნამდვილად იტყოდით, რა მოუვიდა ამ ხალხს, რამ შეაშინა ასე, სახეები რომ დაპატარავებიათო.

— ეგ, გენაცვალე, აწი ხალხს დაუწყებს რჩოლას. — თქვა ვილაცამ.

— რჩოლასა და რქენას არა, ის; საქონელი კი არ არის, კაცია ჩვეულებრივი, რავა, გიჟი არ გინახავთ?— ასტიონის დაცვა მოინდომა კალისტინემ.

— გიჟი შენ ნახე და შენ თქვი, კიტრები მესროლაო, თეფშიო, ყველიო და რა ვიცი, ჯანდაბაო, თორემ მე სოფელიც არ მინახავს არც სხვა გიჟი და არც ასტიონი. — კამათში ჩაერია დარიკო.

— ისე, სოფელს ერთი გიჟი ყოველთვის უნდა ჰყავდეს. ხანდახან გიჟისგან უფრო მეტს გაიგებ ჭკუის სასწავლებელს, ვიდრე ჭკვიანად ჩონათლული კაცისგან. ოთხმოცისა გავხდი, არც ისე ცოტა მინახავს და გამიგონია, მარა ასტიონი ცოდვაა ნამდვილად, არ უნდა მოსვლოდა ეგ. ეტყობა, განგებას რაღაც შეეშალა. — ჩაიჩიფჩიფა ბოლო სიტყვები პაპუნამ.

— ისე, თუ მართლა ხალხს დაუწყო რაიმე, — წამოიწყო დარიკომ, — რაიონს უნდა შევატყობინოთ, დაიჭერენ და წაიყვანენ, ხომ არის სადღაც მაგნაირების ადგილი, აბა, ქვეყანა ისე ხომ არ იქნება, რომ გიჟებს თავშესაყარი არ ჰქონდეს? როგორ შეიძლება მაგნაირების ქუჩა-ქუჩა სიარული, საშიშია ძალიან!

— რა სჭირს ახლა ასტიონს საშიში. სახლიდან არ გამოდის, პურს არ თხოულობს და არაფერი, თავისთვის არის ეგ საცოდავი ჩაკეტილი, — ახლა მირზამ ამოიღო ენაძვირი.

— მარტო პურის თხოვაზე ხომ არ არის საქმე, ერთ მშვენიერ საღამოს რომ გამოვიდეს და სოფელი ცეცხლს მისცეს, რას შვრებით მერე? გიჟს ჭკუა მოეთხოვება თუ რა! — ის პირველთაგანი არ იშლიდა თავისას.

— ორიოდე სიტყვა ვთქვი მე და თქვენ რომ ამდენს ლაპარაკობთ, არ გეკადრებათ ნამდვილად, — ხმა ამოიღო კალისტინემ, —ეგებ ისიც არ იყო, რაც მოგიყევით, ეგებ მომეჩვენა, რავა, თქვენ არაფერი მოგჩვენებიათ? ვაცალოთ ჯერ, თუ რამე დააშავა, ჰო, შევატყობინოთ რაიონს. თუ არა და, თქვენი არ ვიცი და, მე ყოველდღე შევაწოდებ ერთ პურს. ღმერთი მაღალია, ყველაფერს

ხედავს. არ ეკადრება ამხელა სოფელს ავი სიტყვის თქმა, აბა!

— სწორი ხარ, კალისტინე, სწორი. ღმერთმა გიშველა! — ისევ ჩაიჩიფჩიფა პაპუნამ და ყალიონი გააბოლა.

●

გამთენიისას სოფელს ნიავმა გადაუარა, იწი-ოწოდ გაბნეული, თხელი, სიფრიფანა ღრუბლის ნაკუწები ერთმანეთს მიაკერ-მოაკერა, დააწყო, დაალაგა და მერე მთების იქით გადაიკარგა...

ასტიონი გათენებას აჰყვა. რა ეჩქარებოდა, თვითონაც არ იცოდა, მაგრამ იმ დილით ლოგინში რატომღაც ვერ მოისვენა.

მზე ნელინელ ამოიწვერა, პირდაუბანელი სხივები ფთილა ღრუბლებში გაიხლართა და მიწამდე უძალოდ ჩამოიღვენთა.

ასტიონი აივანზე მიმოდიოდა, გაბაწრულ შუშის ნატეხში იყურებოდა და რაღაცას ბურტყუნებდა. მერე ძაფით გაკოჭილი ასანთის კოლოფი მიიდო ყურზე. თითქოს რაღაცას უსმენსო, ყურებდაქაჩული ერთ ადგილზე იყო გახევებული. მერე ისევ შუშის ნატეხში გაიხედა, დაჟინებით უყურა რაღაცას, მერე ასანთის კოლოფს უსმინა და უსმინა...

— ოო, კახ! ოო, კახ! — ამოიგმინა ასტიონმა და მარჯვენა ხელი მაღლა შემართა.

უცბად ძაღლის წკავწკავი, სლუკუნის მაგვარი მინავლული ხმა შემოესმა. მიაყურადა. ხმა ჭიშკრის მხრიდან მოდიოდა. იქით მიაბრუნა თავი და მხარჩამოგდებულ ჭიშკარს დაჟინებით უყურა და უყურა.

ასტიონი უცბად მოსწყდა ადგილს, კიბეზე ჩაიჯლიგინა, ჭიშკრისკენ ათიოდ ფართო ნაბიჯი გადადგა და რაღაცით შემკრთალი, შუა ეზოში გახევდა. იდგა საკმაო ხანს და უყურებდა ჭიშკარს. მერე ჯიბიდან შუშა ამოიღო და შუშით უყურა ცასა და დედამიწას. შეიარაღებულმა თვალმაც იგივე დაანახა: ტალახსა და ლალაში ამოთხვრილ ძაღლს ღრიჭოდ დარჩენილ ჭიშკარში ნახევრამდე შემოეყო თავი, მიწოლილიყო და სლუკუნ-სლუკუნით სულს ღმობდიოდა.

— ეჰ, რა უნდა ახლა ამ ძაღლს, რამ მოიყვანა ჩემამდე, იქით მთელი სოფელია, ვინმეს ვერ შეეკედლა? თუმცა, მოგზავნილი იქნება, მე ხომ ვიცი, არა? ვერ გავიგე, კაცო, რას მერჩის ეს ხალხი, რას ვაკეთებ ახლა იმნაირს, რომ მდარაჯობენ? ეშმაკმა დალახვროს ეს ყველაფერი! — დააყოლა ბოლოს ასტიონმა და ორიოდ ნაბიჯი კიდევ წადგა წინ.

— ადექი, ძაღლო, და შენივე ფეხით გადადი ამ ეზოდან, სანამ ლამაზი ხარ. თუმცა მოგზავნილი ლამაზი არ მინახავს, არც გამიგონია. ახლა მე მეორე სოფელში რომ გამაგზავნონ, ლამაზი ვიქნები? მეტი არაა ჩემი მტერი და თუ ამას მე ვამბობ, ესე იგი, სწორია. ანდა როდის მითქვამს ტყუილი, ასტიონი და ტყუილი? მაგრამ ეს არ შველის საქმეს, უნდა გავარკვიოთ, რა უნდა ამ მართლა ძაღლს ჩემს ჭიშკარში, ვინ მოიყვანა, ვინ მოასწავლა ჩემი ეზო-კარი, რატომ? რისთვის? დიახ, ეს უნდა გავარკვიოთ, ეს უნდა გავიგოთ, ოო, კახ! ოო, კახ! — თანდათან აუწია ხმას ასტიონმა.

ძაღლი ასტიონის ხმააწეულ „ოო, კახ“-ზე ოდნავაც არ განძრეულა, იწვა და აღსასრულს ებრძოდა.

— ალბათ, ღრმა ძილშია. ეტყობა, დილის ძილი და სიზმარი ყველაფერს ურჩევნია. მე შენ გიჩვენებ სეირს! — დაიბუხუნა ასტიონმა, ძირს დაიხარა, ქვაბელტი წამოკრიფა და ძაღლს სროლა დაუწყო.

მოზრდილი ბელტი პირდაპირ ზურგზე გადაეფშვნა, მაგრამ ძაღლი არც განძრეულა.

— მკვდარი თუ არის, როგორ სლუკუნებს? — გაუკვირდა ასტიონს, ჯიქურ წაიწია ძაღლისკენ, თავზე დაადგა, ფეხით გადააბრუნ-გადმოაბრუნა, დაათვა-

ლიერა და ღმერთო, შეიწყალეო, დაა-ყოლა ბოლოს.

ძაღლი სლუკუნებდა და სლუკუნებდა...

— ეტყობა, სადღაციდან მოხვდა ამ სოფელში, კარი არავინ გაუღო, არავინ შეიფარა, არავინ უმასპინძლა უტყვ სტუმარს. ის კი არა და, ძაღლებიც დაუქსევიათ სეირის საყურებლად, ნახე, ნახე, გამოგლეჯილი აქვს ყველაფერი. ტალახსა და ლაფშიც გულიანად უთრევიათ. ეჰ, რა არის ეს უკუღმართი სოფელი, უჯიგრო ხალხი, არავის რომ არავინ არ უნდა. დიახ, დიახ! თუ ეს ასე არაა, ერთი ძაღლის შეკედლება რა დიდი საქმე იყო, ეჭმიათ, ესმიათ, სად იყო თუ სად არა, პატრონიც გამოუჩნდებოდა, ან თავის გზას თვითონვე მოძებნიდა, მაგრამ ამნაირ სოფელს თავიდან ბოლომდე ცეცხლი უნდა წაუკიდო და წყალი დაუშრო. ოო, კახ! ოოოო! — შეჰყვიროდა ძაღლსა და სოფელს ასტიონი.

ძაღლი კანკალებდა...

ასტიონმა ხელში აიყვანა სულმიხდილი, დაჯიჯგნილი მყეფარი და შეშის საჩეხისკენ ჩქარი ნაბიჯით გასწია. ძაღლი საჩეხთან დასვა, მერე ჯვალოს დაბლეკვილი ნაჭერი მოძებნა სადღაც, მიარბენინა, იქვე კუთხეში დააგო და ძაღლი ზედ დააწვინა. მერე აქეთ-იქიდან შეშისა და დაშლილი ყუთის ფიცრები შემოუყორა.

— საჭმელი უნდა ახლა ამას, ამ გაჭირვებულს! ვაშლსა და მსხალს არ შეჭამს, ჰოდა, სხვა მე რა მაბადია, რა ვიცი, რა ეშმაკი ვუყო ახლა ამას, აა? — ლაპარაკობდა თავისთვის ასტიონი.

ძაღლი მძიმედ სუნთქავდა.

— სიკვდილმა ჩემს ჭიშკრამდე მოგაცილა, ხომ? ვაი, რა ვუთხრა ამ სოფელს. ხალხის სამსახურში ამოსვლია სული შენს მამა-პაპას და ხომ ხედავ, რა პატივი დაგდეს! ეტყობა, კარგად ვერ აწონ-დაწონე, ვერ მიხვდი, რომ სოფელი ცხელსისხლიანი ზემავალი ქვეწარმავლებით არის დასახლებული. არ იცოდი, ვერ გაიგე, ვერ განსაჯე, ვერ გათვალე და მიტომაც დაგემართა ეგ! რომელ სოფელშიც შეხვალ, თუ შენნაირი ქუდი იქით ვერ დაახურე, აქეთ [illegible] პატარა უნდა შეარჩიო და ისე, ქუდმაცილობელივით დაიფარო, და რატომ, ვერ მიხვდი? თუმცა შენ რას მიხვდები, სული ძლივს გიდგას, ისევ მე გეტყვი: იმიტომაა საჭირო ეს ყველაფერი, რომ, რა იცი, როდის გაგიფართოვდება თავის ქალა, როდის მოგინდება ის, რაც შენ გინდა! სხვანაირად ამ სოფელში ვერ იცხოვრებ, გაგსრესენ, გაგთელენ, ფეხქვეშ ამოგიდებენ! და აი ფაქტიც: გასრესილი, გათელილი და ფეხქვეშამოდებულის მეტი რა გქვია ახლა შენ? სხვანაირად როგორ დამისურათებ შენს ყოფას?! ოო, კახ! ოოოო! — დააყვირა ძაღლს ასტიონმა.

— საჭმელი გინდა შენ, მოგიხერხებ, გიშოვნი. ჩემთვის არ მითხოვია, მაგრამ შენთვის ვითხოვ. მე ხილეულით ვიკვებები, შენ კი პირიქით — ხორცეული გირჩევნია, ხომ ასეა, ბატონო ძაღლო? გემუდარებით, თავს ნუ შეიკავებთ, პირდაპირ დამთანხმდით, ყველაფრის მცოდნე ვარ, ქვესკნელში რამდენი მძრომელი ბრძანდება, თითებზე მაქვს დათვლილი, აბა, როგორ გგონია! თუმცა რა შუაშია ახლა სხვა რამეზე საუბარი, რაკილა ჩემი სახლი შენი მასპინძელია, ქვა რომ გავხეთქო, მაინც უნდა დაგხვდე კაცურად, სხვანაირად არც შემიძლია და არც მეკადრება, ბატონო სტუმარო! — რიხიანად დააყოლა ბოლო სიტყვები ასტიონმა, მერე მიბრუნდა და ჭიშკრისკენ გაემართა, რაჯგარუჯგით გამოაღო კარი, შარაზე გავიდა და კალისტინეს სახლისკენ აიღო გეზი.

კალისტინეს ჭიშკართან კარგა ხანს იწრიალა, იტრიალა, იწვალა, მაგრამ ბოლოს მაინც გაბედა და დაუძახა:

— კალისტინე! კალისტინე!

— ასტიონი გეძახის. — უთხრა ფანჯარასთან ჩამოყუდებულმა თორმეტიოდე წლის ბიჭმა დედას.

— ასტიონი? რა უნდა, ბეჩა, მის დღეში არ დაუძახია და...

— წავალ და ვკითხავ. — თქვა ბიჭმა და ფანჯარას მოსცილდა.

— აჰ, არა შვილო, შენ არა, მე თვითონ გავალ, მე გავეპასუხები, შენ ბავშვი ხარ, არაფერი მოგწიოს.

— მომწიოს არა, ისა, რა უნდა მიყოს.

— მაშინდელი შეშინებული ვარ, ფრთხილად იყავი, ცოტა შორს დაუდექი, ისე, რომ გამოქცევა მოასწრო, გაიგე?

— გამოქცევა არა, ისა...

ბიჭმა კიბე ჩაირბინა და, ყოველ შემთხვევაში, ჭიშკართან ოთხიოდ მეტრზე გაჩერდა.

— რა იყო, ასტიონ, რა დაგჭირვებია?

— მე კალისტინე მინდა, სახლშია?

— კი.

— შენ არ მჭირდები, იმას დაუძახე.

ბიჭი შებრუნდა და, დედაო, დაუყვირა.

კალისტინე ფანჯრიდან ყველაფერს ხედავდა, მაგრამ ბიჭის დაძახებაზე ვავიდა აივანზე, შუბლი თავსაფრით მაგრად გაიკრა და იქიდან გამოსძახა ასტიონს:

— ამო, შე კაცო, რავა შორებელივით იქცევი, ამოდი, ამო...

— აქეთ ჩამოდი, საქმე მაქვს. — შეაწყვეტინა კალისტინეს ასტიონმა.

— უი, ბეჩა, რა უნდა ახლა ამ საჯანაბეს. — თავისთვის ჩაილაპარაკა კალისტინემ.

— ერთი პური და ცოტა რძე მინდა, ისეთი საპატივცემო სტუმარი მომივიდა, სხვა გზა არ მქონდა, თორემ არ შეგაწუხებდი.

— რას ამბობ, რა შეწუხებაა, მარა, აკა რა პურ-მარილია, აქეთ მოიყვანე, რძე და პური კარგი სტუმრისთვის რა საკადრისია, ქათამს დავკლავ, წნილი მაქვს, ყველი და რა ვიცი, ბევრი რამე, მოიყვანე, მოიყვანე, ნუ გერიდება, — ეხვეწებოდა კალისტინე მეზობელს.

— არა, არა, თუ მაძლევ რძესა და პურს, დაგელოდები, თუ არა და წავალ...

— კი, როგორ არა, რავა შორებელივით იქცევი, დღეს კი არა, ყოველ დღე მოდი და თითო პურს გაგატან, [illegible] გაგატან, შიმშილით კი არ უნდა მოიკლა თავი, ამხელა სოფელია, ხელს გაგიმართავთ, აპა რავა, შე კაცო, — სხაპასხუპით ლაპარაკობდა კალისტინე, რაკილა ერთხელ მაინც დაინახა სამეზობლოდ გადმოსული ასტიონი.

●

იმდენად დაინტერესდა სოფელი ასტიონის სახლში ჩაკეტვით, რომ ერთ საღამოს ბიჭებმა გადაწყვიტეს, ვუყარაულოთ, რას შვრება, რას აკეთებს, ჩვენი თვალით ვნახოთო.

კარგად არც კი იყო ბინდ-ბუნდი ფეხმოკიდებული, რომ ბიჭები ასტიონის სახლს უკანა კედლის მხრიდან მიადგნენ.

— იცოდეთ, კრინტი არავინ გაიღოს. თორემ გაიგებს და მერე, რა იცი, რას მოიმოქმედებს! — აფრთხილებდა ერთი სხვებს.

— თუ გინდა, გაიგოს, რა უნდა გვიყოს სამ კაცს, გიჟი კი არა, მთლად გადარეული რომ იყოს მაინც, — თქვა მეორემ.

— გამიგონია, გიჟებს უსაშველო ძალა აქვთო, ზომა-წონა არაფერში იციანო. — სიფრთხილისთვის ამბობდა ისევ პირველი.

— მოვეშვათ ახლა მაგ საუბარს და საქმეს მივხედოთ, — თქვა მესამემ.

ოთახში ასტიონის ხმა ბუბუნებდა. ლაპარაკობდა თავისთვის, მაგრამ რას ამბობდა ან ვისზე ამბობდა, გარკვეულად არ ისმოდა გარეთ.

— რაღაცას ქაქანებს, ავედი ახლა მე მაღლა და მოვუსმინე. — თქვა პირველმა, მერე მივიდა სახლის კუთხეში, მაღლა აცოცდა და კოჭების ნაშვერზე დაკრულ ფიცარს სიბრტყე მოუსინჯა.

ფიცარი თავიდან ბოლომდე გასდევდა

ოთახს. ბიჭმა გაიარ-გამოიარა, თან ჭუჭრუტანებს ეძებდა, რომ უკეთ დაენახა მოქაქანე ასტიონი, მერე ბიჭებს მიუბრუნდა და ხელით ანიშნა, ამოდით, ამოდით, ჭუჭრუტანები იმდენი აქვს აქ ფიცრულს, ჩვენ კი არა და მთელ სოფელს ეყოფა სათვალთვალოდო. მართალია, ეს სიტყვები ხმამაღლა არ უთქვამს, მაგრამ ისე მოხერხებულად ღვლარჭნიდა ხელებს, ენა საჭირო არც კი იყო.

ბიჭები ფიცარზე ჩამოდგნენ, მოზრდილი ჭუჭრუტანები ლუპებივით მოირგეს თვალებზე და გაფაციცებით დაუწყეს ცქერა ასტიონს.

ასტიონი ოთახში ბოლთას სცემდა. რატომღაც ახლა აღარ იღებდა ხმას, ისე, თავისთვის იქნევდა ხელებს და რაღაც ფიქრსა თუ კოშმარს სიარულით ინელებდა.

რამდენიმე წუთმა გაიარა სიჩუმეში. ასტიონი შუა ოთახში შეჩერდა, მარცხენა ხელი მაღლა ასწია და ყვირილით მოჰყვა:

— აჰა, დადგა თქვენი დრო, ვერსად წამიხვალთ, დღეს თქვენ უნდა გაგიმასპინძლდეთ, კარგა ხანია ვფიქრობდი ამ საკითხზე, ოო, კახ! ოო, კახ! — დააყოლა ბოლოს, მერე ძველისძველ, აფიცრულ კარადას ეცა, გამოაღო, უჯრიდან ასანთის კოლოფები და სხვადასხვა ფერის კოჭის ძაფები ამოალაგა, მაგიდაზე დაყარა და კიდევ დააყოლა: ოო, კახ! ოო, კახ! მერე ხელები შემართა მაღლა, თავი აქეთ-იქით სამი-ოთხჯერ გააქან-გამოაქანა და ისევ იყვირა: მე თქვენ გასწავლით, როგორ უნდა თვალთვალი და დარაჯობა, ყარაულობა და ციგნობა, ოო, კახ! ოო, კახ!..

ასტიონმა ხელების ქნევა და ყვირილი მიატოვა, ოთახის კარს ეცა, გამოაღო და გარეთ ჯლაგაჯლუგით გავარდა.

— არიქა, ბიჭებო, მოვუსვათ აქედან, მგონია, შეგვამჩნია და ჩვენთან გამოიქცა, რაცხას გადაგვყრის ეგ მართლა გიჟი. — გადაუჩურჩულა ერთმა მეორეს.

— აქ თუ მოვიდა, პირდაპირ დავახტები ზევიდან, თქვენც მომეხმარეთ და გავკოჭოთ, მეტი გზა არც არის, გამიგეთ? — ჩურჩულითვე უთხრა ბიჭებთაგანმა ახლო მდგომს.

ბიჭები მოლოდინში ზამბარებს დაემსგავსნენ...

ორიოდე წუთი არც იქნებოდა გასული, რომ ასტიონი ოთახს დაუბრუნდა. ხელში რაღაც ნაჭერი ეკავა, აქეთ-იქით, ზევით-ქვევით აქნევდა და თან გაიძახოდა: შემობრძანდით, ბატონო, მობრძანდით, ბატონო, აქეთ ბატონო, პირდაპირ ბატონო, კი ბატონო, ზოგი—იქით, ზოგიც—აქეთ, ბატონო, ოო, აი, ასე, ნამდვილად ასე, აბა როგორ, კი, კი, გენაცვალოს ჩემი თავი, აბა რისთვის ვცხოვრობთ, ბატონო, ერთმანეთს თუ არ ვასიამოვნეთ, ვასიამტკბილეთ, მოვეფერეთ, მეტი რაა ცხოვრება, აბა როგორ, კი ბატონო, როგორც გენებოთ, მად დაბრძანდით, მართალია, სავარძლები ახალთახალი არა მაქვს, მაგრამ დახვედრა დიდკაცური ვიცი, საუბარიც ნამეტანი კარგად გამომდის, სხვათა შორის, გამოგიტყდებით, უმაღლესი დამთავრებული მაქვს, ასპირანტურას მალე მოვასრულებ, დიდი სელექციური სამუშაოები მაქვს ჩაფიქრებული, ამჟერად ნამდვილად ასეა, მერე და მერე ცხოვრება რასაც მოიტანს, იმ გზას დავადგები, იმას მოვიმოქმედებ, ასე მაქვს ჩაფიქრებული, დიახ ბატონო, კი ბატონო, მესმის ბატონო...

ქადაგად დავარდნილი ასტიონი უცბად მოსწყდა ადგილს, კარს მივარდა, მაგრად მიაჯახუნა, ურდულით საგულდაგულოდ ჩაკეტა და ისე გადაიხარხარა, კინაღამ სახლი ჩამოიქცა.

— თქვე ბრიყვებო, თქვე ნაბიჭვრებო, თქვენა, ვის უბედავთ, ვის ყარაულობთ, ასტიონს? მე თქვენ გიჩვენებთ სეირს, თქვე დოყლაპიებო, უსაქმურნო და უკაცურნო, უმგვანონო და უსახურნო! ოო, კახ! ოო, კახ! — ასტიონმა უცბად შეწყვეტილ ხარხარს ეს სიტყვები მიაყოლა, მერე მაგიდას მიუჯდა და ნავთის ლამპასა და მის ირგვლივ მოფარფა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტე პეპლებს წამოცვენამდე ქცეული თვალებით დაუწყო ცქერა.

— ნახე, ბიჭო, წეღან რომ იძახდი, მობრძანდით ბატონიო, ახლა მივხვდი, პეპლებს ეპატიჟებოდა თურმე, ვაი, შენ ჩემო თავო. — სინანულით თქვა ერთმა მოდარაჯემ.

— აბა, ბიჭო... — დაემოწმა მეორე.

ქვეყნის უხილავმა განმგებელმა, როცა სიცოცხლის ხანგრძლივობას ანაწილებდა, ეტყობა, ამნაირ მწერთათვის საერთოდ ვერ გაიმეტა სამი დღის მეტი. ამიტომაცაა ალბათ, სადაც კი თვალს შეავლებენ ოდნავ მბჟუტავ კვარსაც კი, პეპლები წამსვე იქ მიფრინავენ, რათა ცოტათი მაინც გადაივადონ დღემოკლე წუთისოფელი. ახლაც ასე მოხდა — გადამწიფებულ ჭიაფერას მაგვარ ღამისთევას ისევ ასტიონის მიერ შეთავაზებული დაპატიჟება ამჯობინეს...

ასტიონმა ასანთის კოლოფები გახსნა, ღერები მაგიდაზე დაყარა და ნამეტნავი დამაქრული ენით მოფერება დაუწყო ყველაზე დიდსა და ლამაზ პეპელას:

— აქეთ მოდი, შენ ხომ ჩემი ლამაზი პეპელა ხარ, აქეთ მოიწიე, ერთად ვიჭუკჭუკოთ, მოვყვეთ ცისას და ბარისას, შენ შენი, მე — ჩემი, ხომ გინდა? აქეთ, აქეთ, ლამაზო... — ასტიონმა ხელის უსწრაფესი მოქნევით, მართლაც და ყველაზე ლამაზი და მოზრდილი პეპელა მუჭში მოიმწყვდია, მერე ასანთის კოლოფში მოათავსა და დაიყოლა:

— ოო, კახ! ჩემი ხარ, ლამაზო, ოო, კახ!

მერე და მერე პატარ-პატარა პეპლები თვალის მიხედვ-მოხედვაში, ერთი ხელის მოსმით, სწრაფად შეიპყრო და ასანთის კოლოფებში გამოამწყვდია.

ასტიონი როცა ამ საქმეს მორჩა, ფეხზე წამოდგა, ხელები მკერდზე დაიჭდო და ცალთვალმოჭუტული კარგა ხანს დასჩერებოდა მსხვერპლს. მერე ნახევრადშემოძაფული მრავალწახნაგა შუშის ნატეხი ამოიღო ჯიბიდან, თვალთან მიიტანა და შიგ გაფაციცებით უყურა და უყურა რაღაცას...

რას ხედავდა შუშის ნატეხში, ღმერთმა უწყის, ვის შეეძლო ამის ამოცნობა...

ასტიონმა უცბად რაღაც გადაწყვეტილება მიიღო, შუშის ნატეხი თვალიდან მოიშორა, ჯიბეს დაუბრუნა, კოჭის ძვალს დაავლო ხელი, რამდენიმე წუთში ყველა ასანთის კოლოფი საგულდაგულოდ გაბაწრა, ერთმანეთზე დააწყო, კარადაში შეინახა და კარი ჩაუკეტა.

— ოო, კახ! ოო, კახ! ოოოო, ოოოო! — მორთო ასტიონმა ყვირილი.

— ნამდვილი გიჟია. — დაასკვნა ერთმა მოდარაჯემ.

— გიჟი კი არა, ჩემის აზრით, რაღაც უფრო მეტი უბედურებაა. — გადაუჩურჩულა მეორემ პირველს.

— წამო, თუ ძმა ხარ, მაგის საცოდაობას ნუ მაყურებინებთ. — შეეცოდა მესამეს ასტიონი და ძირს პირველი ჩავიდა.

— ოოოო, ოოოო! — შეჰყვირა ასტიონმა ჭერს და ნახევრად ჩამქრალი მუგუზლის ნახლეწი ორჯერ-სამჯერ ჰაერში შეათამაშა.

●

დილაბნელზე ადგა ასტიონი, აივანზე გავიდა, ერთი-ორჯერ აქეთ-იქით გაიარ-გამოიარა, მერე უცბად შეჩერდა და გაღმა, ცის კიდურთან წამოყუდებულ მთას გასძახა:

— ეჰეჰეეე! ეჰეჰეეე!

ჯერ ყვირილმა მოირბინა იქაურობა, მერე კი —ექომ.

ასტიონმა შუშის ნატეხი ამოიღო ჯიბიდან და ახლა იმით უყურა ცასა და მთას. მერე უცბად მოაცილა თვალს სამხილი და გულნაწყვეტად თქვა:

— საცოდავია ეს ყველაფერი! ნახე, კაცო, ხანსა და ჟამს როგორ გაუცვეთია შემოგარენი, როგორ გაულევია წუთისოფლის სამოვარი მძოვარს, რას დაუმსგავსებია, კაცო, აქაურობა, მთლად კურდღლის ფერი არ ადევს ცასა და მიწას?

ერიჰა! რას აკეთებ, ასტიონ, ვერ მიხედავ სოფელს? არც შენ არა ხარ კაი კაცი, არა, ნამდვილად არა ხარ კაი კაცი! და იმიტომ არა ხარ ნაღდი, რადგან ხედავ და ყურს არ იბერტყ, არ ფიქრობ იმათთვის, ვინაც ვერ ხედავს და ისე, ბრმად მიაბიჯებს, მილასლასებს, მიჩოჩავს და რა ვიცი კიდევ, როგორ მიდის! ასტიონ! ასტიონ! — ხმამაღლა წარმოთქვა ბოლო სიტყვები, მერე შებრუნდა, კიბესთან მივიდა, შეჩერდა, ხელები მაღლა შემართა და მთას გაჰყვირა:

— მე კიბეზე ჩავალ, ეზოს გადავლახავ, ჭიშკარს გავცდები, შარაზე ფართო ნაბიჯით გავივლი, ნახშობას წინ აღვუდგები, რჩევას მივცემ საზრალოთ, ისინი გამომყვებიან და კურდღლის ფერის მოსასხამს ფრჩხილებითა და კბილებით დავფხრეწთ: დიახ, ასე იქნება! მე ვიღებ ჩემს თავზე, მე, ასტიონი!..

ასტიონის უბედობა ბუბუნ-ბუბუნით უკან მოჰქონდა მთიდან ასხლეტილ ექოს...

გიჟი კიბეზე ჩავიდა, ეზოში შვიდრვაჯერ გაიარ-გამოიარა, მერე კაკლის ხეს უტრიალა აქეთ-იქიდან, მერე კი ღელის წყალთან ჩავიდა და საკმაო ხანს უყურა ეკალ-ბარდებით თავწაკრულ რუს.

— მოიხსენი ეგ მჩხვლეტავი თავსაბურველი, გამოიქექე ყურები, შე მართლა რუ! ერთი აბობოქრება გინდა და მორჩა და გათავდა, რომელი ეკალი დაგიდგება წინ, ძირფესვიანად ამოთხრი, ისე ამოთხრი, რომ ვეღარ გამრავლდეს! წვიმა გინდა შენ, ზეთქეში, თავსხმა, კოკისპირული ავდარი და მერე ისწავლი ჭკუას! მე გამოგიგზავნი წვიმას, მე, ასტიონი! — დაჰქაქანებდა ასტიონი წყალს.

რუ თავისთვის მიჩხრიალებდა, მილიკლიკებდა, მიდიოდა...

— წავედი ახლა მე და შენ იცი, იმედი მაქვს, იზამ რაღაცას. — კიდევ ერთხელ გაელაპარაკა ღელეს ასტიონი, შებრუნდა და აღმართს აუყვა.

საკმაოდ აწეულიყო მზე...

ასტიონმა ეზო ირიბულად გადაჭრა, ჭიშკარი ხმაურით გაალო, ისევე ხმაურით მიხურა, სოფლის გზას დაადგა, მაგრამ წამით შეჩერდა, ეზოში, ბლის ქვეშ ჩაცუცქულ ძაღლს მიაძახა, მადაურობას კარგად მიხედეო და სიარული გააგრძელა.

ოცდაათიოდე ნაბიჯზე მეტი არც ექნებოდა გადადგმული, რომ ოღრობეში სილოვანი გამოჩნდა დაუღლილი ხარებით. ჩოჩიალა ურემი ღორღიაყრილ გზაზე ასკინკილა გორიალითა და ხრიგინ-ხრაგუნით მიჰყვებოდა ხარებს. სილოვანს გვერდი-გვერდ ვიღაც უცხო კაცი მისდევდა. ურემზე პატარა ბიჭები ჩამომჯდარიყვნენ და ნაძვის კევს გულიანად ღეჭავდნენ.

ასტიონმა უცხო კაცის დანახვაზე ნაბიჯს უკლო, მერე კი მთლად გაჩერდა...

— ბაბუ, ბაბუ, ასტიონი მოდის, ასტიონი. — უთხრა შვილიშვილმა სილოვანს.

სილოვანმა შარას გახედა.

— ვაჰ! როგორ მოხდა, რომ სახლს გამოსცდა ეგ უბედური. — თქვა სილოვანმა თავისთვის.

უცხო კაცმა ხელი გაიშვირა გაღმისკენ და ისე უთხრა სილოვანს:

— იქ უნდა გავიდეთ?

— ჰო, კი. — თავი დაუქნია სილოვანმა.

ასტიონს უცხო კაცის გაშვერილი ხელი არ მოეწონა...

— ისეთი კარგი ბიჭი იყო ეგ უბედური, რომ მეტი არ შეიძლება, მარა გაგიჟდა და სახლში ჩაიკეტა. გარეთ გამოსული არავის უნახავს. ახლა, ალბათ, შიმშილმა შეაწუხა, კუჭმა გამოიტყუა გარეთ. — უთხრა სილოვანმა თანამგზავრს.

— საწყალი! — თქვა კაცმა და ასტიონს გახედა.

ხარ-ურემი ასტიონს უახლოვდებოდა..

ასტიონს უცხო კაცზე ეჭირა თვალი. ვერაფრით ვერ ამოიცნო, იქაური არ იყო, არც სხვა დროს ენახა და აბა, როგორ შეიცნობდა, მიტომაც ისეთმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეჭვმა გაუელვა, რომ ყვარილით ათქმევინა:

— გზა ეს შარაა, დადექით და იარეთ, ივლით, ივლით და დაილევით. სიარული ისე გაგცვეთთ, საბრალო სანახავნი გაბდებით. სიარული ყველაფერს ცვეთს, გზასაც კი, დაუსრულებელი რომ არის, იმ გზასაც კი! მე არავის არ ვუშლი ხელს და ნურც თქვენ შემიშლით, მე ჩემი გზა მაქვს, თქვენ კი — თქვენი!..

ორიოდ ნაბიჯზე მიახლოებულ ხარებს სილოვანმა ჯერ მოუწრუპუნა, მერე კი ოო, ლომა, მაო, გაჩერდი ნიშაო! — შეუძახა.

— არ გავჩერდები, გავიქცევი, ვერ დამიჭერთ! ვერ დამიჭერთ! ოოოო, ოოოო! — ამოიღრიალა ასტიონმა. მერე უცბად შებრუნდა და გაიქცა.

— მოვიდა, ასტიონ, მოვიდა!

— აბა, ბა, ბა, აბა, ბა, ბა!

— ტატა ტატა, ტააა ტატა!

— მოვიდა, ასტიონ, არიქა, მოვიდა!

თითქოსდა მომზადებულნი იყვნენო, ერთხმაზე დაადევნეს ყიჟინა ასტიონს ურემზე ჩამომსხდარმა ბიჭუნებმა.

— აიტ! თქვე მამაძაღლებო! მაგას კიდევ გაგიჟება უნდა? ჩაიგდეთ ენა, თორემ მე თქვენ გიჩვენებთ სეირს! — დატუქსა ბიჭები სილოვანმა.

უცხო კაცმა კიდევ გაიმეორა: საწყალიო...

ბიჭებმა დაირცხვინეს და ყურები ჩამოყარეს...

ასტიონი ეზოში შეკარდა და ჭიშკარი ურდულით საგულდაგულოდ ჩაკეტა.

ურემი იქით და იქით, ასტიონის სახლს იქით, დაღმართზე უფრო გულიანად ჩახრიგინდა და თვალს მიეფარა...

●

ის დღე იყო და ის. ასტიონი სოფლის გზას, შარასა თუ სანაზმოს სათოფეზე არ გაკარებია. იყო თავისთვის სახლში და ბოლთის ცემით იატაკსა და ეზოს სიქას აცლიდა.

ადრე ერთი-ორი მეზობლის შეთავაზებულ ნამცხვარსა და ნახელავს ხანდახან მაინც მოჰკიდებდა ხელს, იმ უცხო კაცის გამოჩენის დღიდან სულ აკრძალა ყოველგვარი საჭმელ-სანოვაგის მიღება. რომელიმე მეზობლის გამოჩენა იყო ჭიშკართან და ასტიონი ქადაგად დავარდებოდა:

— ვერ გეწდობით! შემიყოლიებთ, შემიჩვევთ, შემიტყუებთ და მერე მომწამლავთ, კარგად ვიცი, ზედმიწევნით ვიცი, ყველას ჩემი შეგშურთ, ყველას ჩემი კბილი გაქვთ, მაგრამ ნურას უკაცრავად, არ ჩაგივათ ფეხი, ასტიონი ვარ მე, ასტიონი! ოო, კაზ! ოოოო!

უცხო კაცის გამოჩენიდან ორიოდე დღის შემდეგ, სამხრობის ჟამს, ასტიონი შუა ეზოში სარივით გაჭიმულიყო, თავი მარცხენა ბეჭისკენ მოეგდო, მარჯვენა თვალით ცის დასალიერს ათვალიერებდა და იწიოწოდ მიმობნეულ ღრუბლის ნაფლეთებს ხმაამოუღებლივ ითვლიდა.

ღრუბლის სათვალავი აერია, ხელი ჩაიქნია, ადგილზე შეტრიალ-შემოტრიალდა, მერე კაკალთან მივიდა, სიპ ქვაზე ჩამოჯდა და დაქაჩული თვალებით დიდხანს უყურა რაღაცას.

რა მოიფიქრა, ძნელი სათქმელი იყო, ასტიონმა წარბი შეიკრა, ხელებით რაღაც სინუსოიდები და მრგვალი წრეები მიმოხაზა, ცალი თვალი მოჭუტა, ჯიბიდან სამხილი ამოიღო, და „შეიარაღებული“ თვალით უყურა მზეს. უყურა და უყურა, მანამ არ მოაცილა თვალი, სანამ გუგა არ ეტკინა. მერე ხელი ჩაიქნია, სამხილი შარვლის მეორე ჯიბეში საგულდაგულოდ ჩაიდო და კაკლის ხეს მხრით მიეყრდნო. კარგა ხანს იყო უსამველო ფიქრით გაბაწრული...

— არაფერი არ გამოვა, ქვეყანა ამოურწყავია! — დამაჯერებლად უთხრა თავის თავს. ორივე ხელი ორჯერ-სამჯერ გააქნ-გამოაქნია, მერე შებრუნდა და კაკლის ხეს შემოეხვია. ფეხებითაც შემოეჭდო, ჩაეკრა, ისე მაგრად ჩაეხუტა, კაცი და ხე შენივთებული გეგონებოდათ.

ასტიონმა თავი უკან გადასწია, ნიკაპი მერქანზე მიადო და ფართოდ გახელილი თვალებით ტოტებს თვლა დაუწყო. თვალო და თვალა, კარგა ხანს თვალა, მერე თვალები მოჭუტა, ტუჩები მოჭუჭკა და ისე უყურა კაკლის დაკორძილ მერქანსა და მასზედ ზევით-ქვევით მოსიარულე ჭიანჭველებს.

ჭიანჭველები გამალებით ადიოდნენ და ჩამოდიოდნენ...

— ეჰ, უყურე შენ ამ გლახაკებს, რა დღეში არიან?! ვაა, ეს რა ჯურის ვინმე რამეა, კაცო, ერიჰაა! მოიცა, სამხილით გავხედო ამ მამაძაღლებს. ის მეტყვის, რა იქნება და როგორ იქნება! ნამეტანი საინტერესოა, ეს რა აღმოვაჩინე, კაცო, ნუთუ აქამდე ცხოვრობდნენ და მე ვერ ვამჩნევდი? ალბათ, ცხოვრობდნენ... კი!. რას არ ნახავს კაცის თვალი და რას არ გაიგონებს ყური! — ლაპარაკობდა ასტიონი და თან ჯიბიდან შუშის ნატეხს იღებდა.

ასტიონმა შუშის ხან ერთი, ხან მეორე წახნაგიდან უყურა ჭიანჭველებს, სამხილით კარგა მოზრდილი, ჩაბუხუნებული ჩანდნენ ერთი ციცქნა მწერები. კაკლის მერქნის ნაღარებიც უსაშველო მთებად, გორებად, ხევ-ხუვებად, ველებად და ტრამალებად მოეჩვენა. მწერებს უზარმაზარი ტვირთი ჩამოჰქონდათ ზევიდან ქვევით, ისე უზომო მოცულობის ტვირთი, რომ ასტიონი კინაღამ გადაირია.

— შეხედე შენ, კაცო, თვითონ პაწაწკინტელები არიან, ტვირთი კი იმოდენა მოაქვთ, კაცსაც კი შეშურდება, არა, ასე გაუმაძღრობაც არ ვარგა! იმდენი მაინც წაიღონ, ათრიონ, რაც ეყოფათ! რას ჰგავს ეს. რამდენ ხანს გაგიძლებთ ქვეყანა, თქვე წუპაკებო, თქვენა! მე თქვენ გიჩვენებთ სეირს! oო, კახ! oო, კახ, ოოოო, ოოოო! — ისეთი შეიყვირა ასტიონმა, რომ ჩენჩოშემოფჩენილ კაკლის ნაყოფს ყრუანტელმა დაურბინა.

ასტიონი შებრუნდა, შემობრუნდა, მერე ისევ იქით შეტრიალდა ელვის სისწრაფით და სახლისკენ გაიქცა. ათიოდ ნაბიჯზე გაჩერდა, წვერი მიიქექ-მოიქექა, წარბები ზევით-ქვევით შეათამაშა, მერე ხელი ასწია მაღლა, საჩვენებელი თითი ვილაცას დაუქნია და კიბეზე ორორ საფეხურზე ალაჯებით ავიდა.

— ესეც ასე, აი, ბოთლებიც, შიგ ჩაგყრით, გამოგამწყვდევთ, გამოგკეტავთ, გამოგხურავთ და ქვეყანასაც ვიხსნი, ვიხსნი თქვენნაირი მამაძაღლებისაგან, აბა, როგორ გგონიათ, შეგარჩენთ თუ? ვაი, დედის თქვენის ღმერთსა! ასტიონი ვარ მე, ოო, კახ, ასტიონი!

ასტიონმა რამდენიმე ბოთლი აიღო, კიბე ჩაირბინა და კაკლის ხესთან ალიმართა.

ჭიანჭველები ისევ ისე, ჩვეული შრომისმოყვარეობითა და ტვირთით წელის წყვეტა-წყვეტით, თავისი გზით მიმოდიოდნენ.

გიჟმა ბოთლები ძირს დააწყო და ჭიანჭველების დაჭერას შეუდგა. არც თუ ისე იოლი აღმოჩნდა მათი დაჭერა, ისე უმწეონი იყვნენ, ხელის შეხებისთანავე ან ძირს ვარდებოდნენ, ან კიდევ თითებში ისრისებოდნენ.

— როგორ არსებობთ ასე უმწეონი, რა სული გიდგათ მაგნაირი, ვიცოდე მაინც, ან და, როგორ დაათრევთ მაგოდენა ტვირთს, ვინ გრჯით, რა გრჯით, თქვე საცოდავებო! — ყვირილით ელაპარაკებოდა ასტიონი მწერებს.

ჭიანჭველებს თავისი საქმე ჰქონდათ — მიჭიანჭველობდნენ და მოჭიანჭველობდნენ...

— მისატყუებელია საჭირო, მისატყუებელი! მსხვერპლი მიიტყუო უნდა და მერე ყველაფერი რიგზე იქნება! ოო, კახ! ასტიონ! ოო, კახ!..

ასტიონმა შუშის ნატეხი ამოიღო ჯიბიდან და გულმოდგინედ გაიხედა. მერე ადგილზე დატრიალდა თითისტარივით და, როცა შეჩერდა, მეზობლის ყანის დაბლა, ბაღის ბოლოში, ფუტკრის სკას დაადგა თვალი.

— თაფლი!.. თაფლი!.. თაფლია ამ უბადრუკთა მისატყუებელი! ჩაუწვეთებ, მიიტყუებ სიტკბოზე და კარს რომ მიუხურავ, მერეა საინტერესო, რას და რო-

გორ იზამს, როგორ გაფაფხურდება, აბა, აი ესაა, რაცაა! ასტიონ! ყველაფერი როგორ იცი, ყველაფერს როგორ სწვდები, შენი ჯიგარის ჭირიმე! აა, ჰა, ჰა, ჰა!— გადაიხარხარა გიჟმა გულიანად და სკისკენ ლობე-ლობე გაიძურწა.

ბაღში ორი სკა იდგა. სკები ახლო-ახლოს მიედგა პატრონს, ირგვლივ ჩალით შემოეთბუნა და წკნელიც მაგრად გაეჭირა, ქარსა და ნიავს რომ არ აეშალაეწეწა.

ნახევრად უპატრონოდ იყო მიტოვებული ეზო-მიდამო. მისი პატრონი ქალაქში ცხოვრობდა, წვრილ-წვრილ მოვაჭრეთა კლასის რიგითი წევრი იყო. ათასში ერთხელ თუ ამოაკითხავდა სახლკარს და ეს ამოსვლაც აუცილებლად შემოდგომის დღეები იყო, რადგან მაშინ მწიფობდა მსხალი, ოქროსფერი ედებოდა ვაშლსა და ფუტკარსაც სავსე ჰქონდა ძირითად შესანახთან ერთად სკის თავზე წამოდგმული ზედმეტი სათავსო. გადახვეწილ კაცს არაფერი არ ადარდებდა, მოდიოდა და მიჰქონდა.. .

ასტიონი სკებთან მივიდა. აქედან უტრიალა, იქიდან უტრიალა, პატარა შესაძრომის მეტი რომ ვერ უპოვა ციხეკოშკებივით წამომართულ სკებს, გული მოუვიდა, ჩალა-ბულას ხელი ჩაავლო, შემოაცალა, მოისროლა, აქეთ-იქით მიმოფანტა და დააყოლა:

— უყურე, იმ მამაძაღლს! თავისთვის ნამეტანი ჭკვიანია! ნამუსზე ხომ ლაპარაკი ზედმეტია! წელიწადში ერთხელ მოეთრევა, გამოაცლის ნაჯაფ-ნაშრომს ამ საცოდავთ, წაიღებს და წავა! ანდა ამათ რა რჯით, ერთი ამათ თავში ჩამახედა, ვისთვის შრომობენ, რისთვის შრომობენ, რატომ იდგამენ წელებზე ფეხს, გასაკვირად მიკვირს! გასაკვირია, აბა რა არის? შრომობ, წვალობ, ცოდვილობ, ჯახირობ, ოფლს იღვრი, სისხლს იშრობ და ცოპ! სხვას მიაქვს! დაუკითხავად მიაქვს, არც გეკითხება, ისე მიაქვს მე ასე მინდაო და მიაქვს! გაგიჟდები კაცი, აბა, რა იქნება! მე შენ გიჩვენებ სიირს. როგორ წაილებ აწი, შე ცინგლიანო, შე მხდალო, დაბალო, უწიგნურო, რეგვენო, ცხოვრების ვაჭრუკანავ, ხელგაწაფულო უთოფო ყაჩაღო! ფუტკარო, აწი ჩემი მეგობარია, მე ასტიონი ვარ, გადავსკვნით ერთმანეთში თითს და მერე ვნახავ, როგორ წაიღებ, როგორ შეძლებ სხვისი ნაშრომის მითვისებას! ასტიონი ვარ, ასტიონი! ოო, კახ, ოოოო! — შეჰყირა ასტიონმა ცას და მომუჭული ხელები მუქარით მაღლა შეათამაშა.

ფუტკარი მიფრინავდა და მოფრინავდა, მიზუზუნებდა და მოზუზუნებდა...

ასტიონმა ცოტა ხანს უყურა და უსმინა ფუტკრის მიმოფრენასა და ზუზუნს, მერე კი სკას შეუძახა:

— თაფლი მინდა, ცოტა თაფლი, საქმისთვის მჭირდება, ბრიყვები მყავს მოსათაფლი, მართალს გეუბნები, ტყუილი ჩემს დღეში არ მითქვამს, არც ვიტყვი, ტყუილი რა კაცის საკადრისია, ცოტა თაფლი მიწილადეთ, მჭირდება-მეთქი, გითხარით, არა, მუქარით კი არ ვამბობ, ჩვეულებრივად გთხოვთ, მე ხომ მოძალადე არ ვარ, ასტიონი ვარ მე, მიცნობთ ალბათ, ხომ ასეა?..

ფუტკარი თავის საქმეში იყო ჩაძირული...

— არ მაძლევთ ხომ! მე ვიცი აწი, როგორ წავიღებ! — დაიბრდღვინა ასტიონმა, დაავლო ხელი სკის ზემო სათავსო სახურავს, გადააძრო და... ეაუჰ! — შეიყვირა გაოგნებულმა, — დედა, ეს რა ამბავი ყოფილა შიგნით, კაცო, რას ხედავს ჩემი თვალები, ბა-ბა-ბა! როგორ წვალობს თურმე ამდენი საცოდავი მწერი, რა ნახა ჩემმა თვალმა, დედა, დედა, დედა! — აღაპყრო ხელები ასტიონმა და გაკვირვება რომ ველარ დამალა, საფეთქლები მაგრად მოისრისა.

აშლილი ფუტკარი ასტიონს გარს უტრიალებდა. გიჟი მაინც არ მოერიდა მწერის ზუზუნ-ბზუილს, ცოტაოდენი თაფლი ამოჭრა ფიჭიდან, ბოთლში გადაიტანა, სკას სახურავი ძველებურად მოარგო და ესეც ასეო, დააყოლა.

ასტიონი ღობეს გადაეჭლაჯა, კაკლის ხესთან მივიდა, სიპზე ჩამოჯდა, თაფლიანი ბოთლი კაკლის ძირში მიაყუდა, დათაფლული თითები მერქანს წაუსვ-წამოუსვა და მშვიდად ამოისუნთქა.

ჭიანჭველებმა თაფლის სუნი იკრეს, ნათითურ ადგილებთან ჩაიფერხნეს, საკმაოდ შეყოვნდნენ, სიტკბოს გემო გაუსინჯეს, მერე კი ერთმანეთს აცნობეს... შეიქნა ერთი ამბავი, მიწევ-მოწევა, ბარაქიანი ადგილის წართმევა, წაგლეჯა, კბენა, ღრენა, ერთმანეთის გაქირდვა, დაცინვა, გადავლა, გადაჯეგა, გასრესა და ბოლოს მწერებმა თაფლიანი ბოთლი აღმოაჩინეს... აღმოაჩინეს და შიგ ჩაეშვნენ...

— მეტად საინტერესო სანახავი გამოდგა ეს ბრიაბრუა მწერები, თუმცა მეტი საინტერესო ის იქნება, მეტი და მეტი თაფლი რომ წამოვიღო, რას მოიმოქმედებენ, რას იზამენ ისინი, ის პაწაწკინტელა მოჯამაგირეები. ჩემთვის ყველაფერი ნათელია, ერთი სულელქციური სამუშაო კიდევ ჩავატარე, ჩავატარე დიდი წარმატებითაც, მაგრამ, თუმცა რა მაგრამ, ვნახოთ, როგორ შემხვდებიან მეორედ! ღორი არ გეგონოთ, პატივცემული ფუტკრებო, თაფლი არაფერში არ მჭირდება მეტად მე, ვიდრე შედეგი მჭირდება მე, თქვენი თაფლი ეშმაკსაც წაუღია, აი, იმ ეშმაკს, დღემდე რომ მიჭირნდა! ასტიონი ვარ მე! ოო, კახ!..

თვალის მიხედვ-მოხედვაში ჭიანჭველებით ამოივსო ბოთლი...

ასტიონი გაფაციცებით ადევნებდა თვალს მწერების მოძრაობას.. .

— ყვაა, ყვაა! — გაიძახ-გამოიძახა ამ დროს ყვავმა და პირდაპირ ასტიონის მაღლა, ვაშლის ტოტზე ჩამოსკუპდა.

ასტიონმა მაღლა აიხედა.

ყვავმა აინუნშიც კი არ ჩააგდო კაკლის პატრონი, პირდაფჩენილ ჩენჩოდან ნაყოფი ამოაძვრინა, მერე ბრჭყალებში გამოამწყვდია, უნისკარტა და უნისკარტა, გატეხა, ლებნები ნაწილ-ნაწილ ამოალაგა და გადაყლაპა.

— ყვა, ყვააა! — ყვავმა თავი მაღლა ასწია და მიდამოს უფრო რიხიანად გასძახა.

— უყურე შენ! სხვებსაც ეძახის, მოდით, მუქთა კუბოც კარგიაო! როგორც მოფრინდი, ისე წადი, გაშორდი აქაურობას, თორემ მე ვიცი და ჩემმა ბიჭობამ, მაგხელა ყვავს ჩიტივით ჩამოგიღებ ძირს, კი, იცოცხლე ასტიონმა, როგორც ათასობით ჭიანჭველა და ასობით პეპელა ჩემს გარეშე ფეხს ვერ გადგამს და შენ ვინ ოხერი მოხვედი, მე შენ გიჩვენებ სეირს! მე ასტიონს მეძახიან, ასტიონი ვარ მე! — შეუძახა ასტიონმა ყვავს.

— ყვა, ყვააა! — ისე თამამად გასჩხავლა ყვავმა გაღმა-გამოღმეთს, რომ ასტიონს მოეჩვენა, ფრთოსანმა ფეხებზე დამიკიდაო.

— წადი, ყვავო, შენს გზაზე, სანამ ავ საქმეს ჩავიდენდე! — ასძახა ყვავს ასტიონმა.

ის იყო, მესამე ნაყოფიც დაანაჭუჭა ყვავმა, რომ ასტიონი გადაირია, იქით ეცა, აქეთ ეცა, ახლო-მახლო მიმოყრილ ქვა-ღორღს ხელი დაავლო და სადღაციდან მოფრენილ უსაქმურ და გაუმაძღარ ყვავს სროლა დაუწყო.

ყვავმა ფრთები აიკეც-დაიკეცა, ერთი კიდევ დაიჩხავლა და გაფრინდა...

— როგორც ჩანს, მტერს ასე უნდა დავხვდე, ასე გამიგონია მე, ასე უთქვამთ... ახლა, ეგ სამიოდე კაკლის ლებანი რომ არ ჩაეყლაპა მაგ ოხერს, ხომ კარგი იყო ჩემთვის? ორ დღეს ხომ მეყოფოდა საჭმელად? დათესე, დაამყნე, გაამრავლე და იცხოვრე! რას მერჩი მე! ნამუსი სულ დაკარგე, ყვავი ხარ თუ ვიღაც ეშმაკი!? ოო, კახ! ოოოო! — გასძახოდა ასტიონი გაფრენილ ყვავს.

ყვავი თვალს მიეფარა..

ასტიონი სიპზე ჩამოჯდა, ხელები გულზე დაიქდო და თვალი ზეცას მისცა...

ჭიანჭველები ისე სწრაფად ჩადიოდნენ ბოთლში, თვალს ვერ შეასწრებდი, ეტყობოდათ, თავისა და ხელის განძრევის გარეშე კუჭის ამოყორვას არაფერი ერჩიათ.

ყვავის გამოჩენამ ასტიონს ჭიანჭველები ერთხანს მიავიწყა კიდეც, მერე გვიან, ზეციდან თავის ადგილსამყოფელს დაუბრუნდა, მარცხენა თვალი მოჭუტა, წვერი მოიქექ-მოიფხანა, მერე და მერე კი ბოთლს უყურა დაჟინებით.

— ჩახვედით? — გაეცინა ასტიონს, — მიირთმევთ? შეხედე შენ! დედა, ეს რამდენი ჩასულა, აუჰ! ეს რა ამბავია, კაცო, გაგიჟდება კაცი! — მხრების თამაშით გამოხატავდა სიხარულს ასტიონი.

— რა უნდა ვქნა აწი? თუმცა როგორ თუ რა უნდა ვქნა! ამათ ეს ერთი ბოთლი არ ეყოფათ და ისიც ხომ საინტერესოა, მთელი სკა თაფლი რომ წამოვიღო, რას იზამენ სხვის სამსახურში სულამოხდილი ფუტკრებია თუ ვირის ფეხები. აი, სელექციური სამუშაო, ოო, კაჰ! ოო. კაჰ! — დააყოლა ასტიონმა ხმამაღლა და სამხილში საგულდაგულოდ გაიხედა.

— ყველაფერი რიგზეა, არავითარი საშიშროება არ ელის აქაურობას, ოოო! — დაიქირქილა ბოლოს და მრავალწახნაგა შუშის ნატეხს სამჯერ აკოცა.

ასტიონი ჩქარი ნაბიჯით გაემართა სახლისკენ, კიბეს ორ-ორ საფეხურზე აალაჯა, აივანზე, კუთხეში მიდგმული, ობობას ქსელში გახვეული, ფეხმომძვრალი მაგიდის ქვეშიდან ბოთლები გამოალაგა. ზოგი იდლიის ქვეშ ამოიჩარა, ზოგიც თითებს შუა მოაქცია და სკისკენ იბრუნა პირი.

— შეცდომა უნდა გამოვასწორო, ვისაც ამის ჭკუა აქვს, ქვეყანაზე არ დაიკარგება, აგერ მე, აა, უცბად მივხვდი, ბოთლებიც მიტომ მოვიტანე, მივალ ახლა, მთელ ერთ სკა თაფლს ამ ბოთლებში ჩავაპირქვავებ, ნაწილი ჭიანჭველებისა აქ მოკალათდება და ნაკლები შური და მტრობა ექნებათ, ერთად არ შეიძლება, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ამდენი ძაღლი-მამაძაღლის ერთად თავმოყრა, სწორი ვარ, ბატონო ასტიონ, ხომ? დიახ, სწორი ბრძანდები!

— დაუკრა თავი ასტიონმა საკუთარ თავს და კმაყოფილებით შუშის ნატეხში კარგა ხანს იყურა.

ასტიონი ღობეზე გადავიდა, სკისკენ ორიოდე ნაბიჯი გადადგა და უცბად ახალმა ფიქრმა გაუელვა, მოდი, ამ სკამს ჩემს ყანაში გადავდგამ, მერე დავაპირქვავებ, სელექციურ სამუშაოს ერთი ხელის მოსმით შევასრულებ და მორჩა და გათავდა, ათასობით საზრუნავი მაქვს და წვრილმანებისთვის რატომ ვხარჯო დრო! თუმცა ქალაქში ჩასახლებული მეზობელი რომ ამოვა და ნახავს, სკა მოუპარიათო, ქვეყანას შეყრის. იმასაც იკადრებს, თან ვყვები, ვუვლი, ვინახავ, ვარჩენ, ვფუთავ, ვახურავ და როგორ გამიბედეს, როგორ მომპარესო, სამართალს დაუწყებს ძებნას. ძებნოს, უნდა, ყელიც გამოიჭრას, ვირისფეხება კაცი ვერაფერს გახდება, მაგრამ, რადა მაგრამ, ნელი-ნელა, ცოტ-ცოტად, ნაწილნაწილ, ჩქმეტა-ჩქმეტით, თითზე წასმაწასმით წავიღებ. არ ჯობია? როგორ არ ჯობია, ბატონო ასტიონ! შენ როგორ გეშლება, არ გრცხვენია? არა, ნელ-ნელობით ისიც ვერაფერს გაიგებს და ფუტკარიც კმაყოფილი იქნება. დიახ, ბატონო ასტიონ, თუ გინდა, რომ არ გამტყუნდე, ასე უნდა მოიქცე, დიახ! არა, გინდაც მთლიანად წავიღო, რა მოხდა მერე, ჩემთვის ხომ არ მინდა. ცდისთვის მჭირდება, თუმცა ის რას გაიგებს, რა არის სელექციური ცდა და მისი ნაყოფი!..

ასტიონმა სკას თავი გადააძრო და თაფლის ამოღებას შეუდგა.

— კი მარა, — გაუელვა ფიქრმა უცბად, — იმ კაცს რომ რაღაც ნიღაბი ახურავს თაფლის ამოღებისას, რატომ და ან რას ნიშნავს? მეც ხომ უნდა მქონდეს? თუმცა მე რად მჭირდება, რას გამიკეთებს, რაში გამომადგება, მე ხომ ცოტ-ცოტა მიმაქვს, ისიც სელექციური ცდისთვის და მეტი არაფერი, ის კი მთლიანად იტაცებს, ძარცვავს, გლეჯს, იხვეჭს, სხვის შრომას თავისი ჯიბისთვის ახურდავებს და მიტომაც სჭირდება პირბადე, სწორი კაცი, მართალი ადამიანი

უნილბოდაც კარგად მიჰყვება წუთისოფლის გზას. იმან ზედმიწევნით იცის, პირბადის პატრონმა კაცმა ყველა ბილიკი იცის, ყველა ხრიკი იცის და ყველაფრის მცოდნესა და ბატონ-პატრონს, ეტყობა, ფეხებზე ჰკიდია ერთგული მწერი, მაგრამ იმან ისიც იცის, თუ რა კბენა შეუძლია იმ პაწაწკინტელა, წელზე ფეხდადგმულ მოფუსფუსეს და მიტომაც ინილბავს თავს, ისე არ დამკბინონ, თავბედი არ მაწყევლინონო! უყურე შენ იმ მამაძაღლს! ყველაფერს ფიქრი უნდა, დრო უნდა, რომ ისწავლო და მიხვდე! დედა, დედა, დედა, რა არის, კაცო, ეს ცხოვრება, გადაგრევს კაცს! აბა, ბიჭო!..

ის-ის იყო ასტიონმა მესამე ბოთლში ფიჭის რამდენიმე ნატეხი ჩაწურა, რომ მის კაკლის ხეზე ექსიოდ ყვავი დაუკითხავად ჩამოსკუპდა. მათმა ყრანტალმა მიდამოს ყრუანტელივით დაურბინა.

— ეაუჰ! მე თქვენ გიჩვენებთ სეირს, მოვალ მანდ, განა რამდენს შეჭამთ ჩემს მოსვლამდე, ტააა-ტა-ტა-ტა! მოვალ მანდ, ტააა-ტა-ტა-ტა! — შეღრიალებდა ასტიონი ყვავებს.

ასტიონის ქაქანი ყვავებს ყურადაც არ უღიათ, მშვიდად შეექცეოდნენ ნაყოფს. ამან უფრო გახელა კაკლის პატრონი, უფრო მოუჩქარა თაფლის ამოღებას და... ფიჭა ჩაუწყდა და ძირს, დედაფუტკრის ჩასწვრივ ჩაუვარდა. სკის უფროსი გაინძრა, ადგილი იცვალა. ეს იყო და, მთელი სკა აირია, ქუდზე კაციო, ამის თქმისა არ იყოს, ფრთაზე ფუტკარი გამოვიდა, შეიქნა გაუგონარი ზუზუნ-ბზუილი, დაეხვივნენ ასტიონს...

— მიშველეთ! მიშველეეეთ! — იყვირა გაოგნებულმა ასტიონმა, ორიოდ გრძელი ნაბიჯი და ღობესაც გადაევლო, კაკლის ხეს მივარდა, ხუთიოდეჯერ შემოურბინა ირგვლივ, მაგრამ საშველი და ხსნა არსაიდან იყო, გუნდად შეკრული ფუტკარი ასტიონს უკან დასდევდა.

— მიშველეთ, მიშველეეეეთ! — ერთხელ კიდევ შესთხოვა ცასა და მიწას ასტიონმა, მერე ღელის პირს მივარდა, ბუჩქებში ფოთლიანი სახრე გამო[illegible] და სულმოუთქმელად დაუწყო ქნევა გახელებულ მწერებს, მაგრამ [illegible] უკაცრავად, საშველი ვერ დააყენა თავს.

— მიშველე, ღმერთო, მიშველეეე! — ახლა ღმერთს შებღავლა ასტიონმა, მაგრამ იქიდანაც რომ არავითარი პასუხი მოვიდა, სახლისკენ გაიქცა, კიბეზე ავარდა, ოთახის კარი შეაღო, მერე უსწრაფესად მიუხურა მდევარს და შიგ, ოთახში გააგრძელა რბენა და ყვირილი.

— ვაიმე, ვაიმე, ვაიმეეე! ოო, კახ! ოოოო, ეეეე! — ისე ღრიალებდა ასტიონი, ჭერი ძირს ჩამოდიოდა.

— გამსრისეს, მიშველეეეეთ! — არ ცხრებოდა ასტიონი და შიშველ ადგილებს: კისერს, სახეს, ხელებს, წვივებს, ფუტკრის ნაკბენებით რუმბივით რომ ადგა, უსაშველო ფხანითა და ქექვა-სრესით იქარვებდა...

...გიჟი ტიროდა, იატაკს ცრემლი ღაპალუპით ეცემოდა...

●

სამიოდე დღე ასტიონს გარეთ არ გაუხედავს. შიში ყელში ხელს უჭერდა, ვაითუ აქვე, კიბეზე არიან ჩამომჯდარნი და მდარაჯობენო...

მეოთხე დღეს, როცა ნაკბენი და დასივებული ადგილები რამდენადმე დაუცხრა, გვიანობამდე შეჰყვა ძილს და, როცა თვალი გაახილა და ფანჯარაში გაიხედა, გაკვირვება ვერ დამალა: დამთენებია, როგორ მომივიდა, განთიადს ჭუჭრუტანიდან მაინც როგორ ვერ შევხედეო, ეტყობა, წინა ღამეების უძილობამ საკმაოდ დამრიაო ხელი.

„ავდგები, მაგრამ რა აზრი აქვს, გარეთ ვერ გავდივარ, რა იცი, ეგებ ისევ აქ მთვალთვალობენ, კიბესთან. ყველაფერი მოსალოდნელია, თუმცა რას მიკეთებს სამხილი, ჩავიხედავ, გავიგებ, რა ხდება და მერე მე ვიცი“. — გაიფიქრა ასტიონმა. ლოგინიდან ადგა, სიმინდისა და კაკლის ნარჩენ-ნაყარ ჩენჩოს გადაალაჯ-გადმოალაჯა, შარვალი მოძებნა, ჯიბიდან მუშა ამოიღო, საწოლთან მი-

იტანა, ისევ წამოწვა და მშვიდად ჩაიხედა ერთ წახნაგში. მერე და მერე ატრიალა აქეთ-იქით და სხვადასხვა წიბოდან უყურა ოთახის კედლებს.

— ყველაფერი რიგზეა, ოო, კახ! — დააყოლა ბოლოს და რამდენადმე დაუბრუნდა სიმშვიდე.

ფარღალალაში შემძვრალი მზის სხივი, დილიდანვე რომ დაცემოდა დანაგვიანებულ იატაკს, ასტიონის მოძრაობამ და მტვრის აშლამ უფრო გაამუქა და გაამსხვილა.

ასტიონს რაღაც უხილავმა დაურბინა თავით ფეხამდე, შეაწრიალ-შემოაწრიალა, წამოალმუვლა, მერე ღმუილიდან ღრიალზე გადაიყვანა და ბოლოს საწოლიდან წამოაგდო. გიჟმა ერთი ბოლთა დასცა, მერე მივიდა და ტახტის ძგიდეზე ჩამოჯდა, ხელები მაღლა შეათამაშა, საფეთქლები მაგრად მოისრისა, მარცხენა ლოყა აიფხან-ჩამოიფხანა, ნიკაპთან ჩამოგრძელებულ წვერში ცერა თითი შეაძვრინა, მიღრიძ-მოღრიძა ქვედა ყბა და უცბად თვალები გადმოცვენაზე მოადგა...

— ეაუჰ! ეს რა ნახა ჩემმა თვალებმა, კაცო, ეს რამოდენი ოქრო გაწოლილა სიგრძე-სიგანით, დედა, დედა, ეს რა ნახა ჩემმა თვალებმა! არიქა, ასტიონ, მოსწრებაზეა, არ დააყოვნო, თორემ მორჩა და გათავდა, ოო, კახ! — შეჰყვირა ჭერს ასტიონმა, მერე ფეხზე წამოიჭრა, ბუხარს მივარდა, ყურით ჩამოკიდებული სპილენძის გამჭვარტლული თუნგი ჯაჭვიდან ჩამოხსნა, მიარბენინა და მზის სხივს საგულდაგულოდ შეუშვირა, მერე მარცხენა ფეხი წინ წადგა, მარჯვენა უკან გააცურა, თითქოს საყრდენი, მისაბიჯგი მოძებნაო, ერთი ორჯერ მოსინჯა კიდეც, არ გამიცურდესო, და როცა დარწმუნდა, გაჭიმული მუხლი საიმედოდ მიდგასო, მზის სხივს, თოკივით რომ იყო გაბმული იატაკიდან კედლამდე, თუნგისკენ დაუწყო ქაჩვა. სულმოუთქმელად ამოძრავებდა ხელებს წინ და უკან, წინ და უკან, ისე შეთანხმებულად ასრულებდა მოქმედებებს, თითქოს და მთელი ცხოვრება ამ საქმეში გაუტარებიათ: ეწიკებოდა და ეწეოდა მზის სხივის ქანდარას თუნგისკენ ასტიონი [illegible] ხანდახან ჩაბღაოდა ჭურჭელს [illegible] კახ, ოო, კახო!..

მზე მაღლა და მაღლა, ცის კიდურიდან, ცარგვალისკენ მიიწევდა. სხივიც ნელინელ, უკან და უკან მიცოცავდა, მოკლდებოდა, პატარავდებოდა, წვრილდებოდა. ასტიონს კი ეს ახარებდა, გამოვლიე და ეგ არისო...

მიდიოდა მზის სხივი თავის გზით, მისდევდა ასტიონი მსხვერპლს ფეხის ნაბიჯზე...

— კი მაგრამ, მჭირდება ეს მე? — შეეკითხა თავის თავს ასტიონი, — თუმცა... არავითარი თუმცა, არაფერში არ მჭირდება, აურაცხელი სიმდიდრე მაქვს. მაგრამ ოქრო მაინც სხვა ცდუნებაა, ეყაროს სახლის ყველა კუთხეში, რას მიშლის ხელს, ოქრო მაინც ოქროა, სწორი ხარ, ასტიონ, შენ არაფერი შეგეშლება! ნაღდი ხარ, ასტიონ! კი, ბატონო, ჰო, ბატონო! — დაიმოწმა ასტიონმა ასტიონი და უფრო გამალებით დაუწყო მზის სხივს ქაჩვა.

კარგადაც კი არ იყო მზის სხივი ჭუჭრუტანიდან გამძვრალი, რომ ხელების გაუჩერებელმა მოძრაობამ ასტიონს ილაჯი გაუწყვიტა, წონასწორობა დაკარგა და იატაკზე პირქვე დავარდა...

იქით ასტიონი ეგდო, აქეთ — მისი ოფლით ფსკერმოსველებული გამჭვარტლული თუნგი...

მზის სხივი ოთახიდან გაიპარა და ცას შეეკედლა...

გვიან-გვიან მომჯობინდა ასტიონი. ოფლი შეაშრა, გული საგულეს დაუბრუნდა, მერე ადგა, ლოგინთან მივიდა და გულაღმა გაიშხლართა.

— საინტერესოა, — ასტიონმა ხელი მაღლა ასწია და ისე შეეხმიანა ჭერს, — ფუტკარი ღამით ხედავს?! რატომღაც არ დავკვირვებივარ, არა, როგორც გუმანი მეუბნება, ვერ უნდა ხედავდეს და კიდევ კარგი, თუ ვერ ხედავს, თორემ

ხომ მთლად გადაყვებოდა სხვის სამსახურს, ისედაც წელში გაწყვეტილს უფრო დაადგამდნენ წელებზე ფეხს, სულს ამოაძრობდნენ. არა, საოცარი ვინმე რამე ხარ, ფუტკარო, რა გრჯის, რა გაწვალებს, რა გაქვს ისეთი ვალი, რა გაქვს ისეთი მისჯილი განგებისგან, რომ სულ უნდა იწვალო, ტყე-ველზე ეთრიო, ბეწვის ხიდებზე იბჟოტიალო, ოფლით მორწყა სიტკბოამოურწყავი ყვავილი, ინახო, ამარაგო და სხვამ, გადამთიელში ჩასახლებულმა კაცმა წარგტაცოს, თავის გუნებისად მიირთვას, იტკბილოს, იგემრიელოს, ილოკოს, ინერწყვოს, ვერ გამიგია თქვენი, რა ჯადო აქვს ისეთი ადამიანს, რომ მათ სამსახურში იძრობთ ორი დღის სიცოცხლეს! თქვენ, ფუტკრები ხართ თუ ვიღაც თავწახრილი მორჩილნი ან გასწავლით, ან ჩემივე ხელით გაგსრესთ, დიახ, გაგსრესთ, გაგანადგურებთ, ამოგჟლეტთ, სათითაოდ ამოგთვლით, თუ ვერ მოხვალთ გონს, მორჩა და გათავდა, ასე ვიზამ ამ საქმე მე, მე, ასტიონი!..

ფუტკრის ბედ-იღბალმა იმდენად შეაწუხა ასტიონი, რომ საწოლიდან დაფეთებულივით წამოვარდა, ლამპას ეცა, აანთო, ოთახის შუაგულში, სკამზე დადო და გარშემოვლა დაუწყო.

— ოო, კახ! ოო, კახ! სინათლე ლამპაში შევქმენი, გიბოძებთ, პატივცემულო ფუტკარნო, გიბოძებთ მხოლოდ იმისთვის, რომ ბნელში არ დარჩეთ ამის შემდგომ, თუ აქამომდე არ იცოდით, ვერ მიხვდით სინათლის ფასს, ახლა მაინც დაფიქრდით, სინათლე დიდი ძალაა, ძალა თვით სინათლეა, შეიძლება კარგა ხანს ვერც გაიგოთ, რა მაგიური რამ შეუძლია სხივს, მაგრამ ვიმედოვნებ, რომ მე ცოცხალი ვარ და პლიუს, დრო თქვენს ხელშია, ერთი ნაბიჯით უკან დახევა საუკუნეს უდრის, არავითარ შემთხვევაში არ გაბედოთ, თორემ ჯიშიანად ამოგაგდებთ პირადად მე, ასტიონი! ოო, კახ! ეეეე!.. — ისეთი გმინვა და შეძახილი აღმოხდა ასტიონს, რომ ფანჯრებმა ზრიალი დაიწყეს.

ღმერთმა უწყის, რამდენი წრე შემოავლო ასტიონის გახელებულმა, ფართო ნაბიჯმა სკამსა და მასზე დადგმულ ანთებულ ლამპას...

— იდეებს მიჩქმალვა არ უყვარს!— შეჰყვირა ასტიონმა ლამპას, — იდეები მოდიან და აღარ მიდიან, არც უნდა წავიდნენ, ადამიანი და იდეა ერთია, განუყოფელია, გაუხლეჩავია, ნურავინ დამაჯერებს, რომ იდეა კაცი არ არის, იდეა კაცია, მოქმედი, ხელშემართული, ენამჭევრი, ენაბრძენი, სულგრძელი, გზაგრძელი და აუცილებლად, აუცილებლად გზაგრძელი. იდეებს დიდი გზა აქვს და ამ იდეებს მე წარვმართავ, მე ვინახავ რომელიმე ჭურჭელში, მერე ვკოჭავ ობობას ქსელით!.. ოხ, ობობა, ობობა, დიდი შეჩვენებული ვინმე ხარ, შენი დროც დადგება, ერთხელ მოვიცლი შენთვისაც და გზას გაგიყენებ, წინ გაგიგდებ ცალყბად ნაჩუქარი ვირივით. ოო, კახ! ობობა, ობობა! — დაიღრიალა ბოლოს ასტიონმა, მაგიდას მუშტი დაჰკრა, მერე მის ძგიდეს კბილი ჩაავლო და ხვრა დაუწყო.

საკმაოდ მოფხანა კბილები მაგიდის თხელმა ფიცარმა ასტიონს და როცა გული მოიჯერა, ხელი მაღლა ასწია და რატომღაც წყნარად თქვა:

— კი მაგრამ, რა მოუვიდა იმ სკას, თავი რომ მოვქუცე, თაფლი რომ ამოვიღე და ბოთლებში ჩავასხი? ჰო, მართლა, ბოთლები, ბოთლები! კი მაგრამ, ბოთლებს რა მოუვიდა? დადგინდა, რომ ფუტკარი ვერ ხედავს ღამით, თუმცა კბენისთვის რა შეუშლის ხელს, მაგრამ ხომ ღირს ერთი, ორი, სამი, ხუთი, ასი და ორასი კბენა იმ სელექციური სამუშაოსთვის, მე რომ ვაწარმოებ? მოდექით და მკბინეთ, მღრღენით, ფეხებსაც ვერ მომჭამთ, მე ჩემსას მაინც გავიტან. ასტიონი, აბა, რის ასტიონი ვარ! ახლა შემიძლია დავადგინო, ხედავს თუ არა ფუტკარი ღამით, დიახ, წყალი არ გაუვა ამას! — თქვა ასტიონმა, კარი გააღო, აივანზე გავიდა, კიბე ჩაიჯლიგინა და სკისკენ გაემართა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასტიონს ძაღლი აედევნა, ფეხებშუ გაუძვრ-გამოუძვრა, მიეფლარსუნა, კუდი აქეთ-იქით უქიცინა, მერე კი გვერდით გაჰყვა.

კაცი ღობეზე გადავიდა, ძაღლიც გადაევლო ღობეს.

კაცი და ძაღლი სკასთან გაჩერდნენ. ყველაფერი ისევ ისე იყო, როგორც იმ დღეს დარჩა. ასტიონმა სკას თავი დაახურა, ბოთლები ხელის ფათურით მოძებნა, აიღო და სახლისკენ ჩქარი ნაბიჯით წავიდა. ძაღლი ახლა იქით გაედევნა პატრონს...

— კი, ბატონო, მსდიე კუდში, მკნოსე და მლოკე, მეფერე და მეფარისევლე, მაგრამ რისთვის, რა გრჯის, რამ დაგაბეჩავა, შე ლენჩო და ოხერო, ისე, რომ თავის შენახვაც არ შეგიძლია. შენნაირი სულდგმული მკვდარია! დიახ, შენ მკვდარი ხარ! შენ შენი სიცოცხლისთვის არ ხარ გაჩენილი, შენ სხვის სიცოცხლეს უნდა ემსახურო, სხვის მონა-მორჩილებაში და პირფერობაში უნდა ამოგძვრეს სული, შენ ძაღლი ტყუილად გქვია! ნუთუ ერთხელ არ დაფიქრებულხარ, რომ შენ მგლის მოდგმა ხარ. აი, იმ მგლისა, ასი დღე მშიერი რომ იწანწალებს და შენსავით არ იკადრებს გადანაგდები ძვლებისა და გამხმარი პურის ნატეხების ხვრას! მგელი იმიტომაა ბედნიერი, რომ მგელია, თავისი მგლობა შველის, სადაც გაეხარდება, იქ წავა, რასაც უნდა იმას შეჭამს, ათას ხაფანგს დაუგებენ, ეგებ დაიჭირონ კიდეც, ადამიანი ხომ მგელზე უფრო მგელია, მაგრამ მის სიცოცხლეს ვერაფერი შეედრება! შიმშილით კუჭს ამოიჭკნობს, მაგრამ მგლობას არ დაუთმობს არავის, დამიჯერე, ძაღლო, დამიჯერე, გეხვეწები, მართალს გეუბნები და დამიჯერე! თუ არ დამიჯერებ, ეშმაკსაც წაუღიხარ, რეგვენი მოხვედი და ეგრევე დარჩები! დამიჯერე რა, გეხვეწები, წადი აქედან, თავს უშველე. შენით იცხოვრე, დაუბრუნდი მამა-პაპას, ძალიან გეხვეწები, ძაღლი არა ხარ? დამიჯერე, რა! — ასტიონმა ბოლო სიტყვები ხმამაღლა უთხრა ძაღლს.

ძაღლმა ასტიონს უფრო დაუწყო კუდის ქიცინი. მერე ფეხებში აებლანდა და გვერდები მიაფხან-მოაფხანა შარვლებზე...

— შენგან არაფერი არ გამოვა, შენ პურის ნარჩენებით გაკეთებული ჯაჭვით დაბმულ ძაღლზე უფრო ნაკლები, არაძაღლი ხარ! — ჩაიქნია ასტიონმა ხელი და სახლში შევიდა.

ასტიონმა ბოთლები მაგიდაზე დააწყო. მერე ლამპა აიღო სკამიდან და ბოთლებს შუა ჩადგა.

— ეაუჰ, ამას რას ხედავს ჩემი თვალები! ოო, კახ! სელექციური სამუშაო შესრულებულია! შესრულებული! აქამომდე შრომით წელში გაწყვეტილი ჭიანჭველებიც გადაგვარებულან. საკუთარი ხელით მოპოვებულ სარჩოზე უარი უთქვამთ და მუქთა სანოვაგისთვის ბოთლებში კისრისტეხით ჩახლეწილან! კარგია ხომ სხვის ნაშრომზე ცხოვრება?! მე თქვენ გიჩვენებთ სეირს, თქვე დავიგინდარებულო მამაძაღლებო! — ბოლო სიტყვები ისე შეიყვირა ასტიონმა, გარეთ ძაღლმა შიშით ყეფა ასტეხა.

— საცობი ამ ბოთლებს! ვნახოთ, სადამდე გეყოფათ ეგ მუქთა საჭმელი! მე თქვენ გასწავლით, რა არის გაუქნარება და რად ღირს საკუთარი ხელით მოპოვებული ლუკმა! ოო, კახ! — დააყვირა ბოთლებს ასტიონმა, მერე კარადას ეცა, გამოაღო, რაღაც ჭინჭები მოძებნა, შემრგვალ-შემოამრგვალა, საცობის მაგვარად დაგორგლა და ჭიანჭველებით ამოჩონჩხილ მინის ჭურჭელს საგულდაგულოდ დაახურა.

— ესეც ასე! — დაიყოლა ბოლოს, როცა ბოთლები კარადაში მოათავსა და ხელები დაიფერთხა.

●

მზე ის-ის იყო ამოიწვერა, რომ ასტიონი აივნიდან ეზოში ჩავიდა. იქაურობა რატომღაც ეჭვით მოათვალიერა. საკმაო ხანს უყურა ეზო-მიდამოს ალმა-

ცერად. მერე სამხილი ამოიღო ჯიბიდან, მარჯვენა თვალთან მიიტანა, მარცხენა მოჭუტა და ახლა მრავალწახნაგა შუშით უყურა ახლად სხივდაცემულ შემოგარენს.

— საშიშროება ჯერ შორს არის, დიდი გზა აქვს გამოსავლელი, სანამ ის რაიმე გოროზს გაიფიქრებს, მერე ჭკუის წვენში მოხარშავს, ნახარშს, წვენს და ბალღამს აქეთკენ გადმოანთხევს, მანამ მე დავასწრებ, მე უფრო შორიდან მოვდივარ, აბა, როგორ, ახლოდან მოსული ასტიონი ვის რად უნდა! კაკლის ხისა არ იყოს, ღრმად მაქვს ფესვი გადგმული, ისე ღრმად, რომ ჩემს ამოთხრა-ამოძირკვაში რაც მიწა ამობრუნდება, ორჯერ ეყოფა თავისი თავის დასასაფლავებლად, აბა როგორ, ასტიონი ვარ მე, ასტიონი! — გაჰყვირა ასტიონმა თავისი სახელი გაღმა-გამოღმეთს,

ექო ზრიალ-ზრიალით გაიბნა ხევხუვში...

ასტიონმა გრძელი ნაბიჯით რამდენჯერმე შემოუარა კაკალს, მერე უცბად შეჩერდა, სიპზე ჩამოჯდა, მარჯვენა თვალის წარბი მაღლა ასწია, ხელები მკერდზე დაიჭდო და რაღაც ფიქრში ჩაიძირა.

იქვე, ახლოს, ძველისძველი ხუხულა ბოსელი რომ იდგა, ძაღლი სანაკელესთან ჩაცუცქულიყო, ყურები წამოეყარა და რაღაცას გაფაციცებით უყურებდა.

ასტიონმა მზერა კუდმოქიცინე ძაღლზე გადაიტანა.

უყურებდა და უყურებდა ძაღლი რაღაცას თვალმოუხუჭავად...

— რა არის, ძაღლო, ძაღ? — შეეკითხა ასტიონი ძაღლს.

ძაღლმა პატრონის შეკითხვა ყურადაც კი არ იღო.

— პატივცემულო ძაღლო, რას მიშტერებიხართ, გთხოვთ, გაგვაგებინოთ, ეგებ ჩვენი ჩარევაა საჭირო, გაგვარკვიეთ, ძალიან გთხოვთ, ძალიანზე ძალიან! — უფრო მოწადინებულად დაელაპარაკა ასტიონი ძაღლს.

ძაღლი წინანდებური კუდის ქიცინით და გაშტერებული მზერით თავის ყიაში იყო გახვეული.

— ძაღლს ძაღლურად უნდა მოექცე... დიახ, მოექცე!.. ახლა მივალ, ერთ-ორ წიხლს ამოვკრავ და კუდამოძუებულს გავაგდებ იქ, საიდანაც მოვიდა, მოეთრია, მოწოწდა, ძობლოტიალდა, დიახ, მობლოტიალდა, თუმცა... რაფერ გავაგდებ, ჩემს სახლში ცხოვრობს, მე თვითონ გავუღე კარი, ერთად მივათრევთ გაწყვეტაზე მისულ წუთისოფლის ჭაპანს! ეჰ, ძაღლო, ვინ დაგარქვა შენ ძაღლი და აქედან გაქცეულ, ქალაქში ჩასახლებულ მეზობელს კი კაცი! ადამიანია ის? მეტი არ მოგეცა მტერი არც შენ და არც მე! წელიწადში ერთხელ მოეთრევა, წაუძაღლებს, წაართმევს საცოდავ ფუტკარს მთელი წლის ნაშრომნაწვალებს, ნადაგ-ნაოფლარს და წავა... მითხარი შენ, ამოიღე ხმა, მაგნაირ კაცს კაცი ჰქვია?!.

ძაღლს ყურიც არ გაუნძრევია...

— მიპასუხე, ძაღლო, მე შენ გეუბნები. ბიჭოს, უყურე შენ ამ ოხერს, ძაღლადაც კი არ მაგდებს ამხელა კაცს ეს მამაძაღლი, ესა! — ვული მოუვიდა ასტიონს, ფეხზე წამოიჭრა, გაგულისებული ფართო ნაბიჯით ძაღლთან მივიდა, ჩაიმუხლა და მოჭუტული თვალები ძაღლის მიშტერებულ მზერას გააყოლა.

— ოჰ! ოჰ! დედა! დედა! ეს რა ვნახე! ეს რა ვნახე! ეს რა აღმოჩენა მაჩუქა ჩემმა მეგობარმა! — შეიყვირა ასტიონმა და სიხარულისგან ადგილზე ბუქნა დაიწყო.

ძაღლს პატრონის შეყვირებამ წამოყრილი ყურები ძირს ჩამოაყრევინა.

ასტიონი კიდევ უფრო ახლოს მიჩოჩდა სანაკელესთან, ისე უყურებდა გამხმარ ნეხვს, გადმოყრაზე მომდგარი თვალები ძლივსძლივობით ეჭირათ უპეებს... ფუნახვეტიები არაფერს და არავის არ უყურებდნენ, თავისი ოფლის სუნი და გამხმარი ნაკელის გემო ყველაფერს ერჩიათ...

— ცოდვილნი, უბადრუკნი!.. შეხედე, ძაღლო, დააკვირდი, მაგათთვის ჩვენ

არაფერს არ წარმოვადგენთ, ჩვენთვის კი ყველა წვრილმანიც საჭიროა, ამათი გამოკვლევით ახალ სელექციურ სამუშაოს შევუდგებით, შეხედე, შეხედე, კარგად შეხედე და დააკვირდი, ეგენი თავით არც ფიქრობენ და არც მუშაობენ, ფეხით და მხოლოდ ფეხით! ნახე, ნახე როგორ აგურგუსალებენ ფუნას, მერე უკანალით შეტრიალდებიან და უკანა ფეხებით მიაგორებენ და მიაგორებენ, მაგრამ სად? მიპასუხე ძაღლო, ამიხსენი, რა ხდება! ვერ მპასუხობ? ვაი, შენს პატრონს! ამათ ვუჩვენებ სეირს! ამათთვის ასპარეზი არ შეიძლება, ფეხები სასიარულოდაა გამოგონებული და არა საფიქრებელ აპარატად, მე თქვენ გიჩვენებთ, გასწავლით ჭკუას! ოო, კახ, ოოოო! — დააყოლა ასტიონმა თავისი ჩვეული გმინვა ფუნახვეტიების მუხლჩაუხრელ ჭაპანწყვეტას, მერე აღიმართა, შებრუნდა, სახლისკენ გაიქცა და კიბისა და აივნის კუთხეში თავწახრილი მიიმალა.

— აქ მთავრდება თქვენი ასპარეზი, ოო, კახ! — ამოიყვირა ასტიონმა აივნის ქვეშიდან, მერე გამოძვრა, მოგრძო ყუთი გამოიტანა და სანაკელეს მიაშურა.

ძაღლი ხან ასტიონს უყურებდა, ხან— ფუხახვეტიებს.

— თქვენ აქ მობრძანდებით, ბატონო, თქვენ კიდევ — აქ. თქვენ — იმ კუთხეში, ისინი კი ცოტა მარჯვნივ გაწოლაგდებიან. — ელაპარაკებოდა ასტიონი შავ, საკმაოდ მოზრდილ მწერებს და თან ყუთში ათავსებდა თავიანთი შეკოწიწებული, შეგურგუსალებული ფუნებით.

ძაღლმა ახლა ყუთზე გადაიტანა მზერა.

ასტიონმა ფუნახვეტიები ყუთში განალაგა, საშუაგულეო ადგილზე ნაკელი საკმაოდ ჩაყარა, მერე ყუთს ხელი წამოავლო და სახლისკენ წაიღო. კიბესთან შეჩერდა, ნადავლი მიწაზე დადო, მერე ეზოს სახეხიდან ჩაქუჩი, ლურსმნები და ლურსმნები... ფიცრები გამოიტანა.

— ვერ მიხვდი ხომ, რა უნდა გავაკეთო? აი, უყურე, — უთხრა ძაღლს ასტიონმა, — ამ ფიცრებს დავხერხავ, საგულდაგულოდ დავაჭედავ, ისე, რომ ვერ ამოძვრნენ, მზის სინათლე ვერ ნახონ, მერე სახლში შევიტან და კარადაში პეპლებისა და ჭიანჭველების გვერდით მოვათავსებ. სელექციური სამუშაო ამას ჰქვია, გეთაყვა, აბა, როგორ, არ იცოდი თუ? ვაი, შენ რა გითხრა, სულ ვერ ერკვევი ცხოვრებისეულ საკითხებში, მაგრამ დრო მოვა და გამოიქექები, გამოიძაღლები! — შემართულად ელაპარაკებოდა ასტიონი გაურკვევლობით ყურებჩამოყრილ ძაღლს.

ასტიონმა ყუთს სახურავი მაგრად დააჭედა, მერე ძაფით ირგვლივ შემოკოჭა, ფრთხილად აიღო, ოთახში შეიტანა და კარადაში მოათავსა.

— ესეც ასე! ყველაფერი რიგზეა! — დაარწმუნა თავისი თავი ასტიონმა, მერე დინჯად გავიდა აივანზე, სვეტს მიეყრდნო და ცას დაჟინებით დაუწყო ცქერა.

ძაღლი კიბის მესამე საფეხურზე ჩაცუცქულიყო და სივრცეში მოფარფატე ჩიტებს აკვირდებოდა. ასტიონმაც კარგა ხანს უყურა ჩიტებს, მერე ძირს ჩავიდა და კაკლის ხისაკენ გაემართა.

●

მთელი ღამე იდავიდარაბა წვიმამ. გამთენიისას ქარმა ასასივით ჩამოუარა მთებსა და ღელეებს, უკუღმართი ხელი დარია იქაურობას, კბოდეებს წააგლიჯწამოაგლიჯა ღრუბლები, ქარავნებად დააწყო და პირუტყვივით წინ გაირეკა...

ასტიონი ფეხად აჰყვა გათენებას, აივანზე ჩვეული ბოლთა დასცა, მერე უცბად შეჩერდა, ცალყბა მზერა მოავლო წვიმისგან დაჭეჭყილ ეზო-მიდამოს და რაღაცისთვის თუ ვიღაცისთვის ხელი სამჯერ-ოთხჯერ ჩაიქნია, მერე შეძახილი მიაყოლა ჩაქნეულ ხელს: ოო, კახ! ოო, კახ! მიდი, მოვდივარ!..

ასტიონის შეძახილზე ძაღლი აივნის

ქვეშიდან გამოძვრა, ნაწვიმარ ეზოსა და პატრონს ერთად გაეზმორა, მერე კიბესთან მივიდა, მეორე საფეხურზე ჩაცუცქდა, ერთი ორჯერ გულიანად დაამთქნარა, მერე და მერე კი ასტიონს უყურა დაჟინებით.

ასტიონი აივანზე იდგა, ცალი ხელი სვეტზე მიეყრდნო და გაღმა, ჩანისლულ მთას მიშტერებოდა.

ხევ-ხუვიდან ნისლები ზევით-ზევით მიბობღავდნენ, ერთმანეთში იხლართებოდნენ, იწეწებოდნენ, მერე ისევ იშლებოდნენ და უხმაუროდ ტოვებდნენ იქაურობას...

ასტიონი უცბად რაღაცამ შეაკრთო, სვეტს მოაცილა ხელი, გასწორდა, გაიჭიმა, კარგა ხანს იყო ისე ასვეტილი და სუნთქვაშეკრული, მერე ადგილს მოსწყდა, კიბე ჩაირბინა, ღელის პირს მივიდა, შეჩერდა და გაღმეთს გადმოცვენამდე ქცეული თვალებით მზერაამოურწყავი ჟინით უყურა.

ძაღლი მიცუცქდა პატრონის გვერდით და ფეხებზე გაეხლარცუნა.

— ხელს ნუ მიშლით, ბატონო, გთხოვთ, მაცალოთ! — ბრძანებანარევი კილოთი შეეხმიანა ძაღლს ასტიონი ისე, რომ არც განძრეულა, მდგომარეობა არ შეუცვლია.

ძაღლმა აპრეხილი კუდი გააქნ-გამოაქნია, პატრონს შეუყეფა და მერე მკერდზეც აეტოტა.

— გითხარით, ხელს ნუ მიშლით-მეთქი! ოო, კახ! აღმოვაჩინე! აღმოვაჩინე! შეხედე, მეგობარო, გაღმეთს გახედე, კბოდეზე წამომართულ სქელ ნისლს დააკვირდი, ზუსტად მე მგავს, ნისლი ჩემი ქანდაკია! შეხედე, შეხედე! — შეუყვირა ასტიონმა ძაღლს, მერე კისერში ორივე ხელი ჩაავლო, მაღლა ააპორწიალა, მთისკენ უქნა პირი, შეანჯღრ-შემოანჯღრია და კიდევ შეჰყვირა: — მე მგავს, მე გამომაქანდაკა ბუნებამ, მე! მე! ასტიონი! ოო, კახ! შეხედე ძაღლო, შენი პატრონის ცოცხალი ანაბეჭდია! ოოოო! ოოოო! — განაგრძობდა ასტიონი ყვირილ-ღრიალს.

ძაღლი ფეხებს აფხარკალებდა, პატრონის ხელიდან დაძრომას ცდილობდა.

— მოიცა, ძაღლო, მოიცა, რამ გადაგრია, რა შოლოფორთი შეგიჯდა მატანსა და გულში, შენს მეგობარს ამაგი ბუნებამ დაუფასა, სელექციური სამუშაოებისათვის ქანდაკად აქცია, ახლა უფრო მეტად შეგიძლია იამაყო, გაღმა ჩემი ქანდაკია შენი პატრონი, თუმცა პატრონი არა, რა შუაშია პატრონი, მეგობარი და ძმა, გამოღმით კი მე ვარ, ცოცხალი ასტიონი! — ჩაქაქანებდა ყურში ასტიონი ძაღლს და ხელებს უფრო უჭერდა.

კბოდეზე წამომართული ნისლი ნელინელ აიწურა, ღრანტეებში ჩაიგრიხა, მერე თოვლის ზვავებისგან ჩამოღმეჭილ ფერდობს შეჰყვა და გაუჩინარდა.

— მეორე ასტიონი გაქრა! საჭრეთელი ძაღლო! ჩემივე ხელით მე თვითონ შევქმნი ახალ ასტიონს, ქვაში ჩავასახლებ! ოო, კახ! — დაიბრდღვინა ასტიონმა, შებრუნდა, ძაღლს ხელი გაუშვა და სახლისკენ გაიქცა.

შეშინებული ძაღლი საჩეხისკენ გაიძურწა.

ასტიონი კიბესთან შეჩერდა, ხელები მაღლა შემართა, საფეთქლები მოისრისა, წვერი მოიქექა, რაღაც გაურკვეველი ჩაიბურტყუნა, ორიოდეჯერ ტაში შემოჰკრა, მერე კი ხმამაღლა დააყოლა:

— საჭრეთელი რად მინდა, ჯერ ხომ ქვა უნდა ვიშოვო, მოვიტანო, მერე კი მე ვიცი და ჩემმა ოსტატობამ, სხვას ვერ ვენდობი, ჩემივე ხელით უნდა შთავბერო სული ჩემს ორეულს, მოდი, ძაღლო, მომეხმარე, წამიძეხ, შენ უკეთესი ყნოსვა გაქვს, ოო, კახ!..

ასტიონმა ჯიბიდან სამხილი ამოიღო, მარჯვენა თვალთან მიიტანა, მარცხენა საგულდაგულოდ მოჭუტა და ისე, გაუნძრევლად, კარგა ხანს იდგა.

— წავედით, ძაღლო, მომყევი! — ამოიყვირა ასტიონმა და ფართო ნაბიჯით სოფლის გასწვრივ წამომართული ქედისკენ გაიქცა.

ძაღლი ასკინკილით დაედევნა პატრონს...

ასტიონი პირდაპირ ციცაბოს მიადგა, მაგრამ კლდის ნაშალზე ფეხი მოუცურდა, უკან დაქანდა და ხელისგულები და მუხლები ერთიანად გადაიტყავა. მაინც არ მოეშვა, მეორე მხრიდან, ნაშურზე აბობღდა, თხებისგან დანაჭლიკნ ბილიკთან შეჩერდა, შებრუნდა და სოფელს იქედნური იერით გადახედა, მერე ხელები მოიფშვნიტა; სისხლი და ქვიშა ერთმანეთს შეეზილა და ზოლებად შემოეწყო წაგრძელებულ ხელის მტევნებს.

ქედის დაყვავებული, მეჩხერი ბუჩქნარის ირგვლივ უზარმაზარი, ვეებერთელა ქვის ლოდები ერთიერთმანეთის მიჯრით ეყარა.

ასტიონს სიხარულის ჟრუანტელმა თავით-ფეხამდე დაურბინა და ხმამაღლა წამოაყვირა: — ეჰეჰეე! ეჰეჰეე!

გავიდა და გამოვიდა. გაიწია და გამოიწია ეჰეჰეს ექო გაღმა და გამოღმა, სიგრძივ და სიგანივ...

შევარჩევ ერთ-ერთს, სოფელს მოვიხმარ, ხარ-ურემს გავაწყობ, ჩავიტან სახლში და მერე მე ვიცი. არა, კაცო, საკვირველი არაა? როგორ ახლოსაა ჩემს სახლთან, თითქოსდა სახლში მქონდეს, პირდაპირ ისეა, რა! ააშენა ამის აქ დამწყობი ღმერთმა, ყველაფერი ისეა, როგორც მინდა, როგორც ღმერთს უნდა! რა დროს გამომეცხადა ის კეთილშობილი ნისლი, დედა, დედა, სულ მე მგავდა, ასეთი და ისეთი რამ საერთოდ არ მინახია, არც გამიგონია, არც წამიკითხია, სხვას რომ თავი დავანებოთ, ზღაპრებშიც კი არ სწერია — ბუტბუტებდა ასტიონი და ხან ერთი ქვის ლოდზე წამოწვებოდა და ხელებს გადააშლიდა, ხან — მეორეზე, ზოგს სიმაღლეში ეტოლებოდა და მერე ხელს იქნევდა:

— არა, ამ ქვაში მე ვერ ჩავეტევი, ვერც იმაში, ვერც კიდევ იქით რომ არის! უფრო დიდი და უკეთესი უნდა გამოვძებნო. დროც ჩემს ხელთაა და ბუნებაც. კაცი მითხარი, თორემ ლოდს და ქვიშას რა გამოლევს დედამიწის ზურგზე, ოო, კახ! ოოოო!..

ასტიონი ჩამუხლილ ქედს ქვემოთ ჩაჰყვა, ნაყარ-ნუყარ ლოდების ნაშალს გადაალაჯ-გადმოალაჯა, სიგანით გავიდა და ერთ, უსაშველო დიდ, წამოყუდებულ, ჟამისგან დაყრონტილ ქვასთან შეჩერდა, საკმაო ხანს ათვალიერა, ზომა და წონა, მერე მივიდა, ქვედა მხრიდან მიუდგა, ზურგით მიეყრდნო, ხელები გაშალა და სიხარულით ერთი კიდევ გადაჰყვირა სოფელს:

— ოო, კახ! ვიპოვნე!.. ამიერიდან ქვას ვერ დაგიძახებენ, ასტიონი ხარ შენ! შენ უნდა იცხოვრო შემდგომად! ოო, კახ! ოოოო!..

ძაღლი ეჭვის თვალით უყურებდა ქვასა და ქვაზე ატოტებულ პატრონს...

— ამ ქვას სახლში არ ჩავიტან, უკვდავება აქ უფრო მაღალია. სოფელი აქ ამოვა კი არა, თვით ღმერთი ჩამოვა იმ დღეს, ოო, კახ! ამოიღე, ძაღლო, ენაძვირი. შეჰყეფე ცასა და მიწას, მერე კი მიდი და ემთხვიე კალთაზე მომავალ შენს პატრონს, რას გაშტერებულხარ, ამიტომ გზრდიდი? ვაი, ვაი, რომ შენს გონებამდე ვერ დავაწვრილმანე ეს ყოველივე, თუმცა რას გერჩი, ძაღლი ხარ და ძაღლურად გესმის! ოოოო!..

მიმწუხრამდე, ჩაუფერხებლად ატრიალა ხელკეტი ასტიონმა; იქაურობა მოფხოჭნა, მოღლოღჭნა, მოაქიაქავა. შემოსუფთავებული ლოდი უფრო მაღალი, უსაშველოდ დიდი გამოჩნდა.

— ხვალიდან კვეთას შევუდგები, საჭირეთელს საქმეს გავუჩენ, ჩემივე ხელით შევქმნი ასტიონს, მერე კი ყველაფერი თავისთავადია, აღარაფერზე ვიზრუნებ. განგებას შენივთებულ კაცს მეტი არ სჭირდება. ცხოვრების ფინალი ამ მერიდიანზე გადის, შენ ყველაფერი იცი, ასტიონ, არა და არაფერი გეშლება! ეეეე!

ძაღლი წამოდგა, გაიზმორ-გაიჭინთა, დაამთქნარა, მერე ასკინკილით ჩაირბინა. ქვასთან შეჩერდა, ლოდის ძირი მიყ-



ეროვნული ბიბლიოთეკა

ნოს-მოყნოსა, მარჯვენა ფეხი ასწია, მიაშარდა, მერე თავისივე შარდი ჯერ დაყნოსა, ნესტოები შეათამაშ-შემოათამაშა, ტუჩები გაილოკა და მშვიდად ჩაცუცქდა.

— ბოროტო! ბოროტო! დასტოვე აქაურობა! — შეუძახა ასტიონმა ძაღლს, წამოავლო ხელი ქვებს, წამოკრიფა და სროლა დაუწყო.

ძაღლმა კუდი ამოიძუა, გადაახტ-გადმოახტა მრავალწვეტა წვრილ-წვრილ ნაცრისფერ ქვებს და სახლისკენ ჩამავალ ბილიკს დაზაფრული იერით ჩაუსკინკილა.

— თქვენ პასუხს აგებთ ჩემს წინაშე, პატრონს ასე არ ექცევიან, თქვე ვიგინდარავ! — მიაძახა ასტიონმა ძაღლს, მერე ხელკეტს წამოავლო ხელი და დანაშარდ ადგილს დააცხრა, მიქექ-მოქექა, მიასწორ-მოასწორა, ქვის ლოდი მიწით დაფხიკა და რამდენადმე დაწყნარდა.

— ხვალ-ზეგ, — განაგრძო ასტიონმა, — ამ ქვისგან ნაწილადებ ლუკმას უნდა ელოდო! ოოოო! ოოოო!..

დღენათელი ნელინელ მიილია...

— მაშ ასე, წავედი სახლში, — გაესაუბრა ქვას ასტიონი, — ჯერჯერობით უბრალო ქვად გტოვებ, ლოდად გტოვებ, ხვალ-ზეგ კი, როცა საჭრეთელს ავაწკრიალებ, სააქაოდ მოგაქცევ, სულს შთაგბერავ, ხმას ამოიღებ, ამეტყველდები, ახმიანდები, აბობოქრდები, თვალს გადაავლებ ქვეყნიერებას, დარწმუნდები, რომ შენი მერიდიანიც აქ გადის და უნდა ემსახურო იმას, რასაც ნაღდი კაცობა ჰქვია, რასაც სიცოცხლე ჰქვია, სიცოცხლე და მხოლოდ სიცოცხლე! — დაასრულა ასტიონმა ქვისა და საკუთარი თავის შეგონება და იქაურობა მძიმე ნაბიჯით დასტოვა.

●

ასტიონი ყოველ ცისმარეზე მიუყვებოდა აღმართს. უკან ძაღლი მისდევდა სუნვა-ყნოსვითა და მიშარდ-მოშარდვით. ჩატყვიებულ, ჩამუქ-ჩაშავებულ ლოდს მიადგებოდნენ თუ არა, ძაღლი თხილის ბუჩქთან მიცუცქდებოდა, ასტიონი კი ქვას აეტოტებოდა და ხე[illegible] პუნსა და ოუეუს ძახილს [illegible] მერე და მერე ლოდს ფხეკდა და ფხეკდა, ასუფთავებდა, წარმოჩენისთვის ძირს უჩიჩქნიდა, უთხრიდა, შემოგარენს — ბუჩქსა და ღორღს აცლიდა, ნაყარ-ნუყარს აქეთ-იქით ყრიდა და ხარაჩოს მაგვარ დირებანდს დირე-დირეზე აწყობდა.

არავინ იყო დამთვლელი იმისა თუ რამდენი მზიან-წვიმიანი დღე მოანდომა ასტიონმა ლოდის ირგვლივ ტრიალსა და ხარაჩოს კეთებას.

ერთ დღესაც გახარებულმა გადმოჰყვირა სოფელს:

— საჭრეთლის დრო დადგა! მომეცით საჭრეთელი! მომეცით ჩაქუჩი, მომეცით შვება, მაჩუქეთ დრო!... ჩემს თავს მე ვაქანდაკებ! ასტიონი შენ იქნები, შენ, ქვავ!..

...და ასტიონმა პირამოტეხილი პირთხელი, ხის ტარზე რკინის რგოლი რომ ჰქონდა შემოჭდობილი, ლოდს დაადო და ჩაქუჩი დაჰკრა... მსხიპა-მსხიპა ნაფცქვენები აქეთ-იქით მიმოიფანტა...

...ნიავმა აღმოსავლეთიდან დაუქირქილა, ქედს გადაევლო და იქით, კლდიანეთის მიღმა განიავდა...

...ისმოდა და ისმოდა ჩაქუჩის ჩაქაჩუქი და პირთხელის ზრიალი...

...გადიოდა და გამოდიოდა გაღმა-გამოღმა ოუეუს ექო...

...ნაფცქვენ-ნაფცქვენ აკლდებოდა ქვას, ბელტა-ბელტად ემატებოდა ასტიონს...

●

იმ დღევანდელი დილა არაფრით არ ჰგავდა იმის წინანდელ დილას — ფერმკრთალი მზე უღიმღამოდ ანათებდა, ღრუბლის ნაგლეჯები, აქა-იქ რომ შეკედლებოდნენ ცას, ხან აღმოსავლეთისკენ მიჩაქჩაქებდნენ, ხანაც — დასავლეთისკენ. არც ნიავ-ქარს ეძინა ყურზე—

მიჰქროდა და მოჰქროდა წალმა და უკუღმა...

ის იყო, სამხრობა სამხარს მორჩა, რომ ასტიონი ქედზე ავიდა, თავის ლოდს ერთი ორჯერ შემოუარა, მერე შედგა, ხელები მაღლა ასწია, გადმოცვენამდე მომდგარი თვალები სოფლის ბოლოს დააშტერა და უცნაური ხმით ამოიხივლა:

— ხვალ დილით სოფელს ჩამოვუვლი, კარი-კარ მივაკაკუნებ, მივაბრაგუნებ, შევყრი დიდსა და პატარას, ყოველგვარ სულდგმულს ვამცნობ ასტიონის ქვაში ჩასახლებას, ოო, კახ! ხვალიდან შენ იქნები ნამდვილი ასტიონი, მე კი გავქრები, უსასრულობას მოვძებნი და იქ ჩავიკარგები, ოო, კახ! მიდი, ასტიონ. მიდი! — დააყოლა ბოლოს, ლოდთან მივიდა, გაშლილი მარჯვენა ხელის მტევანი ლოდზე დაატყაპუნა, მეორე ხელიც გაშალა, ზევით-ქვევით აუსვ-ჩამოუსვა ხორკლიან ქვას, მერე სოფლისკენ იბრუნა პირი, მონერწყვილი ლოყებქვეშა ჯირკვლები მოწურა, მოჭუტული ტუჩები ოდნავ გაალო და დანაწკბოლი გამოაფურთხა...

...სოფლის თავში ძაღლები აყეფდნენ, მერე ყეფა-ღავღავმა მთელ სოფელს ჭიშკარ-ჭიშკარ ჩამოუარა...

ასტიონმა ერთხელ კიდევ შეხედა ლოდს, თვალი აავლ-ჩაავლო და დაღმართს ჩაედევნა. საცალფეხო, წელში გაწყვეტამდე მისული ბილიკი შემინდვრებამდე ჩაუძლვა, მერე კი ბალახ-ბულახსა და ეკალ-ბარდში გაუჩინარდა.

ძაღლების ყეფამ ერთი-ორად იმატა, კრუხ-წიწილი აკრიახ-აწრიპინდა, ხბორებმა ბღავილი მორთეს, გოჭებმა ისეთი ჭყივილი ატეხეს, გასაკვირად მოეჩვენებოდა კაცს.

ღელის შეფერდებაზე ჯერ ძროხებმა ჩამოირბინეს ზმუილით, მერე ხარებმა და ბუღა-მოზვრებმა.

ასტიონი შეჩერდა, მიაყურადა, თვალიააყოლ-დააყოლა ზევით-ქვევით სირბილზე გადასულ პირუტყვს, მერე გაიცინა და ყვირილი მორთო:

— მიდით, მიდით, ირბინეთ, იბღავლეთ, იკრიახეთ, იჭყივლეთ, ოო, კახ! გაგიხარდათ, ხვალ რომ ჩემი ზეიმია, ხომ?! მიდით, შეატყობინეთ თქვენს პატრონებს, მიდით, მიდით! რა არის ეს ქვეყანა, კაცო, პირუტყვიც კი მეტყველია, მათაც კი უხარიათ პატარა რაიმე! თქვენ გაიხარეთ, ასე რომ გიხარიათ ჩემი ხვალინდელი დღე! ოო, კახ! ოოოო! ოოოო!..

შარაზე ფაფარაყრილი ცხენები დლაგადლუგით მიჭენ-მოჭენობდნენ, ყალყზე დგებოდნენ და უსაშველოდ ჭიხვინებდნენ.

— ეჰეჰეე! ეჰეჰეეე! მიდი, მოვდივარ! ეჰეჰეე! ეჰეჰეეე! — გადმოსძახა ცხენებს ასტიონმა და დაღმართზე კისრისმტეხით დაეშვა.

ნიავი ქარად იქცა, ზევიდან ქვევით დაუყვა, ღელეებს ჩაუქირქილ-ამოუქირქილა, გაუსისინ-გამოუსისინა, ფოთლებს შრიალ-შრუალი აუყენა და ისევ აღმა აჰყვა ასარბენს.

ასტიონი ეზოში შევიდა, ბლის ხესთან შეჩერდა, შებრუნდა, ქედს ცივი მზერა მიაშტერა, კარგა ხანს უყურა და უყურა და როცა ჟინი ამოიძლო, გაუგონარი ხარხარი აუტყდა.

ოკრობოკროდ წამოფიცრულ შეშის საჩეხში დაბმული ძაღლი ისე ცმუკავდა, ყეფდა და ყმუოდა, რომ შეგეცოდებოდათ...

— რა იყო, ძაღლო, რამ შეგაწრიალა? გიხარია, ხომ? გაიხარო უნდა! შენი პატრონი იქ გადასახლდა, აი, იქ, ზევით, გაიხედე! — ასტიონმა ძაღლს ხელი მოჰკიდა და ჭუჭრუტანიდან ქედისკენ გაახედა.

ძაღლი პატრონის ხელის შეხებაზე უფრო გახელდა, კბენაც კი დაუპირა მარჩენალს.

— ვირო! — შეუძახა ასტიონმა, — ვის უნდა უკბინო არ იცი? ეიტ, შე მამაძაღლო, რეგვენო! უყურე შენ?! ბაჭოს!..

ძაღლმა ახლა ჯაჭვს ჩაავლო პირი და ღრღნა დაუწყო...

ასტიონმა სახეხი დასტოვა, ისევ ბლის ხესთან მივიდა და ცას ირმიცლად ახედა.

—- ეჰ! უყურე შენ! რა ამბავი მიმოფრენა და ჩხავილ-ჩხივილი გაუდით ფრინველებს! ვაა! მაგათაც გაუგიათ ჩემი ამბავი და მიტომ დამტრიალებენ თავზე. იფრინეთ, იფრინეთ, იმღერეთ, იბუბუნეთ, ილავლავეთ! მიდი, მოვდივარ, ოო, კახ! ოოოო! ოოოო! — შეუძახა ასტიონმა ცას.

რაც უფრო ღამდებოდა, ძაღლი მით უფრო გლეჯდა იქაურობას...

— რა იყო, შე ღმერთძაღლო, კი, ვიცი, გიხარია, მარა, თუ აგრე გააგრძელე, დილამდე ვერ მიაღწევ, გული გაგისკდება. კაი ახლა, დაწყნარდი, დამშვიდდი, ამოითქვი სული, რავა ბრიყვივით იქცევი, არ გეკადრება ნამდვილად, კი! — შორიდან დაუყვავა ძაღლს ასტიონმა. მერე კიბეზე აირბინა, ოთახში შევიდა და კარი მაგრად მიაჯახუნა.

ცხენებმა იქით, გაღმისკენ გაითოხარიკეს, გრძელი ჭიხვინი დასცეს იქაურობას და თვალს მიეფარნენ...

ასტიონი საწოლზე წამოწვა, გულზე ხელები დაიკრიფა, თვალები მილულა და გათენების მოლოდინს მიეცა.

●

შუაღამისას მიწას უსაშველო ყრუანტელმა დაუარა — შეიძრა მთა-ხევი, ხევ-ხუვი, ღელე-მინდორი, ტყე-ველი, ცოცხალი და მკვდარი...

სოფლის გასწვრივ წამომართულ ქედს ნერვი გაუწყდა — ლოდებმა ადგილი მოინაცვლეს, მიეხალ-მოეხალნენ, ხავსიანი გარკანი შეაგლიჯ-შემოაგლიჯესა და მიუქმურშ-მოუქმურშნეს ერთიერთმანეთს...

გაწყვეტილმა ნერვმა ძირგამოთხრილ ქვის ასტიონს უფრო მეტად დარია ხელი, სამიოდ არშინზე ირირმირცლად დააცურა და მერე ქვამ, თითქოს ფეხი აიდგაო, ერთი ნახტომი გააკეთა, შემინდვრებაზე ეკალ-ბარდში გახვეულ ბილიკზე დაიბუქნა, მერე კი დაფერდებაზე გაჯავრებული სიკვდილივით რამდენჯერმე დაიმუხლა და დაიმუხლა, ასტიონის ფარღალალა სახლს დაეტაკა, იქაურობა ჩამოაქცია, კიდევ ერთი დამუხლ-დაბიჯგნება მოასწრო ბლის ხესთან, მერე ცალყბად დაკიდებული ჭიშკარი გადააფინა შარას და სიბნელით ხახაამოვსებულ ხევში ჩაინთქა.

მჭვარტლივით შავი ღამე და შეშის სახეში დაბმული ძაღლი იყო ყველაფრის მოწმე...

# „თებროლე მიდის წყალზედა..."

ᲙᲐᲠᲒᲐ ხნის დამთავრებული იყო ომი, დოროთე რომ დაბრუნდა სახლში. ასევე გვიან დაუბრუნდა კერას აკაკიც. ორივემ თითო ფეხი და ორ-ორი ყავარჯენი ჩამოიტანა ომიდან, თუ არ ჩავთვლით ნაწილის რამდენიმე მადლობას და მედლებს, მკერდზე რომ ეკიდათ მაშინ.

... დოროთეს მარცხენა ჰქონდა მოკვეთილი ბარძაყის მიჯრილთან, აკაკის კი — მარჯვენა...

ჯერ კიდევ დენთის სუნით, ბოლითა და ოხრობით იყო გაჟღენთილი ცა, მაგრამ სოფელმა სული მაინც მოითქვა — კანტიკუნტად გამოჩენილმა ომგადახდილმა ბიჭებმა საქმეს მოჰკიდეს ხელი: დაიხნა, დაითესა, შემოკავდა ღობე, სახურავი შეექცა სახლს, ჩამოღმერთილი ჭიშკარი ისევ ჩამოიკიდა, მამალიც უფრო გულიანად აყივლდა. ერთი სიტყვით, ყველაფერი ისე დგებოდა ერთიერთმანეთის გვერდით, როგორც გამარჯვებულ ქვეყანას შეშვენოდა...

...ერთ მშვენიერ დღეს დოროთემ ცოლი შეირთო, ლამაზი, კარგი ჯანიანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქალი. კაცის საქმესაც რომ აკეთებდა ყანა-ვენახში, სწორედ ისეთი.

— შენზე ნაკლები რითა ვარო! — უთხრა აკაკიმ დოროთეს და რამდენიმე თვის შემდეგ ისიც დაქორწინდა.

...ორიოდ თუ სამიოდ კვირა არც კი იყო ქორწინებიდან გასული, რომ აკაკი ცოლისძმამ ქალაქში წაიყვანა: ხეიბარი კაცი ხარ, აქაური ხვნისა და თოხნა-მკის რა შეგიძლია, იქ ხელობას ისწავლი, რაცხას იჩალიჩებ და უკეთ იცხოვრებო.

დოროთეს სოფელი ქვეყანას ერჩია, არსაით არ მიუწევდა გული, იჯდა სახლში, ტკეჩდა თხილის მოხელილ სახრეებს, მერე წნავდა ნაირ-ნაირ გოდრებსა და კალათებს, მიჰქონდა ყოველ კვირას ბაზარში და საკმაო ნავაჭრითაც ბრუნდებოდა...

უკეთესი დილა ომის დამთავრების შემდეგ, ალბათ, არც გათენებია დოროთეს, იმ დღევანდელი დღის დილა რომ გაუთენდა — მამლის ყივილზე მეულეებ, ეშანას რომ ეძახდნენ, კივილი მორთო. აფორიაქდა სოფელი, შეიქნა ბებია ქალების გადაძახებ-გადმოძახება, ეიშვიში, ქვეშსაგებ-საფარებლის მიმოძებნა და ერთი ორომტრიალი. ის-ის იყო მზე ქვეყანას თავზე წამოადგა, რომ ბიჭი დაიბადა. სიხარულისაგან დოროთე ჯერ ატირდა, მერე ალრიალდა, იასკინკილა აქეთ-იქით, დარაბასა და სვეტს სიხარულით მომუჭული მუშტები უბრაგუნა, კბილები ალრჭიალა...

აუწერელი იყო დოროთეს სიხარული...

მეზობელმა დატენილი თოფი მიაწოდა, ისროლე, ქვეყანას ბიჭის დაბადება ამცნეო.

დოროთეს თოფის დანახვაზე საქციელი წაუხდა, გუნება აუმღვრია ომისა და სისხლისღვრის წარმოდგენამ; მოკვეთილ ბარძაყზე ხელი დაიტყაპუნა, თოფიდან ვაზნები გამოიღო, ტლაპოში მოისროლა, მერე ლულებზე დააფურთხა, ეშმაკის მოგონილიაო, დააყოლა და კუთხეში მიაგდო.

— ეჰეჰე! — ერთი შეუძახა ქვეყანას, მერე კიბის საფეხურები ჩათვალა, მარანში შევიდა, ქვევრთან ჩაიმუხლა, მარცხენა ხელით სკამს დაეყრდნო, ორჯვენათი კი ჭური მოხადა, მოჩარ-ხრიკი აავსო, ეზოში გაიტანა, მზეს შეხედა, ლოცვა ჩაიბუბუნა, ნახევარი დალია, ნახევარი კი თავზე ჩამოისხა, მერე წარბ-წამწამ-ულვაში ჩამოიწმინდ-ჩამოიწურა და კიდევ შეიყვირა ნახევრად სიმღერისა და მუქარის მაგვარად: „კიდევაც დაიზრდებიან!“...

სამეზობლო გაოგნებული უყურებდა დოროთეს...

ბიჭს შავლეგო დაარქვეს...

მეტი საზრუნავი გაუჩნდა კაცს, ცოლი იმდენს ველარ ეხმარებოდა, როგორც უწინ. არ გამორჩენია სოფელს დოროთეს ამბავი. კოლმეურნეობის თავკაცებმა გამგეობის კრებაზე მზა საწყობის გამგედ აირჩიეს ხეიბარი.

ჩაიბარა საწყობი დოროთემ, დაჯდა გულმოდგინედ, მოიმარჯვა საწერ-საანგარიშო და შეუდგა საქმიანობას.

●

ქალაქში დასახლებული აკაკი სარდაფში მუშაობდა — ნავთსა და წვრილმან საოჯახო საქონელს ჰყიდდა. არ მოსწონდა კია, მაგრამ ხეიბრობას ვერსად გაურბოდა.

— არა და არა, ეს არ არის ჩემი საქმე, მთაში დაბადებული და გაზრდილი კაცი, ომს გადარჩენილი კაცი, ამ მიწურში რავა უნდა მოვკვდეო. — სულ ამას შესწუწუნებდა ცოლსა და ნათესავებს.

სამი წლის შემდეგ სამშობიარო სახლის კართან ატუზულ აკაკის რომ ახარეს ქალი კარგადაა, გოგო შეგეძინათ და ის მთლად უკეთესად არისო, სიმღერასავით წამოიძახა: „თებროლე მიდის წყალზედა, კოკა უდგია მხარზედაო“. ალბათ, ეს სიმღერა იყო ახალდაბადებულის ნათლია, გოგოს თებროლე დაარქვეს.

**ვაჟა ჩორდელი**
მოთხრობები

●

... კარგი მეგობრობა ჰქონდათ ომგადახდილ ხეიბრებს. დოროთე რომ ფეხსაცმელს შეიძენდა და მარჯვენას გულიანად მოირგებდა, მარცხენას აკაკის ან შეუნახავდა, სოფელში რომ მოვა ვაჩუქებო, ან კიდევ, მეტწილად, ქალაქში უგზავნიდა. არც აკაკი რჩებოდა ვალში — მარჯვენა ფეხის წუღასა თუ ჩექმას შეძენისთანავე დოროთესთვის გადადებდა. იყვნენ ასე გაგზავნ-გამოგზავნაში ერთი სოფლის მკვიდრნი, ჰქონდათ ალალი კაცის შეხვედრა ქალაქსა თუ სოფელში, უზომოდ უყვარდათ ერთურთი, ეძახდნენ ერთმანეთს შე ცალფეხაო და მერე ყოველ ჭიქა ღვინოზე, ომის მომგონს დასცინოდნენ და აგინებდნენ...

●

სოფლის მემატიანის, ორ ნაქმარევი, ოთხმოცდაათი წლის ეფროსინეს ნათქვამს თუ დავუჯერებთ, თებროლე თექვსმეტ-ჩვიდმეტი წლისა იქნებოდა, როცა აკაკი ყოველგვარი მოლოდინის გარეშე, სოფელს დაუბრუნდა: ჩამოიტანა ბარგი-ბარხანა, ჩამოიყვანა ცოლი და ორი შვილი (მეორეც გოგო ჰყავდა) და პაპისეულ კერაზე ცეცხლი დაანთო...

აკაკის დოროთეს მაგვარი ხელსაქმეობა არ ემარჯვებოდა. სოფელი, აბა, რის სოფელი იყო, თავის მკვიდრს, ისიც ქალაქიდან დაბრუნებულს, თუ არ უპატრონებდა. სოფლის ავ-კარგის განმგებელმა ქალაქის ორომტრიალს გამოქცეული ხეიბარი ჯერ საკარანტინო ჯიხურების უფროსად დანიშნა, მერე კი ფერმის გამგეობა დაავალა.

მთებში ჩაკარგული სოფლის პირობაზე არც თუ ისე პატარა თანამდებობა იყო ფერმის გამგის ადგილი.

აკაკი ისე საქმიანად შეუდგა მუშაობას, სოფელმა ისიც კი თქვა, სად ვიყავით აქამდე, რატომ უფრო ადრე არ ჩამოვიყვანეთ ქალაქიდანო...

იმ დღიდან, როცა აკაკის გოგო ფერიასავით გამოეცხადა სოფელს, შავლეგომ მოსვენება დაკარგა. დღე ერთი იყო და ათასჯერ მაინც გაივლიდა გულში თებროლეს სახელს...

... აქედან უტრიალა, იქიდან უტრიალა შავლეგომ თებროლეს, მერე არც აცია, არც აცხელა, დაჯდა და სატრფიალო წერილი მისწერა...

თებროლემ წერილის ავტორს არა უპასუხა რა. შავლეგომ კიდევ გაუგზავნა წერილი აკაკის გოგოს. მეორე წერილიც უპასუხოდ დასტოვა თებროლემ — რაებ-რაებს ჩხაპნიო, ასეთი რამეც კი არ მიუწერია...

შავლეგო რის შავლეგო იყო, ამ საქმეს თუ ერთი ხელის აქნევით მოეშვებოდა. ის კი არა და, მეხუთე დღეს, საწვიმარი ღრუბლებით გაძეძგილ საღამო ხანს, როცა თებროლე აკავანას ხევში ძროხებს მოერეკებოდა, წინ გადაუდგა:

— გამარჯობა, თებროლე!

— გაგიმარჯოს!

— ამ გზაწვრილებზე სიარულის არ გეშინია?

— არა!

— მაგარი გული გქონია!

— დიახაც!

.....

— კი, მაგრამ, რას დაიარები ამ ტყეტყე უსაქმურად, საქმე გამოგელია? — მოულოდნელი კითხვა დაუსვა გოგომ ბიჭს.

— სიყვარულს ვეძებ...

— ჰოო?!

— კი!

— ნათქვამია, ვინც ნამეტანს ეძებს, უფრო მეტს ჰკარგავსო...

— დასაკარგავი არაფერი მაქვს, საპოვნი კი...

— ჰოო?!

— კი!

— მაშინ რაღას ეძებ, იყავი მშვიდად სახლში და...

— არავითარი და... — შეაწყვეტინა ბიჭმა — შენ გიპოვნე... თავისთავად გიპოვნე... უნებლიედ... აი... ისე... რა

ვიცი... — სიტყვას ძლივს აბამდა სიტყვაზე შავლეგო.

— ჰოო?

— ჰოო...

— კი მაგრამ,—რაღაცის თქმა უნდოდა გოგოს, რომ ამ დროს გზის პირას, დაღმართზე, ჯერ ძაღლებმა ჩამოკინკლავ-ჩამოითამაშეს, მერე კი მათი პატრონი, მონადირეობაზე თავგადაჩემებული ლიკლიკაანთ სოსია ჩამობლაყუნდა.

შავლეგოს სოსიას გამოჩენა არ მოეწონა.

მონადირე თანასოფლელებს აემგზავრა.

შავლეგომ თებროლესკენ რამდენჯერმე გააპარა თვალი, მერე კი ხელი ჩაიქნია.

თებროლე არავის და არაფერს არ უყურებდა, კუდში მისდევდა ძროხებს...

გზა ისე მალე ამორწყა ნაბიჯმა, რომ სოფელი თვალის მიხედვ-მოხედვაში გამოჩნდა. ბილიკებსაყარზე თებროლე თავის გზით წავიდა, შავლეგო თავის ბილიკით...

●

სოფლის მაღაზია მაშინ იყო ღია, როცა ნოქარს ეცალა, ან მაშინ, როცა ვინმეს რაიმე სჭირდებოდა. გასაღები ნოქრის ცოლსაც ჰქონდა და შვილსაც... ერთი სიტყვით, სოფლის სავაჭრო ცენტრი, გამორაზულ-გამოხურული არასდროს არ ყოფილა.

მაღაზიაში სხვადასხვა ზომის ლურსმნები, თოხები, ბარები, რაღაც-რაღაც ჭინჭები და, რაც მთავარია, ღვინო და ოკეანეებში ოდესღაც მოპოვებული, ალუმინის კოლოფებში საგულდაგულოდ გამოჭყლეტილი თევზის კონსერვები იყიდებოდა.

წვიმიანი ამინდი ანდა საწვიმრად ჩამოქუფრული დღე ყველაზე კარგ სავაჭრო დღედ ითვლებოდა. მაშინ ეცალა ამვლელსა თუ ჩამვლელს, სოფლის დიდსა თუ პატარას, მსმელსა თუ არა მსმელს.

სმა და ქეიფი სულ მარტივად იწყებოდა ხოლმე:

— ორ შუშას მე ვკისრულობ! — დაიძახებდა ვიღაცა ხმამაღლა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— სამი ჩემგან მოდისო! — წაეშველებოდა მეორე.

— ცოლმა ერთი ბოთლის საყიდელი ფულის მეტი ყველა წამართვა, თუ მიმიღებთ, მოვდივარ იმასაცო! — ბანივით იტყოდა მესამე.

მორჩა და გათავდა, სახელდახელოდ იწყებოდა ქეიფი...

იმ დღესაც, როცა შავლეგო თებროლეს დაუხვდა, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ცა საწვიმარი ღრუბლით იყო სავსე. სამუშაოდ, აბა, ვინ გაადგამდა ფეხს. ვისაც კი სახლის საკაცო საქმეები მოეთავებინა, მაღაზიაში შემძვრალიყო და წელში გამოყვანილი ჭიქებით მშობელი დედისა და კუთხე-კუნჭულის სადღეგრძელოებს სიამოვნებით წრუპავდა.

ხეიბრებიც იქ იყვნენ. დოროთე მარჯვნივ იჯდა გადაყირავებულ ყუთზე, აკაკი კი მარცხნივ. მთისას და ბარისას ყვებოდნენ, იგონებდნენ ათასნაირ ჭორსა თუ გადასულ ამბებს.

— თქვენ რა გიჭირთ, ერთმანეთს აფარებთ ხელს და ერთმა საწყობი გამოხარით, მეორემ კიდევ — ფერმაო. — ხუმრობით თქვა რომელიღაცამ.

ეტყობა, ეს ხუმრობა ორივემ სიმართლედ ჩათვალა და თავის დაცვა მოინდომა. სხვა არაფერი არ უნდა ყოფილიყო მათი წაკინკლავების მიზეზი: არც აცია, არც აცხელა, აკაკიმ პირველად უთხრა დოროთეს, საწყობის ჭია ხარო.

— წადი, შე გლახა, შენ! ფერმიდან მოპარულ ყველს ყველას ჩემი ფეხის ნომერი არტყიაო! — ნამეტნავად ნაწყენი და გამკილავი ენით უპასუხა დოროთემ აკაკის.

ეს იყო და აკაკიმ კიდევ უფრო მწარედ უკბინა, დოროთეც გაგულისდა,

აღარ მოერიდა ავსა და უშველებელ სიტყვას.

რამდენი არ სცადეს თანამესუფრენმა მათი დაწყნარება, მაგრამ, ნურას უკაცრავად, მდგომარეობა უფრო და უფრო დაიძაბა...

თებროლეს ისეთნაირმა პასუხებმა და მერე იმას მიმატებულმა, ლიკლიკაანთ სოსიას გამოჩენამ შავლეგოს გუნება მოუწამლა. სახლში რა ჯანდაბა მინდა, მაღაზიაში გავივლი, ხუთ-ექვს ბოთლს გავხსნი, სამიოდე ჭიქას დავლევ და მერე ან აქეთ წავალ ან იქითო. ამ ფიქრით მიადგა მაღაზიის კარს შავლეგო. იმთავითვე არ მოეწონა რაღაც უშნო ხმაური, მაგრამ მაღაზიაში მაინც შევიდა.

სანამ კამათის არსს გაიგებდა შავლეგო, ხან მამას, ხან აკაკის, ხანაც სხვა დანარჩენ მეზობლებს გაოგნებული თვალებით შესცქეროდა. ვერაფრით ვერ წარმოედგინა, ერთმანეთის სიყვარულში გალეული ხეიბრები ოდესმე თუ იჩხუბებდნენ.

— არა ხართ თქვენ კარგი ხალხი, არა ხართ კარგი მეზობლები! — შეუძახა მეზობლებს შავლეგომ, — აბა, ამათი წაკინკლავება იქნება? ვაი, თქვენ რა გითხრათ, თქვენ! გამოგაპენტერათ ღვინომ და ერთმანეთს დარიეთ ხელი, ხომ? — ახლა ხეიბრებს მიუბრუნდა შავლეგო.

— ადექი, მამა, წამომყევი, სახლში წავიდეთ! — ნახევრად ვედრებისა თუ შეფარული ბრძანების კილოთი უთხრა შვილმა და ხელი მკლავში წაატანა.

ეტყობა, მამა-შვილობა მაინც სხვა, უფრო ვაჟკაცური სიყვარულია. დოროთემ იმ წუთშივე მიიჩოჩა ყავარჯნები, ადგა და შვილს გაჰყვა...

●

დოროთესა და აკაკის წაკინკლავების ამბავი ეშანას ცალკე ჩამოუკაკლა ვიღაცამ, თალიკოს კიდევ — ცალკე.

სოფლის გრძელი ენის შესახებ ყველას კარგად მოგეხსენებათ, რაც იმ დღეს ითქვა, ვიღაც-ვიღაცები ორჯერ თუ სამჯერ უფრო მეტს ჰყვებოდნენ: დედა, ასეთ, ბეჩა ისეთ, [illegible] და აგიო...

იმ დღის მერე შავლეგოს სოფლის სანახშოზე ფეხი არ დაუდგამს. უნდოდა კია, მაგრამ რაღაც თუ ვიღაც ფეხს უბორკავდა...

სამიოდ კვირა ისე ჩამოილია, თებროლე არც უნახავს და არც წერილი მიუწერია. თითქმის ყოველდღე დადიოდა სანადიროდ, მიატანტალებდა და მოატანტალებდა ცალლულა თოფსა და ომიდან ჩამოტანილ ცალმხარგაფუჭებულ ბინოკლს.

შავლეგო როცა ნადირობიდან ბრუნდებოდა, სოფლის თავზე, ხასხასა გორაკზე ხანი-ხან წამოწვებოდა ხოლმე და ბინოკლით ეზო-მიდამოებს კარიკარ ათვალიერებდა. მხოლოდ ერთხელ შეასწრო თვალი თებროლეს, ერთი წამით, ეს იყო და ეს, მეტჯერ არ უნახავს...

ფიქრში ბევრჯერ გაივლო წერილის მიწერა, მაგრამ იმდღევანდელი ჩხუბის მერე საწერელი ვერა და ვერ მოიმარჯვა, არა და გული ერთი-ორად ეწიწკნებოდა...

●

დრო თავის აღმართს მიილევდა, თავისი წილი მიჰქონდა, მაგრამ თებროლე ვერც დროის წილში ჩაეტია და ვერც აღმართის მილევაში — დროისათვის ეცალა კი არა, ისეთი ჭიამხვრელი შეუძვრა არსებაში, დღედაღამ არ ასვენებდა.

— „არა, მაინც რად დასჭირდა ორიოდ წერილის დაჯღაბნა! თუ მეტის თავი არა ჰქონდა, რას იფხრიწებოდა, ვინ ეხვეწებოდა, — ფიქრობდა თებროლე, — ორი წერილი და ერთხელ გზაში გადადგომა ეყოფოდა სიყვარულის გამჟღავნებას? მე მგონი, მატყუებდა! შენი მოსატყუარი, შენივე ბრიყვი თავია, შე ნაცარქექია, შენა!"

ათიოდ მეტრზე, სახლთან ახლოს, ისეთი წყარო გამოდიოდა, უკვდავების წყალს არაფრით არ ჩამოუვარდებოდა, მაგრამ დღე ერთი იყო და თებ-

როლე სოფლის სანახშოზე სადღაციდან მოყვანილ წყალთან სამჯერ-ოთხჯერ ჩადიოდა, რათა შავლეგოს გადაყროდა და მისი თვალის მზერა დაეჭირა.

თმებსაც ხუთჯერ-ექვსჯერ ილამაზიკოპწიავებდა, სარკის წინ წალმა-უკუღმა ბზრიალ-ტრიალებდა, კაბებს კაბებზე იცვლიდა... ერთი სიტყვით, ყველაფერს აკეთებდა, რათა უფრო ლამაზი მოჩვენებოდა სოფელ-ქვეყანას.

სოფლის ჭორიკანა ქალებს არ გამორჩენიათ თებროლეს ესოდენ გამოკმაწნა. ვიღაცამ ერთხელ მის გასაგონად ასე უთხრა თანამოსაუბრეს:

— ეგ თუ შეყვარებული არ არის. თავს მოვიჭრით!

— დედა, ბეჩა, ვისზეო? — გამოკრა ყური მესამემ.

— ვისზეო და აი, იმაზეო... მგონი შავლეგოზეო...

— დედა, დედა, უყურე შენ, ალბათ, მაშინ, მალაზიაში მამამაგათებმა რომ იჩხუბეს, ეს ამბავიც იქნებოდაო შუაში. — მეოთხე ჭორიკანამ სიყვარული და ჩხუბი ერთმანეთში აურ-დაურია.

ასე იყო თუ ისე, სოფელი პურის ლუკმას გამოილევს და საჭორაოს არაო, ამის თქმისა არ იყოს, ცხელ გულზე სოფელს ჭორმა კარგი სტუმარივით ჩამოუარა, ლიკლიკაანთ სოსიას ყურამდეც მივიდა და იმან მთლად დაუკრა კვერი სოფლის ენას: რამდენიმე ხნის უკან ვნახე ეგენი ტყეშიო.

— უყურე შენ, იმიტომ დააქნევდა კურტუმოს მოხდენილადო! — არ იშლიდნენ აქტიური მეჭორიკნენი.

ამ ჭორმა ეშანას ყურამდეც მიაღწია. ახტა და დაეცა ეშანა, ისეთი დღე დაიყენა თავზე, რომ ბოლოს კინაღამ საჩეჩელზე დაჯდა.

— კვანჭლიან აკაკის მურთხს, უშნოდ რომ ამტლუკვილა, ჩემს სახლში როკორ გავაჭაჭანებო, მაშინამც ცა ჩამომექცესო...

არანაკლებ ქოქოლას აყრიდა თალიკო შავლეგოს. მერე კი გოგოს ტუქსავდა: სულ შემოგაბრდღვნი მაგ საოხრე ტანზე რაც კი გაბადია, იმ პირდაუბანელ დოროთეს ბიჭის ცოლობა რომ მოინდომოო...

ცალყბად უსმენდა აფხორილი შავლეგო დედას...

ასევე ცალყბად იყო ალანძული სვეტთან თებროლე...

●

ეშანას განრისხების ამბავი იმ დღესვე ჩამოუკაკლეს თებროლეს. სამხრობა სანამ მოაღწევდა, შავლეგომაც სიტყვასიტყვით იცოდა თალიკოს ნათქვამი.

შავლეგომ ჰაიჰარად თქვა: ვინ მამაძაღლია მის გოგოს ცოლობას რომ უპირებსო... არც თებროლე დარჩენია ვალში ენის მომტანს: ეგლა მაკლია, მჭვარტლივით გაჯანდრულ შავლეგოს გვერდში ამოვუდგეო...

ერთიერთმანეთზე ნათქვამ-ნაამბობი მზის ჩასვლამდე ორთავემ იცოდა. ერთი სიტყვით, ენას ძვალი რომ არა ჰქონდა და გაჰქონდა და გამოჰქონდა, სოფლის დამსახურება იყო...

... კარგად მოშუადღევებული არც იქნებოდა, რომ ეშანას ქვემოუბნელმა მეზობელმა შეატყობინა, შენი სიმინდის ყანას მგონი აკაკის ღორები ანიავებენო.

შეიცხადა ეშანამ, გავარდა გარეთ. ჭიშკართან ჯოხს წაატანა ხელი, მერე გზადაგზა თავსაფრით მაგრად გაიკრა შუბლი და ვაიუშველებელი წყევლაკრულვით ყანას მიადგა.

ახლად დატაროებულ სიმინდს, მართლაც, აკაკის ღორები თქვლეშდნენ და ხეპდნენ...

აკაკის ღორებმა უფრო გაახელეს ეშანა, გადარიეს, წყევლად და ქოქოლად აქციეს...

— რატომ არ მოგტყდება მეორე ფეხიც, აკაკი ყვანჩლიანო, ბარხლიანო, მოცქმუტულო, უდღეურო, თემის სიმდიდრის წამგლეჯო, სოფლის გლახაკო, შენა! შენი არ გადარჩენის წელი ყოფილიყოს, შენ დაგინატრულდა მეორე

სიმინდიანობა, შენა! — ღორებს დასდევდა ეშანა და თან ისე ხმამაღლა ქაქანებდა, მთელს თუ არა, ნახევარ სოფელსა თუ უბანს მაინც ესმოდა.

თებროლეს კოკა ჩამოედგა მხარზე და წყაროსკენ მიდიოდა. წვრილი, წელში გაწყვეტამდე მისული ბილიკი მიაცილებდა გოგოს. უცბად ხმაური შემოესმა, შეჩერდა, კოკა ძირს ჩამოიღო და უფრო და უფრო ათხოვა ყური ყანის ბოლოდან ამოვარდნილ წყევლა-კრულვის კორიანტელს. მერე კოკა იქვე, ბუჩქის პირს მიდო და ყანისკენ გაიქცა.

წყაროს დაბლა აკაკის ყანა იყო, გვერდით—იასონასი, იმის იქით — ნესტორასი, კიდევ იქით, სადაც სოფელს საუბნო გზა აუდიოდა, დოროთეს სასიმინდე ყანა ასდევდა მთელ სიმაღლეზე. ზედა მხრიდანაც სახარულმო გზა გაჰკვროდა ყანებს და, რა თქმა უნდა, ღობეც თავიდან ბოლომდე ჰქონდა გადავლებული. ყანების ზევით, ვეებერთელა ფერდობი რომ იყო ხასხასა მუქად მწვანე ბალახით დაფარული, სოფელს წვრილმანი პირუტყვისათვის საძოვრად ჰქონდა დატოვებული.

თებროლემ მიმიჯრებულ ყანებს გვერდი ჩაუარა და დოროთეს სავარგულთან შეჩერდა.

ეშანას ისე გაწაფვოდა წყევლა-გინებაში ენა, რომ ერთსა და იგივეს კი არ იმეორებდა, სულ ახალ-ახალ, ცხელ-ცხელ ლანძღვებს კარგი საჩუქრებივით უგზავნიდა აკაკის ოჯახს.

— ეს კი არა და, — უფრო აუწია ეშანამ ხმას, — ისიც კი გამიბედეს, აკაკის გოგო ირძლეო, მეტი მეხი დაეცეს მის გატუტლუკანავებულ თეძოსა, რავარც! თქვე თავით-ფეხამდე მურთხებო, თქვენა!

თებროლეს ერთმა ალმა გადაუარა ლოყებზე, მერე ტუჩებთან მიიტანა ხელები, რატომღაც ჯერ ირონიულად გაიცინა, მერე თვალი მოჭუტა, ნეკა თითზე მაგრად იკბინა, შებრუნდა და გაიქცა.

ფერდობებს მაღლა, გორაკზე წამომხლართული შავლეგო თებროლეს ბინოკლით ხედავდა.

თებროლე რომ მათ ყანასთან შეჩერდა და ღობეს იქით გადაიციცქვინა, შავლეგომ დედა მაშინ დაინახა.

— მთელი ყანა რომ შეჭამონ, ფეხს როგორ მივდგამ სიახლოვეზე. ვნახოთ, რა მოხდება, რით დამთავრდება.! — თავისთვის ჩაილაპარაკა შავლეგომ.

თებროლე გულამომჯდარი მიუახლოვდა თავის ყანას, ხის იჯიჯგიბანა ღობე-კარი ღრიცოდ გაალო, მერე იქვე, ხუთიოდ ღორი, ბალახს რომ წიწკნიდა, თავის ყანაში შერეკა.

შავლეგომ გადაიხარხარა...

— ხომ არ გაგიჟდა, რას შვრება ე გოგო, ვა! — დააყოლა ბოლოს, მერე ფეხზე წამოიჭრა, თოფს ხელი დაავლო, ეკალ-ბარდებში შემძვრალ ძაღლებს დაუსტვინა და დაბლა დაეშვა.

თებროლეს ყანაში ღორებმა სიმინდს გემო გაუსინჯეს...

— „რა ქნა ამდენ ხანს, ველარ გამოდენა? გადაჭამენ ჩვენს სიმინდსაც ეს მართლა ღორები და მამაჩემი მოიკლავს თავს.“ — ფიქრობდა თებროლე და ღობის სარს მიყრდნობილი გზას გასცქეროდა.

შავლეგომ, თებროლეს რომ თვალი არ მოეკრა, ღელეზე ჩამოიქშინა, გზას მიუახლოვდა, ბუჩქში ჩაიმალა და ბინოკლი თვალთან მიიდო. თითქოს გვერდით უზისო, ისე ახლოს ჩანდა სახეალეწილი თებროლე.

გზაზე ეშანა გამოჩნდა, სახრის ქნევაქნევითა და მუქარით მოერეკებოდა მაჭიკამოჩონჩილ ღორებს.

— არ გადამიხდი და შენი აჯობებს! კაცებს დავუძახებ, კომისიას შევყრი და წანამხდურს ვაანგარიშებინებ, მარცვალ-მარცვალ დაგითვლი ყველა სიმინდის ტაროს, შე ბარხლიანო, შენა! — უფრო და უფრო უმატებდა ხმას ეშანა, აკაკის სახლს რომ უახლოვდებოდა.

—ახლა კი დროა, — გაიელო გულში თებროლემ და ვაი-ვიში ატეხა.

შავლეგოს ისეთი ფხუკუნი აუვარდა, კინაღამ თავი გაიმხილა.

— ღმერთო, შენ ამოაგდე ავის მქნელი, ომის მომგონი, შენ არ გაუთენე დღენათელი იმას, ვინაც ომი მოიგონა, ღმერთო, კარგი ყურით გაიგონე, გევედრები! — შეჰღაღადებდა ღმერთს თებროლე და თან ღორებს დასდევდა.

ეშანას კანტი-კუნტად შემოესმა გოგოს ხმა, მერე და მერე ფეხი აითრია და გულიანად მიაყურადა.

— ომი რომ არ ყოფილიყო, მამაჩემისთვის ფეხი რომ არ მოეჭრათ, ხომ უკეთ შეღობავდა ამ საოხრე ყანას, ხომ უკეთ შემოაკავებდა საკარმიდამოს, არც ღორები შევიდოდნენ და არც ეშმაკები და გულიც არავის ეტკინებოდა! ღმერთო, შენ გააწყვე ომის მომგონის სინსილა, შენ გაუჩინე ჯიდაო, ღმერთო მაღალო, გაიგონე გევედრები! — ისე ხმამაღლა ასძახოდა ღმერთს თებროლე, რომ მგონი მართლაც ესმოდა მამაზეციერს.

შავლეგო სიცილ-ფხუკუნს ველარ იკავებდა...

ეშანა შეჩერდა. სახრე უკან ამოიფარა, მერე დააგდო და დააყოლა:

— უყურე შენ ამ გომბიოს, რეებს ლაპარაკობს? თუმცა, გომბიო უძახე შენ, კაა კი ლაპარაკობს და, ბეჩა, რას ერჩი! — თავისთავს გაეჩურჩულა ეშანა.

ის იყო, ორი ღორი გამოძვრა კარის ღრიჭოში, რომ ეშანამ თავსაფარი ბაგესა და ცხვირზე აიფარა, ლოყასთან გვერდი შეუმცნია, შებრუნდა და გზას ჩქარი ნაბიჯით გაუყვა.

— „შენ გომბიო უძახე, კაა კი ლაპარაკობს და...“ იმეორებდა ეშანა და ხანდიხან თვალს უკან იბრუნებდა, ი გოგო ხომ არ მიყურებსო. მერე ისიც კი გაიფიქრა, ჩემი წელანდელი წყევლა რომ ვინმემ უთხრას, თავი მომეჭრებაო...

შავლეგო ბუჩქიდან გამოძვრა, თებროლეს ყანისკენ გაიქცა, მერე ღობეს გადაევლო და ღორებს დაერია.

ძაღლები პატრონის ნაკვალევზე ყეფა-ყეფით ჩამოშლიგინდნენ და ყანაში პატრონივით დაუკითხავად შეცვივდნენ. შეიქნა ერთი ყეფა და ჭყივილ-ჭყივილი...

ღორები აქეთ-იქით დარბოდნენ. აქედან ბიჭი და გოგო მასპინძლობდნენ უდანაშაულო სტუმრებს, იქიდან — ძაღლები...

გოგო კვახის ბარდს გამოედო და დაეცა. ბიჭი ლობიოს სარს განგებ დაეტაკა, ფეხი ფეხზე წამოიკრა და გადაბარდულ ლობიოებში ზღართანი მოადინა. ისე ახლოს აღმოჩნდნენ გოგო და ბიჭი ერთმანეთთან, მათ შორის სიმინდის ღეროც კი არ ჩაეტეოდა...

თებროლე ბარძაყზე წამოწეულმა კაბამ შეაკრთო. კალთა კი გაისწორა, მაგრამ სახეზე უცნაურმა ალმურმა აუარ-ჩაუარა.

შავლეგოს ჯერ გაეღიმა, მერე სიცილი აუვარდა.

— რა გაცინებს?

— შენზე არ ვიცინი, არც დედაჩემზე, ამ ცალყბა ბინოკლზე მეცინება, ცალთვალა რომ არის და მაინც ყველაფერს რომ ხედავს. — სიცილ-სიცილით თქვა შავლეგომ და ბინოკლი ხელში შეათამაშა.

თებროლემ ჯერ თვალები მიაშტერა შავლეგოს, მერე წამოვარდა, კაბა ჩაიფერთხა და გაიქცა.

— იმ ორი წერილის პასუხი დღეს მივიღე, ფოსტალიონს დაეგვიანებინა მოტანა. — მიაძახა შავლეგომ.

... მზე ერთი წამით შეჩერდა და ყანაში ჩაიხედა...

... თებროლე წყაროსკენ გარბოდა...

...ბიჭი დაედევნა გოგოს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სიცოცხლის შური

იმ დღეს მთებიდან ჩამოშოშლიგებული ალიონი და ბერი კაცი აივანზე ბოლთას ერთად ცემდნენ. შოშიკამ სვეტზე მკლავმოჭდობილი აყვავებული ბლის ხე რატომღაც პირველად შენიშნა, შენიშნა და... გულმა რაღაცნაირი, გაუგონარი რეჩხი უყო... მერე მუხლის ძალა მოეჭრა, თვალზე სიფრიფანა სითეთრე გადაეკრა, ცივი ოფლი გამოეჟონა საფეთქლებთან... ოთახში ბარბაცით შევიდა და საწოლზე გულაღმა წამოწვა...

ორიოდე დღე ისე მიილია, რომ ავადმყოფს საწოლიდან თავი არ წამოუწევია. რა აწუხებდა, თვითონაც არ იცოდა, სტკიოდა რაღაც და იწვა მიტომაც...

კედლისკენ მიბრუნებული შოშიკა ფიქრში ჩაძირულიყო...

გარეთ აპრილს აშარი ქალივით შეხსნოდა საკინძე; სხვა რომ არაფერი ვთქვათ, მჟავე ტყემლებიც კი თბილგულიანი ქალიშვილებივით იღიმებოდნენ; ღელეების წყლებიც მომატებულიყვნენ და მთებში ასული გაზაფხულის ამბები ბარისკენ კისრისტეხით მიჰქონდათ...

ავადმყოფი ათას რამეს კი არა, უფრო მეტს ფიქრობდა...

„მაინც რა არის ეს აპრილი, აფეთქდება, გადაირევა, წამოიხედავს ბალახი, ავარდება ყლორტი, მუხლი გაუთბება ვაზს, გადიფოფრება კაკალი... აუჰ, რა არის დალოცვილი სიცოცხლე, გაგიხარია, თუ არაფერი გაწუხებს, თუ... ჰო, ჰო, თუ არაფერი გტკივა“...

შოშიკამ გვერდი იბრუნა და დასალიერისკენ გაიხედა. მზე ყუაზე მისულიყო...

„შენც კარგი ვინმე ხარ, მზეო, საკინძეგახსნილ ქალს მიატოვებს კაცი? თუმცა, მთელი დღე დაიღალე ალბათ, მოგწყინდა ალერსი... კაციც ეგრეა, თუ რაიმე მობეზრდა, თვალისთვის წყლის დალევინებას ფიქრობს, სხვა რამეს ეძიებს... ჩადი, მზეო, ჩადი, ეგრე ყოფილა და რას გერჩი“...

ტატანეურის გორიდან ნიავმა დაუბერა, შოშიკას სახლთან ჩაიარა და ღია ფანჯრიდან ოთახში გაზაფხული პატარა ბავშვივით გადასვა. ყვავილის სუნმა მოხუცს ცხვირი აუპრიხა, ნესტოები გაუფართოვა, ტუჩები მოუჭუჭკა, უპეები მოუწვრილა... მოწკურული თვალი ნიავს გაადევნა და იქვე, თვალწინ, აივანზე, ისევ ის ვეებერთელა ბლის ტოტი დაინახა ჩამომჯდარი. ტოტს უთვალავი თეთრი ბაბთა ამშვენებდა... უყურა და უყურა... რატომღაც ისევ შეუქანდა გული, თავითფეხამდე ხორკლი დააყარა, შეაძაგძაგა, თითქოს მიწა იძრაო — შოშიკა და ბლის ტოტი ერთად ამოძრავდნენ... „ააა!!! მივხვდი, რასაც მკარნახობს გონება. ეს ბლის ხე მაშინ დავამყნე, დესპინეს სიყვარული რომ ჩამისახლდა გულში; ჩემი სიყვარულის ტოლია ეს მამაძაღლი! მე შენ გიჩვენებ სეირს, შენ მაინც მოგერევი, შენზე ვიყრი ჯავრს...“

დესპინეს სახელმა სერაპიონი მოაგონა შოშიკას; მეზობელი, თანატოლი. გაახსენდა და ამ გახსენებამ ორმოცდაათი წლის წინანდელი ამბავი ჩამოუკაკლა; თუმცა რის ამბავი, რა ამბავი, ქალის სიყვარული მოაგონა, მაგრამ შოშიკა ამასაც ამბავს ეძახდა...

„რა დღე დამაყენა მაშინ იმ ღმერთძაღლმა! პირდაპირ ხელიდან გამომტაცა ქალი. როგორ მეუბნებოდა მაინც, კაცო, მეც მიყვარხარ, შენზე ნაკლები ბიჭი რითა ვარო, ქვას წყალს გამოვწურავო; რომელი ყარამან ყანთელი მაგი მყავდა, კაცო, მარა, ენა ჰქონდა უბედური, წანწკლიანი, ცხენის ალვირის სიგრძე. ერთს არ იტყოდა წალმა, ყველაფერი უკულმა უნდა ეთქვა. ახლა დაბერდა, ჩემსავით მოტყდა, ენა კიდეც დაუტკბა და კიდეც დაუმოკლდა... არა, თვითონ მაინც შეერთო, ნახ'მობის რაიმე ამბავზე გულმოსული რომ ვიქნებოდი, მაგათ შარაზე ამოვივლიდი, თვალს გადავაყოლებდი და სახლამდე აღარც კი მიმყ-

ვებოდა ვიღაცის ბოლმა და ნაღველი; ეს ბედნიერებაც კი მომაკლო, სადღაც გადაკარგულ სოფელში მოატაცებინა დეიდაშვილს... სერაპიონა ოხერო, უხ, შენი კბილი გაცვდა, რა!... კარგი გოგო იყო დესპინე, აშარი კი არა, გადაშარი აპრილიც კი შემირცხვენია მასთან... ეგრე იყო, რა... ნეტა ახლა მაჩვენა ის ქალი, ბებრუხანა იქნება, მაგრამ მისი დანახვა მაინც გამეხარდებოდა, თუმცა... თუმცა რა სათქმელია, რაღაცამ დამირბინა ზევით-ქვევით... რა გემართება, შოშიკა? რა შეგეჭრა სხეულში? დესპინეს გახსენება თუ? თუ... კაი, კაცო, კაცი ახლა მოკვდება? აპრილის კალთაში?.. სიბერე ხომ არ მტკივა და მე სხვა რამე მგონია? სიბერე თვითონ სიკვდილს ხომ არ ჰქვია?.. შოშიკა, შეიკავე თავი, რა დროს სიკვდილზე ფიქრია, გრცხვენოდეს... რამ შემაკრთო? რამ შემაშინა? შენ გეშინია, შოშიკა?! ვაი, შენს პატრონს, რა მშიშარა ყოფილხარ და აქამდე ვერ გიცნობდი.. გინდაც ყველაფერი ისე მოხდეს, როგორც ხდება, რა მოხდა მერე, ერთხელ მოხვედი და ერთი გზა გრჩება, ერთადერთი... წასვლა...“

შოშიკამ გვერდი იბრუნა, ოთახს თვალი მოავლო, კედელზე თოფი, სავაზნე და სამღარიანი ხანჯალი იყო ჩამოკიდებული, მეორე კედელზე მისი ცოლის ნამზითვი ხალიჩა იყო გაკრული. ხალიჩაზე მიბნეული, შავ ჩარჩოში ჩასმული სურათი თხუთმეტი წელი უყურებდა ჯერ შოშიკას და მერე —იქაურობას...

„...შე საცოდავო... შენც კარგი ქალი იყავი... პაპაჩემის ნათქვამი რომ მაგონდება, ახლა მიჯდება ჭკუაში... ღმერთო, სიტყვა-სიტყვით აღმიდგინე... ჰო, ისაო, თუ ოჯახს მაინცდამაინც უბედურება უწერიაო, უწინ კაცი უნდა მოკვდესო... ქალი ერთ კონა ფიჩხზე მთელ სოფელს გაათბობსო, კაცი ერთ საჟენ შეშას ისე ამოწუგავსო ბუხარში, შეიძლება თვითონაც ვერ გათბესო... მართლაც ასე ყოფილა... აგერ, ა, რამდენი წელია კუდს უკან მივჩანჩალებ ცხოვრებას. დავაჟკაცდნენ შვილები, დასათხოვარნი გახდნენ შვილიშვილები... დესპინე ისევ დაბებრუხანობს, დაცუქცუქობს, შენ კი.. ღმერთის რცხვენოდეს, ნამუსიც კარგი საქონელია, თუმცა.. თუმცა, არა, არა და არა... ნამუსი და საქონელი როგორ უნდა დადგეს გვერდი-გვერდ? ნამუსი პირველია, იმის მერე საქონელი გინდა გქონდეს და გინდა არა, ნამუსიანი კაცის სახელი სხვა რამეს ნიშნავს...“

მოხუცმა კარგახანს უყურა ხანჯალს, თოფს, სავაზნეს, მერე ისევ ცოლის სურათს მიაპყრო მზერა, ბოლოს დახუჭა თვალი და ისე, გონების თვალით უყურა იქაურობას.

„...დიახაც რომ კარგად გამახსენდა წელან... ჩემს წილს, ჩემს პირად სიყვარულს აქ არ დავტოვებ, შენ მაინც მოგერევი, შენ მაინც გაგიყოლიებ. არასოდეს მიფიქრია, ვინმესთვის სამაგიერო გადამეხადა ან რაიმე უმსგავსო ჩამედინა, არაკაცური, არაადამიანური და აი, დღეს... დღეს უნდა ჩავიდინო... მოიცა, შოშიკა, მოიცა, — სადღაციდან მოისმა ბუბუნი, — ან თავში სად იყავი, ან — შუაში, ამ სიბერეში, გამოპრუტუნებულ სიბერეში რამ გაგიხსნა ხელი, რას შვრები, კაცო!... ნამდვილად ცუდად არის ჩემი საქმე, თორემ სხვა ვიღაც-ვიღაცას ვინ ეკითხება ჩემს ამბავს, რატომ მეჩრება საქმეში? ხელს ნუ მითოკავთ, ხანჯალი მინდა მე!... სიკვდილამდე რამდენიმე ნაბიჯის გადადგმას მოვასწრებ.. საფლავში ისე არ ჩავალ, სისხლი თუ არ ავიღე, არა და არა! მისდღეში არ მიფიქრია ავკაცობა და ახლა... ახლა სისხლმა იყივლა... თუმცა... თუმცა რომელმა სისხლმა? ჩემი მამა-პაპის სისხლი ისე გაცივდა, ფრჩხილის ოდენა, ფრჩხილში გამოსაწური სისხლიც კი არ დაუღვრიათ... სწორედ მაგაშია საქმე, დასაღვრელი უნდა დაიღვაროს, მე ვიზამ ამ საქმეს!...“

მზემ ნაადრევად მიატოვა საღამო და მთებს იქით გადაიკარგა...

შოშიკა უხილავმა ძალამ საწოლიდან

**ვაჟა ჩორდელი**
მოთხრობები

წამოაყენა და ხანჯალთან მიიყვანა. იდგა კარგახანს მოხუცი იარაღთან და ფიქრობდა. მერე ჩამოიღო ხანჯალი, იღლიის ქვეშ ამოიფარა, აივანზე გავიდა და გარემო მოათვალიერა. რამდენიმე წუთი უყურა ვიღაცას თუ რაღაცას და, როცა დარწმუნდა, მარტო ვარ, არავინ მხედავს, ყველაფერი რიგზეაო, კიბეზე ჩავიდა, სახლის კუთხესთან გაჩერდა, შეტრიალდა, ექვსიოდ ნაბიჯი გადადგა და ბლის ხესთან აღმოჩნდა...

ბინდი უფრო მიეძალა იქაურობას, ჩიტებმა შეწყვიტეს ჭიკჭიკი, მაგრამ შორს, გაღმა, რომელიღაც ხის კენწეროზე იჯდა შავი შაშვი, უხაროდა გაზაფხული, სიცოცხლე და გალობდა...

შოშიკა ბლის ხეს გარს უვლიდა, ათვალიერებდა, რაღაცას ზომავდა და წონიდა თავის ფიქრში. რატომღაც ვერ მოახერხა, საიდან დაეწყო, როგორ მოეყვანა განზრახვა სისრულეში; რაღაც თუ ვიღაც უშლიდა ხელს... ერთ წუთს შეჩერდა, მიაყურადა, ჩაუკვირდა, უსმინა და... ამოიცნო... შავი შაშვი გაღმა კი არა, შოშიკას ყურში მოკალათებულიყო და იქ მღეროდა სიცოცხლის საგალობელს... ეწყინა კია — „ეს გალობაც ახლა ამებლანდა, ეს მინდოდაო მე?..."

მოხუცს უცბად ისევ ის დღე წარმოუდგა თვალწინ, ბალს რომ ამყნობდა. მერე მეზობლის ნათქვამიც მოაგონდა; ეგ, ძმაო, ზღაპრებში რომ წერია, აი, იმ ხეს ჰგავს, სიყვარულის ხეს, ყოველ დღე კვირის საზრდელს იზრდებაო. ეს მოგონება არ მოეწონა შოშიკას, გონება უფრო აემღვრა.

„ხელს ნუ მიშლით, ჩემი საქმე მაქვს საკეთებელი... ავადმყოფი ფეხზე წამომაყენა რაღაც ზეძალამ, ხომ ხედავთ, თქვე უგუნურნო... ჩემსას ვიზამ, დიახ, ჩემსას... გავაძრობ ხანჯალს, მერე ამ აფოფინებულ ბალს მიწის სწორა, სულ პატარაზე, წვრილად, ირგვლივ, შეუმჩნევლად შემოვაჭრი კანს, ვენას გავუხსნი სადინარს და მორჩა... ჩამოცვივდება ყვავილი, ჩამოყრის ყურებს უწყლო ფოთოლი! აბა, როგორ გგონია შენ. ცხვარი ცხვარიაო და თუ გაცხარდა, ხომ იცი, შე სულძაღლო, რა გახდება ის ცხვარი მერე!..."

ყურში ჩაბუდებულმა შაშვმა გალობა შეწყვიტა და ტირილი დაიწყო, დაიწყო და... ამ დროს გაზაფხულის თბილმა სიომ ბლის ხესთან გზად გაიარა... ნიავმა ფოთლებში სიმღერა თქვა...

...შოშიკა შაშვის გლოვამ და გაზაფხულის ნიავის სიმღერამ გონს მოიყვანა. ბერი კაცი დაიზაფრა, დანაოჭებული შუბლი ოფლით დაენამა...

„ახლა მივხვდი, ამ სიბერეში მივხვდი, თუ რატომ შეიძლება ერთდაიმავე ადგილზე გლოვაც და სიმღერაც, ფუი, დალახვროს ეშმაკმა ყველაფერი..."

ბერი კაცი კარგა ხანს იდგა გახევებული, მერე თითქოს მკლავები დაასხიპესო, ხელის მტევნები ჩამოუცვივდა... ხანჯალი ზრიალით დაეცა ბლის ძირში...

შოშიკა როდის-როდის მოვიდა გონს, რის ვაივაგლახით აიღო ხანჯალი, მუხლში გაიმართა, აქეთ-იქით საცოდავად მიმოიხედა და უღონოდ, მინავლული ხმით ჩაილუღლუღა:

— ღმერთო მაღალო, შენს მეტი ხომ არავინ მიყურებდა? ხომ არავინ მთვალთვალობდა? აი დედასა, ამ სიბერეში კინაღამ თავი მომეჭრა და ეგ იყო, რა, აბა, სხვა რა ჯანდაბა ჰქვია ჩემს საქციელს? შენ მაპატიე, ღმერთო, შენ შემინდე! შემინდე!.."

შოშიკას თითქოს ძალა ჩაედგაო, ბლის ხე საგულდაგულოდ შეათვალიერა, მართლა ხომ არ შემოვაჭერი კანიო, რა დამემართა, უი, ჩემს თავს, რა უკაცური საქმეს ჩავდიოდიო, იბრუნა პირი და... უკან მიბრუნდა ისევ, ხელისშემოვლებით ისევ მოუსინჯა ბალს ძირი და, როცა დარწმუნდა, ხე ცოცხალია, ხანჯალი ოდნავადაც არ მიკარებიაო, იქცია გვერდი, მივიდა სახლის კუთხესთან, ღობეზე გადავიდა და ღელის პირას გაჩერდა...

ღელეში რუ თავდაყირა მორბოდა და პატარ-პატარა ქვებს ქვევით და ქვევით მიარაკარუკებდა...

მოხუცი მღვრიე წყალს დაშტერებო-

და. ორიოდ წუთი იყო ამის მოწმე. მერე უცბად ძირს დაიხარა, მოზრდილი ქვა მოაფათურა სიბნელეში, აიღო, ხელში შეათამაშა, მერე ცერა თითი ირირმიც-ლად გადაუსვა ხანჯალს, ფხა მოუსინჯა, მერე კი საკუთარ ხელსა და ხანჯალს დააფურთხა, ორლესურს ქვით პირი ამოუნაყა, დაუბეგვა, უფხო იარაღი მუხ-ლზე გადაიკრა, შუაზე გადატეხა და წყალში მოისროლა, მიტრიალდა, ღობე-ზე გადავიდა, ბლის ხეს დამნაშავესავით აუარა და აივანზე ჩუმად აიპარა.

„კინაღამ არ შევცდი დროული კაცი" გახმებოდა საწყალი ბალი, ვეღარ მო-ესწრებოდა მწიფობას, ვეღარ გაიხარებ-დნენ ჭინკა ბავშვები, შვილიშვილები, დიდი და პატარა, მეზობლები, ჩამოსუ-ლები... რა ეშმაკმა გამიხსნა ხელი, რამ ამომაღებინა იარაღი! კინაღამ არ ვჭამე. საქვეყნო სირცხვილი? რა უნდა შემქნა? ღმერთის წინაშე? განგების წინაშე? მარ-თლა არ სძინავს ეშმაკს, უყურე შენ!" — ფიქრობდა შოშიკა და თან აივანზე ჩამო-მჯდარ პირველი სიყვარულის ბაბთებიან ბლის ტოტს დამჭკნარი ხელებით ეფე-რებოდა...

ჭიშკარი გაიღო, ვიღაც შემოვიდა...

შოშიკა ბლის ტოტს მოცილდა და სა-წოლ ოთახში შეიძურწა...

...დილით აღარ გაღვიძებია შოშიკას. თავი კედლისკენ მიებრუნებინა, ცალი თვალი ღიად დარჩენოდა და თითქოს. სწორედ იმ ადგილს მისჩერებოდა მზე-რაამოურწყავად, სადაც ხანჯალი ეკი-და გუშინ, გუშინწინ და იმის წინ კი-დევ...

# მოკლე მიხა

ისეთი სოფელი ჰქონდა მიხას, სამო-თხეს არაფრით არ ჩამოუვარდებოდა. იმიტომაც იყო, რომ ყოველი შვებულე-ბა მიხას სოფლისკენ მიარბენინებდა, იქით ეწეოდა, ეძახდა მამა-პაპის ნაფუ-ძარი, ეზო-კარი, ორსართულიანი სახ-ლი და ქვეყნის იმედი — დედა!

იმ წელს, პაპანაქება აგვისტოს ოც რი-ცხვში, მიხას შვებულება გაუფორმეს. წუთიც არ დაუყოვნებია, აიკრა საშვე-ბულებო გუდა-ნაბადი და სოფელს მია-შურა.

სოფელი დილაბნელიდან საღამოს მი-მწუხრამდე თიბვა-მკისა და სხვადასხვა-ნაირ საზაფხულო საქმეებში იყო ჩაძი-რული. გაღმა-გამოღმეთში სიყვარულის გამჟღავნების ოდითგან მოყოლებული სიმღერა გუგუნებდა: ნეტავი გოგო მე და შენ, ყანები მოგვცა ზიარიო... ზოგი-ერთი უკულმართი ყანას საერთოდ არ ახსენებდა და ასე მღეროდა: ნეტავი გო-გო მე და შენ ლოგინი მოგვცა ზიარიო... მერე და მერე, ბინდი რომ დაეშვებოდა მთიდან ბარად, სოფლის საკრებულო, სანახშო იწყებდა შევსებას. მოდიოდნენ იქიდან და აქედან უფროსები და უმცრ-ოსები, ოჯახის ხნედაკრული თავკაცები, გოგო-ბიჭები... იყო ერთი სჯა-ბაასი, ქა-ქანი, ქილიკი, ხანდახან სმა და ქეიფი და ყოველდღიური, ცხელ-ცხელი ჭორების კორიანტელი.

სანახშოს დადგენილებით სოფელში ქართული პურის საცხობი თონე უნდა აეშენებინათ. რომ იტყვიან, სულ დე-დაი პურები უნდა ეცხოთ და ეცხოთ. სულზე მოუსწრო ამ საქმეს მიხამ, საქ-ვეყნოდ ცნობილმა პურის ცხობის ოს-ტატმა.

...მიხას მამა-პაპა ათადან და ბაბადან ხაბაზობით ცხოვრობდა. ბოლო ხაბაზი, ქართული პურის ცხობის მესაიდუმლე, მიხა გახლდათ...

ალბათ, ღმერთმაც არ იცის, რამდენ-ჯერ გაგიგონიათ ათასი ამვლელის თუ ჩამვლელის ნათქვამი: პლატონას დუქა-ნში ვიქეიფეთო, ბოხორას ჭაშნიკში გა-დათრობამდე ვსვითო, ვარდენას სამწ-

ვადეში შეუწვავადაც შეჭამ მწვადსო, ლამაზ გოგოას სალობიეში თითებსაც ჩააყოლებ ლობიოსო... ერთი სიტყვით, ჩამოთვლილი ხალხის გვერდით ერთ-ერთ პირველ ადგილს ინაწილებდა მიხა... მიხას პური ნუ მოგვაკლოს ღმერთმა და ყველაფერს აიტანს კაციო, — გაიგონებდით ქალაქის ყველა კუთხეში, — მამაზეციერმა ქართული პურის საცხობი ორი ხელი ასად უქციოსო...

ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, ქორწილსა თუ ხადილში მიხას ნახელავი პური პურობდა...

...და აცხობდა და აცხობდა მიხა საქორწილოდ და სანათლავად...

●

სოფელს, რაკილა ახალი საქმის წამოწყება აგორდა, რაღა შეაჩერებდა; აქეთ მოდგნენ, იქით მიდგნენ და ყველა საბუთი თუ სახსარი მოაკვარახჭინეს...

— შენ აგაშენა ღმერთმა, რა კარგ დროს ხარ მოსული, რამხელა დახმარებას გაგვიწევ, ვერც კი წარმოიდგენო. — ამ სიტყვებით მიმართა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ მიხას.

შევბულება მაქვს და მაცადეთო, კინაღამ ასე დააპირა თქმა ხაბაზმა, მაგრამ ენა არ მოუბრუნდა... კი ბტონო, რაიმეთი თუ შემიძლია, გემსახუროთ, მოგიკვდეთ ჩემი თავი, დაზარება მამაძაღლის იყოსო. — ხელი დაურტყა თავმჯდომარეს.

სოფელს თუ უნდა, ქვეყნის წისქვილსაც უკუღმა დააბრუნებსო, ამის თქმისა არ იყოს, ეცნენ საქმეს მკვირცხლი ბიჭები და „ყოველგვარი წვრილმანის" წარწერიანი მაღაზიის გვერდით პურის საცხობი წამოჭიმეს, მერე ასჩაფიანი ძირმობზარული ქვევრი იშოვნეს, შუაზე გაჭრეს, თავი ძირად უქციეს, ირგვლივ ლამაზად შემოაჭდეს ნაძვის ხის ფიცრები, თიხასა და ხეს შუა რამდენიმე ტომარა მარილი ჩაყარეს, ურგილოთი დაზეპეს, დიდ-პატარა ვარცლი გულიანად მიაჭედ-მოაჭედეს, ფქვილი მოზიდეს, დაასაწყობეს, ხმელი შეშა მოიტანეს, დახერხეს, დააპეს და წამოფიცრულ საშეშეში დაალაგეს. ერთი სიტყვით, ყველაფერი რიგზე იყო, კბილის გახსნას მიხას ხელების დაკარწახება აკლდა...

— სანამ შვებულებაში ვარ, მოგეხმარებით, პირველ პურსაც მე მივაკრავ, მერე კი ვაღაც გამოვძებნოთ, ან — ნასწავლი, ან კიდევ — სასწავლი, რა უნდა პურის ცხობას: ცომი მოზილე, თონე ჩაანთე, ჩაეკიდე და ტყაპ! ათ წუთში გამომცხვარი პური ხელში გექნება. ამაზე იოლი ხელობა დუნიაზე არ მეგულება, მე შენ გეტყვი, ზამთარში შეგცივდება, აი!

... და პირველი თონეული ამოალაგა ხაბაზმა, შოთი შუაზე გატეხა, ღვინით დაასველა, მეორე ნატეხი კი თონეში ჩააგდო; ნაკვერცხლებმა ქათქათა პური მოწვა და მოხრუკა, ნახშირად აქცია. ასე დაკუტდეს და დანახშირდეს ჩვენი დამაწყევარიო, დაალოცა მიხამ თონეს და ღვინო გადაჰკრა...

●

ის-ის იყო თონის გახსნიდან მესამე დღე ყუამდე მიილია, რომ სოფლის შარაზე გოგო გამოჩნდა.

პირველი დამხვდური საცხობის კარში გამობჯექილი მიხა იყო, თეთრ წინსაფარაფარებული მიხა. სხვანაირად არც შეიძლებოდა მომხდარიყო, მთელი სოფელი საყანვარში იყო გაკრეფილი დედაბუდიანად, ერთადერთი ჯეელი, მიხა სდარაჯობდა სოფელსაც და თონეში ჩაკრულ პურსაც.

ხაბაზი დააკვირდა უცნობს... „აქაური არ უნდა იყოს", — გაიფიქრა ბოლოს და სიგარეტი დააპლაკუნა.

უცნობი პურის საცხობთან შეჩერდა.

— გამარჯობათ! — მიესალმა მიხას გოგო.

— გაგიმარჯოთ! — დაუქნია მიხამ თავი.

— თქვენს სოფელში გამანაწილეს, ექიმი ვარ, — განმარტა გოგომ სტუმრობის მიზეზი, — თავმჯდომარე მინდა ვნახო, სად შეიძლება?

— მაგი ცოტა ძნელია, ყანა-ყანა მო-

სიარულე თავმჯდომარეს ცოლიც კი ვერ იპოვის, თვარა თქვენ მითუმეტეს. ისე, ასიოდე მეტრში კანტორაა, აწერია გარეთ, კედელზე. ბუღალტერი, ვარლამი ქქვია, ნამდვილად იქ იჯდება,— წყნარად უთხრა მიხამ გოგოს და თანაც ერთი გულიანად აათვალიერ-ჩაათვალიერა.

— გმადლობთ! — თქვა გოგომ და გზა გააგრძელა.

მიხა საცხობში შებრუნდა და ფანჯრიდან დაადევნა მზერა სტუმარს.

— აი, გოგო, მე და ჩემმა მზემ! აი, ქალი, მე და ჩემმა ღმერთმა! ღირს კია მაგის ცოლობა, აი! — ჩაულაპარაკა ნაკვერცხლებით გულანთებულ თონეს მიხამ, მერე იბრუნა პირი, ვარცლთან მივიდა, წყლით სავსე ვედროში ჩასაცივებლად ჩადგმულ ღვინის ბოთლს დაავლო ხელი, ამოიღო, თავი მოქუცა, სულმოუთქმელად ნახევრამდე დააყურყულა და ისეთი ამოიხვნეშა, კინაღამ თონე ჩაუქრა.

ფოცხვერებას მთას იქით ჩაილია მზე...

— არა, ამ გოგოს ნამდვილად არ ყავს პატრონი! ეს წერას ყავს ატანილი! კი, მე და ჩემმა გამჩენმა, რავარც! აპა, ასეთი ჩაქვირითებული გოგოს გამოშვება იქნება ამ ტყე-ღრეში? ჰო, ჰო, ჰო, ჰო, რა ძუძუ-გული აქვს?! მაგის შემყურეს ცხრაკლიტულში უნდა გყავდეს გამომწყვდეული ნერვები, ნერვები და... დედა, დედა, დედა, რა გოგოა, ბიჭო? ერიჰაა! — ღვინის ბოთლს ელაპარაკებოდა მიხა, — შენ ხომ ხარ მოწმე, შე ღმერთძაღლო, აგერ, ა, მე გადავირიე და აქანა, ამ უღრანში, მიტროფანეს ბიჭს დააკავებ?! ციხე კი არა, ჯოჯოხეთში წავა ფეხით, მხოლოდ რაიმე გააიმასქნას, აპა! — დასტურს თვითონვე იძლეოდა მიხა.

ექიმი, როგორც მერე გამოირკვა, პელო ერქვა სახელად, ეპრაქსი ქვრივის ოჯახში დაბინავდა...

●

...დღე დღეს მისდევდა კუდში... მიხა აცხობდა და აცხობდა დედაი პურებს. ისეთი სუნი დადიოდა ეზო-ეზო[illegible]რი-კარ, მადააშლილ მსუქნებს [illegible] ჯაჯგულებზე რომ არაფერი ვთქვათ, გამხდრებსა და გადაკანკალებულებსაც კი მუცლები დაედოთ...

იმ დღის მერე, ექიმი რომ ეახლა სოფელს, მიხა ველარც სახლში დაეტია და ველარც პურის საცხობში — სიყვარული ცხელი შოთივით ჩაუვარდა გულში და დღე და ღამ მოსვენებას არ აძლევდა.

მიხას შეგირდი, სოფლის მომავალი ხაბაზი, უმალვე მიხვდა ოსტატის გასაჭირს... ერთ მშვენიერ დღეს, უთხრა კიდეც, რა იყო, რაცხა ძალიან შეიცვალეო, ღვინის სმასაც მოუმატეო, რაცხა უბედურება გჭირსო...

მიხა გაიღრიჭა, ხელი ჩაიქნია, ჭიქა გაავსო და დალია... ხანდახან ასეც არის საჭიროო, დააყოლა ბოლოს და თუთუნი გააწყო...

სოფელში განათლებლობდა სკოლა, მუშაობდა პურის საცხობი, ფუსფუსებდა სამედიცინო პუნქტი... ერთი სიტყვით, მშვიდად ეძინა მთასა და ბარს, ერსა და ბერს, მაგრამ არ ეძინა მიხას... არც იყო მისი ბრალი, სიყვარული დაუპატიჟებლად ეწვია და დაუპატიჟებელ სტუმარს დამხვდური არ უნდოდა?! იწვებოდა მიხა თონეში ჩაყრილ შეშასავით...

ყოველი დღის საღამო ხანს პელო ექიმი სახაბაზოსთან გაივლიდა, ნახევარ პურს იყიდდა და ეპრაქსის სახლისკენ გაუყვებოდა...

თონეს ისე ვერ აცხელებდა ალი და ნაკვერცხალი, როგორც მიხას პელოს გამოჩენა... ექიმის ხლება და მიხას გავარვარება ერთი იყო... იწვოდა, უფრო სწორედ, თავის ჩაკრული პურივით ცხვებოდა ხაბაზი...

ექიმის მოსვლა და წასვლა რაღაც ორიოდ წუთში ხდებოდა, ამიტომაც იყო, რომ მიხამ სამუშაო გრაფიკი შეცვალა... მაინცდამაინც მაშინ დაიწყებდა ფაცაფუცს, როცა პელო შევიდოდა სახაბაზ-

ოში. რამდენჯერ იყო, რომ ექიმის ლოდინში „აყვავებული" ცომი გადაუყვავდა, გადაუმჟავდა და უგემურ-უგერგილო ნახელავი გამოუვიდა. მისი სიყვარულის პატრონს ამის დარდი სულაც არ აწუხებდა...

იდგა სახაბაზოში ექიმი და ადევნებდა თვალს მიხას. მიხა, ჩამოფაფხულ წარბებს ქვეშიდან ვნებამოწოლილი თვალებით რომ ხაპავდა ქალის სილამაზეს, უნაკლოდ ასრულებდა ხაბაზის ოდითგან სისხლში გამჯდარ ყველა ქცევას. ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, მამაზეციერსაც არ შეეძლო რაიმე შესწორების შეტანა: დაგურგუსალებულ ცომს ერთი ხელის მოსმით აბრტყელებდა, მარილწყალში ორივე ხელის რვა თითს ჩაყოფდა, მერე ცომს დაანათითურებდა, მარჯვენა ხელის გულზე გადაიფენდა, მარცხენა ხელსა და მარჯვენა ფეხის კვანჩხსა და მოკაუჭებულ ცერა თითს თონის ძგიდეს ჩამოაყრდნობდა, მერე მარცხენა ფეხს მაღლა აიქნევდა, რაც იმის მაუწყებელი იყო, რომ მარჯვენა ხელი ცომიანად თონეში ჩაქნეულიც იყო და... პურიც ჩაკრული...

ექიმი მაინცდამაინც ვერ იტანდა პურის ცხობის რიტუალს. ერთი შიში ჰქონდა, ღმერთი არ გაწყრეს, თონეში ორიოდ თითით ჩაკიდულ კაცს ძგიდე არ ჩაუტყდეს, ან თითი არ გაეშალოს და შიგ არ ჩავარდესო... მიხას კი ის უხაროდა, პელო მიყურებს და ჩემზე ბედნიერი კაცი ვინღა არისო...

●

დაკვირვებულ თვალს არ გამორჩება: სადაც პური ცხვება, ხორცი და მარილი ერთმანეთში იზილება, იქ გამოულევლად დგას დოქი (ბოთლები) ღვინით სავსე. რაც სამზარეულოსა და სახაბაზოში ოფლი იღვრება, ბარე ორი სხვა პროფესიის კაცი ვერ დაიტრაბახებს! ღუმელი და თონე ოფლად ღვრის კაცს ზამთარში, და მითუმეტეს, ზაფხულში! ერთი უჩვეულო ჩვევა აქვთ ხაბაზებსა და მზარეულებს! ქვეყანაზე რომ გაწყდეს, მათ მაინც აქვთ დასალევი, ერთ ჭიქა გამონაჟურ ოფლს ორი ჭიქა ღვინო ავსებს, ორ ჭიქა ოფლს — ოთხი ჭიქა ღვინო და... ბრუნავს ოფლისა და ვაზის ნაჟური დღემოსწრება კაცისა....

●

...აცხობდა და აცხობდა მიხა დედაი პურებს, ასწავლიდა და ასწავლიდა პურის საიდუმლოს შეგირდს, მაგრამ... რაღა მაგრამ და რაღა ასე და ისე, სიყვარულით გულგაწვრილებული მიხა ვერც სახლში ეტეოდა, ვერც კარში და ვერც სახაბაზოში.

გულდაჯერებულად იყო დარწმუნებული თავის სიყვარულში, მაგრამ თქმა მეტზე მეტად უჭირდა. პელოს კი არა და, გული რომ მოეფხანა, შეგირდსაც კი ვერ უთხრა გამიჯნურების ამბავი.

— სადაც პური ცხვება, იქ ღვინოც არ უნდა გამოილიოსო. — ჩაიბურტყუნებდა მიხა, მოხსნიდა ბოთლს საცობს, ჭიქას პირთამდე შეავსებდა, მერე რიხიანად იტყოდა: სიყვარულს, უნაღდეს სიყვარულს გაუმარჯოსო და გადაჰკრავდა...

ერთხელ შეგირდმა უთხრა მიხას:

— მიხას ვენაცვალე, სულ სიყვარულს რომ გაიძახი, სულ მის დღეგრძელობაში რომ ხარ, მითხარი, თუ კაცი ხარ, ადრე თუ ვინმე გყვარებია ანდა ახლა თუ ვინმე გიყვარსო.

— სიყვარულს რომ მალვა უნდა, შენთვის არ უსწავლებიათ სკოლაში თუ რა ღმერთი გიწყრება! — უპასუხა მიხამ შეგირდს და ცალყბად გადახედა.

— დამალული ეშმაკისაა, უნდა თქვა და მორჩე კიდეც...

— ჩემი ხნისა რომ გახდები, მაშინ გაიგებ, მანამდე აპა რა, ღლაპი ხარ და რა მოგეთხოვება...

— განა რამდენისა ხარ, ასე ნათან ბრძენივით რომ მელაპარაკები? — შეაწყვეტინა შეგირდმა ოსტატს.

— ქრისტეს ასაკში ვარ, არც მეტი, არც ნაკლები. — მშვიდად უპასუხა მიხამ.

— მაგ ხნის რომ გავხდები, მე და ბაგრატაანთ გოგოს ექვსი შვილი გვეყოლება, დედას ვფიცავარ, თუ არა, ასე გვაქვს დათქმული...

— მოიცა, ბიჭო, რას გარეკე, ხუმრობ თუ...

— რა დროს ხუმრობაა, შემოდგომას რომ ჩავილევთ, ქორწილი უნდა გადავიხადოთ, მე შენ გეტყვი, თონის პური მოგვაკლდება, აი!

— კი მარა, ასე იმასავით კაა როგორ მოაწყვე საქმე...

— რა მოწყობა უნდა! ერთ დღეს, წოწოლაანთ გიგოს სახლში ოჩხარი იყო, ქვეყანა იქ ვიყავით, ერთი დაირტაში გვქონდა. მერე, რო დავიშალეთ, იი გოგო მის სახლამდე მივაცილე, ბიძამისის ბოსლის კუთხესთან შევაჩერე და ვუთხარი: ნატრული, მიყვარხარ-მეთქი! იმან კი ასე მიპასუხა: რანაირად გიყვარვარო! როგორ თუ რანაირად-თქო, ჩვეულებრივად მიყვარხარ, უშენოდ არ შემიძლია, სულ შენზე ვფიქრობ-თქო. მერე კიდევ იმან მითხრა: რა გიყვარს ჩემიო. მერე კიდევ მე ვუპასუხე: ყველაფერი-თქო. თუ გინდა ახლავე წავიდეთ ჩემთან სახლში-თქო. არაო, მითხრა, შენ მატყუებო. თუ ეგრე ფიქრობ, მაშინ წადი სახლში და იფიქრე-თქო და გავუშვი სახლში. იმ ღამის მერე ყოველ საღამოს ვკურკურებთ ღობე-ყორეს შეყუჟულნი, აბა, როგორ გგონია შენ! შემოდგომაზე თამადად შენ იქნები, ჩემო მიხა, დანარჩენი კი მე ვიცი!— დაასრულა შეგირდმა თავისი გამიჯნურების ამბავი.

— მაშინ ჩამომისხი, შენი სიყვარულის სადღეგრძელო დავლიოთ! — უთხრა მიხამ შეგირდს.

— ეხლა მეც დავლევ, — თქვა შეგირდმა და ჭიქა შეავსო.

მიხამ ჭიქა გამოსცალა, ფანჯარასთან მივიდა და შარას გახედა. ბიამანივით გზაზე ყურებწამოყრილი მოზვერი მორბოდა. მიხას ერთი წუთით გაუელვა, ესეც სიყვარულს ხომ არ ეძებსო და ირონიულმა ღიმილმა გაუთამაშა ბაგესთან. მერე წარბი შეყარა და სადღაც მიღმა გაიხედა: რა კარგად თქვა, ექვსი შვილი გვეყოლებაო, ყოჩაღ, შეგირდო! თუმცა რატომ მარტო ის ყოჩაღ და მე არა? მეც შევირთავ ცოლს, პელო ექიმს, დიახ, პელო ექიმს! ჩვენც გვეყოლება ექვსი შვილი, შეიძლება მეტიც, თუმცა რატომ, ექვსი კარგი ციფრია, არა, სათქმელად მაინც დუჟინი ჯობია ან ნახევარი დუჟინი... ყოველ დღე ექვსი პური რომ შეიჭმება სახლში, ექვსი ქართველი ბაღანა ერთ ადლს რომ წამოიგდებს ტანს, მერე მოდი მტერო და ფეხებს მომჭამ ძირში... დაასხი, ბიჭო! — მიუბრუნდა მიხა შეგირდს.

— დასხმულია, მიხა ბატონო. — ჭიქა მიაწოდა შეგირდმა ოსტატს.

— ჩვენი ექვს-ექვსი შვილის სადღეგრძელო იყოს, მათი დაზრდის და დავაჟკაცების იყოს! — დაილოცა მიხამ და ღვინო გადაუძახა ხახაში.

შეგირდს გაეცინა, მერე, ეგრე იყოსო, დაემოწმა და ღვინო მოსვა...

●

შევბულების დღეები თვალის მიხედვმოხედვაში იწურებოდა და მიხას გული უფრო და უფრო უწვრილდებოდა... არა და როგორ არ დაუწვრილდებოდა, ქალაქში უნდა წასულიყო და სიყვარული აქეთ უნდა დაეტოვებია, როგორი გასაძლისი იქნებოდა, ამაზე ვის შეუძლია რამე თქვას...

„არა, არ წავალ ქალაქში, დაე, ქალაქელებმა თვითონ აცხონ და ჭამონ, მე ჩემს სოფელს უფრო ვჭირდები, თუმცა... სოფელს კი არა, ჩემს თავსა და ჩემს სიყვარულს ვჭირდები. ან და რატომაც არ უნდა დავჭირდე? რაც მე ფული მიშოვია და ქნარიკას ბაღში ჩამიყრია, ნახევარ სოფელს ააშენებდა კაცი. შევირთავ ამ პელო ექიმს და მორჩა და გათავდა!“ — ფიქრობდა მიხა გაუმცდარად.

„შეირთავ ერთია, მაგრამ მეორე

ისაა — მოგყვება კი პელო? რატომაც არ უნდა წამომყვეს? ის თუ ექიმია, მე ხაბაზი ვარ! ორივე საჭირო ვართ ამ ქვეყნისათვის, შეიძლება უფრო მეტიც მე ვიყო! უხაბაზო ქვეყანას ჯერ არ უარსებია, უექიმოს კი რამდენიც გინდა... არა, ისე ექიმი ნაღდად საჭიროა! ერთი სიტყვით საჭირო ხალხი ვართ რა!“ — მოიმთავრა სათქმელი მიხამ.

ხუთშაბათი დღე იყო. კოლმეურნეობის თავმჯდომარემ სახაბაზოს მიაკითხა.

— ოჰ, მობრძანდით, ბატონო ერასტი! რა გვიან-გვიან გვსტუმრობ, ეგრეც არ ვარგა! — კარში მიეგება მიხა ერასტის.

— ბარაქა სოფელს! — თქვა ერასტიმ, როცა დაბრაწულ შოთებს თვალი მოავლო.

— ამინ! ბარაქა ნუ მოგიშალოთ!.. — წაეყევრა შეგირდი სოფელს.

— გმადლობთ, გმადლობთ... — ორივეს სამადლობელი ღიმილით გადაიხადა მიხამ.

— მიხა ბატონო, როდის მიდიხარ ქალაქში? შეძლებს მერე ეს ბიჭი ხაბაზობას? — პირდაპირ საქმეზე გადავიდა თავმჯდომარე.

— ორიოდ დღეში მიმთავრდება შვებულება... მოიტა, ბიჭო, ღვინო, — უთხრა შეგირდს მიხამ, — თავმჯდომარესთან ერთად სოფლის დალოცვა, რა იცი, რა ღმერთის პერანგი გამოდგეს. — რატომღაც ენა ამოიდგა მიხამ.

— მიხა, შენ ნასვამი ხარ, — წყნარად უთხრა ერასტიმ.

— ნასვამი რა, ვენახის სარი ვარ?! ასეთი ლექსიც ვიცი, ერასტი ბატონო, მომისმინეთ: ვინც არ სვამს, ვინც არ ეწევაო... რაღაც რაღაცეებიო და წნევა ეწევაო... — მიხამ ხმას დაუდაბლა და ერასტის ის „რაღაც რაღაცეები“ ყურში ჩასჩურჩულა, ერთი სიტყვით, გაუშიფრა.

ერასტის სიცილი წასკდა...

— აგრეა ეს ცხოვრება, ერასტი ბატონო! — დაუზუსტა მიხამ.

როდის მიდიხარ, მიხა?! — როცა სიცილს მორჩა, კონკრეტული პასუხი მოითხოვა ერასტიმ.

მიხამ ჯერ თონეს ჩახედა, სამთითა საჩხრეკით ნაკვერცხლები მიასწორ-მოასწორა, მერე თავმჯდომარეს ახედა და უთხრა:

— მე არსად არ მივდივარ, სოფელში ვრჩები, იქაურ სახელზე დარდი აღარა მაქვს, პლატონაზე ნაკლები არაფრით არა ვარ მე, თუ მისი დუქნის სახელი დღესაც ისმის, მიხას პურიც არ დაავიწყდება ქვეყანას. დაასხი, ბიჭო, ერთი კიდევ, — შეგირდს მიუბრუნდა მიხა, — ჩვენი სოფლის არდაქცევის იყოს, ერთი კაცის მობრუნების იყოს, ჩვენი სოფლის გამარჯვების იყოს, ბატონო ჩემო! — თქვა მიხამ, ჭიქა სამჯერ წაღმა დაატრიალა, სულმოუთქმელად დალია და ულვაში თეთრი წინსაფრით შეიმშრალა...

●

საღამო ხანზე ექიმმა პურის საცხობში ჩვეულებისამებრ შეიარა.

— გამარჯობათ! — თქვა პელომ და თონეში ჩაიხედა.

— მკურნალს სიცოცხლე! — მიესალმა შეგირდი.

— კარგი თვალი თუ არა გაქვთ, პური ჩაგვიცვივდება, სოფელი დაგვემშევა და პასუხსაც თქვენ აგებთ! — შეეღიმილა მიხა პელოს მისალმების შემდეგ.

— ნუ გეშინიათ, გათვალვა არ ვიცი!

— ამოურჩიე, ბიჭო, კარგად შებრაწული პური, ექიმმა ფერ-ხორცი არ დაყაროს, თორემ მოგვეჭრა თავი და ეგ არის, რას იტყვიან ქალაქელები, ერთი პატარა გოგო ვერ შეინახა იმოდენა სოფელმაო? აი, დედასა მერე! — ჩაილაპარაკა მიხამ სასხვათაშორისოდ.

— როგორ თქვით? გათვალვა არ ვიციო?! როგორ გეკადრებათ! თქვენ უფრო უარესი იცით! მთელი სოფლის ბიჭობა ტყავში ვეღარ ეტევა და მეტი რა განებავთ! — სიტყვა შეაშველა შეგირდმა მიხას.

პელოს ჯერ გაეცინა, მერე ისევ თონეში ჩაიხედა და მიხას უთხრა:

— ბატონო ხაბაზო, აი, ის, სულ დაბლა რომ არის მიკრული...

— რომელი? ნატეხალი რომ აქვს მიფარებული ძირზე?! — შეაწყვეტინა მიხამ ექიმს.

— ნატეხალი აქვს თუ უტეხალი, არ ვიცი მე თქვენი ტერმინოლოგია, ზუსტად ის პური მინდა.

— მაინც რომელი? — გაიმართა მიხამ ენა.

— აი, ის! — უთხრა პელომ და თონეში ისევ ჩაიხედა.

...ჩაიხედა და მკერდის კოვზამდე ამოჭრილი კაბა მტკაველის სიგრძეზე წინ გადმოუცურდა...

... მიხამაც ჩაიხედა თონეში... მერე პირი იბრუნა და ვარცლთან მივიდა... იქიდან უყურა ხან ერთსა და ხან მეორე თონეს, მერე ბოთლისკენ გაიხედა და კბილი კბილზე გაისვ-გამოისვა...

ექიმი წავიდა...

მიხამ ბოთლს დაავლო ხელი, დააპირქავა, ჭიქა შეავსო, თონეში წაუქცია თავი, შენი შესანდობარი იყოს, მიხაო, უთხრა თავისთავს, მერე ფანჯარაში გაიხედა,.. პელოს დაადევნა მზერა... მერე დალია, ხელი ჩაიქნია და ფანჯარა ვამოაღო...

შეგირდს გაეღიმა... მიხვდა, რომ მიხას ექიმი უყვარდა...

●

შევბულების დამთავრებამდე ორი დღით ადრე ქალაქში გაიქცა მიხა. იქით მიდგა, აქეთ მოდგა, საბოლოო ანგარიში გაასწორა ქალაქთან და სოფელში ვაიუშველებელი ფაცხა-ფუცხით დაბრუნდა. რატომაც არ უნდა დაბრუნებულიყო, რა ეყარა ქალაქში, სოფელს რომ აკლდა, ანდა პელო ხომ ერთადერთი პელო იყო, რომლის მსგავსი დუნიაზეც არ მოიძებნებოდა... ერთი სიტყვით, ასე იყო თუ ისე, მიხას სხვა გამოსავალი არ ჰქონდა...

სოფელს ისე გაუხარდა მიხას მოქცევა, მისივე დაჟინება რომ არა, [illegible] სუფრასაც კი უხდიდნენ...

... სოფელი სოფელია, მაგრამ დედის სიხარულს ლაწვზე შეუმშრალი ცრემლი გვიამბობდა...

●

იმდენი ხრა, ფცქვნა, ღრღნა და ტკვირა მიხა სიყვარულის ჭიამ, იმდენი ღამის-ღამეები ათევინა, რომ სიყვარულის გამოცხადების პირამდე მიიყვანა... ხაბაზმა ერთ მშვენიერ დღეს წერილი მისწერა პელოს:

„ჩემო პელო, — სწერდა მიხა ექიმს, — არც მეტი, არც ნაკლები, სიყვარულს გიცხადებ! რა ვქნა, კანში ველარ ვეტევი, ღამის გული ამომივარდა იმდენი ფიქრით, უკან ცხელი თონეა, წინ მთლად უარესი! ჩემდა საშველად ეს წერილი მოგწერე. მიხა“.

კარგა ხანს ატარა მიხამ წერილი ჯიბით...

დღეს მივცემ ეპრაქსის და გადასცემსო... ეს დღე რომ ჩათავდა, ხვალ გავუგზავნი და ჯანდაბას ჩემი თავიო... მეორე დღეც რომ ამოირწყა, ზეგის და მაზეგის დღეები სადღა წამივაო... — მოდღეხვალიო ფიქრებში დღეები ისე გარბოდნენ, რომ მიხას კალენდარიც კი აერია.

...როგორც იქნა, დააყენა საშველი მიხამ სამიჯნურო წერილის ბედს, ერთი ოფლისღვრითა და ტუჩების კბენა-კბენით ეპრაქსის გადასცა კონვერტი. პელო ექიმს გამოუგზავნესო. — მიაყოლა დამარცვლით, მერე ოფლი მოიწმინდა და „ყოველგვარი წვრილმანის“ მაღაზიას მიაშურა...

●

ეპრაქსისადმი წერილის გადაცემის მეორე დღეს ექიმი სახაბაზოში არ გამოჩენილა. მესამე დღეს, ასე, სამხრობის ჟამს, როცა სოფლის არც ერთი მკვიდრი, გარდა ხაბაზისა და მისი შეგირდი-



ეროვნული ბიბლიოთეკა

სა, ეზო-მიდამოში არ ჭაჭანებდა, ღია ფანჯრიდან მიხამ ოთლობეში ექიმი დალანდა.

პელო ჩქარი ნაბიჯით პურის საცხობს უახლოვდებოდა...

— ერიჰა! რაცხა ხდება ან ექიმის თავს, ან კიდევ... ან კიდევ წერილის პასუხი მოაქვს ამოღებულის ხმლით — გაიფიქრა მიხამ და რაღაცის მოლოდინის შიშმა თუ მოუსვენრობამ თავითფეხამდე დაურბინა, ტანხორკლი დააყარა...

„თუ ასე ჩქარი ნაბიჯით შემოვიდა სახაბაზოში პატივცემული ექიმი, მტრის კარს, თონეს გაღმა გაიტანს“. — რატომღაც ასეთმა ფიქრმა გაუელვა ხაბაზს.

სანამ ექიმი საცხობის კარს შეაღებდა მიხამ ორი ჭიქა ღვინის გადაკვრა კიდევ მოასწრო, თან დააყოლა: „ესეც შენი მეათეო! გულის ასაბაგუნებელიო!“ არა და მის გულს რაღა აბრახუნ-დაბრახუნება სჭირდებოდა, წერილის პასუხის მოლოდინში ერთი ბაგა-ბუგი გაჰქონდა, ადგილი ვერ მოეძებნა, თორემ გარეთ გადმოვარდებოდა...

პელო საცხობში შევიდა...

— ექიმს გაუმარჯოს! — დაასწრო მიხამ სალამი.

— გამარჯობათ!

— კიდევ გაგიმარჯოს! — თავი დაუკრა მიხამ.

— რაიონიდან სანიტარული შემოწმების კომისია მოდის... თქვენთან ყველაფერი წესრიგშია? — თვალი მოავლო პელომ იქაურობას.

— რატომაც არა! უფრო მეტიც! არც ერთი თაგვი არ ჩადის ცხელ თონეში! ცოცხალი თავით არ ჩავალთო, დაუდგენიათ! რატომ არ ჩადიან, ამას ნამდვილად ვერ გეტყვით, მოვკვდით, გავწყდით და სალაპარაკო ენა ვერ გამოვძებნეთ! — დინჯად ჩამოლერლა მიხამ.

— ნასვამი ხარ? — გაკვირვებული იერით შეხედა ექიმმა მეპურეს.

— არა!

— ენას რომ ვერ აბრუნებ?

— ენის მობრუნება, საერთოდ, არაფერ შუაშია პურის მამა-პაპურად მობრუნებაში, გინდაც მიბრუნებაში, ახლავე გაჩვენებ, თუ ეს [illegible] მტკიცედ თქვა მიხამ.

— არ მინდა, მაგის დრო...

— ყველაფრის დროა, — შეაწყვეტინა მიხამ ექიმს, — მე მინდა გაჩვენო! მე მიხა ვარ, აი, ის მიხა, ქალაქს რომ პირზე აკერია, მიხას პურიო, სწორედ ის მიხა ვარ, გამიგე?! შენც ხომ ქალაქელი ხარ! არ შეიძლება, რომ ჩემი გამომცხვარი პური არ გეჭამოს! აი, ის მიხა ვარ, არც მეტი, არც ნაკლები!

— მიხა, ყველაფერი ვიცი, მტკიცება არ მჭირდება, საქმეზე ვარ მოსული, სასწრაფოდ მიალაგ-მოალაგეთ, დაასუფთავეთ აქაურობა, შემოწმებაზე მოდიან. — განაგრძო ექიმმა.

— პურის ცხობის ტექნოლოგია ბევრმა არ იცის, — თავისას აგრძელებდა მიხა, — ამას უმაღლესი განათლება არ სჭირდება, თუმაც გემო-კვებისა თუ რაღაც ჭამა-ყლაპვის ფაკულტეტი კი არსებობს, თუ არ მეშლება, გემოსა და ეშხს კარგი ოსტატი უნდა, აი, ისეთი, ვისაც სისხლში აქვს გამჯდარი ხელობის სიყვარული! ყველა შემმოწმებლად და ექიმად კი არ დაბადებულა, მერე გახდნენ ისინი ამ პროფესიისანი, ისე არც ხაბაზებად და ნალბანდებად დაბადებულან ზოგიერთები, ისინიც მერე შეიქნენ ამ ხელობისანი, ცხოვრებამ მოიტანა... გამოიტანე, ბიჭო, პური, ყველი და ჭიქა ღვინო, — გასძახა შეგირდს მიხამ — ექიმმა დაგვლოცოს და გვითხრას, რატომ აუარა გვერდი გუშინ სახაბაზოს, რა შიმშილობის დღე ჰქონდა ისეთი!..

— მიხა, შენ ლოთობისკენ გადაგიდგამს ფეხი! — ალამცერად შეხედა მიხას ექიმმა.

— პირიქით, რაც შენ გამოჩნდი ამ სოფელში, იმ დღიდან მოყოლებული, თონე გამილოთდა, აღარაფერს არ მიჯერებს, ყრის და ყრის ნაკვერცხლებისკენ პურებს და იქედან კი კუტებად ამომაქვს და ამომაქვს, მოკლედ, დავასუქე სოფლის ლეკვი და ძაღლი და ეგ არის!..

— მიხა!.. მომისმინე! წადი სახლში.

მთვრალი ნუ დახვდები კომისიას. — ხვეწნა აღმოხდა ექიმს.

— პატივცემულო ექიმო, ერთი წუთით მაცალეთ და მერე როგორც თქვენა ბრძანეთ, ისე მოვიქცევი. — უთხრა მიხამ ექიმს, ვარცლისკენ მიბრუნდა, ცომი მიაგურგუსალ-მოაგურგუსალა, გააბრტყელა, მარილწყალში ამოვლებული რვა თითის ანაბეჭდი დაატყო, მარჯვენა ხელის გულსა და გაპარჭყულ თითებზე გადაიფინა, თონესთან მივიდა, მარცხენა ხელი და მარჯვენა ფეხის კვანჩხი თონის ძგიდეს ჩამოაყრდნო, მარცხენა ფეხი აიქნია, მარჯვენათი ცომი თონეში ჩაისროლა და... ნამეტნავად მაღლა აქნეულმა ფეხმა მიხას წონასწორობა დააკარგვინა, გადასძლია და... ხაბაზი თონეში ჩავარდა...

ექიმის შეკივლებამ და შეგირდის ბღავილმა ჭერი ახადა პურის საცხობს...

მიხამ საზარელი ხმით ამოიბღავლა თონიდან...

წამიც და შეშუშხული ხორცის სუნი დატრიალდა სახაბაზოში...

— გვიშველეთ! გვიშველეთ! — კიოდა ექიმი.

შეგირდი თონეში ჩაეყუდა, ხაბაზს ბეჭებში ჩააფრინდა, მაღლა ამოქაჩა, მაგრამ ისე დამძიმებულიყო მიხა, ბოლომდე ამოყვანა ვერ შეძლო. ექიმიც ჩაეკიდა თონეში, ქამარში ჩასჭიდა ხელი და... მიხა მაღლა ამოათრიეს.

— წყალი! — იყვირა ექიმმა.

შეგირდმა ვედრო მოარბენინა, პელომ წყალი ასხა და ასხა პეშვით მიხას, მერე საკინძე შეუხსნა, პულსი გაუსინჯა...

— გარეთ გავიყვანოთ, ჰაერი ჭირდება! — ბრძანა ექიმმა.

ალაგ-ალაგ ამომწვარ-ამობუგული შარვალი ხან ერთ ადგილზე აბოლდებოდა, ხან — მეორეზე. ხან ერთ ამონადაღზე ასხამდნენ წყალს, ხან — მეორეზე. მერე გონს მოეგნენ და გახადეს ნაკვერცხლებისგან ამოთვალულ-ამოკბეჩილი შარვალიცა და ზედა, თეთრი შემოსაცმელიც...

უშარვლ-უპერანგო, სულმიხდილი, მოკრუნჩხული მიხა სახაბაზოს გვერდით, ხასხასა ბალახზე იწვა და მძიმედ სუნთქავდა...

ექიმის კივილსა და შეგირდის ბღავილზე, ვინც კი ახლო-მახლო მუშაობდა ყანა-საკარმიდამოში, ყველამ თავი მოიყარა სახაბაზოსთან.

ჰიშკართან სანეპიდსადგურის მანქანა გაჩერდა...

— გვიშველეთ!.. — ერთი შეყვირება კიდევ აღმოხდა ექიმს კოლეგების გამოჩენაზე.

...დაეხვივნენ ექიმები სახელგანთქმულ ხაბაზს...

●

მიხა საავადმყოფოში იწვა...

ვინ მოთვლის რამდენი ექიმური თუ ექიმბაშური წამალი და მალამო-საცხებელი ახმარეს... ყველა ამომწვარსა თუ ამოშუშხულ ადგილს მიესადაგა ამ მთიდან თუ იმ ბარიდან მოტანილი საამებელი, მაგრამ მარცხენა ფეხს არა ეშველა რა...

ქალაქიდანაც კი ჩამოიყვანეს განთქმული სპეციალისტები... ის კი არა, ორმა ექიმმა ისიც კი თქვა: ყოჩაღ, აქაურო კოლეგებო, ამდენი რომ გიწვალიათ და ფეხი შეგინარჩუნებიათ, ყოჩაღ, მართლაც ყოჩაღო!..

პირველ ხანებში ხაბაზს მარცხენა მუხლის სახსარ-საბრუნავი გადაუმეტებლად რომ ითქვას, კარგად შემწვარი მწვადივით ჰქონდა; სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ მუხლი მოხრილი დარჩა და ფეხი ბრტყლად დადებული აგურის სიმაღლეზე დაუმოკლდა.

დაიმარტოხელებდა თუ არა თავს მიხა, ცრემლად იღვრებოდა... ტიროდა ხეიბარის ცრემლით...

ერთ მშვენიერ დღეს პროფესორიც მოიყვანეს თანასოფლელებმა.

— საავადმყოფოდან რომ გახვალთ, ბევრი ივარჯიშეთ, მუხლი აუცილებლად

გაგემართებათო. — უთქვამს პროფესორს მიხასთვის.

თქმა იყო და აგორდა სიხარული, ავიდა სოფელში და მახარობელივით კარიკარ ჩამოუარა სამეზობლოს...

... დღე ერთი იყო და უთვალავი მნახველი მოდიოდა და მიდიოდა..

პელო ექიმმაც სამი-ოთხჯერ მოინახულა ხაბაზი. აი, მაშინ იყო, რაც იყო! ექიმის ხელის შეხება და მიხას გაუცნაურება ერთი იყო — დაუვლიდა თავითფეხამდე სიამოვნების ჟრუანტელი, მერე ბუსუსი დააყრიდა, თვალს მიანაბინებდა და ოცნებაში გადაისროდა...

... მიხას ათასი ფიქრი უტრიალებდა, ტვინს უჭყლეტდა და უბურღავდა. მერე ყველა ათასივე ფიქრზე ხელს ჩაიქნევდა და დააყოლებდა: სიყვარული ისეთია, მუხლსაც გამაშლევინებს და სულსაცო...

●

დღე დღეს კუდში მისდევდა კი არა და ერთმანეთის გასწრებაში უთენ-ულამდებოდათ: მარტო მიხასთვის იყო ლამე ჭიატდაუცემელი უკუნი... ან და როგორ არ იქნებოდა, წისქვილივით აწყობილი საქმე ერთი ხელის დაკვრით მიშალ-მოშალა; ქალაქიდან სოფელში ჩამოვიდა, სიყვარულით ამოვსებული გული თონეში ჩააშუშხა, ფეხი დაინახშირა, სირცხვილზე დიდი სირცხვილი ჭამა ხაბაზების წინაშე... ერთი სიტყვით...

— გამარჯობა, შვილო, მიხა! — კარი შეაღო თუ არა, სალამი მაშინვე უთხრა ეპრაქსიმ მიხას.

მიხამ ჭერს მიშტერებული თვალები ცერა თითებით მოიფშვნიტა, სასთუმალი აიმაღლა, მხრები წამოსწია, მერე გაუღიმა და მისალმების პასუხი დაუბრუნა.

ეპრაქსი სკამზე ჩამოჯდა, ფუთა გახსნა, მოსაკითხი ამოალაგა; გვიან მოგინახულეო, მოუბოდიშა მიხას და მოფერება მკლავზე ხელის ჩამოსმით გამოხატა.

— როგორ გეკადრებათ, ქალბატონო ეპრაქსი, რატომ შეწუხდით... დიდი მადლობელი ვარ, დიდზე დიდი...

...არა და რამდენი ხანი ელოდა მიხა ეპრაქსის... წერილი ხომ მას გადასცა და პასუხსაც მისგან ელოდა, მაგრამ... პელო ექიმს არაფერი ეტყობოდა, ისევ ისე იქცეოდა, უწინდებურად, წერილის გაგზავნამდე რომ იყო...

— კარგა ხანს დავრჩი, წავალ ახლა, აპა შენ იცი, მალე მოიშუშე ეგ ფეხი და მშვიდობით დაგვიბრუნდი, შენნაირი ერთი კაცი მთელ სოფელს უდრის, აპა! . ჰო, მართლა, — კართან მისული ეპრაქსი უცბად მოტრიალდა მიხასკენ, — გუშინ სალამოს ერთი ბრტყელულვაშებიანი ბიჭი ესტუმრა პელოს. ისე გაეხარდა ექიმს, რომ კინაღამ თვალში ჩაუვარდა სტუმარს... მერე სუფრა გავაწყვეთ, ღვინოც გამოვიტანე... ერთი სიტყვით, გვიან მოვისვენე მე... ისინიც დაწვნენ...

— ერთად?! — წამოვარდა მიხა საწოლიდან.

— დილას რომ ავდექი და დავათვალიერე იქაურობა, ვნახე, ჩემი თვალით ვნახე, ერთი იქით საწოლზე იწვა, აი, კუთხეში რომ მიდგას, მეორე კიდევ ტახტზე, შორიშორს, კი, ნამდვილად ვნახე...

— კიდევ კარგი... — შეაწყვეტინა მიხამ ეპრაქსის, მერე ბალიშზე მიწვა და მოღრეცილი სახე ცოტაოდენ დაულაგდა.

— ჰო, წავედი, შვილო, ნუ გეშინია, გამოჯანმრთელდები და ყველაფერი კარგად იქნება...

— მოიცა, მოიცა, რაო, ვინ ვარო, რა თქვა იმ ბიჭმა...

— ერთად დავამთავრეთ უმაღლესიო, მეზობლები ვართო, ერთად გავიზარდეთო... ერთი სიტყვით, კაი ახლობელი უნდა იყოს ჩემი ფიქრით...

— კაი, კაი, ჩემო ეპრაქსი, დიდი მადლობა... ჩემზე იყოს, მევალოს...

ეპრაქსიმ ფრთხილად გაიხურა კარი და წავიდა...

მიხამ კბილი გააღრჭიალა. საფეთქლე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბი მოისრისა, მერე ხელის თითების სახსრებს კნატაკნუტი დააწყებინა...

„არ ვამბობდი მე? მაგას ისე ვინ გამოუშვებდა, კვალში რომ არ ჩასდგომოდა, მაგნაირ გოგოს სად ნახავ კაცი, ნახავ არა, ჩემი ფეხები, — ათასჯერ ნაფიქრალი დააზუსტა მიხამ, — ჰო, ასეა და უყარე კაკალი, ყველას კაი უნდა, ცუდზე და ოხერზე თვალი არავის არ გაურბის, კი, კი, ჩემმა მზემ, ასეა“...

— ოსტატს სალამი! — ყურებამდე გაღიმებული შეგირდი კარის ზღურბლიდან მიესალმა მიხას.

ხაბაზი ფიქრს მოსწყდა...

— მიხა ბატონო, ორი დღეა რაც არ მინახიხარ, ხომ ხარ მგელივით! — გაიღრიჯა ისევ შეგირდი.

— კი, ვითომ კი, ისე რა, რაღაცნაირად...

— იმ პროფესორის მალამო თუ მოგიხდა, მანახე ერთი ე ფეხი.

— ვითომ კი... მგონი უნდა მომიხდეს...

შეგირდს ღიმილი შეაშრა...

— კი, ის მალამო მომიხდება, ვატყობ...

— მოიცა, მოიცა! რაღაცა შენ ვერ ხარ ისე, რომ უნდა... მოიცა, მოიცა, ეპრაქსი იყო აქ, ხომ?

— კი, კი იყო... იყო კი...

— მოიცა, მოიცა! გასარკვევია რაღაც! ის გეტყოდა, რომაო, ის ბიჭი ჩამოვიდაო... ვიცი მე, მარა, შენც არ მომიკვდე, თითი არ დაუკარებია იმას იმაზე, მთელი ღამე იქ გავათენე, ვდარაჯობდი, თვალი არ მომიხუჭავს, აპა, როგორ გგონია შენ!

მიხას თვალები დაუფართოვდა, ბაგეზე ღიმილი გაუთამაშდა...

— მაგაზე არ ვწუხვარ მე...

— მოიცა, მოიცა! რაზე წუხარ, კარგად ვიცი... ერთი სიტყვით, ასე იყო .. თვალი არ მომიხუჭავს!...

— სხვა რამეზე ვილაპარაკოთ, აი იმაზე...

— ჯერ სიყვარულია მთავარი! მე ხომ გითხარი ჩემი ამბავი! მართალია, შენ მიმალავ, მაგრამ, მე ხომ ვიცი, არა?! — შეაწყვეტინა შეგირდმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიხას გაეღიმა....

შეგირდსაც გაეღიმა...

— მიხა, წამალი მიიღე? — თავი შემოჰყო ექთანმა.

— კი, კი, ვისიამოვნე! — დააწია პასუხი ხაბაზმა.

— ერთ რამეზე უნდა გაცინო! — წამოიწყო შეგირდმა, — ჩვენმა თავმჯდომარემ ლურჯი საღებავით მაღაზიის კედელზე ვიღაცას ასე დააწერინა: „ვინც სამუშაოდ მიდიხართ, არ დალიოთ!“

— თავმჯდომარე არ იქნებოდა. — გაეცინა მიხას.

— დანახვით არავის არ დაუნახია, მოწმე არ ჩანს, მაგრამ იმას კი აბრალებენ და რა ვიცი...

მიხამ თვალი მოჭუტა და ერთ წერტილს მიაშტერა...

— რა ვიცი, კაცო, საიდან მოიფიქრა, მელეთ ლალომ, აი, დიდი კაკლის ხეები რომ აქვთ წყლის პირას, ყავარზე დაუწერია მწვანე საღებავით და ზედ ჩამოუკიდია: „არ გაიაროთ ახლოს, კაკალი ცვივა, კეფაში რომ მოგხვდეთ და სული გაგაცხებინოთ, პატრონი პასუხს არ აგებს“!

მიხას ირონიული ღიმილი ისევ აუთამაშდა ბაგეზე.

— სოფლის ამბავი კი იცი შენ, ერთი თუ რამე ისეთი დაიხვიეს ხელზე, მორჩა და გათავდა, საშველს არ დაუყენებენ....

— კიდევ მოხდა რამე? — შეაწყვეტინა მიხამ შეგირდს.

— მოხდა რომელია! სევასტის ბიჭს, წელმოწყვეტილ ზარმაცსა და ოხერს ცელის ტარზე დაუწერია: „თიბვა საშიშია, შეიძლება ფეხი მოიჭრა...“ კიდე, ჰო, ბიბლიოთეკის კედელზე ცარცით იყო წარწერილი, მართალია, მე წავშალე მარა, ასე ეწერა: „სქელტანიან წიგნს ნუ შეეხებით, ქვეშ რომ მოგიქციოთ, ბიბლიოთეკარი პასუხს არ აგებს...“

---

**ვაჟა ჩორდელი**
მოთხრობები

— გეყოფა, ბიჭო, გეყოფა! დამცინიან ხომ?! არ უნდათ ოსტატი, ხომ?! ხვალვე გავაწერინებ თავს ექიმს და მოვუსვამ აქედან, სოფელში კი არ ამოვალ, წავალ, საიდანაც მოვედი... წადი ახლა შენ, სახაბაზოს მიხედე!.. — დააყოლა მიხამ ბოლოს და საწოლში გვერდი იქცია.

შეგირდი შეწუხდა, დაიბნა, შეწრიალ-შემოწრიალდა... მერე ფრთხილი ნაბიჯით გავიდა ოთახიდან... იქვე, მეორე ოთახთან შეჩერდა, წარბშეყრილმა თითზე იკბინა... მე ხომ არაფერი ვაწყენინეო,—ერთი გაიფიქრა და... წავიდა.

მიხა ადგა, ყავარჯენი მოიმარჯვა, სიგარეტს მოუკიდა, ფანჯარასთან მივიდა, საკეტები გააჩხაკუნ-გამოაკლარუნა, გამოაღო... მთიდან დაშვებული ნიავი ოთახში გულიანად დაპატიჟებული სტუმარივით შევიდა, იქაურობა მიმოიარა, წამლისა და მალამოს სუნი კარში გაუძახა და....

— გამარჯობა, მიხა! — მოესმა ფანჯრის რაფაზე ჩამოყრდნობილ მიხას ქალის ხმა.

„ის არის, პელო ექიმი“. — თვალი მოხუჭა მიხამ.

— გამარჯობა, ოსტატო! — გაიმეორა პელო ექიმმა.

მიხა შებრუნდა და... ის ბრტყელულვაშიანი ბიჭი დაინახა... უცნობი მიესალმა მიხას...

— გაგიმარჯოთ, დაბრძანდით... — ენაძვირი ამოიღო მიხამ და თვითონაც ჩამოჯდა საწოლის ძგიდეზე.

— იცი, მიხა, რა მოგიტანა ჩემმა თანაკურსელმა? მ-ა-ლ-ა-მ-ო! თურმანიძის მალამო! იცნობდე, რამაზი ჰქვია! ჩვენ ერთ კურსზე ვსწავლობდით, მანამდე კიდევ ერთ სკოლაში, მეზობელ ქუჩებზე ვცხოვრობთ!

— სასიამოვნოა, გმადლობთ... — შეწუხდა მიხა.

— რამაზ, ეს ცნობილი ხაბაზია, მიხა! ხომ გაგიგონია ქალაქში, მიხას პური ღმერთმა ნუ მოგვიშალოსო, აი, ის მიხაა, კი, გეფიცები... — უმტკიცებდა მიხას ვინაობას პელო რამაზს.

— ცუდ დროს გამაცანი, ადრე მცნობოდა, სხვა იყო, თითო ჰიქას... დავიღრიცებოდით...

— კაი, რამაზ, შეხვედრამდე, ცხოვრება წინ არის! ჩვენ გვაგვიანდება, ავტობუსი ნახევარ საათში გადის, ვნახავ ოსტატის „ნავაჟკაცარს“ და წავიდეთ. — თქვა პელომ ღიმილით და დანამწვრული ადგილები თითებით ფრთხილად მოუსინჯა.

პელოს თითების შეხება და... მიხას ოფლი გამოეჟურა შუბლზე, თვალები აემღვრა, გულმა ქაი-უშველებელი ბაგაბუგი აუტეხა...

— უკვე კარგად ხარ, მოგშუშებია, ამ მალამოს რომ გამოიყენებ, უფრო უკეთ გახდები! აბა, კარგად იყავი! ჩვენ ქალაქში მივდივართ, ზეგ ხელს ვაწერთ! არ დაგვივიწყო, როცა ჩამოხვალ, მოგვინახულე! — უთხრა პელომ მიხას, მერე ხელი ჩამოართვა, ღიმილი დაუტოვა და კარისკენ გაემართა.

. კარგად და კარგად! — მოკლე გამომშვიდობება თავის რამდენიმე დაქნევით რამაზმაც გამოხატა.

გაოგნებულმა მიხამ ჯერ გახურულ კარს უყურა, მერე მალამოს, მერე მოკაკვულ მარცხენა ფეხს, მერე წამოვარდა ფეხზე, კარში გაიხედა, აქვე ხომ არ არიან გაჩერებულნიო...

...ფანჯარასთან მივიდა, ცას ახედა; კბილები გაალრჭიალა...

— სადილი!.. — კარი გააღო და შემოიძახა თეთრხალათიანმა ქალმა

— თქვენი სადილიც... — ამის თქმაც ვერ მოასწრო ბოლომდე მიხამ, რომ მთიდან მოშვებულმა ნიავმა გამჭოლი გასასვლელი ნახა, ნახა და ზრიალით დაუარა მინებს...

— ესეც ჩემი ბედი!.. ჩემი ბედი, რა!.. — შეღრინა კედლებს მიხამ, წამოავლო ხელი მალამოს, გარეთ გაისროლა, ყავარჯენი საწოლს შეალეწა, ფანჯარასთან მივიდა, ხელები მაღლა შემართა და ნიავს შესძახა: დაუბერე! დაუბერე ნიავო! ბედმა ყველგან მიმუხთლა, მოკლე მიხა მქვიაო! — ლექსივით წარმოთქვა ხმამაღლა, მერე საწოლთან მივიდა და ბალიშს დაემხო...

ტიროდა მიხა...

ეროვნული ბიბლიოთეკა



## გამოსათხოვარი

ლ-ს ხსოვნას

შენთან ყოფნიდან — უშენობამდე
რაც განმიცდია: ტანჯვა, ცხონება,
სუყველაფერი, რაც შენ
მომმადლე, —
ესაა მთელი ჩემი ცხოვრება.

ამ ცხოვრებაში შენი ოფლია,
შენი სისხლია, შენი ჯიგარი...
და ნუ დამძრახავ, —
ჩემი ყოფნიდან
შენს არყოფნაში თუ მივიჩქარი.

## ხმით დატირება

...სულის კბილებით გებღაუჭები
და თავცოცხალი ვერ დაგთმობ, ვერა.

1.

...სანამ ჩემ გვერდით იყავი, ჟამთასვლას წ ლ ე ბ ი თ ვზომავდი და ჩემი სიკვდილი შორეული და წარმოუდგენელი მეჩვენებოდა; ახლა, შენი უეცარი გარდაცვალების მომსწრეს, ჩემი განვლილი ცხოვრების ყოველი წ ა მ ი ბედნიერი შემთხვევა მგონია, სიკვდილს რომ გადამარჩინა.

2.

...ო, რა ხშირად და რა იოლად გშორდებოდი, ჩემო! რა ვიცოდი, რომ ყოველი ჩვენი განშორება მოკლე რეპეტიცია იყო იმ უსასრულო წარმოდგენისა, შენი გარდაცვალება რომ დაერქმეოდა.

3.

...მაინც დაგთმე თავცოცხალმა
(ჩემ გაჩენას ვწყევლი!), —
შენკენ დამრჩა სამოწყალოდ
გაშვერილი ხელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## წლისთავი

ოპერაცია
ერთ წელიწადს გაგრძელდა

შენ ახლა
რეანიმაციაში ხარ
და მესამე დღეა
კვდები

მანამდე კი
სიკვდილის მოსაცდელში —
საავადმყოფოს დერეფანში
 ვისხედით
და საოჯახო საქმეებზე —
 შვილებზე
 საყიდლებზე
 ბინის გაცვლაზე
ვსაუბრობდით

თავი მხარზე დამადე
„გვერდით რომ ხარ, დამშვიდებული
 ვარო...“

მერე
ჩემ დასამშვიდებლად
«Эх, где наша не пропадала!»-ო
საწყლად გამიღიმე
მერე წასვლისას
«Не поминайте лихом!»-ო
ხელი დამიქნიე
და ეს იყო უკანასკნელი
რაც დავიმახსოვრე

ოპერაცია
ერთ წელიწადს გაგრძელდა

ახლა შენ
უკვე განკურნებული
ჩემშიღა არსებობ
და ისეთივე შიშით
ოპერაციას რომ მოელოდი
ჩემი მეხსიერებიდან —
საავადმყოფოდან გაწერას
ელოდები

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

ვენაცვალე ამ ხეებს,
ვენაცვალე იმ ხეებს!..
იმათ კი, ვინც მამხნევებს,
ვინც თავის თავს იმხნევებს,
ვინც ფიქრობს, რომ გაგება
შეუძლია ყველაფრის,
ვინც ეამხანაგება
ავთანდილს და შერმადინს;
ვინც რვალივით მტკიცეა,
ვინც ქვასავით სანდოა, —
ჩემი პატივისცემა,
ჩემი დიდი მადლობა!

●

ცალად რომ ზიდო
ულელი ცალი
და გაუსწორო ქვეყანას თვალი, —
არ უნდა აჰყვე საწუხარ ფიქრებს...

სასაფლაოდან ბრუნდება ქალი
და მხიარულად თეძოებს იქნევს.

●

ეს საფლავია... და თუმცა ვიცი, —
არ უწერია გაქრობა ამავს,
მე მაინც გიცდი,
მე მაინც გიცდი
და შენგან წასვლის უფლება არ მაქვს

●

„სხვა საქართველო სად არი?..“

სხვა უნგრეთიც არსად არი,
სხვა ფინეთიც, სხვა განაც...
შენ სახლი თქვი, თორემ საფლავს
გაგითხრიან სხვაგანაც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზაურ კალანდია

# ადრე მოგვიდი, გაზაფხულო!

მოვარდა მაცნე და ხევისუფალს ფერხთით გაუგორდა... თუმცა, ქარს უკვე დაესწრო მისთვის, უკვე გამოეღწია ხრამ-ხევი სოფლით მონაბერ გლოვის ზარს...

მაინც მტკიცედ იდგა ხევისუფალი, არ დაუხედავს ქვევით, არ ატოკებია მუხლი — გასაჭყლეტ ჭიასავით მოგდებული მონისა გამო, მხოლოდ მარცხენა ხელისგული აეწვა და მახვილის ტარზე, თავისდა უნებურად, შეიფხანა...

მალე მოსახვევს გამოსცდნენ ისინი... ქვედატანს აცდენილ, მათივე ფეხის მტვერში მოცურავდნენ ქედდადრეკილ მონათა შიშველი და მზემოკიდებული სხეულები; თორმეტნი იყვნენ და თორმეტივეს თემის „წმიდა ქვა" ედო ბეჭებზე. ჩვეულებრივ, მცირე ჭალისკენ მოჰქონდათ ახლაც, მაგრამ არა როგორც ადრე, სხეულის სიმსუბუქით და ზარ-ზეიმით, არამედ მოთქმა-გოდებით და მძიმე ჯაჭვების მიწაზე თრევით, ცემა-ყლარუნით შიშველ ბარძაყებზე...

ჩვევად ჰქონდა სოფელს: ახალი მთვარის მეორე დღეს შეკრებილიყო აქ, ჭალაში; საძმოთ გაელოთ პურ-ღვინო, თითო საკლავიც შეეწირათ და სისხლით სავსე ჯამებითაც ეთქვათ სავედრებელი თემის მფარველი ჯვარ-ანგელოზებისადმი...

მერმე მოჰქონდათ ქვები...

და, ის რიტუალი, რაც ქვების საჯაროდ გამომზეურებასთან იყო დაკავშირებული, უნდა შეესრულებინა ყველას, ბავშვებსაც კი — მოკლედ, გულმხურვალედ ელოცათ...

ქვების ხელის შეხება კი სოფლის პირველ ქადაგსა და მისნებს ჰქონდა ნებადართული. თითო ქვას თითო მისანი ეჯდა წინ: ჩია და თმაწვერდათოვლილი თუ ქვებისვე ცქერით, მტვრით გადათეთრებული ბერიკაცები. მისნები იყვნენ და, როგორც მისნებს, ძნელი და ერთობ სავალალო საქმეც ჰქონდათ ნაკისრი. მათ გრძნეულ ნიჭს უნდა ამოეხსნა ის საიდუმლო, რაც ჭალაში შეკრებილთა რწმენით, ქვების ზედაპირზე იყო ამოკაწრული (ქვებს მართლაც ამშვენებდა რაღაც ბუნდოვანი, ყვავისფრჩხილოვანი წარწერები, მაგრამ ვერ ამოეხსნათ ჯერ იგი; არ შლიდა ქვა იოლად ჯადოსნურ მკერდს, რატომღაც მტკიცედ ინახავდა თავის სა-

დუმილოს (თითქოს ნაადრევი იყო ან ის ასო-ნიშნები მეტ თავდადებას, სხეულის გვემა-წამებას მოითხოვდა, ალბათ, თითოეული მისნისგან და, განურჩევლად, მთელი სოფლისგანაც.

ასე სწამდათ და სჯეროდათ აქ... და რა შორს უნდა ყოფილიყო ის დღე, როცა ქვებზე ნაწერს ამოხსნიდნენ მისნები, წაიკითხავდნენ მერმე ხმამაღლა, საჯაროდ... მათი გამარჯვების ყიჟინა ხომ შეძრავდა მაშინ ჭალას, ცას თუ ხმელს... ფრთებს ქარივით გამოიბამდა ქვემოურთა ხელახალი აღზევება — მონაპირე თუ ცხრა მთას იქით მდებარე ქვეყნებს უკვე მიწევნილი — და ვინ დაუდგებოდათ მერმე წინ (ქვები, ხომ აქ, მათ მიწაზე იყო ნაპოვნი და წარსული დიდებით უკეთეს მერმისს იმზადებდნენ, რა თქმა უნდა)!.. ასე იყო, მხოლოდ ამ ნიშნით ჰქონდათ ნატვიფრი სოფლის დიდებულთ თუ მიწის მხვნელთ გული, გონება და სული.

მაგრამ დღევანდელი დღე სხვა იყო; ქარს შორიდანვე მოეწვდინა მონათა გლოვის ხმა და ადრე, თემის სასიცოცხლო ნერვად ქცეულ ზეიმს ძრწოლა და შიში შენაცვლოდა. მაინც სად იყო მათი „წმიდა ქვები?" აწი ვინ — ჯვარისა და ხატის მესაიდუმლე ქადაგი თუ მისი მტვირთველი გლეხიკაცი მოიყრიდა მუხლს, ჩოქვა-ჩოქვით შემოუვლიდა თორმეტივე ქვას სამჯერ და ჩვეული ერთგულებით ილოცებდა, როცა ქათქათა და ასე თვალთდამბმელი ქვების ნაცვლად, შავი, რაღაც უფორმო საგნები მოჰქონდათ მონებს, თითქოს თითო კაცს ღამის თითო ლუსკუმი ნატეხი დაუდევსო ბეჭებზე...

მისნებიც არ ჩანდნენ არსად; ქვების მოულოდნელ გაშავებას შიშის ხელბორკილი დაედო მათთვის და უკვალოდ გამქრალიყვნენ. არ დალოდებიან ისინი სოფლის მსჯავრს — თვით გამოეტანათ თავიანთი თავისთვის დროული განაჩენი და ახლა, მათივე ხელით გათხრილ ღრმა ჭებში სოფლის მალულად ჩამსხდარიყვნენ.

სიტყვაუძვრელი და მახვილის ჯვარედინზე ხელდადებული იდგა ხევისუფალი. მას მისჩერებოდა ბრბოც ფარულად... განა თვითონაც არ იცოდა, უნდა გაეცა მათთვის პასუხი, ავად თუ კარგად, დაეშოშმინებინა დღეს ისინი... ამას მოითხოვდა მისგან ბრბო, მათი ფრთხილი თუ ხელი, ცბიერი თუ მბორგავი სული... სხვა ვინ იყო პირველი, თუ არა ის... ვის უნდა ეთქვა საბოლოო სიტყვა, თუ არა...

და ხევისუფალმაც აღარ დააყოვნა..

თავიდანვე განწირული, ფერხთით ტყაპუჭივით მიგდებული მონის გაძაბულ კისერს არც დახედა, ისე დაჰკრა მახვილი... წაჰკვეთა თავი, თუმცა უცნაური ჭახანის ხმამ (თითქოს ნაჯახის ყუით ჩხერკი გადაემსხვრია ხევისუფალს) თუ მახვილის ელვამ თვალი მოსჭრა ბრბოს, ტუჩებზე სუნთქვა შეუყინა... მაინც მიასკდა სისხლის შადრევანი მბრძანებლის ხალათს, — ისე დაიკლაკნა თავწაცლილი გვამიც, ხევისუფალი შეცბა და, თავისდა უნებურად, უკან გახტა.

არა, მიზანს მოხვდა მისი მახვილი, ჩქარა განმუხტა დაძაბული გარემო და ბრბომაც, ნიშნად გამარჯვებისა, ალტაცება და ისართა სტვენა-წივილი შეაგება.

მერმე იხუვლეს მათ სოფლისკენ.. უნდა დაეძებნათ და ჩაექოლათ თემის მოღალატე, მატყუარა ბერიკაცები...

●

ქვენა სოფლის ამბავს ვყვებოდი, მაო ძირძველ ამბავს.

იყო ორი, ერთმანეთის მეზობლად მცხოვრები თემი: თავიანთი მიწა-წყლითა და ბაღჩა-ვენახებით, ზნე-ჩვეულებებითა და ჯვარ-ანგელოზებით.

მაგრამ იმ უხსოვარ დროშიც კაცი კაცს მტრობდა თურმე, საძმო — საძ-

მოს, გვარი — გვარსა და სოფელიც — სოფელს...

...თუ ქვენა სოფლის თავკაცს შურის კვერცხი ეპყრა ხელთ, ზენა სოფლისას — სიმართლისა და პირისწყლისა; ერთს თუ ცოფის ქაფი გულს უჭამდა, თუმცა საბრძოლო ფარზე პურის თავთავი ჰქონდა გამოსახული, მეორეს — ფრთიანი ჩაჩქანი ეხურა, მაგრამ საწუთროს ხანმოკლეობა და ადამის ძის ღალატი, ვაუტანლობა ტანჯავდა.

დაბერდა ზენა სოფლის თავკაცი, არც გული მოსდევდა ძველებურად და არც მკლავი... უკანასკნელ ხანს კი ხმალი საერთოდ განაგდო, სისხლიანი ხელები ნაკურთხი წყლით გადიბანა და ლოცვად, — ხატისა და რჯულის მცველად დადგა. მაინც არ ჰქონდა მშვიდი ძილი, აღარ ასვენებდა ჟამმოწეულს ღმერთებისადმი შენაწირთა, მომხდურთა თუ თემის მოღალატე-ორგულთა მახინჯი სახეები, მათი სისხლის ტბა ედგა თვალწინ... უფრო მეტიც: ჩასთვლემდა თუ არა, ხელებში სახნისის ფრთას შეაჩერებდა ხოლმე უფალი და გუთანს ფეხშიშველს გაუკიდებდა გლეხკაცივით... იცოდა, რაც იყო! წვალობდა და მაინც სისხლით სავსე ტბას ხნავდა, ცხრა გზა აბრუნებდა აქეთ-იქით... არადა, ასეთ რა სასჯელს ახდევინებდნენ ძალნი უხილავნი, რა ცოდვა ჰქონდა ამდენი, თუ არა ის, — თემს ჰპირისუფლობდა, იცავდა, მახვილს მტრის სისხლით ილესავდა...

ამას ნაღვლობდა განაპირებული, დღეშიაც სამჯერ იდგა ხატის წინაშე მუხლმოყრილი, თმაწვერდათოვლილი ხევისუფალი, მაგრამ ვერა და ვერ მოეცილებინა ცას მიწევნილ სულთა სახეები, მათი სისხლის ლიები...

მერმე გვიან ღამით, სულით ხორცამდე შეძრული, ღვთის მოშიში ხევისუფალი გაიპარებოდა სასახლიდან და პირველსავე შემხვედრს, ბნელში მოხეტიალე ბრძენს თუ გლახაკს სავსე ქისა ოქროს ჩაუჩხრიალებდა კალთაში.

ქვენა სოფლის თავკაცს ხომ (წლებთან ერთად შიშის ხელბორკილიც ედო!) მახვილი ისედაც დაუმძიმდა. მაინც არ თმობდა იგი მას, [illegible] ვადას იყო ხოლმე ჩაბ[illegible]. მართლაც, ცხელი სისხლის ოხშივარი ზოგჯერ იმდენად მოსწყურდებოდა, თუ მონას არა — ცხვარს მაინც წააგდებინებდა თავს და ხელებს გააფთრებული გადაიბანდა ღვარად მომსკდარი სისხლის ჰევრში... მერმე რამდენიმე წვეთს გაურევდა ინაში ოქროს მტვერივით და წვერზე, ტუჩებზე წაიცხებდა — დროებით მაინც რომ დაეცხრო ველური ჟინი...

...თუმცა ჯერ კიდევ არ გამოელო მწარე ნაყოფი შის შურსა და მტრობას, ჯერ კიდევ თავანკარა იყო — აუმღვრევლად დიოდა წყალუხვი მდინარე — ორი მეზობელი თემის, ქვენა და ზენა სოფლის გამყოფელი. თევზს აძლევდა, ყანებს ურწყავდა, კაცსა და ნადირს ერთნაირად უკლავდა წყურვილს ის კეთილი მდინარე...

ჯერ კიდევ...

●

...ის ავბედითი დღეც ხომ დაუდგა სოფელს!

მართალია, არც ადრე ჰქონდა მშვიდი ძილი და მოსვენება მათ ხევისუფალს, მაგრამ მობრუნდა თუ არა ჭალიდან სასახლეში, განმარტოვდა თავის დარბაზში და უკვე სხვა ჰმუნვა-ფიქრს, წამებას მისცა თავი. განა არ ჰქონდა საწუხარი, როცა მტრის ნაოხრალს ჰგავდა ჭალა. მათი წმიდა, სალოცავი ქვები კი ცეცხლით გარუჯული ჯირკვებივით ეყარა აქა-იქ...

იჯდა მარტოკა და თავის თავს კ[illegible]ხული...

იჯდა... სანამ სულში უჩუმრად შემომძვრალმა ეშმამ თუ შინაგანმა ხმამ არ დააყოვნა, სულით ხორცამდე არ შეძრა და შეაშფოთა ხევისუფალი. არა, თავიდანვე არ დანებდა თითქოს, მოზღარბა და საკუთარ გულისხმას წვე-

ტიანი ექლებიც კი შეაგება, თუმცა ამაო ალმოჩნდა მისი ცდა, უსმინარობა... და მალე თვითონაც კარგად მიხვდა, ტყუილად იბრძოდა, რომ არსად ჰქონდა გზაასაქცევი... მართლაც სხვა. რალაც „იდუმალნი ძალნი“ განაგებდნენ აქ უკვე, განაგებდნენ თამამად და დაუკითხავად — მისი სულის თუ სხეულის მოძრაობას ერთბაშად დაპატრონებულნი...

ველარ გაუძლო და ბრმად მიჰყვა იმ მაცდურ ხმას... ხმამაც სასახლის ბნელი, ხვეული კიბით ჩაიტყუა იგი და მისთვის აქამდე უცნობ, ბნელ ჯურლმულში ამოაყოფინა თავი. კი, მოქმედებდა, გაბრუებული ჰყავდა არაწმიდა სულს ხევისუფალი, მაგრამ მაინც გაბრაზდა, ხელი გულგრილადაც აიქნია... მართლაც არ იყო გასაკვირი? — ვის უნდა მოეხმო აქ, ვინ მბრძანებლობდა ან რომელს გაებედა მის გვამზე მაღლა დგომა? თუმცა ეს იყო წამით... მერმე იმავე ხმამ ხორციც კი შეისხა მოულოდნელად, და შიშისქარატანილი ხევისუფალიც დანებდა. უმალ მოიყარა ორივე მუხლი...

იდგა მუხლმოყრილი და უსუსური, რალაც აჩრდილის თუ ხმის მიერ შეშინებული... არადა, რამ შეაშინა ასე? მტერს ხომ მტრულად ხვდებოდა ყოველთვის.... შურიც ხომ იცოდა და ემმაკთანაც თავიდანვე იყო წილნაყარი... იქნებ მოულოდნელი შიშის ბრალი იყო? არა! დასაბამით არ ჰქონდა გაბა შიშიც პერანგივით ტანზე მჭიდროდ შემოტმასნილი? ურწმუნოც ხომ იყო და ცოფსაც წამალივით — როგორც პირის ღრუში შხამის წვეთს — იზოგავდა, გულ-გვამს ნელინელ აგუებდა მას და, ამის გამოისობით, მბრძანებლის ტახტს და კვერთხს ყოველთვის ინარჩუნებდა ხოლმე.

საერთოდ, ფიქრი იცოდა ხევისუფალმა, მაგრამ სანამ ნაფიქრიდან რაიმე საღ აზრს გამოიტანდა, მანამდე სხვებს, — სულის ჯურლმულში ჩამსხდარ მსაჯულებს გადაეწყვიტათ და გამოეტანათ კიდეც საბოლოო განაჩენი, ამისდა მიხედვით მოქმედებდა მერმე...

და... ისევ შეისხა ხმამ ხორცი, [illegible] რო გარკვევით შემოაპარა, [illegible] სიტყვა გულის ძარღვებჩამწყვეტი და მანაც გაიძაბა სმენად თავ-კისერი... თვალდაბმული და პირღია იჯდა უკვე, თითქოს რაიმე ახალი მსხვერპლი პაერში უნდა დაეჭირა...

„...შენი წინაპრის ხმლებზე სისხლის შხეფები ხტოდნენ... მათი ყიჟინა კლდეს შლიდა, ქორს ყინავდა ცაში... შენ? შენ ხმალი დაგჩლუნგვია, ბეჩავო! სისხლი წყლად გქცევია...“

„რაო?!“

იბლავლა მან.

„რა და... კისერ-ხერხემალი მუხლივით მიწამდე გედრიკება...“

მეტი შხამი გაურია სიტყვაში.

„არა!“

წამოხტა, მახვილზე გაიკრა ხელი, მაგრამ ნახტომი შეშლოდა თითქოს, ისე გამოეშალა ორივე ფეხი...

„ჰმ!..“

მნიშვნელოვნად ჩაიქირქილა აჩრდილმა.

„მითხარი, რა ვქნა?“

ვერ შეიკავა თავი და შეჰლალადა.

„ნუთუ სულ დაკარგე ჭკუა?..“

„არა... ჭკუა არ დამიკარგავს... ხმალი არ მიჭრის ძველებურად...“

გატყდა საბოლოოდ ხევისუფალი.

„ისიც დაბერდა...“

„ვინ ის?“

იცოდა, ვისზეც უთხრა, მაგრამ მაინც იკითხა.

„ჰმ! — ისევ ჩაიქირქილა ხორცშესხმულმა ხმამ. — გაიხედე მარჯვნივ..!“

გაიხედა...

თითქოს მახვილს ჩაეჭრას ბნელი თუ კედლის სისქე-განი: წყრთა-ნახევარი ცისფერი ჯვარი გაჩნდა ამ ჯურლმულში. მერმე, კვლავ მოულოდნელად აფეთქდა ის ჯვარი და, რალაც სასწაულად

ზაურ კალანდია
მალე მოგვიდი, გაზაფხულო!

ვარდივით გაშლილი სარკმელი დაუტო-ვა ხევისუფალს...

„იმ მთას თუ ხედავ?... — ხმა უფ-რო აღიმაღლა. — ზემოურთა მთას მი-აპყარი თვალი... უპ, რამსიმაღლეა, რა ამაყი სამკაული შვენის..."

„მერმე?!"

„რა მერმე? — გაიოცა. — ველარ ხე-დავ, სად უდგათ ტახტი? სად არის მა-თი საბრძანისი!.."

„კი მაგრამ... მე... მე რა უნდა ვქნა?.."

სწრაფად გაჩიჩდა უკან.

„აკი ჰკუა არ დამიკარგავსო?"

„არ-რ ვიცი... აღარ შემიძლია მეტი... მიშ-შ..."

ისევ წინ გაბობღდა, ფეხებზე საამ-ბორებლად მიეახლა...

„აკი ჰკუა არ დამიკარგავსო..!"

კვლავ ჩაიქირქილა აჩრდილმა, ცხე-რწინ შოლტივით აუქნია ღვარძლიანი სიტყვა და... გაქრა, ჩამოიხსიპა ხორ-ცი.

●

გადიოდა დრო...

მაგრამ დრო არ იყო მისი მკურნალი, პირიქით, რაც დრო გადიოდა, სულ უფ-რო მეტად უფორიაქებდა სულს ხევი-სუფალს იდუმალი სტუმრის უეცარი გამოჩენა თუ გაუჩინარება. მას კი დღე არ გააჩნდა და ღამე — როდის ან სად შეახსენებდა თავს იგი, არ იცოდა, მა-გრამ თუ გამოჩნდებოდა, ნებსით თუ უნებლიეთ, მისი მორჩილი ხდებოდა ხელად.

არც იმავე სტუმრის დიდი ხნით გა-დაკარგვა აყრიდა კარგ დღეს, მასთან სიახლოვეს, რაღაც საიდუმლო ძაფის არსებობას გრძნობდა უკვე, თუმცა მთლიანად, ასე ხელაღებით არ ელო-და თავის „მე"-ს, ჯერ კიდევ თავალე-რილი და ხმალჩაბლუჯული ხვდებოდა მის გამოჩენას, თითქოს ამით ეუბნებ-ოდა: ხედავ, რა ფხიზელი და გულ-ძველი ვარო!...

იჯდა. ელოდა, მის ხმას, ხორცშესხ-მას თუ სუნთქვას დაყურადებული ხე-ვისუფალი.

ზოგჯერ ასეც იყო: [illegible] ხმა გაეგონა, ფეხებზე [illegible]-ბამდა და უფრო ქვევითაც, ქვესკნელ-ში ჩაჰყვებოდა დაუფიქრებლად.

მაშინ, თითქოს განგებ და უსიამოდ გაიფხაკუნებდა ბნელში რაღაცა... ფხა-კუნს აჰყვებოდა, წამოენთებოდა ხორ-მე უმალ (რაც დრო გადიოდა, ხმას დიდი წინაპრის სულთან გაბაასებად თვლიდა, ხორცის მოულოდნელ შესხ-მას კი — მათივე მოციქულის გამოც-ხადებად...), მაგრამ ამაოდ... არ ჩაეს-მოდა ისე ძველებურად, მკაფიოდ.. ფხაკუნი მაინც ისმოდა — ფრთხილი და მზაკვრული იყო იგი, თითქოს ბნე-ლსშეზრდილი ეშმა ქვაზე მახვილს ილ-ესავდა...

და... გულ-გვამს ამოუტრიალებდა, სმენას უხშობდა და აბრმავებდა ორ-ლესულის მალული, საზარაგოდ ლესვა-გაფხავება.

„ღალატის სუნი მცემს... ოთხივ მხრით მოიწევს... კედლებს ბზარავს, ქვას ყონავს მისი სუნი..."

ყვიროდა მეხთამტეხი ხმით; მერმე ბნელს აპობდა, ყველგან — ტახტქვე-შაც მიაწვდენდა მახვილის წვერს გა-ვეშებული... ყველამ იცოდა, რომ არ დაინდობდა ახლა არავის. თავს იმალ-ვიდნენ სადღაც სასახლის დიდებულნი, მესაწოლენი თუ მეკრენი... მართლაც, ღრიალი კი არა, ცის რისხვა იყო ნამ-დვილი, ადამიანის შვილს კი არა, მშიე-რი მგლის ხროვას გაახტუნებდა კარში...

ბრდღვინავდა, მკლავძალობდა, ამს-ხვრევდა ყველაფერს ერთად... სანამ დუქმორეული და ღონემიხდილი, მაგ-რამ უკვე შიშისპერანგგანძარცული არ მიეგდებოდა კვლავ ტახტზე.

ხევისუფალი იყო და... არავის არ სჯეროდა; სასახლე კი არა, გლოვის კარავი უნდა მედგასო, დაიჩივლებდა დიდი ხნის მერმე, გრძნობაზე მოსული და ამ ჩივილს გულს თან ამოაყოლებ-და. რა ექნა, როცა დღემუდამ იმის ში-

ში ჰქონდა, რომ შურისა და ღალატის აბლაბუდაში იყო გახვეული... ახალგაზრდა, მკერდსავსე მეუღლის უბეშიც კი — ადრე, სიყვარულის ულოს ვწნავო, რომ ფიქრობდა — რაღაც მზაკვრულ ნასკვს ხედავდა მხოლოდ, ამ ნასკვს კბილს იოლად ვერ ჩაჰკიდებდა ვერავინ და ვერ გახსნიდა... არადა, დღე არ გავიდოდა, მეტი უნდობლობა, ზიზღი არ ეგრძნო დედოფლისადმი, შხამი წვეთავდა თითქოს მის უეცრად მონაფრქვევ ღიმილში, გამოხედვაში, ალერსში...

სხვებიც ასე ერთხმად განდგომოდნენ ხევისუფალს; სადაც უნდა ყოფილიყო — მარტოკაცი იდგა, შხამიანი ისრების წვერს გრძნობდა ხოლმე ოთხივე ფრთიდან... ვინ იცის, რა ედოთ გულში, მართლაც რას ნიშნავდა სასახლის დიდებულთა ფრთხილი, ბაწარაღებით სიარული ხევისუფლის სიახლოვეს, რად იტოვებდა სისხლის პაწია კვლებს მათი უაზრო ფარფატი აქეთ-იქით... დიახ, ასე ეჩვენებოდა მას და, რა თქმა უნდა, ისიც არ ინდობდა არავის. ყველა მათგანს ერთ დარჯაკში ატარებდა.

იჯდა უსასოო, ბედგაკვანძული... არ იცოდა, რა ექნა აწი, მით უმეტეს, — რა კალოს დაუდგამდა ხვალინდელი დღე ან ასე უქმად ჯდომა, ლოდინი... უკვე არ ჰქონდა მის გონებას თუ ფიქრს გასაგისი, სხეულს — ძალა და გულმაგრობა, კვლავ განეძარცვა შიში და შიშზე ამაღლებულს კიდევ ერთხელ მიეჭირა საქოჩრე ცისათვის... არა, განა არ იცოდა, რომ არ არგებდა დღეს, ასე ჩამდნარს და ჩამუმლულს ჯდომა ტახტზე!

დიახაც იცოდა მან. ისიც კი — რაც შეიძლება ჩქარა რომ უნდა განეგდო გვამში ციებასავით ჩაჭრილი ელდა თუ მბრძანებლის კვერთხისადმი შექმნილი საფრთხე! ამას იმდენად ითხოვდა მისი გონება, სხეული, სული, რამდენადაც დღემდე ზვიადად მოგდებულ ძვირფას ქლამინდს მხრები და გვარის პირველობა... სწორედ ამიტომ უნდა ჩაეკლა, ანწუხით უნდა ამოეშანთა ყოველგვარი შიში, ექნა არსაქნელიც... თორემ სხვა რა იყო მისი სიცოცხლე — თუ არა მბრძანებლის კვერთხი და ტახტი, პატიოსანი ქვებით მოოჭვილი გვირგვინი, წითელი წაღები... ყოველივე ამის დაკარგვას ხომ სულისა და ხორცის გაყრა ერჩივნა უმალ... ხევისუფალი იყო და... მსგავს სირცხვილს საკუთარი სისხლითღა თუ მოიბანდა...

ამიტომ არ იკარებდა — შინ და გარეთ უკვე არავის; ხმლით შემოიხაზა წრე და ამ წრეში ნადირივით ფრთხილი და დაყურსული ჩადგა. მაგრამ ეშმაკი ხომ წრის შიგნით იყო, კარგა ხნით ადრე ჰყავდა გვამში შემომძვრალი...

მესამე დღე ილეოდა; სხვის მოწოდებულ წყალს არ სვამდა, პურს არ ტეხდა საჯაროდ... მეუღლესაც ხომ ეშმაკის თესლს, მათ ფარჩის სარეცელს კი — ღალატის კიდობანს ეძახდა უკვე.

ოღონდ მბრძანებლის ტახტი ვერ დაეთმო; თავს ძალით იტყუებდა, უფრო სწორად, სხვათა განგებ იჯდა ხმალჩაბღუჯული თუ იდუმალი სტუმრის მოლოდინე... თითქოს გამოჩნდებოდა თუ არა „ის სტუმარი“, სულისა და ხორცის ტრაპეზზე მიიწვევდა მას, ველური თაფლით სავსე გობს დაუდგამდა წინ — ასე ცმუკავდა მოუთმენლად და, ბოდავდა თუ ახალ ნააზრევს იჭდევდა გულში, გაუტყუებლადაც, ერთობ ტკბილ ნერწყვს გამოუყოფდა მასზე ფიქრიც, ლოდინიც... მაგრამ არ ჩანდა იგი რატომღაც, არ იტყუებდა იმავე ბნელი, ხვეული კიბით...

დღე თენდებოდა...

სარკმელთან იდგა ხევისუფალი.

მზე ორ მთას შუა დიდებულად ამოდიოდა... მრგვალი, წითელი, ჯადო-თილისმით გავსებული მზე იყო...

ამომავალი მზისადმი შიშსა და ძრწოლას გრძნობდა ხოლმე. თვალს ველარ

ვუსწორებო, არ მალავდა იგი თავის გულისწყრომას და ჩრდილში, უფრო სწორად, მზისგან შორს, ზურგშექცევით არჩევდა დგომას... არც ცაში აიხედავდა უმიზეზოდ ხევისუფალი, და მაინც, ცისარტყელას თუ მოჰკრავდა თვალს უნებურად, კბილებს გამიფუჭებსო, იტყოდა და ხელისგულს აიფარებდა მაშინვე, პირს შეშინებული იმუწავდა.

შუბლი მოიჩრდილა.

მერმე დიდხანს გაჰყურებდა მთებს; ფიქრობდა, სევდიანი მზერა გადაჰქონდა ხან გაღმა, ხან გამოღმა მთისაკენ.

მთები ჩვეულებრივ, ნისლის თხელ აბლაბუდაში იყვნენ გახვეულნი, მზის პირველი სხივების დაცემას, რაღაც ჯადოსნური და მიუწვდომელი გაეხადა ისინი... თუმცა ასეთივე არ იყო გუშინ, გუშინწინ მთების ფერიცა და სიმაღლეც? ჩვეულებრივ, დასაბამით არ ჩაუდიოდა ეს წყალუხვი მდინარეც გაღმა-გამოღმა მთას შუაში: მდინარე — ზენა და ქვენა სოფლის მიწა-მამულის, სახნავ-სათესის, ნადირ-ფრინველის თუ ცის მისხალ-მისხალ განმყოფელი?!.

გამოღმა მთა შექანდა თითქოს... მერმე უცხო, რომელიღაც ზღაპრული ფრინველი ამოიზარდა მისი წვეროდან და ფრთების მძიმე ფრაშფრაშით აიღო გეზი გაღმა მთისკენ...

სარკმელს მიეხალა. უნდოდა, უფრო ფხიზელი მზერა მიედევნებინა ფრინველისთვის, მაგრამ შეცბა და სწრაფად გახტა უკან. სახეზე მოისვა ხელი, დახედა, თვალებთან ახლოს მიიტანა: აბლაბუდის ოქროსფერი, წებოვანი ძაფები შერჩენოდა ზედ... მის ცხვირწინ კი პაწია ცვილისფერი ობობა თავდაღმა ეკიდა და რაღაც სასწაულად, თითქოს მზის წაკვნეტილ სხივზე ირხეოდა...

ისევ აემღვრა გუნება.

ფრინველი მიფრინავდა... წამით ჩაეშვა ქვევით, მდინარეში, ვეება ფრთები უწვდინა, დაატოლა მის სიგრძე-განს... და მდინარემაც გაკმინდა ხმა, შიშით ჩაიწურა ტანი, თითქოს შეისრუტა მიწამ ნახევრად... მერმე ისევ ზევით — ზემოურთა მთის სიმაღლისკენ... წავიდა ფრინველი, წაისხლიტა ფრთები ლამაზად და მალე მთის სიმწვანეშიც ჩაიკარგა...

რა მოხდა, ასე დაჟინებით რად მასჩერებოდა ხევისუფალი გაღმა-გამოღმა მთას თუ მთებსშუა ჩაწნეხილ სივრცეს, თვალით ზომავდა მანძილს, თითქოს ნახტომისთვის იყო მზად ან...

არა, მართლაც რად იყო ასე უფერული და თავკვეთილი, მწუხრისფრთადაკრული მათი მთა, ზემოურთა კი პირიქით — ცას სწვდებოდა მისი ხასხასა, აზლაპრებული ყელი. იქნება თვალი ატყუებდა მას, რომელიღაც არაწმიდა სული მოქმედებდა და ის ხდიდა მთას მაღალს, ჯილოსანს, ჯადო-თილისმით გავსებულს (მზეც ხომ განგებ იყო გაღმა მხარეს გადახრილი, განგებ ჰქონდა მის გრძელ, ძოწისფერ მკლავზე მთას თავი მიდებული და ყვინთავდა)..

მაინც იჩინა თავი; ხევისუფალის მოწამეობრივმა ფიქრმა თუ სიჯიუტემ უკვე სხვა ნაყოფი გამოიღო... რაღაცნაირი შვება ახლდა თან, თითქოს ელდაჩაშიგნითებულ სხეულს ან ფილტვებში სიმწრით შეკავებულ ჰაერს ახალი სასუნთქი მილი გახსნოდა მოულოდნელად, ისე თავისუფლად მოიწევდა ზევით თამამი აზრი თუ აქამდე მალული გრძნობა... მალე ჩიტივით შეუმსუბუქებდა სულს, მერმე სხეულსაც... ავერ, იდუმალი სტუმრის ხმაც ჩაესმა, ხმა — ადრინდელზე ფრთხილი და შემპარავი...

„შეხედე, შეხედე!... ცას წვდება მისი წვერი... ა, სად უდგათ ტახტი... სად არის მათი საბრძანისი!..“

ახლა უნდა ემარჯვა, სწორედ აქ უნდა გახსნოდა ცა, სარკმელთან მდგომს, ან პირიქით... ოღონდ რაღაც ბიძგი იყო ამისთვის საჭირო, უფრო სწორად, სულს მეტი ბოღმა და ამბოხი, სხეულს — მეტი სიმტკიცე და შემართება მართებდა...

მიმოიხედა... სისხლი მოსწოლოდა თვალებში, ყურებშიაც მოსძალოდა... მაინც ამაყი და აძაგრული, ქვაკაცად იდგა აქ ახლა. თითქოს ადრეული შიში მოსასხამივით წამში გადასძვრაო... უცებ აიქნია ხელი და... გაქრა ხელახლა ნაქსოვი ბლანდი — ოქროს სამკუთხედი, მუჭში მომწყვდეული ობობა კი სწრაფად იტაცა პირში და გადაყლაპა...

ვეღარ დაიოკა მერმე ყელს უცაბედად მობჯენილი, უკვე ცოფნარევი ღრიალი. მალე გარეთ გასხლტა ასე გამყივანი ხმის ექო. სოფელს მოეფინა, ხრამ-ხევი ამოლოკა ცეცხლის ენებივით და ცაში, ქორის სიმაღლეზე გაიყინა...

●

ძვირფასი ქლამინდი მოესხა, წლებიც კი ჩამოებერტყა მხრებიდან მტვერივით და ღრმა, ყვითელი თვალებით გასცქეროდა შორეთს ქვენა სოფლის მკაცრი, ზვიადი, მაღალმხედი ხევისუფალი... ზურგს უკან ქადაგი ედგა; იგი ლოცულობდა ჩუმად, მოკლედ და გულმხურვალედ...

„ისმინეთ, ძმანო და ხატის ყმანო! — ხმალი ზეალმართა მბრძანებელმა. — ჩვენი წინაპარი ხომ ღმერთს შიშველ ქვაზე დაუსვამს, მას კი მატყლი აუყოლებია ქვიდან და სოფელიც აუყვავებია. განა ჩვენ შიშვლები არ დავბადებულვართ, მაგრამ დახეთ, როგორ შევიმოსეთ ძვალ-ხორცი!

აი, ამ ქვებზე ეწერა ეგ ყველაფერი! ჩვენი დიდებული მომავალიც ქვაზე ქვით იყო ამოკაწრული... ჩვენს წარმართ სულს ჭირში თუ ლხინში ესმოდა მათი ღაღადისი!

ქვები არ სტუიან! ეგ ჩვენ, ადამის ძენი ვსტყუით... ვცოდავთ, ჩვენდა უნებურად! სწორედ ამიტომ დავისაჯეთ, ამიტომ გაგვიშავდნენ ჩვენი „წმიდა ქვები“ და დღეს ზეიმის ნაცვლადაც ხომ გლოვა და ზარი გვიდგას, ძმანო!

ჩვენი წინაპრის ხმლებზე სისხლის მზეფები ხტოდნენ, მათი ყიჟინა ქორს ყინავდა ცაში! იბრძოდნენ; მტერს — ზურგში, საკუთარი მიწის ორგულს — მკერდში, ვადამდე უწონიდნენ ხანჯალს!

ოთხი ფრთით იწევდა ჩვენი მიწა-წყალი... არა ერთი და ორი სოფელი ალუგვიათ პირისაგან მიწისა!

მაგრამ, ვაი, რომ ფუჭია დღეს ის დიდება. რაღაა ის წარსული, რასაც აწმყო-მომავალი აღარ ახლავს! ბზის წონა და ფასი თუ აქვს მხოლოდ!

განა ბალახს ვძოვდით?! ჩვენც ვიბრძოდით, ჩვენც გვეხურა თავზე ჩაჩქანი, მაგრამ, ვინ იცის, სად რა შევცოდეთ ან რომელი ხატი შემოგვწყრა! შევცდით კი! და სწორედ ეგ არის მიზეზი იმისა, მონაპირე სოფელი რომ გვყავს ასე გაძლიერებული, მორჭმული... ჩანს, მათმა სიჩაუქემ ჩვენ დაგვრია უძლურობის ხელი!..

ჩვენ შევცდით, ძმანო! შევცდით თავიდან — ხმალი რომ ფარით შევცვალეთ, ბრძოლის ველი კი — ტრაპეზის ველით! ხმალს ჩვენსას ჟანგი სჭამს უკვე, გულს — უმოძრაობა და ობი!

აბა, რას უნდა ნიშნავდეს თემის წმიდა, სალოცავი ქვების ასე მოულოდნელი გაშავება?!

ნუთუ არა ფიქრობთ, საით მივალთ, რანი ვართ დღეს? ჩვენი კაცი ხომ კაცს არა ჰგავს და ქალი — ქალს! ყოველი მესამე ბავშვი მკვდარი ან კუტი იბადება...

ვაი, ქვაში ჩაკირულო, აწ დაფლულო დიდებავ!

(იღრიალა მან. ბრბოც აჰყვა მის ღრიალს... მერმე მათი ზრინვა-ქვითინის ხმა გაბმულად, ფუტკრის ზუზუნივით დაირხა ჭალაში...)

ხმალს შევმართავდით!..

მგლის მუხლს გამოვიბამდით! მაგრამ იმ ქვეყანას, ღვთის შეწევნითა და წყალობით, ალზევების ხანა უდგას, ვისაც — ა, იმ მთის წვეროზედ... მზესთან ახლოს უდგას თავისი საბრძანისი. — ხმლით ვერ დააჩოქებ!

ჩვენ კი გამარჯვება გვწადიან, ძმანო, და არა შუბების ჩხვერა და სიკვდილი!

რომელი ერთი გაბედავს და იტყვის (ხმალჩაცლუჯული ხელი მდინარისკენ გაიწვდინა), რომ ეგ მდინარეა და არა შურის წყალი! დიახ, შურის წყალი გვყოფს, ძმანო, შურისა!... და განა დღეს? არა, დასაბამით... აი, ამ ქვებით ათასწლეულს დაითვლის იგი!

თქვენი თვალით ნახეთ (ტანზევით შიშველმა, ქედდადრეკილმა მონამ მოარბენინა ორივე ხელზე დასვენებული მახვილი და ბრბოს საჩვენებლად დადო ქვაზე, მერმე სავსე დოქი წყალი დააცალა ზედ), დარწმუნდით, რკინას როგორ ჰამს, ქვას როგორ აშავებს და ალბობს მისი შხეფი!..

დიახ, ეგეც იყო ჩვენს „წმიდა ქვაზე“ აღნიშნული!

შეხედეთ, შეხედეთ მაგათ მთას (ამჯერად გაღმა მთას მიაწვდინა მან მახვილის წვერი)!.. თვალს არა გჭრით? არ გაბრმავებთ მისი სამკაული, სიმაღლე... — ცაში მოტორტმანე ყელით (გაღმა მთა მართლაც განსაკუთრებული ფერისა იყო!)?! აწ მარცხნივ, ჩვენს მთას მიაგებეთ მზერა... ვერა ხედავთ, რა უფერულია და თავკვეთილი (ბრბო კი ბრმად მისჩერებოდა ხან გაღმა, ხან გამოღმა მთას...)!..

თემის ჯვარ-ანგელოზთ ვფიცავ!.. გფიცავთ თქვენ, მე გამომეცხადა ჩვენი დიდი წინაპრის აჩრდილი... მე ვიხილე მისი დიდებული სახება, ხმაც გავიგონე... ისიც, რაც იყო ჩვენს „წმიდა ქვაზე“ წარწერილი... და მე ვაცხადებ საჯაროდ!

მხოლოდ ის — მთის ჯადოსნური ნაწილი, ძმანო, მისი თხემი არის დღეს ჩვენი დამაქცევარი და მათი უძლეველობის ნიშანსვეტი! სამ წყრთა-ნახევრით ჰარბობს იგი ჩვენს მთას (იქნებ მეტიც იყო გაღმა მთა გამოღმაზე მაღალი, თუმცა ზუსტი ცნობა ხელს არ აძლევდა ხევისუფალს). დიახ, სახნისის გაშლა მიწა თუ იქნება, არადა, მასში დევს ზენა თემის ყოვლისმპყრობელი სული...

მაგრამ... მე ხომ გამომეცხადა ჩვენი დიდი წინაპრის აჩრდილი, სიტყვა-სიტყვით მიჩურჩულა ის, თუ როგორ უნდა ვიგდოთ ხელთ ჩვენი წელთგამტეხი, დამაქცევარი ჯადო-თილისმა (ხანჯალი ჩაასო მიწაში, მერმე თითები გადააჭდო ერთმანეთს და ვადის ქვემოთ ჩაბღუჯა...)... მე, ხევისუფალი ვფიცავ... ვიჩოქებ თქვენს წინაშე, რომ (ჩაიმუხლა, ორლესულის პირს ჩააყოლა, ჩაასრიალა დაბლა — მიტყეპილი ხელისგულები და სისხლის კუნწულებიც დაასხდნენ ხელად... ბროწეულივით შუა გადაეხსნა ორი, მტკიცედ ჩაწნული მუჭი)...“

... ზენა სოფელი;

ხევისუფალი — ხევისუფლობდა, მონას აქაც მონის უღელი ედგა ქედზე, გლეხი — ჩვეულებრივ ეკიდა გუთანს; ხნავდა, თესავდა, იმკიდა... ცხოვრობდა, სოფელს ინახავდა პატიოსნად და მტერს მტრულადაც ხვდებოდა. ასე ჩვეულებრივ იბადებოდნენ და იზრდებოდნენ ზენა სოფელში ლამაზი, მკვირცხლი, მხიარული ბავშვები...

და მაინც, ქვემოურთაგან განსხვავებით, სხვა ღმერთსა და ჯვარ-ანგელოზთ უდგამდნენ ტაბლას ისინი, ცხოვრების სხვა ადათ-წესი ჰქონდათ.

უკანასკნელ ხანს, რაკი ასე ნანატრი, მშვიდობიანი დროება დაუდგათ ზემოურთ (ომგამოვლილს — ნახმლევი მხარი თუ შუბლი გაუვარდისფერდა უკვე, გამოუნასკვა ძარღვი ხელმეორედ დედაბუნებამ), ხევისუფალმაც ორი — დიდი და პატარა ზარი ჩამოაკიდინა სოფლის კეთილ ხუცესს ბებერი ციხის თავზე...

ხუცეც ხომ პატარა ზარს ეკიდა დილა-საღამოს, რეკავდა და რეკავდა... მართლაც, თავისი საქმის დიდი ოსტატი ჩანდა იგი, ჩვეულებრივ კი არ ჩა-

მოკრავდა ზარს, არამედ — აამღერებდა, აგალობებდა მერმე დიდხანს და თავდავიწყებით, თითქოს თოკის ბოლო კი არა — ზარის ჯადოსნური სული ან სიმებგადაწნული ქნარი ხელთ უპყრიაო...

ჩამოჰკრავდა ხუცი ზარს და, დიდსა და პატარას აჯადოებდა მისი ხმა; ბავშვებს თუ ეძინათ, უფრო ღრმა ძილს შეუბრუნებდა, ვარცლში ხელებდაკაპიწებულ დედაკაცს თავს აალერინებდა მაღლა, გაალიმებდა — დროისა და უფლის მადლიერს... ყარიბს ლოდს ააცლიდა ხოლმე გულიდან... გუთანს გაკიდებულ გლეხკაცს — წელს გაამართინებდა, შუბლზე ოფლს შეუშრობდა — მეტი ძალ-ღონე ჩაეღვროდა მერმე სხეულში, უფრო მტკიცედ რომ შებმოდა მარჩენალ მიწას...

ცისკარს ასწრებდა აქაური კაცი.

ადგებოდა, ეზო-კარს დაივლიდა გულგახარებული. ბილიკზე ნაპოვნ ჩიტის ბარტყს თუ გველის წიწილს ფრთხილად გადასვამდა ბარდებში... ვაზს სხლავდა — ღიღინებდა, გუთანს გაუკიდებდა მიწას — ისევ ღიღინებდა...

შებინდებისას დაღლილი, მთელი დღის ნაჯაფ-ნაამაგარი კაცი სულს მაინც გაისათუთებდა. მერმე ქათქათა პერანგს ჩაიცვამდა და ცოლ-შვილს დაუშაქრდებოდა — მკერდგაღეღილი და როხროხა... არც კარის მეზობელს დაივიწყებდა, თავის წილ სიყვარულს მიაგებდა მტერს თუ მოყვარეს... დაჯდებოდა, ტაბლას გააშლევინებდა დედაკაცს, პურს სასოებით აკოცებდა, ღვინის ჯამში ჩაწობილ ლუკმას ისე არ გადაყლაპავდა, მაღლა არ აეხედა, ღვთის სადიდებელი, წინაპრის სულის მოსახსენიებელი არ ეთქვა. დასასრულ, ისეთ ხმამაღალ სიმღერასაც შემოსძახებდა ხოლმე, ეშმაკს ანგელოზებს დაუფრთხობდა...

სხვა ბუნების ადამიანები ცხოვრობდნენ ზენა სოფელში.

რაკი სოფელმა მოითქვა საუკუნეობით ნატანჯ-ნაგვემი სული, მა[illegible] სუფალი რწმენის პურს თესავდა, [illegible] სწორად, ძველს ახლებდა, ღმერთს — ტაძარს, ხალხს სალოცავს უშენებდა, თან, არც ციხე-გალავნებს ივიწყებდა, რკინის მძიმე კარს ჰკიდებდა სოფელს აღმოსავლეთ-დასავლეთით... ცხადია, ხვავი და ბარაქაც მეტი იყო.

და გადიოდა დრო...

პატარა ზარს გამუდმებით აწკრიალებდა კეთილი ხუცი...

ბერი წიგნს წერდა...

საბატონოს თუ სახუცოს იხდიდა, ჩვეულებრივ, ალალი, პატიოსან ლუკმას დაჯერებული გლეხი...

ქალი — ორ აკვანს უჯდა ერთდროულად...

საკაიყმო ლექსებს თხზავდნენ მოშაირენი...

...მაგრამ მტერს რა გამოულევდა ზენა სოფელს!

მტერი ხომ ყოველთვის ფხიზლად იყო, თითქოს ქუსლზე ჰყოლოდა თითოეულ მათგანს ჩაფრენილი და... თუ სიფხიზლის ნერვი მოუდუნდებოდა ოდნავ, თვითგვემას მიეცემოდა ხოლმე — ქუსლით თავდალმა დაითრევდა იგიც უმალ... დაითრევდა და თავს კლდეზედაც მიუჭეჭყავდა...

სხვათაშორის, ამ სულით ლაღ, შრომისმოყვარე ხალხთან, ჩანს, ეშმაკიც თავიდანვე იყო წილნაყარი (ეშმაკს კი არასოდეს არ ეძინა!), იგი მასში იყო, სხეულის რომელიღაც ბნელ უჯრედში ჰყავდა შემძვრალი... და თუ რწმენას, უფრო სწორად, — სულს საკუთარ ცაში, სხეულს — მიწაში მჭიდროდ არ ჰქონდა ფესვები გადგმული, ისე აუბნევდა გზა-კვალს... ისე გაწირავდა ღმერთიც და ხატიც, რომ მშობლიური მიწის ნაცვლად, ხშირად მომხდურის ჭრელ კალთაში მიადებინებდა თავს ხოლმე...

მტერს რა გამოულევდა აქაურ კაცს!

---

**ზაურ კალანდია**

მალე მოგვიდი, გაზაფხულო!

პირიქით, მტერი აწრთობდა მის ბუნება-ხასიათს, ხმალზეც ხელს გააკვრევინებდა, თორემ... ჩინჩხვარს თუ აღარ შეუნთებდი, შუბს ცხვირწინ ხშირად აღარ აუქნევდი, თვითგვემის წამალს — სტუმართმოყვარე ბუნების წყალობით — საცრისტოლა ჯამით მიირთმევდა... ღვინო ჯერ სულს, მერმე სხეულს ალხენსო, დასძენდა ბრძნულად და თავის დამაქცევარ ჯამს ისე მოიყუდებდა, შიგ ერთხელ არ ჩაიხედავდა... თან ანდაზების ისეთ კორიანტელს დააყენებდა — თამამი და ლაღი, ბრძენი და ხელი — რომ...

არც უზომო დარდსა და ვარამს დაგიდევდათ იგი; ზოგჯერ ასეც იყო: გვიან, რაღაც ბუნდოვნად სევდაშეპარული, სახეჩაღრუბლული კაცი შემოაღებდა ხოლმე სახლის კარს... ლუკმას არ გატეხდა, ცოლ-შვილს არ შეხედავდა, ტანზე არ გაიხდიდა, ისე მიეგდებოდა ლოგინზე... იწვა — ფიქრიანი, მოჩვენებებით გულდამძიმებული, უნუგეშო სახლისუფალი... დიდი ხნის მერმე: ცხოვრება იმდენად მოსაწყენი რამ არის, ასე რა გალევსო, დაიჩივლებდა და სულს ნაფლეთ-ნაფლეთ ამოატანდა ამ ოხვრას... არადა, თვითონაც არ იცოდა, თუ რა იყო მიზეზი მისი მოწყენის, გულღორღიანობის... ხშირად, მხარს მძიმედ წამოსწევდა, შეეხმიანებოდა ხოლმე მეზობელს — საუბარი, სწორი თუ ღრეობამოწყურებული... სუფრისმტეც აღარ დაუგვიანებდა და გამთენიამდე, ხან ხმაშეწყობილი, ტკბილი სიმღერა გამოისმოდა იქიდან, ხან — ნადირის ბრდღვინვა-ღრიალივით ხმა სწვდა მაღლა ღვინით ქინდამცხრალის ოდა-სახლის ჭერს...

...ის დრო იყო, გაზაფხულის შემობრძანებას ელოდნენ ზემოურთა სოფელში; მოადგებოდათ კარს გაზაფხული და... კერიის ცეცხლს ჩაანაცრებდნენ, კარ-ფანჯრებს ღიად დატოვებდნენ, მერმე ხარ-ძროხასაც გამორეკავდნენ ბაგიდან და წალიკად, დიდ-პატარებიანად გამოეფინებოდნენ გარეთ, ეზოში...

იდგნენ და... ცას [illegible] სმენადაძაბულნი, ფეხშიშველნი: რომელი ფრინველი მოფრინდება ადრე და მისი მხიარული ხმობა-ჟღურტულიც რომელ ჩვენთაგანს ჩაესმება პირველადო...

წესი ჰქონდათ ასეთი: გუგულის გამოჩენამდე ხელს არ მოჰკიდებდა გუთანს მეგუთნე. არც ისარს აისროდა ცაში არავინ... ვაითუ დაფრთხნენ გუგულები, უკან გაბრუნდნენ და გაზაფხულიც თან გაიყოლიონო...

ყოველ კომლს ჭიშკრის ძელზე ჰქონდა მჭიდრო ჭდეების აცმა — ზამთრის დასასრულისა და გაზაფხულის მაუწყებელი რამ. აათავებდნენ ჭდეს: შემოდიოდა გაზაფხული; იღვიძებდა ნასავენი მიწა, კვირტი, ბალახი...

მაგრამ წლევანდელი წელი არ ჰგავდა ადრინდელს. უკვე მილეულიყო ზამთარი, გაზაფხული კი არ ჩანდა რატომღაც, — ვარდისფერ კანს არ შლიდა, სურნელს არ აფრქვევდა ჰაერში, კვირტს არ ასკუპებდა რტოებზე და არც მისი დიდებულებით შემობრძანებაზე მლოცველთა შიშველი ტერფები გრძნობდნენ ხოლმე მიწის ლაღ სუნთქვასა თუ ბალახის აჩქამებას...

არც გუგულის ხმობა-ძახილი, ჩიტბატონას ტკბილი გალობა ისმოდა სადმე.

დრო კი გადიოდა...

სოფელი შეშფოთდა...

ის მომხიბვლელი ხმაც გაუქრა პატარა ზარს, არ ეკიდებოდა ადრინდელივით მათ გულსა და სმენას ხუცის ჯადოქრობა... და, კაცმა არ იცოდა, რა იყო ამის მიზეზი. მართლაც, რად იმაღლვიდა თავს გაზაფხული? ან ვის შეეძლო, რომ ეწინასწარმეტყველა, საით მიდიოდა სოფელი, რა კალოს დაუდგამდა ხვალინდელი დღე ცის მაცქერალთ... ფრთამოტეხილივით ესო მიწაში დაფერდილი გუთნები... კვალში ჩადგომას ვერ ბედავდა ვერავინ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვერც ხელისუფალი აღუდგა სოფლის ძირძველ ჩვეულებას, ხალხის უსაქმო დგომა-ლოდინს; ფიქრობდა, უფრო სევდიანი და განაპირებული დაიარებოდა მინდორ-მინდორ, თან გაზაფხულის მოლოდინში ძაბავდა სმენას... მიწას იფშვნიდა მუჭში, ჰაერს ღრმად და მალიმალ იყნოსავდა, ლოცულობდა, მაგრამ ამაოდ... ვერ გაეხარებინა მოხუცს გული, ვერც სამწყსო...

წუხდა. დარდობდა...

დიდი ხნის ფიქრის შემდეგ ღამის მეხრენი მოიხმო სასახლეში.

იქნებ ღამით მოგვადგა კარს გაზაფხული, გუგულებიც ღამით მოფრინდნენ და სოფელმა ვერ შენიშნოს, თქვენს მახვილ თვალს კი რა უნდა გამოეპაროსო...

თქვა და პასუხსაც დაელოდა.

გამხიარულდნენ ღამის მეხრენი; ოღონდ სოფელი ვიხსნათ ამ გაჭირვებისგან... ღამე ხომ ჩვენი დღეა ისედაც და, თუ გსურთ, მთელი წელიწადი ჰოტებივით ჰალაში დავსხდებითო!.. — მიუგეს მათ ერთხმად სოფლის ჭირ-ვარამზე დაფიქრებულ ხევისუფალს.

არ დაუკარგავთ დრო, მხოლოდ — მზისა და მთვარის გამოსახულების ციცქნა კვერები გამოაცხობინეს ოჯახის დედაკაცებს, მით გამოივსეს ჭრელჭრული აბგები, გადიგდეს მხრებზე და გაუდგნენ გზას. მალე მოგვივაო გაზაფხული, თუ არა და, — კუდით დავითრევთო, აიმედებდნენ თავიანთ თუ მეზობლის ბავშვებს წმიდა ჰალისკენ მიმავალი კაცები.

კვლავ გვიანდებოდა... არ უთენდებოდა სოფელს ის ბედნიერი დღე. მალე მეხრეთაც გაუჩნდათ ეჭვი: არა და არ წვდებოდა გაზაფხულის ლაღი სუნთქვა მათ ყნოსვას, არც გუგულის „კაფეთესე“ ისმოდა სადმე.

ცხადია, გლეხკაცს გაუჩნდა ყველაზე მეტი საფიქრალი. უკვე დაჰკარგვოდა იმედი ან ვერ წარმოედგინა ამდენ ხანს გულხელდაკრეფილი დგომა და ცის ლოდინი... მართლაც, როგორ უნდა გამოეკვება — ამდენი უქმი თვის შემდეგ — საკუთარი კუჭი, ქალამნე-ბი... ახსოვდა კი — ღვთისა თუ [illegible]ბაზის კარისადმი შესაწირიც!.. არადა, უნდა ელონა რაიმე...

ვინ იცის, სხვა გზა ვერ იპოვნა თუ მისი მოუთმენელი სულის ბრალი იყო. — ხელი ჩაიქნია გაზაფხულის მოცდალოდინზე და საძმოს უჩუმრად, ღამით ჩაუდგა გუთანს კვალში (ამრიგად, მეზობელმა — მეზობელს, ძმამ — ძმას მოარიდა თვალი, გულჩათხრობილი და მარტოკაცი გახდა)... თუმცა, ჯერ კიდევ ჰქონდა მას ძველი, მრავალსაუკუნოვანი წეს-ჩვეულებისადმი რიდი და მოკრძალება, რაღა თქმა უნდა, უფლის და ხატის შიშიც აფრთხობდა კიდევ... მაგრამ აქაც იპოვა გზა ფრთხილი, თავის საქციელს გამართლება მოუძებნა — გუგულის გამოსახულების კვერი გამოაცხო და სახნისის ფრთაზედ დაისვა — და ასე მიჰყვა გუთანს, თითქოს ძალით მოჰყავდა ყანაში გაზაფხული...

ასე ყოფილა აქ ოდითგან: ღვთის ნება-სურვილსა და წინაპრის ადათწესს მაშინ მისდევდა ზემოური გლეხი, როცა ნახევარი კოდი პური მაინც ჰქონდა სადმე გადამალული... არა, იგი არასოდეს ივიწყებდა წუთისოფლის შემქმნელსა და გამგებელს, მაგრამ ესეც ხომ ახსოვდა — ლოცვა-კურთხევა ან გუგულის „კაფე-თესე“ მიწას ვერ მოუხნავდა და ვერც ყანას გაუმარგლავდა... ერთი შეხედვით, გაორებული ბუნებისა იყო თითქოს, ცაშიც და მიწაშიც ერთნაირად ჰქონდა ფესვები გადგმული, სწამდა — ცისაც და მიწისაც... და მაინც, ღმერთს რომ ახსენებდა, მტკიცე და წელგამართული იდგა მიწაზე საკუთარი მუხლის ძალას დანდობილი....

●

მართალია, ზემოურთა სოფელში იგვიანებდა გაზაფხული, მაგრამ არც ქვე-

მოურთ ჰქონდათ მათზე ნაკლები საწუხარი. თითქოს ორად იყო სოფელი გაყოფილი; ერთთ — ფრთხილი, რაღაც საქმიანი სამზადისი თუ ჰქონდათ თემის საკვალდღეოდ, მეორენი ხომ გმობდნენ ამას! იქნებ არ გმობდნენ, უბრალოდ, არ იწუხებდნენ თავს ამით ან არ იცოდნენ დანამდვილებით, რისთვის იბრძოდნენ, რას მოუტანდათ დღეს იგი. ასე იყო თუ ისე, არც ერთს არ აკლდა საფიქრალი, ვერ შეჰგუებოდა ასე გაურკვევლად ყოფნას ბევრი — წინაკაცი თუ მიწის მხვნელი... ადრე დაეცა მწუხრი სოფლის შარა-გზას, ცამაც დაკარგა ფერი, ნისლში ცურავდა მისი ტყემინდორიც... მართლაც, საიდან უნდა სცოდნოდათ რაიმე, როცა მათი ხევისუფალი კვლავ დუმდა (თქვა სიტყვა ჭალაში და ისევ ჩაიკეტა დარბაზში) და, საერთოდ, რა დღე ელოდათ ხვალ, არავინ არ იყო ამის გამკითხავიც.

ვინ იცის, იქნებ ადრე გაბატონებულ საუკუნეებგამოლწეულ ცხოვრების ადათ-წესს შეაქციეს ზურგი და, თავისდა უნებურად, ეშმაკს ჩაუდგნენ სამსახურში? სოფლის გარკვეულ ნაწილს წინათგრძნობაც კი ჰქონდა ასეთი — ღმერთის თუ სინდისის ჩაურევლად მოძრაობდნენ, ძველს ხელაღებით ანგრევდნენ და ასე, რაღაც მზაკვრობით აპირებდნენ დღევანდელი დღის შესაფერი ხატის გამოჭედვას... მაგრამ, ვინ იცოდა, რას მოუტანდა მათ ეგ სამზადისი, ცაში აიყვანდა თუ მიწის პირს გადაუხსნიდა მოულოდნელად...

მაშინ სადაა იგი — შემოქმედი? რატომ აალო ხელი სოფელს, რად დაუბრმავა გონების თვალი ადამიანს? ნუთუ მობეზრდა მას მათი დასაბამით დევნა და თვალთვალი... ან იქნებ დაიღალა და სწორედ აქ არის მისი სისუსტე — მოკვდავთა საქმეში რომ არ ერევა უკვე (იქნებ ნამეტანი გაკეთილშობილდა და თვალს განზრახ ხუჭავს, თორემ ამდენ სითამამეს, ცოდვა-მრავალს როგორ მოითმენდა ერთი საწყალი და რაღაც შემთხვევით, უსაქმურობის ჟამს ნაჩხირკედელავები არსებისგან?)! სხვათაშორის, სოფელს როდი აქვს ეჭვი, რომ ღმერთი არსებობს. იგი მაღლაა — ცაში და ღრუბლის ფუმფულა სავარძელში ზის ფეხმორთხმული... მაგრამ არ პატრონობს უკვე არავის. უფრო მეტიც: ჭინჭში გახვეული ჩვილივით დასვა ტყეში ალალბედზე ადამიანი და არავინ უწყის, მგელი გაჰკრავს კბილს თუ კეთილი მონადირე იხსნის...

...თუმცა, არც ძველის ხელაღებით უარყოფაა ხოლმე სოფლისთვის იოლი საქმე. მსგავს ნგრევას —ერის სულიერი რღვევა, ხასიათის ცვლა მოჰყვება აუცილებლად, ერის სულიერი რღვევა და ცვლა, რალა თქმა უნდა, საძნელო რამ არის, იგი ხომ საუკუნეობით იწრთობოდა, ყალიბდებოდა... მაგრამ ეშმაკს როდი სძინავს, ყველგან წვდება მისი უხილავი საცეცები, თქვენ წარმოიდგინეთ, საზეო საქმეებშიც კია თურმე ჩახედული... და ქვენა სოფელიც დაჰყვა არაწმიდა სულის მოძრაობას, არ აღმოჩნდა რაღაც შემთხვევითი და გამონაკლისი... მართალია, თავიდან გაუჭირდა, თითქოს ემწარა კისერზე ვიწროდ მორგებული უღელი, მაგრამ არც იმისი ძალა აღმოაჩნდა, იოლად რომ მოეშორებინა იგი, თუნდ ოდნავ მაინც შეემსუბუქებინა ეგ ავბედითი კირთი უკვე ღვთითმივიწყებულ სოფელს. სხვა დრო დაუდგათ... ბნელი ღამე გახდა, ნებსით თუ უნებლიეთ, მათი სამოქმედო ასპარეზი...

ასეც ყოფილა დასაბამით: ბოროტებას — ბნელი, ქველს — ნათელი დადგომია დარაჯად!

მის შემდეგ გრძელდება, ვით დღეღამის მონაცვლეობა, მათი არათნხმობა და ჰიდილი...

განა თვით შემოქმედმა არ დააჯილდოვა ადამიანი მიბაძვის ღვთიური ნიჭით? განა ერთმანეთთან ბრძოლა-ჰიდილში არ აღამებ-ათენებენ ისინი? დიახაც, საკმარისი გახდა დღეს, ძმამ ძმას მტკაველით მაინც აალიროს თავი, რომ მონად გაიხადოს მერმე ეს უკანა-

სკნელი. და დადის თავაღერილი, მოყვასზე თუ თავის თავზე ამხედრებული არსება... გვირგვინს მზის სხივებისგან იწნავს, მთვარის აჩრდილს იკიდებს გულზე, აქაოდა, მეც მათებრ ვათენ-ვაღამებო...

მდელოზე გაშხლართული, ცის მაცქერალი ადამიანი იმაზე კი არ ოცნებობს, მიწას შეერწყას როგორმე ან ბალახის სიმწვანეში ჩაიკარგოს... არც მთის მწვერვალზე მდგომს ჰყოფნის მის ფერხთით გართხმული სოფელი... ღრუბლებზე მბრძანებლობს იგი, ცდილობს სამყაროს შემოუწვდინოს რამეფრად მკლავები...

ცხადია, ის ყოველთვის ამართლებს თავის ფიქრს თუ ნამოქმედარს. ამბობს: ჩემი მიზანი ეგ იყოო... მართლაც, მიზანი მიზანია, მაგრამ მთავარი ხომ ის არის, რა ცოდვა-მადლი დევს მასში, რა ნაღვერდალია შიგ გამოხვეული... ისე, ვინ არ იცის, რომ ბოროტებას სიკეთეზე არანაკლები ხერხემალი აქვს. ისინი ერთი არსების ორი ძლიერი ფრთაა, რომლის შუქ-ჩრდილები ერთნაირად ეფინება ადამიანს... ჩანს, ღმერთმა ისეთი ტაბლა დაუდგა მას წინ, რომ ხან ერთი ჯამიდან ეწაფება სიყვარულს იგი, ხან — მეორედან უწევს ნაღვერდლის ხვრეპა და, ნებსით თუ უნებლიეთ, ბოროტებას უწნავს ჯვარს ძნასავით.. ასე ერთდროულად დგას იგი ორი ბატონის სამსახურში — ანგელოზსაც უწვდის ნეკს და ეშმაკსაც...

●

ჩაესვენა ქვენა სოფლის მზე... უკუღმა დატრიალდა ცის ბორბალი... ნაპირუტყვალს დაემსგავსა მათი ეზო-კარი, ყანა, მინდორი... ჩაღრუბლული, გულღორღიანი გახდა გლეხი, დაუმახინჯდა ქალს სახე, სხეული... ერთმანეთს დაშორდა კეთილი და ბოროტი, ცა და მიწა გახდა, გაქრა... რაღაც ერთმა ბეწო ცამ თუ შეიერთა თემის ადრინდელი მადლცხებული სული, სამაგიეროდ, ბოლმა და შურის ახალი მდინარე, მთა, ბორცვი ამოუზარდა...

ადრე ვთქვით, თავიდან გაუჭირდა სოფელს ამ უჩვევ გზაზე სიარული, ცოდვილ ტანს ბორძიკ-ბორძიკ მიითრევდა, თითქოს ძმას ძმის სისხლი მოეცხო ხელზე შემთხვევით, მაგრამ კვალი რომ დაეფარა, უნდა შეზრდოდა ბნელს, ზურგით უნდა ეთრია ტომარაში გამოკრული ის გვამი და დღის სინათლისთვის როგორმე დაემალა...

მაგრამ ეგ ხომ თავიდან იყო, სანამ იტყოდა ხევისუფალი თავის სიტყვას ჭალაში, მერმეც... მალე კი დაცხრნენ ქვემოურნი, თავიანთ სისწორეში დაჯერებულნი და ხელუკრთომბელნი გახდნენ (იქნებ არცაა ღმერთი, ან უფრო დაშორდა მიწას და „ის შეგონებანი“ არ აღწევს აქობამდე, ვინაიდან აღარ მფარველობს ადამიანებს ჩვეულებრივ)...

და იმ ცოდვის დღიდან ქვემოურთა სოფელიც თავისი თავის პატრონი გახდა.

●

თქვა სიტყვა ხევისუფალმა ჭალაში.

თქვა, მაგრამ ჯერაც მრავალ საიდუმლოს ინახავდა მისი ნათქვამი, ვეღარ გაეგო სოფელს, რას ითხოვდა იგი საბოლოოდ, თვითონაც ამდენს რას ფიქრობდა... იჯდა კი ტახტზედ — ყურწაგდებით და მთვლემარე, ჟამი-ჟამად აახელდა თვალებს სევდიანად, ყვიროდა, ღრიალებდა... და კაცმა არ იცოდა დანამდვილებით — ქვეყნის საკეთილდღეოდ წევდა მძიმე ლოდს თუ პირიქით, კენჭს უგორებდა რომელიმე არაწმიდა სულს თავგზააბნეული.

ჩვევად ჰქონდა, საიდუმლოდ, გადამალულ ზანდუკს (სად წმიდა აბრეშუმის ქლამინდს და პატიოსანი ქვებით მოოჭვილ გვირგვინს, ოქროთი მოვარაყებულ ქამარ-ხანჯალს და წითელ

წალებს ინახავდა) გახსნიდა და მოირთვებოდა მხოლოდ დღესასწაულის დღეს. მაგრამ ამ ბოლო დროს ამოაცარიელა რატომღაც ის ზანდუკი, ჩაიცვა, მკლავსიმსხო თოკით შემოიკრა წელზე მოსასხამი, გვირგვინიც დაიდგა თავზე და ახლა ლოგინშიაც აღარ იცილებდა მათ. კვერთხიც ხელთ ეპყრა ყოველთვის, თუმცა არა ადრინდელივით, როგორც ხევისუფალს და მბრძანებელს, არამედ — როგორც რაიმე ხელუხლებლობის ნიშანი ან წყალობა — სიკვდილის უკანასკნელ წამს ნაბოძები...

არა, ზანდუკს ხშირად, თითქმის ყოველ საღამოს ხსნიდა, ხელს აფათურებდა შიგ; თვალს უხარებდა, გულს უტკბობდა — უკვე სხეულის ნაწილად ქცეული აბრეშუმის შარიშური... მაგრამ წინადღეს, სანამ იტყოდა სიტყვას ჰალაში, ახადა თუ არა ზანდუკს სახურავი — ჩახუთულ ჰაერს გახრწნილი მძორის სუნი ამოჰყვა, რამაც უკან გადააგდებინა თავი ისე ძლიერად, კინაღამ კისრის ძარღვები წააწყვიტა...

წამოხტა, მყის ამოაფრიალა მოსასხამი...

იატაკზე დავარდა რაღაც, უცნაურად გაფხაკუნდა...

დახედა და თვალებს არ დაუჯერა.

...მკვდარი თაგვი ეგდო მის ფერხთით.

ავლოვ ჩაიხედა შიგ, ზანდუკში, თავიც კი ჩაყო და დასუნა... ყარდა, თავვის ცურცლით იყო ფსკერი მოფენილი...

მისი წითელი წაღებიც გამქრალიყო...

ვამწარდა, საშინელი ზმუილი აღმოხდა მერმე საბოლოოდ განწირული კაცივით. რა მოხდა მაინც? ნუთუ არ კმაროდა ის ადრინდელი, ასეთს რა განსაცდელს უმზადებდა კვლავ ბედისწერა თუ საღღაც აქვე, თითქოს ტახტის ნატს ამოკრული ეშმა? როგორ ან სად მოესხა აწი თავვის მიერ შელანძღული ქლამინდი?

იდგა სასწაულად, ყელში ორკბილივით მობჯენოდა სასოწარკვეთა, ბოღმა და სიძულვილი ყველაფრისადმი...

ფეხის ხმა მოესმა... აჯ[illegible] ვდებოდა მბრძანებლის დარბაზის კარს ვიღაცა...

სწრაფად გამოერკვა, იღლიაში ამოჩარა მოსასხამი, დაიხარა და კუდში წვდა მძორს...

წვდა და...

კუდიც ჩხერკივით შერჩა ხელში...

...დედოფალი გამოჩნდა, ღამის ვარსისფერ პერანგში შემოშარიშურდა იგი დარბაზში... შედგა:

„რაღაც ყარს... ყარს დარბაზში...“ ყნოსვა-ყნოსვით დაიჩივლა მერმე.

„დედაკაცო!“

იღრიალა მან.

დედოფალი შეცბა, ტანი აიწურა, მოხედა... გულმა უგრძნო მოსალოდნელი საფრთხე, უცებ იყნოსა—მის უნებლიე ჩივილს თუ მბრძანებლის ღრიალს განსაცდელის რა მძაფრი სუნიც აუვიდა...

„დედაკაცო!“

უფრო იღრიალა და ფიცხლივ მიეჭრა ქალს.

ღრმა, ბებრული, ყვითელი თვალების სუსხმა ხელ-ფეხი შეუკრა და აცახცახა იგი; განა არ იცოდა, ვინ იდგა მის წინაშე, რა განუსჯელი და ხელუკრთომელი იყო ახლა მბრძანებელი...

მართლაცდა... მოვარდა და სახეზეც ავად ჩამოუსვა ხელი თუ ხელში უნებურად შერჩენილი ვირთხის კუდი, მერმე სავსე მკერდის ღარშიაც ჩაუცურა იგი დედოფალს. მაინც არ დაიბნა ქალი. უკვე მიუხვდა განზრახვას და მის ამღვრეულ მზერას ფრთხილი და მონური, მაგრამ ბევრჯერ ნაცადი ხერხი — მომხიბვლელი ღიმილი შეაგება.

„რას მიბრძანებთ, ჩემო უფალო?..“ სიტყვებიც ისეთი შეურჩია.

„რას?“

კითხვითვე შეუბრუნა... „რას და...“ ბრმად მიჰყვა ფიქრს, მერმე თითები

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემოაჭდო ყელზე გაფარჩხულად, წაუჭირა...

უკვე ეყნოსა მას თბილი სისხლი, ის გველის გორგალიც აშლოდა მკერდქვეშ... მსხვერპლი ხომ ბრჭყალებში ჰყავდა მოქცეული... ჰყავდა, და მაინც არ...

აი, ამწამშიც გული ორად ჰქონდა გაყოფილი. ჯერ კიდევ იკავებდა ცოფის დუჟს პირდამუწული, არ ანთხევდა, თითქოს არ ყოფნიდა ძალა იმისა, რომ გამოეტანა საბოლოო განაჩენი...

ყოველთვის ასე იყო, გზა-კვალს უბნევდა ხოლმე დედოფლის სიახლოვე. უფრო სწორად, ეს გარდამავალი წამი აყრევინებდა ხშირად ფარ-ხმალს. და ამხედრებული, მხოლოდ თავისთავს კითხული ხევისუფალი სულ მალე, ბავშვივით მორჩილი და თვინიერი ხდებოდა მისი მომხიბვლელი ღიმილის, ქცევის, სილამაზის წინაშე. მერმე კოცნიდა უგონო და ხელი, თითქოს კოცნა-ხვევნით უნდა ჩაებრუნებინა უკან ის წლიანდელი ბრაზი და წყენა... რა ექნა, როცა დედოფალი მხოლოდ თანამეცხედრე ან ჩვეულებრივი ახალგაზრდა ქალი კი არ იყო დღეს მისთვის, არც ის — სისხლს ხშირ-ხშირად რომ უჩქროლებდა და, სიბერისდა მიუხედავად, სავსე ქვედატანს ყოველღამ ყვავივით იყო ჩაფრენილი... არამედ უყვარდა ძლიერ, გაგიჟებით...

თუმცა, არა ახლა! ჯერ კიდევ ბრმა და უსმინარი იყო ხევისუფალი, ხელახლა უმღვრევდა გონებას ის ამბავი, რომ სხვა, ვიღაც მეორე არსება გამხდარიყო მისი შერცხვენის შემსწრე. იყო კი ნამდვილად ასე? იყო! და ამიტომ არ თმობდა არაფერს, ქვეყანას ყბად არ აღებინებოდა... განა არ იცოდა, სად იდგა, რა მაცდური კვერთხი ეპყრა ხელთ, რა უტიფრად ჰყავდა ჩასაფრებული დღეს იგი თუ სხვა, ერთი თუ ორი... ვინ ან რომელი არ ილესავდა დანას უჩუმრად, შხამს არ ამზადებდა... ოღონდ საამისო დრო იყო საჭირო, უფრო სწორად, — წაბორძიკებული ხევისუფალი.

მაგრამ არც ახლა დაიბნა ქალი!

„აგრემც დამიტირებ...“

თქვა და ძღვნად, თითქოს ძალით შეაჩეჩა ხელებში მბრძანებელს მოღიავებული გულ-მკერდი...

გაშრა... მხარს უწვდინა მერმე თავპირი, პირზე მომდგარი დუჟი ნადირივით შეიხოცა, შეიტოვა ზედ და, თავისდა უნებურად, თვითონაც მიიზიდა იგი.

„აგრემც დამიტირებ...“

დაიჩივლა კვლავ და რწევით, ღვედივით მოქნილად ჩაუცურა მკლავებში ლბილად მომწყვდეული სხეულიც...

ისიც მიჰყვა მის ნებას, თითქოს ქალის ნათქვამს გამოეშალოს ხევისუფალისთვის ფეხები...

„მცივა მე...“

ჩაეხუტა, სახე ჩაუმალა მკერდში.

თვალები მიელულა... მერმე ქალის თუ საკუთარი გულის ფეთქვა ესმა... იქნება ერთი გულიც იყო, ერთი გული ჰქონდა ორივეს ახლა — მარტოკა, საცოდავი, მოზამთრე ჩიტივით მფეთქავი გული...

და იგი შეშინდა ადრე გაფიქრებულის გამო.

მართლაც, რა კარგი იყო ასეთი ყოფნა, რარიგად უჩქროლებდა ბებერ სისხლს ხორცსავსე სხეული, ცხელი სუნთქვა...

ასე მუხლმოყრილმა გაიარა ასი სახილველი...

გვიან აახილა თვალი. თავი გადაუწია ფრთხილად და ყელზე აკოცა ქალს; სანთელივით ჩამოქონდა ყელი მთვარის შუქზე, გველთავა ხატის ძვირფასი უღელი უბრწყინავდა ზედ და გაჰქონდა ქანქარი...

„ფეხებზედ არ მკიდია ყველაფერი!..“

გაუელვა მოულოდნელად და ისე ძლიერად მიიზიდა, წამოაჩოქა ქალი;

---

**ზაურ კალანდია**
მალე მოგვიდი, გაზაფხულო!

მერმე დიდხანს კოცნიდა ვნებამორეული და ხელი. იხუტებდა, სხეულზე იწრთობდა მტკიცედ და ყალიბივით... თან მალიმალ გახედავდა სარეცელს, მანძილს თვალით ზომავდა, ნადავლმოგდებული ნადირივით მიიწევდა იქით და იქით...

კვლავ წამოსწია, ზეაიტაცა ჯიქური...

„სულელო... განა აქ, აქ არა ვარ..."

ღიმილით დატუქსა მან მბრძანებელი და იატაკს უწვდინა მერმე თმები და მკლავები...

●

საღამო ხანი იყო;

მცირე ჭალას მოადგა ორმოცი მხედარი.

მალე ჩამოქვეითდნენ, წინა ფეხები დაუბორკეს ცხენებს და გაუშვეს საბალახოდ.

ქვენა სოფლიდან იყვნენ ისინი, ხევისუფალის სანდო, ჭირში და ლხინში გამოწრთობილი, რჩეული ამალიდან. მისი მეკრენი და მესაწოლენიც ერია აქა-იქ; გრძელი, ღამისფერი კაბა ემოსა ყველას, ნაბდის წოპწოპა ქუდები ეხურათ თავზეც და ძირგამოქსოვილი სანადირო ქალამნები ეცვათ. თუმცა, რა მონადირენი ან მეომარნი ეთქმოდათ მათ დღეს, როცა საომარი აღჭურვილობის მაგიერ სულ სხვა რამ — ერთს თუ ჩუგლუგი, მეორეს — მოკლეტარიანი ბარი ჰქონდა ხელში. არც რაიმე საბრძოლო სამზადისი იგრძნობოდა, მტერთან შერკინების ჟამს რომ იცოდნენ ხოლმე.

აქ იყო, მათ შორის იდგა ხევისუფალიც; მათ თვალწინ გადაიგდო მხრებიდან მბრძანებლის მოსასხამი და სავანგებოდ წამოღებული უბრალო მეომრის კაბა გადაიცვა, თვითონაც ღამისფრად შეიმოსა ტან-ფეხი. მოკლედ შეკრეჭილი და შეღებილი თმა-წვერის წყალობით უფრო ახალგაზრდაც ჩანდა იგი. დიახ, აქ, თემის რჩეულ, ნაფიც ვაჟკაცებს შორის იჭერდა რიგით ადგილს ხევისუფალი. ამიტომ გაიხადა სამეფო მოსასხამიც — ღამეს არ გამოეყო, არ გამორჩეულიყო დღეს სხვათაგან, როგორც მბრძანებელი. ზოგს რწმენას და იმედს მატებდა მისი ასეთი საქციელი, ზოგიერთს კი პირიქით — არ მოსწონდა, შიშს თუ უღვივებდა მხოლოდ ხევისუფლის ამგვარი ყოფნა, მათ გვერდით ტრიალი. ვერ წარმოედგინათ იგი რატომღაც მეომრის უბრალო კაბაში.

ჩამობნელდა.

შეიწოვა, გაითავისა თანდათან უმთვარო ღამემ მათი სხეულები, ერთ გრძელ, მოფუთფუთე ჩრდილად გადააქცია ისინი...

და მალე, ზენა სოფლის მიმართულებით, ბილიკ-ბილიკ გაძვრა რაღაც მკვრივი და უსაშველოდ დაგრძელებული არსება... ფრთხილი და უხმაურო იყო სვლა, მიდიოდა და კვალს არ იტოვებდა უკან არაფრით... თუმცა ჩუგლუგის თუ ბარის ლაპლაპა პირი გაიელვებდა ხოლმე აქა-იქ, ხელში ან ქამარში გვერდულად გარჭობილი...

ჩქარობდნენ, დროზე უნდა აეღწიათ ზემოურთა მთის წვერომდე... მერმე, როგორც ხევისუფალს ჰქონდა ნაბრძანები: ის სამი წყრთა-ნახევრის სიმაღლის მიწა — მთის თხემი გადაეთხარათ პირწმინდად და თავკვეთილი ქვაღორღის გროვად უნდა გადაექციათ... ამით უნდა წარიმართოდა ჯადო გაღმა მთას...

ამიტომ, დროულად უნდა მოესწროთ ეგ ყველაფერი, ისევ ბნელში და იმავე გზით უნდა მობრუნებულიყვნენ უკან გამარჯვებულნი... არადა, არც ისე გრძელი ღამე ედოთ წინ. სწორედ ამიტომ ბრძანა ხევისუფალმა: სანამ არ მოევლებოდნენ თავზე მთას, მანამდე არ ჩაეხარათ მუხლი... რაიც არ უნდა მომხდარიყო — მწყობრი არ დაერღვია, მეკვლე არ დაეკარგა არავის.

ასე, წესისამებრ, წალიკ-წალიკ მისდევდნენ ერთმანეთს...

სადღაც შუაწელში იდგა ხევისუფა-

ლი, ფეხდაფეხ მისდევდა მეწინავის ზურგს. მძიმე საფიქრალს მოეცვა მისი გონება, გულშიც ღრმად და სამუდამოდ იჭდევდა იმავე ნაფიქრს, უხმოდ და მრავალგზის იმეორებდა: „მეც ხომ აქა ვარ, ძმანო, თქვენს გვერდით!.. მეც ხომ თქვენებური კაბა ჩავიცვი და წინაც ერთი გზა გვიდევს, გზა — გამარჯვების ან დამარცხების... ერთ დარჯაკში გავდივართ მბრძანებელი და მონა...“

ფიქრი გაუწყდა...

ისე მოულოდნელად შეახტუნა მერმე რაღაცამ, იფიქრებდით, გახურებული შანთი ხომ არ მიადესო ბარძაყზე... თუმცა, ასე ხელადვე გაუქრა ის სიმწვავე, რაღაცნაირად, ერთობ უსიამოდ გაუტკბა იგი ახლა და ქვევით, წინდაპაჭიჭებშიც ჩაეღვარა....

კაბისქვეშ დამალული მოკლე ხანჯალი მოსინჯა, ტარზეც, ჩეულებისამებრ, ხელისგული შეიფხანა...

ისევ აეწვა ბარძაყი...

და მიხვდა, რაც იყო; მიხვდა, რა გულმოდგინედ მოსდევდა მის ნაფეხურებს რომელიღაც მოასაბიე და რა უსირცხვილოდ აშარდავდა...

მერმე ვიღაცამ ჩამოჰკრა მხარზეც ტორივით მძიმე ხელი და ძალით მოახედა.

„ჰმ, ნუ მიწყენ, ძმისავ... ნაბრძანებ გვაქვს მწყობრი არ-რ...“

უშველებელი ჩრდილი ადგა თავზემოთ, თეთრად გადმოყრილ კბილებში ბგერა-ბგერა ცრიდა, ბუტბუტებდა რაღაცას...

გაცოფდა...

და ისე ძლიერად ატაკა ჩრდილს შუაწელში ორლესული, რომ ხანჯლის წვერს ზურგს უკან გაახედა...

საშინელი ღრიალის ხმამ შეჰგუდა და შეაჩერა კიდეც ისინი... თუმცა, თითქოსდა არაფერი, ასევე მოულოდნელად მიწყდა ხმა... ხევმა ჩაყლაპა, უფრო შეიკრა თან პირი წყვდიადმაც (მაინც მიხვდნენ გუმანით: რა მოხდა იქ, უფრო სწორად, სად იდგა მათი მბრძანებელი)...

მერმე, მეტი სიფრთხილით შეუდგნენ გზა-აღმართს ხევისუფალის მოასაბიენი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

გვიანი ღამე იყო, ზენა სოფელს ეძინა უკვე, მაგრამ მათი მეხრენი ხომ იყვნენ ფხიზლად — ფრინველთა ხმიანობას თუ გაზაფხულის პირველ სუნთქვას დაყურადებულნი? იყვნენ და მერმე როგორ: ამოეთხარათ მიწა, მუხლამდე ჩამდგარიყვნენ ნათხარში და — მთვარე თუ ჩანდა ცაზე — პეშვით უწვდიდნენ მთვარის კვერს, არ ჩანდა — მის ცოხნა-ცოხნაში გაჰყავდათ დროჟამი.

იყო კი საერთოდ ღამე? როცა ასე გაემახვილებინათ მათ მზერა... აქა-იქ ობლად მდგარ ხეებს თუღა შერჩენოდა რაღაც შავი ნაფლეთი ან ბუჩქს თუ გადამხობოდა სადმე ძეძვივით და ეგ იყო. ღამის მეხრენი იყვნენ ისინი და წმიდა ჭალაში, მის ახლო-მახლოსაც კი დღესავით ღამე იწვა თითქოს, უფრო სწორად, თავიდან აეკრიფა ბნელს აქედან ტანი და რაღაც სასწაულად, იგიც ქვენა სოფლის ცა-მიწას თუ შერწყმოდა...

მაინც არ დადგა ზემოურთათვის გაზაფხული, არც მეხრენი იცვლიდნენ ფეხს ჭალიდან, მსახურებდნენ პატიოსნად სოფელს. სოფელიც — ელოდა თუ არ ელოდა გაზაფხულს უკვე — იმედის თვალით შეჰყურებდა მიწაში მუხლამდე ჩაღორძებულ ქონდრის კაცთა უშურველ საქმიანობას.

იდგნენ და... მთვარე თუ გაქრებოდა ციდან, თავს იმით ირთობდნენ მეხრენი: დაჩითულ კალმახს მეტს ვინ დაითვლიდა მდინარეში...

გუგულის ძახილს, შაშვის ჭახჭახს ხშირად მოჰბერავდა ნიავი... მაგრამ არც ასე იოლად ტყუვდებოდნენ ისინი. მერმე რომელიმე მათგანი შეეხმიანე-

ბოდა სივრცეს იმავე ენით — ხეებზე შემძვრალ თუ ბუჩქს ამოფარებულ სოფლის პაწია ონავრებს — ასე რომ მოვტყუვდეთ, რა ისეთი ჩიტები ჩვენ გვნახეთო...

ასე ერთგულად უთევდნენ გაზაფხულს ღამეს სოფლის კეთილი მეხრენი; არ აწუხებდათ მისი სიგრძე-განი, ოღონდ ეგ ჰქონდათ საფიქრალი: სოფელს დადგომოდა საშველი, დროზე მოეტაცა სმენა გუგულის „კაფე-თესეს“, შიშველი ფეხისგულით ეგრძნოთ მიწის სუნთქვა-გამოღვიძება...

იდგნენ და... მთვარისთვის მიეშვირათ ორივე პეშვით მთვარის კვერი.

ის-ის იყო, მთვარე შეცურდა ტბასავით ღრუბლებში და კარგა ხნით მიმალვას აპირებდა, მეხრეებმა კი მოითქვეს სული, მუჭში დაუწყეს ლოლნა ქვასავით კვერს... თუმცა წამიერი აღმოჩნდა ეგ სიმშვიდე მათი, უფრო მეტიც, ყბები გაუშეშდათ მოულოდნელობისგან...

მართლაც, ხედავდნენ და არც ხედავდნენ კარგად, ცხადი სიზმარში იყო თითქოს არეული ან... არც რა — თუ არა, რაღაც უცნაური არსება მოძვრებოდა მდინარიდან და აქეთ, მათ მიწაზე აპირებდა გამოღწევას... აგერ, ა, მალე ამოძვრა კიდეც იგი, ჩრდილივით ფოფინა ფრთები შეიბერტყა და ჩაიწურა წყალში... მაინც არ მთავრდებოდა მისი სხეული, თითქოს ჩაზრდოდა წყალში, მათდა გასაკვირად, ტან-ხერხემალი, თავი კი რატომღაც ალმა, მთის მიმართულებით აეღირა... უფრო მკვეთრად დააჩნდა მერმე მიწის პირს, ვეტი და საშიში კუდიც გამოიბა...

და მეხრეთა ფრთხილი სტვენა გაისმა ჰალაში.

კარგა ხნით ეხმიანებოდნენ ისინი ერთმანეთს. გრძნობდნენ, რომ არ გაკლაკნილა სასიკეთოდ, მათი წმიდა მთის სიმაღლისკენ, ქვენა სოფლიდან დაძრული თუ წყლის ფსკერს შემთხვევით ამოყოლილი, რაღაც საშინელი არსება...

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

ამოეღწიათ მთამდე...

ბნელი ღამე იყო, და მაინც მკვეთრად დააჩნდა ქვემოურთა გრძელი და ჩაკლაკნილი, კუპრივით ჩამოღვარული ჩრდილი მთას. თითქოს ურჩხული იწვა — მთის თხემისთვის თავმიწევნილი, ტანით კი — კალთამდე რომ ჩაეჭრა და ახლა სულსლა ითქვამდა, ძალას იკრებდა, კვლავ აესხლიტა მძიმე კუდი, შემოეხვია და წაესხიპა მერმე ერთბაშად მთის მაცდური ყელი...

ასე ახლოს იყვნენ ისინი მიზანთან, წამიც და, თავკვეთილს გახდიდნენ, ხერხემალს გადაუმსხვრევდნენ, მტვრადღა აქცევდნენ მათ ჯადო-მთას...

წინ გაჩოჩდა ხევისუფალი; მიწას ყურს ადებდა, ფრჩხილებით სინჯავდა ნიადაგს, იყნოსავდა... ქვას დაიფშვნიდა მუჭში, ოღონდაც მთის შუაგული ეპოვნა როგორმე...

ჰა, გაირინდა, წამოიმუხლა მერმე, მტკიცედ მოიგდო ორივე ხელში ჩუგლუგი და მოიქნია... მოიქნია, მაგრამ საშინელი ხმა-ზრიალი აიყოლია თან ჩუგლუგის წვეტიანმა პირმა — წამოუხტუნა ცხვირწინ ნაპერწკალიც — და შიშმა თუ დარტყმითმა ძალამ უკან ღრიალით გადააგდო.

უფრო გაიზარდა ხმიანი წეწა, ლეწვა, ქვა-ღორღიც დაგორდა იქიდან... არც ნაპერწკალი დამცხრალა... პირიქით, გაიკლაკნა, ცას შეეხიდა — თვალისმომჭრელ, ცეცხლოვან ნახევარსფეროდ.

ზრიალებდა მთა...

პირქვე ეგდო ხევისუფალი.

მკლავებში ჩაემალა თავ-პირი.

მიწაზე ეყარნენ სხვებიც უკვე, ღვთიური შიში და ძრწოლა ჩადგომოდათ ტანში.

მერმე გვიან და თავისით მიჩუმდა ყველაფერი.

და თითო-თითოდ, ქურდულად წამოყვეს თავი მათ, სახეზე მჭიდროდ აფარებული მკლავებიდან გამოაცოცეს შიშნეული მზერა, ბოლოს მხრებიც კი

შეატოკეს ამაყად, თითქოს ამბობდნენ: დროა, ეგ სამარცხვინო ელდა-შიში მხრებიდან ჩამოვიბერტყოთო...

თუმცა, აქ უფრო გაკვირდნენ ქვემოურნი; მართლაც სად იყვნენ ან რა ძალას უნდა გაეჩახჩახებინა ასე ეს ბნელი ღამე, შემოგარენი? რატომ ადგა მთას ჯილად ნათელი? კვირობდნენ, თან ისე ირწეოდნენ სინათლის ბრდღვიალა წრეში, თითქოს კარგა ხნით ადრე განრიდებოდნენ ამა სოფელს...

ის უცნაური აჩრდილნი კი გრძელ, თავზე ცეცხლისბურთულებიან შუბებს აელვარებდნენ და როკვა-როკვით უვლიდნენ გარს ქვემოურთ... ჩანდა დათვლილი იყო მათი დღე და საათი... ასე იყო თუ ისე, იმისი თავიც არ ჰქონდათ უკვე, გადარჩენისთვის ეფიქრათ რაიმე. იქნებ არც ღირდა, ან სჯობდა, რომ მშვიდად დალოდებოდნენ ღვთისა თუ კაცის განაჩენს...

არც ზემოურნი ჩქარობდნენ რატომღაც. შორიდან უვლიდნენ კვლავ როკვით...

ვინ იცის, რა ედო საფუძვლად მათ შორიშორ და უხმაურო, რაღაც არაამქვეყნიურ მოძრაობას?..

რატომ დუმდა ზემოურთა ხევისუფალი?

დუმდა კი — სასახლის დიდებულთა წრეში უძრავად მდგომი და შუბლშეჭმუხნილი. მისი შემყურე ბრბოც ფრთხილობდა...

იქნებ თვალს განგებ არიდებდა მათი მბრძანებელი შიშისქარატანილ მოძმედურთ? ან, თავიდანვე ეყნოსა ქვემოურთა უგვანი საქციელი და ეგ ამუნჯებდა სწორედ! კაცმა რომ თქვას, რა თავსამტვრევიც ეს იყო, — თუ რა ჰქონდათ ნაგულისხმევი, საერთოდ, რა მიზანს მსახურობდა მათი ბარი და ჩუგლუგი... ხევისუფალის გონებისათვის ხომ არც ის უნდა ყოფილიყო მიუწვდომელი, რა ცოდვა-ბრალსაც აჰკიდებდა თემის წინაშე მისი ასეთი მერყეობა და აზრის გადაუწყვეტლობა. უფრო სწორად, მსგავს შემთხვევას თემის მერმისთან მეტი ჰქონდა კავშირი, ვიდრე, ვთქვათ, ამ უცნაურ ღამესთან. მეზობელ სოფელთა მტრობა, მათი ფარული მოვარდნა რა ახალი იყო ზემოურთათვის, რომ გაჰკვირვებოდათ, მაგრამ იმის გაფიქრებამ კი შეზარა ხევისუფალი, რაც ქვემოურთა ჩანაფიქრს თანდათან, ნებსით თუ უნებლიეთ, უახლოვდებოდა. არადა, უკუაგდებდა ნაფიქრს რატომღაც, არ მიჰყვებოდა ძირისძირამდე... თავს ძალითაც კი ირწმუნებდა, რომ ქვენა სოფლის თავკაცის გარეშე იყო ეს მცდარი ნაბიჯი გადადგმული, და არა პირიქით — უბრალო მეომრის ხალათში და სხვებივით მუხლმოყრილი, შიშისქარატანილი იდგა ისიც აქ; უფრო მეტიც: მან პირველმა დაჰკრა მიწას ჩუგლუგი, ის იყო ყოველივე ამის წამომწყები, თავიდათავი, მაგრამ მოკლედ შეკრეჭილი, შავად შეღებილი წვერი, ხალათი თუ იფარავდა... საერთოდ, ჰქონდა კი ქვენა სოფლის ხევისუფალს იმისი ძალა და უნარი, რომ ეფიქრა, იცნეს თუ არა ახლა. თითქოს ლაჯია ეტაკებინათ თვალებში, ისე ეწვოდა, ფსკერთ უქცევდა საშინელი ტანჯვა-წამებით... ცალკეც ხომ — იმედგაცრუება და საძრახისი სიკვდილი უფლეთდა შიგანს, მაგრამ რა ექნა, როგორ გაქცეოდა ბედისწერას, როცა მისი ბრმა წილი გამხდარიყო უკვე. არ ჰქონდა სხვა საშველი... უნდა ეწამა, უნდა აეტანა ღირსეულად ყველაფერი...

ცა არ შეიერთებდა მის სულს იოლად და არც ღვთისადმი ნატვრა-მუდარა გადუხსნიდა მიწის პირს სხეულის ჩასანთქმელად...

სხვა სახმილი სწვავდა ზენა სოფლის ხევისუფალს.

ჩქარა უნდა გამოეტანა სწორი და საბოლოო განაჩენი, გამოეტანა დროულად, თორემ სულ ოდნავი ბიგძი იყო საჭირო, თავისით ეპოვნა გზა მგრმე ხალხის შინაგან ღელვა-ტორტმანს...

ცოტაც და, ვერ შეაკავებდა მას ვერავინ.

სოფელს არ ძალუძს არკვიოს, სადღის ყოველივე ამის დასაბამი, რა უდევს ადამიანთა შურს, მტრობას, ცილობას საფუძვლად. ეს მას არ სჭირდება. იგი აშკარა ვნებას, სილაჩრეს ხედავს და, ამისდა მიხედვით, მოქმედებს მერმე. ასე ულმობლად გაწირავს ყველაფერს, თავისსავე სხეულის ნაწილსაც კი მოიკვეთს დაუფიქრებლად, თუ ამის საჭიროებას იგრძნობს, რა თქმა უნდა! ბრბო არც შემწყნარებელია და არც უფლის მსჯავრის მიმდევარი. ის არც უსწორო შერკინებას გაურბის ხოლმე, ეს მათმა ხევისუფალმა უნდა იკითხოს.

...და, სანამ დრო ჰქონდა, მას უნდა დაეცხრო ასე მოტორტმანე ხალხის სული, მათი ვნება და ჭიდილი... ჯერ კიდევ შეეძლო, როგორც მბრძანებელს, ემოქმედა მათზე, ვინაიდან ფარ-შუბებით მომხტარი მტერი სწამდა თემს ჯერ კიდევ, ის ადრინდელი ველური ყიჟინა ედგათ ყურებში და არა მთას ბარ-ჩუგლუგით შესეული, ასე ქვეგამხედვარი მომხდური...

ამიტომ დროული, საქმიანი სიტყვა უნდა ეთქვა... თუმცა, ვინ იცოდა დანამდვილებით, ცეცხლის ბორბალს აიყოლიებდა მისი ნათქვამი თუ უცებ დააშოშმინებდა, სოფელს შეულახავდა სახელს თუ საკუთარ თავს დაუგებდა მახეს, მბრძანებლის ძვირფას ქლამინდს შეურაცხყოფდა...

„ხატის ყმანო!" — ზეაღმართა, ცას მიუწვდინა თითქოს კვერთხი, — „ხედავთ, რა უცნაური ღამე გვადგას თავზე?! ვინ არ იცის, რა უბედურების არ ვართ მნახველნი! მტერი რაა — გაზაფხულსაც დავვიწყებივართ... ცაც ჩამოგვქცევია მრავალგზის, მაგრამ სულით მაინც არ დავცემულვართ, არ მოგვიხრია აროდეს ქედი! რა სული, რა ხერხემალი, ჩვენი კლდეებივით ურჩი და უტეხი მოუცია დედაბუნებას! ვინა თქვა, მოყვარე არ გვყავდაო?! დიახაც, გვყავდა და ჩვენც ძმური, მეგობრული ხელი გაგვიწვდენია მათთვის. მტერი მაინც მრავლობდა... მოდიოდა და ჩვენც ღირსეულად ვხვდებოდით ყოველთვის, ვინაიდან თითოეულმა ჩვენთაგანმა იცოდა კარგად, რისთვის ვიბრძოდით და რას ვიცავდით!

მაგრამ, დღეს?..

ვაი, ამ დღეს!

ვაი, ჩვენს ქვასა და წყალს!

გასკდი, ცაო, და ჩაიტანე ხმელეთი თან!

აბა, რას ნიშნავს ეგ? ხედავთ, მტერს მტრობა დავიწყნია და თახვებივით ქვეშქვეშად და მზაკვრობით მოგვსდგომია!.. მოსდგომია მთას, თემის წმიდა სავანეს!

ვაი, მათ უბედურ თავსა და ტანს!

ვაი, მაგრამ...

თქვენ თვითონ ნახეთ, დააკვირდით.. განა სამტროდ ღირან ესენი?! მე მაინც შემომხედეთ... ვეღარ ხედავთ, რა ცეცხლში ვიწვი და ვიდაგვი! როგორ დავიჯერო, თქვენს გონებას უკვე აღარ წვდება ის აზრი, რომ მათი საკადრისი პასუხი სხვა არაფერია, თუ არა ისევ ჩვენი დამდაბლება, დაცემა! თუ არა მათებრ კაბა-ხალათის ჩაცმა და ერთ ბერაში გასვლა! რომელი ერთი გაბედავს, თემის წმიდა სახელს, მის ღირსებებს აქციოს გვერდი და ეშმაკთა მოციქულთ აჰყვეს, მათ — მიწის პირს ქვეწარმავლებივით გართხმულთ გაუმკლავდეს!

არა, მე ამის უფლება არა მაქვს! არც ჩემს ხალხს, მის რაინდულ სულს აქვს ამის უფლება!

იქნებ მართლა გაგვიწყრა ღმერთი და ჩემი არ სჯერა ჩემს სამწყსოს?! მაშინ (ქარქაშიანად მოიხსნა მახვილი, მერმე წინ, ფერხთით დაიდო და ორი ნაბიჯით უკან გადგა), მაშინ... აი თქვენ და თქვენი სამართალი! მე კი განზე განდგომას ვარჩევ... მათ ხელყოფას თემის სათაკილო საქმედ ვთვლი, და თუ თქვენ არ გჯერათ ჩემი, იყოს ნება თქვენი (ხალხი უსიტყვოდ, ნდობით მისჩერებოდა ხე-

ვისუფალს)! არა! არც იმას ვიტყვი, რომ მათ სასჯელს ვუხსნი, მე ვთავისუფლდები ამისგან მხოლოდ! კვერთხს კი... ორ ზერიკას ვანდობ, მგლისა და თხის ნიღბოსანთ... დე, მათ განსაჯონ ისინი! მათ სიტყვას ჰქონდეს დღეს ფასი... მბრძანებლის კვერთხის ძალა და სამართალი (მოიქნია, ღრმად ჩაასო კვერთხი მიწაში)!

მე ჩემი ვთქვი!

●

გამთენიის ჟამს მობრუნდნენ უკან. ძლივს მოითრევდნენ ტანს — თავფეხშიშველნი, კაბის ცალკალთაჩამოჭრილნი, ლაფდასხმული ქვემოურნი...

მათთან იყო ხევისუფალიც; სამუდამოდ თვალებდაშრეტილი და გონებაარეული, ტკივილის თმენა-თმენით მოსდევდა მოწინავის ფეხის ხმას. არა, არ დასცდენია ჯერ კვნესა, ჩივილი... მოდიოდა უხმოდ, წამებით, მაგრამ დაადგა თუ არა მშობლიურ მიწას ფეხი, იყნოსა თუ არა მისი ჰაერი და მტვერი, შედგა და კაბა გამხადეთო, ითხოვა.

გახადეს.

ღრმად სუნთქავდა... ისევ გაღმა, ზენა სოფლის მთისათვის მიეშვირა ტანჯული სახე, მკერდი, წყვდიადჩამდგარი თვალები... იდგა ფერშეცვლილი და შერყეული, გულის ძარღვებჩაწყვეტილი ხევისუფალი. ციებიანივით ძაგძაგებდა, შველას შესთხოვდა ვიღაცას... მერმე შემოიხია ტანზეც ძვირფასი პერანგი, მუხლებზე დავარდა, გაიკოტრიალა მტვერში ერთიანად და თავ-პირის უმოწყალოდ ცემა და მიწის ჭამა იწყო...

იმდენად მოულოდნელი აღმოჩნდა მხლებელთათვის მისი საქციელი, რომ ვერ მოიფიქრეს ვერაფერი (მაინც რა მოხდა ახლა, კიდევ რა ახალი უბედურება დაატყდათ თავს, რას ითხოვდა ასე მწარედ და დაჟინებით მათი ბრმა მბრძანებელი? ასე უმოქმედოდ მდგარიყვნენ ისინი თუ მათაც შემოეხიათ ტანზე კაბები?). ხევისუფალი კი არ ცხრებოდა, მთებშუა დიდებულად ამომავალ მზეს შეღრიალებდა დაჭრილი ხარივით, მუშტებს იღერდა გაღმით, იწყევლებოდა, ხანაც — რა ტკბილი, დამშობლიური ხარო, მიწა-მტვერს იყრიდა თავზე და ცრემლად იღვრებოდა...

ლბილი, თანაგრძნობის მსგავსი სიტყვა ჰკადრეს მბრძანებელს. რომ არ ისმინა მათი, გონს მოსვლა ურჩიეს და ხელიც მიაშველეს წამოსაყენებლად. უფრო გაჯიქდა ხევისუფალი, ტლინკების ყრა და კბილების უშნოდ კრეჭაღრენა იწყო...

არ დაადგა საშველი მის გონს მოსვლას.

ხელ-ფეხი შეუკრეს...

მაინც არ დაცხრა, ბღაოდა მწარედ და გულსაკლავად...

უკადრისი რამ ჰკადრეს მაშინ; საკუთარი პერანგის ნაგლეჯი ჩაჩარეს პირში ბურთივით და ასე გააჩუმეს. მერმე ორმა ჯეელმა გაიდო მხარზე ჯირკივით და წაიღეს, უკვე დამცხრალი თუ სიცოცხლეჩამკვდარი მბრძანებელი.

მიუახლოვდნენ თუ არა სასახლის კარიბჭეს, გამოფხიზლდა, ხელახლა ჩაიდგა სული თითქოს და მეტი ცოფი. მეტი ტლინკები ჰყარა...

მისი შემყურე დედოფალიც კი შეშინდა, რამეთუ ასე ბრძანა: როგორაც იყო, დედიშობილა და ხელ-ფეხშეკრული დაესვათ ტახტზე იგი, ოღონდ უფრო მტკიცე თოკით უნდა დაეკრათ ზედ.

და იყო... მკლავსიმსხო თოკით დაბმული ტახტზე ბრმა, შიშველი, გონებაარეული ხევისუფალი. თუმცა, ჯერ კიდევ ჰქონდა სოფელს მისი გონს მოსვლის იმედი თუ რიდი... ჯერ კიდევ სწამდათ ან ეშინოდათ უსინათლო და ჭირვეული მოხუცისა... პერანგის ნახევი კი მოეცილებინა მისთვის დედოფალს მაგრამ ისევ თუ მოიხევდა პირს ზოგჯერ, ღრიალს მორთავდა ავადმყოფი. ქალი მზად იყო, საგანგებოდ მოქსოვი-

ლი წითელფოჩება ჩვარის ბურთი ჩაე-ჩარა ხოლმე მისთვის და ამით გაეჩუ-მებინა...

გადიოდა დღე, კვირა, თვეები...

მაინც მბრძანებელი იყოო და მოვა-ლენი ვართ, სიცოცხლე გავუხანგრძლი-ვოთო, იტყოდა სინანულით დედოფალი და ყოველი კვირის ბოლოს, ნახევარი საათით მაინც შეიხედავდა მასთან. თუ-მცა, უკანასკნელ ხანს, რაც არ უნდა მჭიდროდ ჩაეგმანა დარბაზის კარ-ფან-ჯრები, ვეღარ ახშობდა ავადმყოფი კა-ცის ჭირვეულ, ახალშობილივით ღნა-ვილს... ვერ უხშობდა ჩვარით პირს ძველებურად... სანამ არ ჩაიკრავდა, მკლავებში არ ჩაიხვევდა გათოკილს და, უნდოდა თუ არ უნდოდა, ძუძუების ღარში არ ჩაიმწყვდევდა ამ უსიამო ხმას თუ, საამისოდ შესამჩნევად დაპატარა-ვებული ბრმა კაცის თავს. დააშოშმინე-ბდა და გამოვიდოდა კარში ალეწილი, მაგრამ საკუთარი დიდსულოვნებით აღ-ვსებული დედოფალი.

მთელი წელიწადი გამოისმოდა მისი ხმა გარეთ...

წუხდნენ სასახლის დიდებულნი...

წუხდა მათი სულგრძელი და ახალგა-ზრდა დედოფალი...

და მაინც ჩვეული ოსტატობით აჩუ-მებდა ავადმყოფს კვლავ.

ერთხელ კი, შევიდა თუ არა მასთან დედოფალი, არ გამოიხედა გარეთ უცებ და ჩვეულებრივ, პირიქით, მთელი ღამით დარჩა იქ, დარბაზში... დარჩა და, სასწაულად, არც ის ადრეული ჭირვეუ-ლობა, ტირილის ხმა არღვევდა მოდარ-ბაზეთა მყუდროებას და არც უბრალო ჩამიჩუმი ესმოდა იქიდან ვინმეს.

თავიდან ვერ გაერკვნენ, რაშიც იყო საქმე, მთელი ღამე აყურადებდნენ კარს მერმე სასახლის დიდებულნი, მეკრენი თუ მესაწოლენი, მაგრამ ამაოდ...

...იქ — მოხუცი და სულით ავადმ-ყოფი ხევისუფლის ტახტზე სხვა ვინ-მე იჯდა უკვე; ძვირფასი ქლამინდი ემოსა, გვირგვინიც ედგა და თა-ვიც თავმომწონედ ეჭირა. დიახ, სხვას ეპყრა დღეს მბრძანებლის კვერთხი! დედოფალი კი ქვევით, ხარის წითელ ტყავზე იყო ფეხმორთხმული, ახალგაზ-რდა, ბრგე, ქორივით მზირალი მეუფის მტკიცე მუხლს დაყრდნობილი. იჯდა — ლამაზი, მშვიდი, მიბნედილი, თავისუ-ფალი დედოფალი და არც შეუნიშნავს, როდის შემოუღეს კარი მათ, საერთოდ რად შესცქეროდნენ მას ასე გაოცებით სოფლის უხუცესნი.

იდგნენ კი — უსიტყვოდ და თვალებ-დაჭყეტილნი, ვერ მოეფიქრებინათ ვე-რაფერი.

მაშინ დაასწრო მან დედოფალს, წა-მოდგა — ზვიადი, თავაღერილი მბრძა-ნებელი...

და უხუცესნიც მიეახლნენ სწრაფად მის კაბის კალთას საამბორებლად...

●

...გავიდა უთვალავი წელი, საუკუნე-ებიც...

როგორ არ იგრგვინა ცამ ან წყალმა არ იდინა — ამღვრევით, მდოვრედ, თავანკარადაც... მაგრამ ავი დროება ედგათ თუ ფეხბედნიერი წელიწადი, მა-ინც გაღმა და გამოღმა, ერთმანეთის მეზობლად დარჩნენ ისინი. რა თქმა უნდა, მერმეც ბევრი — ძველი თუ მო-ძალე ხევისუფალი იმსხვერპლა მეზო-ბელი თემისადმი აშკარა მტრობამ და შურმა... მოწამლული თასიც მიერთვა, გაეწონა ზოგიერთის გულს დაშნა, თი-თქოს ჩვეულებრივ... ზოგი იყო და არც იყო; გადაეფარათ მყის საუკუნოდ და-ვიწყების მტვერი (იქნებ სადმე, ღვთის ან კაცის სადგომს, ხავსმოკი-დებული საფლავის ქვას შემორჩა, ავად თუ კარგად, მათი სახელიც?)... მთავარი კი: ტახტი და კვერთხი — აქაც და იქაც — არ დარჩენილა აროდეს უპატრო-ნოდ! პირიქით, ხან საძმო, ხან რამდენი-მე გვარიც კი იბრძოდა ხევისუფლო-ბისთვის ერთდროულად!

ხოლო, რაც შეეხება იმ ძირძველ, ცოდვით სავსე ღამის ამბავს, არ ივიწ-ყებდნენ არაფრით. რაც მეტი დრო-ხანი

გადიოდა, მით უფრო ახსოვდათ, როგორც ქვენა, ისე ზენა სოფელში.

დიახ, ახსოვდათ ქვემოურთ ის მძიმე ხვედრი და წარუმატებლობა, არც ზენა სოფელს დავიწყნოდა მეზობლის უგვანი საქციელი, უფრო მეტიც: უკვე ამხიარულებდათ, თან ათას ფერს იძენდა გზადაგზა, ივსებოდა და ასე, თაობიდან თაობებს გადმოეცემოდა როგორღაც იგი.

რა თქმა უნდა, ამ ხანგრძლივ დრო-ჟამში ორივეგან სცოდავდნენ, სცოდავდნენ მეტ-ნაკლებად... ვთქვათ, მუშტებს მოუღერდა ვინმე ზემოურთა მთას, ან ღამე მგელივით შეჰყმუოდა ცაში მოტორტმანე ყელს მისას მავანთაგანი... მაშინ ახმიანდებოდა გაღმა მთა, თითქოს ასი დევი იწყებდა ხარხარს ერთდროულად... მერმე, სად იყო, სად არა — ჭინკაც გაჩნდებოდა მთის წვერზე, აცეკვდებოდა, რაღაც შავ ნაჭერს აფრიალებდა თან, ალბათ, იმ ღამის ნიშნად...

და გადიოდა დრო-ჟამი...

მაგრამ, ერთ უჩვეულო წელს ისეთმა ვინმემ იგდო ხელთ ქვენა სოფლის მბრძანებლის კვერთხი, რომ...

...ისევ შეკრბა სოფელი მცირე ჭალაში.

სწორედ მან, სოფლის ახალმა ხევისუფალმა უარყო პირველად მათი ადრინდელი შუღლი და მტრობა, უარყო საჯაროდ და გაღმა მთას, როგორც მეზობელი თემის წმიდა სავანეს მუხლმოყრით სცა თაყვანი, მერმე ორივეს მომავლისათვის ძმობა და ერთიანობა იქადაგა.

მართალია, ეს ასე მოხდა, მაგრამ სულ სხვა რამ ჰქონდა გულში თურმე ქვემოურთა ხევისუფალს, რა ნაავრევიც მეორე დღესვე გაუმხილა მისი დიდებითა და ძლიერებით, გონებამახვილობით თვალდაბმულ ხალხს. ერთი შეხედვით უწყინარი, მჭარი, გონივრული ჩანდა მისი ნათქვამი. ის კი არა და, ამით მან ერის მამოძრავებელ ხმას, მის უტყუარ ნერვს მიაგნო თითქოს... მართლაც, ყოველგვარი სიძნელის, შიშის თუ შერცხვენის გარეშე გაართმევდნენ თავს ისინი ამ ამბავს... აგერ, [illegible] მომდგარიყო სადღესასწაულო სამზადისი...

დიახ, მათი თავკვეთილი მთა ზემოურთა წვერწამახულ მთაზე მაღალი, ძლიერი, თვალწარმტაცი გახდებოდა... გაშავებული ქვებიც ამეტყველდებოდნენ და აზღაპრდებოდა მით წარსული... აყვავდებოდა მიწა, ცა, ძირი, ნათესავი... მბრძანებლის ტახტი დაიდგმებოდა იქ, მთაზედ...

...კომლს თითო კაცი გამოეყო;

დღე თხრიდნენ ისინი, მათი მთის სიღრმეში გაჰყავდათ ვეება გვირაბი, ღამით — ტომრებით გამოჰქონდათ იქიდან მიწა, ქვა, ღორღი... აჰქონდათ ზევით, მთის წვეროზედ და დგამდნენ ზვინებად... გამთენიის ჟამს შლიდნენ, მიასწორ-მოასწორებდნენ, მერმე როკვაროკვით იბეკნიდნენ შიშველტერფქვეშ წელანდელ ნაყარს...

ურწმუნონიც გაჩნდნენ აქა-იქ; იფიცებოდნენ, ვეღარ გაუძლებს მთა, გაიბზარება და ჩაწვებაო...

ყურად არ იღეს მათი ჩივილი. სოფლის უმეტესი ნაწილი ხომ ხევისუფალს უჭერდა მხარს. იმათი მოსყიდულნი ხომ არ არიანო, ეჭვობდნენ კიდეც, თან გაღმა მხარისკენ იწვდიდნენ ხელს. არა, თუ ხელმეორედ დაცდებოდა მსგავსი რამ ვინმეს, აღარ ჰპატიობდნენ. ძაღლის კუდს ან ბურთივით დახვეულ ძროხის ბალანს ჩაჩრიდნენ ურჩს პირში და ასე აჩუმებდნენ.

...მაინც შორს იყო ჯერ, თითქოს მიუწვდომელიც კი ჩანდა ხევისუფალის დანაპირები. გაჭიანურდა სამუშაო, ასე იოლად არ ამაღლდა, ვერ მოიკიდა სიმაღლე მთამ, საითაც არ უნდა შეგეხედა, მაინც უფერული და თავკვეთილი ჩანდა რატომღაც... და ისევ იჩინა თავი საერთო საქმისადმი გულგრილმა დამოკიდე-

**ზაურ კალანდია**
მალე მოგვიდი, გაზაფხულო!

ბულებამ, ღალატმა... თუმცა ჩქარა გამოიძებნა მათთვისაც სოფლის სამართალი. ხევისუფალი ფიქრობდა, რომ ყოველი დიდი საქმე გარკვეულ მსხვერპლს მოითხოვს, მით უმეტეს, როცა ის ქვეყნის საკეთილდღეოდ არის გამიზნული...

●

...ზენა სოფელი..?

ცხოვრობდნენ ტკბილად, თბილად, უზრუნველად...

არ იწუხებდა თავს რატომღაც მათი ხევისუფალი, არც მეომარი და მიწის მხვნელ-მთესველი...

არსად იყო ის კეთილი ხუცი, საფლავის ქვაც კი გაქრა მისი, მიწამ ჩაყლაპა სამუდამოდ.

მაინც შემოჰკრავდა ხოლმე უჩინარი ხელი დედოზარს; ფხიზლობდა, განგაშს ტეხდა, ქუდზე კაცს უხმობდა თითქოს დედოზარი, მაგრამ არ მოქმედებდა იგი ადრინდელივით, ჩანს, აღარ ახსოვდა ძველი დრო სოფელს... ხოლო, რაც შეეხება ქვემოურთა ბარ-ჩუგლუგებით სტუმრობის ამბავს, დღე არ გაივლიდა ისე, რომ აღარ გაეხსენებინათ. განსაკუთრებით კი, ჩეროში ფეხებჩაწყობილი ან ღამით, კერიასთან მჯდომი, შვილიშვილებშემოკრებილი ბერიკაცისგან უნდა მოგესმინათ, როგორ ან რა შეფერადებით უყვებოდა მათ ხოლმე, უყვებოდა ისე ცხადლივ და გატაცებით, თითქოსდა თვითონ ყოფილიყო იმ დრო-ჟამისა და ქვემოურთა შერცხვენის შემსწრე... არც მათი შვილები უდებდნენ ტოლს; მეტადრე ღვინით სავსე ჯამით ნათქვამს ჰქონდა სხვა შნო და ლაზათი...

მართლაც, წუნს ვერ დასდებდით, ისეთი ქეიფი და დროსტარება იცოდნენ დალოცვილ სოფელში. სამ დღეს არ აიშლებოდა სუფრა. არ ჰქონდა მათ საშემოდგომო თუ ზამთრისპირა სერობებს დასასრული, უფრო სწორად, სანამ ძმისა და განაყოფის, ნაძმობისა და მეზობლის ეზო-კარს აღარ მოივლიდა, ანდა გაზაფხულს არ მოუყენებდა კარს მერცხალი... თავს ირწმუნებდნენ ხშირად, წინაპრის ადათ-წესს ვიცავთო, და ასე ყოფნა-სალმობას, რაღაც „საკუთრივს“ და „მშობლიურსაც“ კი უწოდებდნენ ხოლმე.

ასე იყო თუ ისე, სუფრასთან ვერ წაიეშმაკებდა ვერავინ. და თუ ვინმე მაინც გაბედავდა, ვთქვათ, მეტი სმის ვერშემძლე ღვინოს მოიპარავდა და გადაღვრიდა, ამით ჩაუმწარებდა სხვებს პურტკბილობას... აღარ პატიობდნენ, შეარცხვენდნენ ერთხელ და სამუდამოდ, მერმე, იქაური ხომ არა ხარო, ქვენა სოფლისკენ გაიწვდიდნენ ხელს დაცინვით.

და გადიოდა დრო-ჟამი...

## გონდო კეშელავა

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

„დავწვები, დამეძინება,
ცრემლი არ დამედინება,
ცხრა ხატი, ცხრა ანგელოსი
ტკბილ ძილში დამესიზმრება...“

თავს დავხრი, მოვეფერები
ანგელოსებს და ხატებსა...

არას დამაკლებს, პირიქით,
რაღაცას მომიმატებსა...

ხილვა არავის არ აწყენს
ანგელოსის და ხატისა...
მოგვაგონდება ის, როგორც
კარგი სურათი მხატვრისა.

### თათუს

„გავა ზამთარი და გაზაფხულზე
მინდვრად ამოვა ვარდი და ია“.
გამახსენდება ჩვენი ბავშობა,
მინდვრად რომ ერთად გვითამაშნია,
მე ცოცხალი ვარ, შენ კი, ძვირფასო,
კუბოში გძინავს, მიწა გაყრია.

რა ეშველება ამ სინამდვილეს,
ეს მწუხარება ვის ვუზიარო
და ამ დალოცვილ წუთისოფელში
ცრემლმორეულმა სანამ ვიარო...

სიკვდილი არ მსურს, სხვა რაღა დამრჩა,
რით ვანუგეშო ჩემი სამყარო...
ის მიშველის და ის თუ მაცოცხლებს —
ია და ვარდი რომ დაგაყარო.

●

ვაჟკაცი მაშინ ხარ უსათუოდ
სევდას თუ დასძლევ, თუ მოერევი.
რაღა კაცი ხარ თუკი ჩაგითრევს
სევდა, ჭაობი, ჭმუნვის მორევი...

მკვირცხლად გახედე ამ წუთისოფელს,
ჭირს გაუმაგრდი, სენს გაუძელი, —
წუწუნს, ვაი-ვიშს თავი ანებე,
საქმეს, ო, საქმეს მოჰკიდე ხელი!

●

ისევ და ისევ თამბაქოს ბოლი,
ისევ და ისევ სუნთქვა თუთუნით.
ძილი არ მინდა, თუ გათენდება,
თუ მომშორდება ღამის უკუნი.

კვლავ გავიხარებ, დილის შუქში ხომ
ახმიანდება ჩვენი უბნები...
ჩავაქრობ თუთუნს და სულს მოვითქვამ
ადამიანთან გასაუბრებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გურამ გიორგობიანი

●

პირველმხილველო, მოაზროვნევ, ფილოსოფოსო,
ტოტებგაშლილო, დამფუძნებელო მუზის კვირტების,
შენ — პოეტო მარადისმყოფთა,
სალბუნო სალმობიერთა, მქადაგებელო მაღალი სულის,
სულმნათო, თავად სინდისო, ასეთად გიცნობ,
ხოლო ჟამი-ჟამ უმეცრებამ თუ აამტუტა არსი ყოველი
და შენი ლოცვა ბოდვას ამსგავსა, —
ნუ განუდგები ამა სოფელს,
შენ მას სჭირდები.

●

სათნოებათა კიბე ქრიზანთემებითაა გაწყობილი,
ზმანებათა შესახვედრად, შემოქმედებითი გზნებით
განწყობილი —
მე ვდგავარ მასზე.
თვით გავსრულდი —
ჩემს ნაფიქრს, ვის ჭურჭელსაც წარმოვადგენდი,
როგორც ქერქი ბროწეულის, შემოვეძარცვე
და დავინახე ღმერთის ნამით დასხურებული ღვთაება ბიჭი,
მკლავებჩატეხილს ასიმეტრულად გაეშალა ხელის მტევნები,
თითქოს აეტაცოს და აეწონოს ამ ქვეყნად აღქმული...
გონიერნო და თანაზიარნო, კვლავ თქვენთან ვდგავარ,
ყვავილებით მორთულ კიბეზე,
მე სიყვარული მალაპარაკებს ჩემი მოყვასის,
თუმც რიტორიკა ჭარბადაა, მასში სითბოა განუზომელი
და არა სროლა ანთებული ღერი ასანთის,
მაქვს საკუთარი აზრი და ვნება და განზრახვა მაქვს
ფორიაქქმნილი რომ შევიქმნე,
და როგორც ხედავთ, მე განცხრომა როდი მიზიდავს,
მთავარია ფაქტად დარჩეს, რაც გამაჩნია.

●

ვისაც ვგულისხმობ —
არავინ არის მასზე მეტად შესანიშნავი,
აზრიანი აქვს გამოხედვა, შემკობილი ფიქრით და სევდით;
თვით მოხუც მხატვარს ღირსად უცვნია
და ტილოზე გადუტანია სანდომიანი მისი სახე,
რათა დასტკბეს მისი მხილველი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მშვენიერი ქალია იგი,
სხეული მისი მფეთქავია, მელოდიური
და ტანის რხევა უფრო მეტად მომხიბლავია,
ავაზასავით თუა შემოსილი.
განგების ძალამ შეგვყარა ორნი,
ჩვენც მოვიქეცით ღმერთების დარად
და აღვუთქვით განშორებისას —
კვლავაც შეხვედრას გვიბიძგებდეს უსპეტაკესი მოგონებები.
მე მიხმობს სული უნეტარესი.

●

უნებლიედ ვესწრები საოცარ თამაშს:
მზის ორეული ლიანდაგზე გარდასახულა,
გადავაადგილდები და გასრიალდება ისიც,
გავრბივარ და სრული სიმეტრიის დაცვით მომყვება,
ვჩერდები და ჩერდება, — ბავშვური სიანცეა ჩვენში,
და აზრად მომდის — დღეც შეიძლება
დავამსგავსოთ ღამის ვარსკვლავებიან ცას —
ნათელში შეიქმნას შედედებული ნათელი
(მათი სიმრავლით ნებისმიერი სურათია შესაძლებელი),
და შენ, სიახლევ, სხივმფენი ხარ,
ვით ნაფიქრი ფიქრში, ეტიუდი ეტიუდში,
როგორც ჭეშმარიტი ნამდვილში,
რამეთუ აღარ მიპყრობს ბნელში მბჟუტავი სანთლის ლიცლიცი.
ოი, ნათელო, შენა ხარ ყოველი სიკეთის დამბადებელი და მოციქული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თენგიზ მორჩიაული

## დღე გადიადდა

მთას მზის სხივები შემოესხურა,
ნისლი ბინდივით დაჰყვა კაეშანს,
მწვანე აპრილი ადგა მეფურად
და ნაკადულად ბარში დაეშვა.
როგორც აკვანში ბალღის ტიტინი,
ხეებს ყლორტებში ამბოხი უჩქეფს...
უცებ იბარტყა ფიქრმა კვირტივით
და სურნელივით გაუყვა ქუჩებს.
ისევ აღზევდა სულში სამება
ამ გაზაფხულის წვიმის შხეფებით,
დღე გადიადდა, ვით უკვდავება
და სიმაღლეებს ისევ შევები.
ნოყიერ ხნულში გაღვივდა თესლი,
ცის ნამით გაძლა სისხლი და
ხორცი...
აპრილის დილას ვიხუტებ მკერდში
და მონატრებულ შვილივით ვკოცნი.

## გაზაფხულის სიმფონია

აყვავდნენ ნუშები,
აყვავდნენ ტყემლები,
აპრილი იცინის გულიანად...
სიმები უწკრიალებს,
თავშალი უფრიალებს,
თავშალი თეთრი და
მზესავით ბრიალა.
დგას გლეხი ნახნავში
პერანგისამარა,
ოფლად მოთქრიალებს
მის შუბლზე ზამთარი...
გმირულად იშრომა,
გასხლა და დაბარა,
კვლავ ვენახს აჩუქოს
სიცოცხლე, — მზად არის.
მაღალი ფიჭვები
საკმეველს აკმევენ,
ფერადი კვირტები
შუაზე იპობიან...
ჩიტები ჟივჟივებენ,
მუხები ხარხარებენ, —
გუგუნებს გაზაფხულის სიმფონია!

ელექტრონული ბიბლიოთეკა

ავთანდილ ბალდავაძე




მიკუნკულებდა მეჯლანე...

მეჯლანეს ნათლობის სახელი სიკო ჰქონდა, ისე კი ხან სიკოიას ეძახდნენ, ხან მეჯლანესა და ხან „პაჩინკას“.

დუქნის ერთ მუხუროში პეტეტინა ადგილი ეჭირა, დაბალი, გამოჩორკნილი, ფიცრებისაგან შეკოწიწებული მაგიდა ედგა, დაბალვე სამფეხა სკამზე იჯდა და თავის საჯღანო საქმეში იყო ცხვირჩაყოფილი.

ჩია, ბარძლ, მოცოროზ კაცს თოშში და ალხში სქელი, უხეში, დაბებკილი მაუდის კიტელი და გალიფე ემოსა, ფეხზე ხან ქუსლმოღრეცილი წუღები ეცვა და ხან ჰვინტაპრეხილი ჩლატები.

ჯღანებს გარეთ გამოაფენდა, მეშის ფეშტემალს მუხლისთავებზე გადაიფარებდა, წყალში დამბალ წუღას კალთაში ჩაიდებდა, ხელსაწყოებს მოიმარჯვებდა და წვრილ, სადგისის ნახვრეტივით წვრილ თვალებს ხან მარჯვნივ გააყოლებდა კოტიტა ხელით მოქნეულ მახათს და ხან — მარცხნივ.

იდაყვზე ხალათი ფეხსაცმლის წმენდისაგან გაცრეცილი ჰქონდა, ხელები — გალაფული, ნუნები — დაჩხვლეტილი, ფრჩხილები — დაჭეჭკილი.

მაჯისსისქე, ქვაბისძირივით შავი, ყარაჩი კისერი შვეულად კი არ ედგა ჩამოყრილ მხრებზე, არამედ დახრით მიერთებოდა და ამ, უთუოდ ადამის მოდგმას, სიმინდის საფშვენი კაკუტის შეხედულებას აძლევდა.

მაგიდის ლინგის იქით არაფერი არ ესაქმებოდა, დარდი არ ამძიმებდა და სიხარული არ ამსუბუქებდა, აჯაბაჯა ქალის დანახვაზე გულზე არ შემოეყრებოდა და მზეთუნახავის ხილვაზე თვალის გუგები არ დაუდიდრონდებოდა.

შული, ცილობა, დავა და დარაბა მის გუნებას ანაგებად არ ეკარებოდა.

და იყო თავის გარსში ჩაკეტილი, თავის თავისა და თავისი ხვედრის კისრამდე კმაყოფილი. განიადაგებულად ცალკე ჭამდა და ცალკე სვამდა... დუქანში, ფერხთით, ერთი ჟანგმოკიდებული, ანთებული ნავთქურა ედგა და ყოველთვის, ხვატში თუ ყიამეთში, თან ფეხებს ითბობდა და თან კერძს ამზადებდა, — ხან ლობიოს ჩააყენებდა, ხან მხალს ხარშავდა, ან — დღესასწაულებზე — ხაშსაც კი შემოდგამდა! ათუხთუხდებოდა მუჭისოდენა კარდალა, ლაბს და გაროს მოიყენებდა, სიკოიე ხელს წამოავლებდა ზარგადანს — წუღის კალაპოტს — ტუცავდა შიგ, მოურევდა და ისევ ჯღანებში ჩაყოფდა ცხვირს...

დუქანში დღეს ჩამოაღამებდა, დაამთქნარებდა, მაგიდას ფეშტემალს წააფარებდა, წამოდგებოდა და შინისაკენ წალაყუნდებოდა... ერთი

---

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ცისკარი“. № 7.

ციცქნა ოთახს ქირაობდა, ერთი მტკაველა ტახტი ედგა, ერთი ნიადაგ აბურდულ-დაბურდული საბან-გობანი ებადა, ერთი მინჯღრეულ-მონჯღრეული სკამი გააჩნდა და ერთი სარკმლის რაფა ჰქონდა... ამ რაფაზე სადილობდა კიდეც, წერდა კიდეც და ხარახურასაც შეაზოხოლავებდა კიდეც... წერდა-მეთქი, რომ მოგახსენეთ, არ გაიღიმო მკითხველო, არ კი წამომცდენია... ერთი უჩვეულო, ახირებული ჩვევა სჭირდა „პაჩინკას": ვინ იცის, რა დროს, დიდტანიანი დავთარი შეეძინა და საშური გულმოდგინეობით, მრგვალად გამოყვანილი ასოებითა და ციფრებით აღნუსხავდა ყოველდღიურ შემოსავალსა და გასავალს...

დავთარი ყველაფერს იტევდა: ზუსტ თარიღს, კლიენტის გვარსა და სახელს, შეკვეთის ხასიათს („ტუფლებს ქუსლები მოღრეცილი აქვს, რანტი აგლეჯილი, ძირი პირდაღებული" და ა. შ.), გასამრჯელოს რაოდენობას, დღიური შემოსავლის ჯამს... ამას მოსდევდა რამდენი კვიწი მარილი, რამდენი კვნიტი შაქარი, რამდენი კვანჩხი კვაკვალიე ლობიო, რამდენი ჭაჭვი ფქვილი, რამდენი ჩიჩქი ხორცი, რამდენი კბილა ყველი, რამდენი ნაგები ღომი, რამდენი ჭეო ნიორი, რამდენი ცალი პრასა, რამდენი წბილა ქლაკვი, რამდენი ალოკვა კვაწარახი, რამდენი კეწეწი ფიჩხი, რამდენი თანაქა ნავთი, რამდენი ღერი ასანთი დაიხარჯა და რამდენი დაჯდა... მერე მოყვებოდა: ბინის ქირა, დუქნის გადასახადი, საშემოსავლოს შესატანი, სანთლის, ყაჭის, ლაბაშის, თრიშის, ლუბის, ქოშის საპირე კემუხტის, სარჭის გამოხაღები ფული... შემდეგ იწყებოდა: კიტელის, გალიფეს, პერანგისა და ნიფხვის დასაკერებელი ნაჭრების, დაკარგული ან გატეხილი ფოლაქისა და გაწყვეტილი ხვანჯრის შესაძენი გროშების რაოდენობა და აქაც დღიური გასავლის ჯამი იჯდა...

ბოლოს შემოსავალ-გასავალი ერთმანეთთან იყო შეპირისპირებული და დახლის დაანგარიშებას რაღა აკლდა: მავანი დღე ამდენი და ამდენი მოგებით დამთავრდა, მავანი დღე კი ამდენი და ამდენი წაგებით.

თუ ბედი გაუღიმებდა და ხეირიანი დახლი დაუჯდებოდა, მეორე დღეს, დილაადრიან, წავიდოდა ბაზარში, ფულს არ დაზოგავდა, ერთ დიდ კვერცხს შეარჩევდა, მოხარშავდა, მოამარილებდა, ცხენის ძუით სამ ტოლ ნაწილად გაჭრიდა და საუზმეზე, სადილად და ვახშმად, სამ ჯერად, რჯულზე მიაძლებოდა.

სიკო ერიან ოჯახში დაბადებულა და აღზრდილა. ბლარები რომ წამოჩიტულან, წითელა ბატონები მობრძანებულა და მომავალი მეჯლანის გარდა, ყველა მიურთმევია... ამ ცოდვა-ბრალის დატრიალების შემდეგ გრძელი წლები გაწალიკებულა და მშობლებს კიდევ ერთი გოგო, იამარიამი, შეძენიათ.

ბიჭს სოფლის ერთკლასიანი სამრევლო სკოლა დაუმთავრებია, სწავლა-განათლებაში ფეხი ჩაუდგამს და საჯარისკაცოდაც მოწიფულა. სწორედ იმ ხანებში, როგორც გადმოგვცემენ, სიცოცხლეში ერთხელ, საშინლად აწუწია ნერვები და კინაღამ მამის სისხლით შეუღებია კოტიტა ხელები... მისი კუთხის ათი თუ თერთმეტი ყმაწვილი მისდგომია სამხედრო კომისარიატს. საქმიო კომისიას ყველა ვარგისად უცვნია, გარდა სიკოიასი, — არ ვიცი, მისი „ტანკენაროობა" არ მოსვლია თვალში, არ ვიცი, სხვა რამ მანკი და ზადი მოუნახავს...

წვევამდელების მშობლებს, რიგრიგობით, ჯარში გასაცილებელი სუფრა გაუმართავთ, ხან ერთთან გაისმოდა თურმე „ზესტაფონო გშორდები" და ხან — მეორესთან... და აი. ჯერი მეჯლანის მშობლებზე მიმდგარა, — მართალია, მათი შვილი ჯარში არ მიჰყავდათ, მაგრამ რახან მეზობლები გარჯილან, დატრიალებულან და ხალხში არც თავად გამოწყვეტილამ. სუფრაზე ცხრა თუ ათ ულვაშწამოშლილ, ერთიმეორეზე მოხდენილ, ტანაყრილ და ტანბრგე ბიჭს მოუყრია თავი. ამ ყმაწვილებს ამდენივე, სულ დარჩეულ-დარჩეული, თვალმშვენიერი გოგონები ხლებიათ.

მოღერებული ხვალინდელი სალდათები და აყელყელავებული ქალიშვილები ისედაც ძლივს იოკებდნენ თურმე აშლილ ვნებებს, ხოლო მცირე ღვინო რომ უგემებიათ, სისხლი აჩქროლებიათ, ტვინი და ტანი შეხურებიათ და ცეკვათამაშში და სიმღერაში ჩაფსკვნილ-ჩაკვარახჭინებულები სულ სულში უძვრებოდნენ და ესალბუნებოდნენ ერთმანეთს.

სიკოიე კი — მასპინძელი! — ცალკე მიუყუჟულა მუხუროში და არავის მისი არც დარდი ჰქონია და არც ჯავრი ჰირვებია.

და აი, მაშინ ბოლმით ავსილა, გატიკნულა, სკამზე ველარ დატეულა, ზეზე წამომხტარა, პაპიხეულ მაჭახალასათვის წამოუვლია ხელი, მამისაკენ მიუშვერია და გამყივანი ხმით შეუძახია:

— მამაჩემო, ფეხზე წამოდექი, სული უნდა გაგაცხებინო!

— რას მერჩი, შე უკუღმართო?! — ელდაცემია ნატუსალა კაცს, შემცბარა, შეჩქვიფებულა და მაგიდის ქვეშ ჩაურგავს თავი.

— რატომ ასეთი უსახური შემქენი, ასეთი ციდამტკაველა, ასეთი აჯუჯმაჯუჯი? შეხედე, რა დოლრი-დოლრი ბიჭები დაუჩენიათ მამამაგათებს!

— აბა, თოფი თავის ადგილზე დადე, რას მეგულდიდები, შე ვირო-მამაძაღლო! — თავი წამოუყვია შეურაცხყოფილ მშობელს, — უკეთესი მე არ ვიყავი და შენ საიდან გაგაჩენდი? რა ხვითოც მე, ის ხვითოც შენ, მორჩა და გათავდა! — სული ძლივს მოუთქვამს, პეტეტინა მუჭი მომეტებულად დაუხლია მაგიდის ძგიდეზე და კინაღამ სალვინე ჭიქა ამოუტრიალებია.

დედა კი, ღმეთრწინაში, დასტურ ტანიერი.

ჯანიერი, და თვალი ჯავრიანი, იმ არემარეში ხანთლით ხაძებარი ქალი ყოფილა.

„ვირ-მამაძაღლს“ მამის არგუმენტი ჰკუაში დაჯდომია, თოფი დაუშვია, მაგრამ მიჩნეულ ადგილას კი არ მოუთავსებია, იატაკზე დაუნარცხებია და სასროლსაც ავი ჩვევა არ დაუშლია, — ქვეყანა გაუყრუებია...

იღბლად, სროლას მარცხი არ მოჰყოლია, მაგრამ სტუმრებიცა და მასპინძლებიც ისერიგად დაუშიშია და დაუზარია, რომ ერთი ქოთი და შფოთი ატეხილა...

ყველაზე მეტად მაინც თავად სიკოიას შეშინებია: ზაფრა ცემია, კანკალი ატეხია, კუჭი ასტკივებია და მუცელი აშლია.

აქედან მოყოლებული დაწინდვია მუცლის აშლა და ეს ზნე თუ სნება კუბოს კარამდე გაჰყოლია.

ტოლებს რომ ჯარში გაუტევიათ, სიკო სოფლად აღარ დარჩენილა, თავისი ხაბაკუბაკით მოუზურგნია და ხონქალაქში გახიზნულა... ამის შემდეგ სოფლისკენ აღარ მიუხედნია, ეს კი არადა, წლებს რომ ჩაუვლია და მოხეტიალე სახადს თუ საპყარს მისი შემქმნელ-მშობლები ამა ქვეყნიდან აუყრია და იმა ქვეყანაში გადაუბარგებია, არც მაშინ უბრუნებია ფეხი, საფლავებთან არ მისულა, თავი არ მოუშიშვლებია და ქედი არ მოუხრია...

ხონქალაქში გადახვეწილი სიკოიე ვიღაც უთვისტომო, საცერივით მორაცრაცე მეჯღანეს შეგირდად შესდგომია.

მიკანკულ და მისავათებულ მოხუცს დიდხანს არ დაუმძიმებია მზისქვეშეთი...

მეჯღანე შეგირდს შეუცვლია.

შეგირდს კი არაფერი შეუცვლია: იგივე მუხური, იგივე მაგიდა, იგივე დაბალი, სამფეხა, სკამი, იგივე ხელსაწყოები, იგივე ჯღანები...

...ერთი პირობა სიკოიას ეშმაკი, ეშმა, ქაჯი, სატანა და კიდევ ვიღაც-ვიღაცები შეუჩნდნენ და ცოლის შერთვაც კი დაუპირეს.

ცოლის შერთვა დაუპირეს და მაჰანკალი დაბარებულივით გამოეცხადა: სკამზე დაჯდა, რედიკული მოიმარჯვა, ჯერ ობმოკიდებული ჰაერი მოინიავა, მერე გახსნა, და მოვის ნახევში გახვეული საპატარძლოს სურათი ამოიღო და უთქმელად გაუწოდა... სასიძოს ფერი გაუკრთა, ლაფში ჩამოუვარდა, პირი იბრუნა... მაშვალი აწრიალდა, წამოვარდა და დააშოშმინა: ნუ გერიდება, ყმაწვილო, თვალი დაადგი, შეხედე, განა კოცნას, ლამუნს ან სხვა რამე უმსგავსოებასა და უსაქციელობას გთხოვსო?! კაფანდა, ალზე ნახუხმა დედაკაცმა ერთი მთაგორიანი, ჩახვეულ ხევებში ჩაკარგული ადგილი დაუსახელა, მავანი სოფლიდანაო, ავთვალდაუმზირალი და ბოროტხელდაუკარებელიო...

სიკო გამხნევდა, გამბედაობა მოიკრიბა, სურათი ჩამოართვა და ალმაცერად დააცქერდა: ქალი ისეთი ლამაზი იყო, მოხდენილი და ეშხიანი, ისეთი ლამაზი, მოხდენილი და ეშხიანი, რომ წმინდა გიორგის ეკლესია რომ წმინდა გიორგის ეკლესიაა, იმის კედლებზედაც არ მოიძიებოდა მისი ტოლი და ბადალი... მართ[illegible] ვისი სურათი მოუცუნცულა მაჰანკალმა [illegible] ძოს ეს ძნელი დასადგენია, მაგრამ, ერთი რამ ცხადია! ჩვენში სწორედ იმ ხანებში იწყებოდა მთიელთა მიგრაცია და ოღონდ ბარში ჩამოფუძნებულიყვნენ. გახონქალაქებულიყვნენ და ცასმოწყვეტილი ქალიშვილებიც კი საქმროს არც ხნოვანობას დაგიდევდნენ. არც ახოვნობასა და არც მომხიბვლელობას.

საქმე გაიჩარხა, მხარეები შეთანხმდნენ, ნიშნობა დაინიშნა.

ჯერი ჯვარზე და ბეჭედზე მიდგა.

ხოლო მეჯღანეს ჯვარი და ბეჭედი ვინ ეშმაკმა მიაშავა... მაგრამ, აბა, მაჰანკალი რის მაჰანკალი იქნებოდა, ეს საქმე წინასწარ განჭვრეტილი და გააზრებული არ ჰქონოდა: თავისი გარდასული ქმრის მიერ ნიშნობისას მონართმევ საეჭვო ლითონის ჯვარსა და ბეჭედს აბრუნებდა და ატრიალებდა ახალდანიშნულებში, — აბა, ბეჩა, სად იქნებოდა იმდენი ოქრო და ვერცხლი, რამდენიც თვალებმიბნედილი, განაზებული გასათხოვარი ქალიშვილი და გაბრიქებული, ტროფობატრფიალი, საქორწილოდ მოყრილი ყმაწვილი იყო...

..დილაუთენია სიკოიე, მაჰანკალი და ორისამი მათი მხლებელი ამლაყ ულაყებზე ამხედრდნენ, დეზი დაასაქმეს, დასჰყივლეს და გზას ბდღვირი აუყენეს, — გულგაშლილ, ხელუხვ სასიმამროს ხალხი უხმია და სასიძოს მომლოდინეს არნახული სადილი ჰქონია გამართული,

გზა მაღლა-მაღლა მიბობღავდა... ხრამები დაბლა-დაბლა იქცეოდნენ...

კაი ძალი იარეს, ცალბილიკი შეძახილ-შემოძახილით, ჰიხვინითა და თქარათქურით შეაჯერეს და ერთ ვიწრო-ვიწრო წავარნას წაადგნენ.

ცალ მხარეზე მზერაშეუწვდენელი სალი კლდე ალმართულიყო, მეორე მხარეზე, ორი-სამი წყრთის მილმა, თვალჩაუწვდენელი პირბნელი ხრამი ჩახრამულიყო.

მაჰანკალმა მათრახი უჰირა ტაიჰს და ჰენებჰენებით გაიჰრა.

მხლებლებმა — დბუუ, დბუუო — და, გაჯირითდნენ.

სიკოიე — ნწუ...

ის მაკვარანცხი გოხი იმ ადგილზე მითაჟამიდან იყო გადმოშვერილი...

და იმ ვიწრო წავარნაზე ყოველთვის ურიცხვი იყო ამვლელ-ჩამვლელი, ქუდიანი და უქუდო, ბავშვი, ბერიკაცი და ბერიქალი, მუშა

ავთანდილ გალდავაძე

ძრწოდე მდევართა შიშით

პირუტყვი, მოცადი საქონელი, უსურმაგი და საკლავი ხვადაგი.

...მობრუნდა მაჰანკალი, მობრუნდნენ მხლებლები.

მეჯლანეს ბევრი ეხვეწეს, ბევრი აგულიანეს, ბევრი უჩიჩინეს, მაგრამ არაფერმა გაჰრა, ფეხი წინ ვერ წაადგმევინეს...

მიატოვა ცხენი... მიატოვა მაჰანკალი.., მიატოვა მხლებლები... არარა ძახილს, არარა ხვეწნასა და არარა ყვირილს ყური არ ათხოვა.

არც თქვენი ნიშნობა მინდა, არც თქვენი პატარძალი მინდა, არც თქვენი სადილი მინდა, არც თქვენი წავარნა მინდაო...

ბიჰოს, რა შემიკალით ხელში, არ მინდა, გული არ მერჯის და, ახლაო?

ძალად ცხონებაო?

ფაცხაფუცხით მიდიოდა. თვალებს ოცობოცოდ ატრიალებდა.

ხონქალაქში ძლივს ჩაალწია, ოთახში ქახქახით შეკუნკულდა, ბუძოებში ხაგდული გაუყარა და კიტელ-გალიფე-წაღებიანად დურთა თავი ქვეშაგებში.

მთელი ღამე თეთრად გაათენა, კრინტი არ დაუძრავს, გვერდი არ უბრუნებია, თვალი არ მოუხუჭავს, — გაკუჰებული მაჰანკალი, გაბელებული მხლებლები და გაალმასებული ხასიმამრონი არ მომვარდნენ, კარები არ შემომიმტვრიონ, არ ამიღონ, არ წამიღონ, და ისევ ისე იმ წყეულ წავარნაზე არ წამგვარონო...

შიში ტყუილუბრალოდ ჰამა...

და ამიერიდან, ტაშტი რომ გატყდა, ამბავი გაქვეყნდა და სოფელი ალაპარაკდა, არც ერთ მაშვალს მის კარზე არ დაუკაკუნებია და მუხლი არ მოუხრია.

ისე კი, განგებას მისთვის გვირგვინი რომ გამოემეტა, ვინ იცის, ეგებ გეზი, აზრი და საზრი ეცვალა ჩვენი ქუდბედდაკარგულ, საწყალ, საბრალო სიკოიას სუფევას...

მაგრამ სავალალოდ ასე არ ინება ბედისმწერალმა...

ერთხელ ხონქალაქში დაფუძნებულმა, უკვე გამოჯეკილმა მეჯლანემ, სიკოიამ, იტირა კიდეც: ორი თუ სამი დღე თავჩაკიდული იჯდა, მუჰში მუშტა მოებლუჯა, ხრუტუნებდა და ღვარღვარით მოდენილ ცხარე ცრემლს, დროიდან დროზე, ხახელოთი იწმენდდა...

ტიროდა, ტიროდა, ტიროდა, უხმოდ, უჩუმრად, უთქმელად ტიროდა და თვალის ხეირის მოყვარულ, უგულო გამვლელ-გამომვლელსაც კი გულს უთუთქავდა... თუმცა უგულო გამვლელ-გამომვლელი რა მოხატანია, როცა მისი ცოდვის ცქერას დუქნის ბალავრის ქვამაც ვერ გაუძლო: დადნა და დაილია...

მთელი ამ უბედურების მიზეზი მეჯლანის ყურამდე მისული მისი დის ია-მარიამის, გაბახების ამბავი გახლდათ...

გულმართალნი თუ ვიქნებით და სიმართლეს არ დავუკარგავთ კაცს, სიკოიას წინათაც, იშვიათად, მაგრამ მაინც, ნაღველი მოაწვებოდა და ია-მარიამის ამბის შეტყობის წყურვილი და წადილი წამოუვლიდა: ჰადის კოკორი ხომ არ ენატრებაო? სნება რაიმე ხომ არ შეეყარაო? თავზე გვირგვინს ხომ არ იზომებსო?... წყურვილი და წადილი წამოუვლიდა, მცირე ხანს თვალი გაუშტერდებოდა, დაამთქნარებდა, დარდს დაიბერტყავდა და მისი ერთიბეწო ცხოვრება კვლავ პაწაწკინტელა კალაპოტში წაწანწკარდებოდა...

ია-მარიამი სულაც არ ჰგვანებია თავის უფროს ძმას, სიკოს, ალი-კვალი დედა, დედაილა, ყოფილა, სულ მისი გენები დაჰყოლია: ნატიფი, ტანკენარი, გადაპენტილი, ათას ქალთა დასში გამოსარჩევი დამდგარა.

გამოსარჩევი დამდგარა და ჯგროდ ატორღიალებია ნამუსგარეცხილი მუსუსები, თავმომაბეზრებელი მოარშიყეები, ხათრიანი ხელის მთხოვნელები...

ამ რაყიფებიდან ნამეტურ ერთი იყო დღენიადაგ მის კარზე ატუზული და თემშარა და ეზო-გარემო ატალახებული ჰქონდა. მეტისმეტად ეკუტკუტა, ელამუნა, და ჯერ კედევ ლუტუ, დაუღვინებელ, მარტოხელა გოგოს ატმისფერი მომავალი მოუქარგა... ათქვირებულმა, სისხლაჩქაფებულმა, სიტყვასაყოლილმა ქალიშვილმა ვერ გაუძლო ამდენ ცდუნებას, გულში ჩაუვარდა ყმაწვილი კაცი და სიყვარულის ხრიკებში გაუწაფავი, უმანკო სულითაც დანებდა და უბიწო ხორცითაც...

ენაგალავაშებულმა ყმაწვილმა წბილი, ბილწი და ლირწი რომ გამოდგა, აკრძალული ხილი იხილა, ხვანჯარი ხონჯარგადით შეიკრა, ფიცი ქარს გაატანა, მტკიცი, ცოდვა დოლაბივით დაატრიალა და თავის გზით გაუტია...

და დარჩა აბორგებული, გაუბედურებული და გაბახებული ია-მარიამი...

ია-მარიამი ერთი ხანობა ცრემლად იღვრებოდა, ლაწვებს იხოკავდა და თავის მოკვლას ეპირებოდა... მერე გადაიაზრა, ღვთით ბოძებული სიცოცხლე ხომ ჩემს გამგებლობაში არაა, ამ მკრეხელობას ვერ გავწევ, ვერ გავკადნიერდები და ზენაარის ნებაზე ხელს ვერ ავღმართავო...

საორჰოფო არაფერი დარჩა, გამოკვეთილად გამოისახა: სიცოცხლეზე ხელს ვერ აღმართავდა ია-მარიამი... მაგრამ ისიც გამოტეხილად აშკარა ჩანდა, რომ ამიერიდან სოფელში აღარ დაედგომებოდა სახელგატეხილ, პირშერცხვენილ, მიწასთან გასწორებულ ქალს...

არ ეთმობოდა ია-მარიამს წინაპრების ნაფუძარი სახლ-კარი, ეზო-მიდამო, კუთხე-მეზობელი, მაგრამ სხვა რა გამოსავალი ჰქონდა... მთელი მისი, არც თუ დიდად თვალდასადგამი მამისეული უძრავ-მოძრავი ავლადიდება მიყიდმოყიდა, თავნი და სარგებელი სახოკის

ყურში გამონახკვა, დალოცა ერთადერთი ღვიძლი ადამიანი, სიკოიე, სიცოცხლის გახანება, ლხინის გატკბობა და ჭირის გაადვილება უხურვა ძმას, გარეგნულად დამშვიდდა და დიდქალაქის უცხო-უცნობ გზას დაემგზავრა...

ხვენებ-ხვეწნებით და კითხვა-კითხვით დიდ ქალაქში ჩაალწია, ვიღაც შორეულ ნათესავს თავი შეაფარა, ვიღაც დედაკაცი გამოესარჩლა — გვირგვინგაშავებულ ქვრივად გაახალა და ვიღაც მებოსტნეს ცოლად შეჰყარა...

პრუტათვალებიანი, ჰორფლიანი, ჰარმაგობაჩავლილი მებოსტნე, ქალაქელი ქესატი გლეხი, წმინდანივით უბიწო კაცი გახლდათ, ხალუქ მეუღლეს დაეხარბა, ყურებამდე შეუყვარდა და სულ მისი სულის ბერვაში, ალერსში და ფერებაში იყო.

— არ მინდა, ბიჭო, ამდენი დაუვავება, არ მინდა, გუშინდელი ბალანახავით ნუ მანებივრებ! — ეტყოდა ხოლმე გაჭაღარავებულ ქმარს ქალური მადლით სავსე ია-მარიამი.

— ნუ, შენი ჭირიმე, ნუ მიშლი, მე ამ ბედნიერების მოლოდინში ჩამოვბერდი კეკალი კაცი.

— მე მიცდიდი? — ალმაცერად, თბილი ღიმილით გადახედავდა ია-მარიამი.

— ახლა, შე ქალო, მაგი კითხვა საკითხავია?! — გულწრფელად გაიკვირვებდა გულალალი კაცი.

იმ მებოსტნეს იმ დიდქალაქში დედამდინარის პალებში ორი-ხამი მობრუნება მიწა ჰქონია, კიტრ-პამიდვრისა და მწვანილეულობის მომყვანი ყოფილა, რიყრაყიდან დახშირბინდებამდე თოხი, ბარი, ფოცხი, ფიწალი, ნამგალი და ერო სჭერია ხელთ და თავის დღე და მოსწრება იქ უტრიალებია, — უბარავს, უთოხნია, უთესია, ურწყავს, უხილავს, ულალებია.

ცოლ-ქმარი ბედის კმაყოფილი ხომ იყო და იყო, ახლა კიდევ გამჩენმა ჰანჭლებიანი შემკვიდრე გაუჩინა და მათ ბედნიერებას ადლი ვერც სიგრძივ აზომავდა და ვერც — განივ...

ერთი რამ კი ძალიან ადარდებდა და ქვასავით აწვა გულზე ია-მარიამს, — ამდენ სიკეთით ავსილ ქმარს რომ შეხედავდა, ბოლმა ახრჩობდა: რა უმადური და უგვანო ადამიანი ვარ, აქამდე ქმრისათვის სიმართლე არ მითქვამს, მას დღესაც გვირგვინგაშავებული ქვრივი ქალი ჩავბარდი ჰგონია და, თავს იტყუებსო... მოდი, სიმართლეს ალსარებასავით ჩავუკაკლავ და მერე, სინდისდაწმენდილი და გულდაწყნარებული ნეტარებით და სიამტკბილობით ვიცხოვრებთო, — მისთვის ხომ სულერთია ჩემი უმანკოება ლირწმა ადამიანმა წამგლიჯა თუ სრჯულიერმა ქმარმა ჩამბარაო.

ეი, ეი, კეთილო, გულუბრყვილო, სულმდაბალო ია-მარიამ, რა იცოდი შამაკაცის დახლართული ბუნებისა: ხანდახან ტკბილი ტყუილი რომ ურჩევნია მწარე სიმართლეს...

... იმ გვიან საღამოს ბოსტნიდან ქმარმა შეშუპებული ფეხები ძლივს მოათრია, კართან აკანკალებული მუხლები დაიზილა, მწითურ, დანაოჭებულ სახეზე ხელი გადაისვა, ღიმილი წილაბივით აიფარა, კარი რიდით შეაღო და ცოლს მიელამუნა:

— როგორ ხარ, ქალო ია-მარიამო, ანგელოზო ფუძისავ, დედაო პირმშოსა ჩვენისა, ნამუსო ოჯახისავ და სიხარულო ქმრისავ?

დამხვდურმა მოკითხვის წილ ამბორი მიაგება, ქუდი მოხადა, ოფლი შეუმშრალა, ტაშტზე ხელპირი დააბანინა, სუფრასთან დასვა, იჩქიტი ვახშამი მიართვა, დააპურა, დაანაყრა...

მერე გვერდზე მიუჯდა, გახეშეშებულ ქინჩზე ცალი ხელი მოხვია, მეორეთი კიდევ ორად ორი ღერი ქერა ქოჩორი ხან აქეთ დაუბულულა და ხან იქით.

ქმარს ტკბილმა ჟრუანტელმა დაუარა, თავი მკერდზე მიაყრდნო, გაინაბა, გაისუსა.

— იცი რა, ბიჭო?

„ბიჭმა“ ხმა არ გახცა, გაიზმორა, ამოისუნთქა და ჰრუტა. წყლიანი თვალებით ამოხედა.

ია-მარიამმა თითი დაინერწყვა და გაბანჯგლული, გათეთრებული წარბები გადაუგლისა.

— რაღაც მინდა გაგანდო, რა ხანია ვაპირებ და ვერ გითხარი, ვერ შევბედე...

— რა გაუბედავი დაგემართა, შე ქალო, განა გუშინ გავიცანით ერთმანეთი, ღვთის წყალობით, ბარე ორი ბათმანი მარილი აგვილოკია ერთად, რა უნდა მითხრა ისეთი, რომ გული მატკინო? — მკერდზე აკოცა, თავი წამოყო და წამოდგა.

— რა ვიცი, მერიდება...

— თქვი, ადამიანო, თქვი, — უთხრა, მკერდზე მიიხუტა, ცხვირი თმაში ჩაურგო და ხარბად, ხმიანად, დაყნოსა.

— შენი სურნელის ჭირიმე, — დააყოლა.

და ია-მარიამი გაიწმინდა ცოდვებისაგან...

ქმარს სახე დაეკარგა, ხელები აუკანკალდა, ნიკაპი აუცახცახდა, ნკამზე ზლართანი მოიღო. თვალები მოერლვა, სიტყვა თუ სუნთქვა ყელში გაეჩხირა და ძვრა ვერც აქეთ უყო და ვერც იქით...

თავზარდაცემულმა ია-მარიამმა რა ლაწვები არ იხოკა, რა წყალი არ ასხურა, რა არ ანჯღრია, მაგრამ არ იქნა და არა, კრინტი ვერ ამოაღებინა და პაერი ვერ ამოასუნთქა...

— ენის ტარი გამხმობოდა და არაფერი მეთქვა, ეს რა საშინელება ჩავიდინე. ეს რა უბედურება დატრიალდა ჩემს თავზეო, — კიოდა და მკერდზე ორივე ხელს იცემდა დაქვრივებული დედაკაცი.

პირმშომ იმ დღეს დაამთავრა უნივერსიტეტი, ფრთაშესხმულმა მთელი დიდქალაქი ღიღინით მოიარა და ტკბილ მამას ვერ მიუსწრო...

---

**ავთანდილ გალდავაძე**

ძრწოდე მდევართა შიშით

ქმრის გარდაცვალება მეხივით დაატყდა თავს ია-მარიამს, დამბლად ჩავარდა და სამუდამოდ დავრდომილდა...

... ამ ამბიდან დიდი ხანი არ გასულა, რომ მეჯლანემ თავის წილკერძი წლები ჩამოათავა, მორჩილი კაცის კვალობაზე მეტისმეტად მოიკაკვა, ყუაზე მიდგა, იმედის წყალი გადაწურა და საწოლზე მოიკუნტა...

ნიშნეულად ამ დროს ცის კაბადონს ერთი ძლიერი, ლინტლიანი, ულიმლამო ვარსკვლავი მოწყდა და ფარფატით წამოვიდა...

— სიკოიას ერთი მტკაველი სამოსახლო შეუჰედეს, ერთი არშინი საფლავი გაუთხარეს, ერთი მუჭა მიწა მიაყარეს...

ხელოსნებმა, რაც უნდა იყოს, მაინც ადამიანის სული ედგათ, სამკვდრო სუფრა — ფეხზე ღვინო — გაუმართეს, თითო ჭიქა წაუქციეს და დიდ ღმერთს პატარა სულის ცხონება გამოსთხოვეს.

9

იასონ მექუდის სახლი დუქნიდან ერთი ხელის დადებაზე ანდა, დიდი-დიდი, მამლის ყივილის გაგონებაზე თუ იქნებოდა და თუ არა დაშორებული..

ალექსანდრ ალექსანდროვიჩ სანაძემ ცხენები ნებაზე, ფრუტუნით ატარა. გზა ღუღუნით გალია და ეტლი ჭიშკართან გააჩერა.

ქუჩის მიღმა თხელ, ვიწრო კალაპოტში ტინტრაქა მდინარე მიტინტილობდა, მდინარის მიღმა ყრუ ღობე აკედლილიყო, ღობის გაღაღმა პაწაწინა ეზო ყვავილების ნარგავებითა და ვარდის ბუჩქებით მოეჩითათ. ეზოში თლილი ქვის ბოძკინტებზე შემდგარი, წვიმის ხშირი ტყლაშუნისაგან კედლებჩამუქებული ორთვალიანი ხის სახლი იდგა, — ეტლის კოფოდან ყველაფერი ეს თვალხილულად ჩანდა.

სახლის სარკმელში კაცის გაბურძგნილი თავი გაილანდა.

გაილანდა, გამოიმზირა და... გაუჩინარდა.

მცირე დრო გავიდა — მეეტლემ ჩიბუხის დატენაც ვერ მოასწრო — განის კარი გაიღო, კარგა ზორბა, ხორცში ჩამჯდარი კაცი ძლივს გამოეტია, კიბის საფეხურები ჩაკრიფა და ლაფაროში დაკიდებულ ძველმანებს უკნიდან ამოეტუზა.

ეს კაცი ამბაკო გახლდათ. აგერ ნახევარი წლის უკან აი იმ გამოკეტილ სამიკიტნოში რომ ბოღ(?)ნებდა, ახლა პატივაყრილი, ვალდაყრილი, კოტრი, გალიკნილი ამბაკო.

ბედგაუღიმარმა მიკიტანმა დროებით, სანამ თავის აწეწილ-დაწეწილ საქმეებს მოაგვარებდა, დეიდაშვილს, მის გვარტომში ყველაზე წელმაგარ, ყველაზე საჩინო, ყველაზე საკითხავ კაცს შეაფარა თავი.

ამბაკოს გაკოტრების ამბავი მეხივით გავარდა მთელ ხონქალაქში. და ყველაფერი მოიცვა.

ხმა გავარდა და, ამბაკოს ნათესავებმა, ნათელმირონებმა და სახლიკაცებმა აღარ დააზანეს, დატრიალდნენ, ურვამორეული მოყვასის ვაროზას ყური არ ათხოვეს, მხარში ამოუდგნენ და [illegible] წეობა აღუთქვეს, — გული [illegible] დაძაბუნდე კაძახო, გვერდაუვალ ვალებს გაგისტუმრებთ და საციმბიროდ არამც და არამც, ცოცხალი თავით არ გაგწირავთო.

ვის უკვე მოეტანა და ჩაებარებია შესაწირი, ვინ კიდევ ლუკმას იძვირებდა, კაპიკს კაპიკზე აწებებდა და ამ დღეებში მოტანასა და ჩაბარებას აღუთქვამდა.

ერთ-ერთი მათგანი, ვინც ამბაკოს ფულს ემართლებოდა ალექსანდრე ალექსანდროვიჩ სანაძე გახლდათ... და აი ამიტომ გაიძურწა დამხვდური სახლიდან, — არ უნდოდა პირდაპირ გადაყროდა მევალეს და სირცხვილით მიწა ჩაქცეოდა.

ალექსანდრ ალექსანდროვიჩ სანაძემ ამბაკოს ყოველი ფეხის ნაბიჯი, ასავალ-დასავალი და ავან-ჩავანი იცოდა., იცოდა, რომ იგი აქ, დეიდაშვილთან იყო შეკედლებული, სარკმელშიაც კარგად დაინახა მისი დაფეთებული სახე და ლაფაროში დაკიდებულ ძველმანებს რომ იყო ახლა ამოფარებული, ესეც ბეჯითად იცოდა.

მეეტლემ ერთი პირობა გაიფიქრა: მოდი, ჩავალ ეზოში, მივადგები იმ ლაფაროს, მოვისმობ ამბაკოს და ვეტყვი: რას მემალები, შე კაცო, სულთამხუთავი ხომ არ გგონივარ, სატახტო ქალაქის კუჩერი ბატონი ალექსანდრ ალექსანდროვიჩ სანაძე გახლავართ.... მერე ჩაფიქრდა და გადაიაზრა: ვინ იცის, ამით უხერხულ მდგომარეობაში ჩავაყენო და სიამაყე შევულახო. — ხოლო სიამაყეშელახული კაცი ხომ სახედრის უკანალის გასაწმენდი ჩვარია და მეტი არაფერი! — სჯობია თავი მოვიკატუნო. ვითომ არაფერი დამინახავს, ვითომ არაფრისთვის დამიდგამს თვალიო...

ეჰ, ამბაკო, ამბაკო, რა ეშმაკად შეხვედი იმ ოხრადდასარჩენ სამიკიტნოში, რატომ ვერ იგუმანე, რომ საამისო კაცი არ იყავი?

...ამბაკო ერთი წვრილცოლშვილიანი, ჯერ კიდევ ჰარმაგი, ჯანგაუტეხელი, მკლავმოუღლელი გლეხკაცი იყო. ერთი პატარა ეზო ჰქონდა, ერთი ბურული, დაფარცახებული ქოხი ედგა, ერთი მოტრიალება ვენახი გააჩნდა, ერთ მუქარაზე მოსაბარ-მოსათოხნი ყანა ებადა.

ლონე ჰქონდა, წადილი ჰქონდა, ბარი ჰქონდა; თოხი ჰქონდა და ყოველ ცისმარე დღე იყო მიწისა და მისი მაცა-მაცა, შეხლა-შემოხლა და შებმა-შეჭიდება.

მაგრამ, აბა, მწირ მიწას მარტოხელა კაცი ბევრს რას გამორჩებოდა?!

ჰოდა, გაჭირვება კბილებდაკრეჭილი ნაგაზივით კვალში და კუდში დასდევდა განიადაგებულად გაუხარელ გლეხს...

იმ წელს თავი გადაიდო, მჭადი დაინატრა, საყოლი გაზარდა, გაასუქა და შობა დილას წამოაქცია.

ღორს კისერი გამოღადრა და შუბლი გაეხსნა: თავსა და ფეხებს ხაშად ჩააყენებს, შიგნეულს დააკუპატებს, ნეკნებს ნედლად მოხარშავს, სუკებს დაახასტურმებს, ბარკლებს შაშხად გამოიყვანს, ნაფერდლიდან ხართვიან ქადს გამოაცხობს და დედას უტირებს გაჭირვებას: ზამთარს ხსნილად ხორცის ხარშვა-ხრაკვაში და ხრტილის ხრაშახრუშში გაატარებს... მერე კი.. მერე კი, ღვთის წყალობით, ჩვენს საგორავებში, ძიგვეებში, მინდვრებში, ტყეებში და ხსლტეებში სხვადასხვა დროს მოწეული ეკალა, ჯიჯილაყა, მოლოქა, ჯინჯარი, ჯლაკვი, კერატა, კამპრი, კანაფზალი, კატაპრასა, ჩხიკვითავა, ნაცარქათამა, სოკო, მაყვალი, მოცვი, კუნელი, ზღმარტლი, პანტა და მაყალი შემოვა და იოლად გავა... ახლა კიდევ ქონიდან საპონს მოადუღებს, ჯაგრიდან ჯაგრისს გააწყობს, ტყავიდან მთელ ოჯახს ქალამნებს და ჭოლპორტებს ამოუსხამს, ბუშტიდან ბურთს გაუბერავს ბახახზარებს...:

ერთი ხანობა ასერიგად ფიქრებს ულიმოდა, მერე შეჩერდა, დედაკაცს მიუბრუნდა და შესჩივლა:

— რისიკო, შე ქალო, სირცხვილია, თავი სად გამოვყოთ, ამხელა ქოხმენი გავაგორეთ და ერთ-ორ კაცს პირი როგორ არ გავახველებინოთ და ეს ჩვენი დაბალი ჭერი არ დავალოცვინოთ?

დედაკაცი აწრიალდა, ჩაყვითლებულ-ჩამოკონკილ ბავშვებს თავზე ხელი გადაუსვა და, რადგან ახე გინდაო.. — ამოთქვა და ამოიგვნეშა.

ატაცებული ამბაკო ციბრუტივით დატრიალდა: ზოგიერთებს თავად გადასძახა, ზოგიერთები ზოგიერთებთან აფრინა და, ჭვარი სწერია, ხვავრიელი სუფრიონი მოაგროვა.

გაიბადრა ამბაკო, გაიღელა გული, გაშალა დაკოჟრილი ხელები.... და, ნეტავი თქვენი თვალით გენახათ, როგორ უხდებოდა ეს სიხარული ხულ ტანჯვა-ვაებაში მყოფ, თავის დღეში გაუხარელ კაცს...

:ცეტდა, ადგაფუნდა, ალვირი აიწყვიტა ამბაკომ და ცოტას გაწყდა, ფეხებში არ ჩაუვარდა თანამეცხედრეს: ა, რაცხაფერად ახლა ნუ შემარცხვენ, ა, რაცხაფერად ახლა ნუ მაჭმევ სირცხვილს, ა, რაცხაფერად ახლა ნუ გამომაჭენებ კუთხე-მეზობელში და მერე მე ვიცი და ჩემმა კაცობამ, ინგლისის გადაპენტილი დედოფალივით შეგინახავო...

ეჰ, არც თუ ხულ ყმაწვილი ქალი გახლდათ რისიკო რუხეიძე, რომ წმინდა წყლის ჭეშმარიტებად ეწამა ქმრის დანაპირები...

და, მაგრამ, მაინც.. აგუზგუზდა შუაცეცხლი... ათუხთუხდა ქვაბები,,, დაიბრაწა კეცეული: ხართვიანი პურები, ხაჭაპურები, თაკარა მჭადები...

ატყდა ჯამების ჯახუნი და ჭიქების ჭახაჭუხი... და მოჰყვა ხითხითი, ხორხოცი და ოშახიანი ოხოხოია...

ვინც მასპინძლის ალაგეზე გადმოადგა ფეხი, ამბაკომ თავი მოიკლა და უკან წამოუწყვა ალარ დააწება.

პურ-მარილი გადაიბა და გახანიერდა.

...ღორი კუდიანად შეიჭამა, ქათმების ხინხილა გაწყდა, ღვინო თავისი არ ეყო და მეზობლებიდან ჩამოისესხა, კოდში ერთი ჯამი ფქვილი ალარ დარჩა, ხალამში — ერთი წველა ყველი, ბუდეში — ერთი ცალი კვერცხი, ჭურში — ერთი ძირი კეფერა მხლის მწნილი, სხვენზე — ერთი კაკალი ნიგოზი, ბუჯერში — ერთი კბილა ნიორი, ერთი თავი ხახვი, ერთი ბოთლი ტყემალი, ერთი ღერი პილპილი, ერთი მუჭა მარილი...

ეზო-გარემოში სახმილის ნატამალი არ ჩანდა.

ჩაიფერფლა, კერა, ჩამოთავდა ხორხოცი, ჩაწყდა ოხოხოია...

...დაჭირჯვლებული, თვალეხდაწითლებული, წაბლის ბუძგივით აბურძგნილი ამბაკო, ჯორკოზე იჯდა და ბედოვლათი თავისათვის ორივე ხელი შეეყუდა.

დაოსებული, დატეტკვილი რისიკო მუხუროში მოკალათებულიყო, თვალებს კრუტავდა და კრუსუნებდა.

აძაგძაგებული, ჩამოძენძილი, ხარჩოს ყვავილივით ჩაყვითლებული ბღარები კედელს გაკვროდნენ და ცრემლებს ალვარლვარებდნენ.

ოჯახში დარდმა და ბოროტმა დაისადგურა.

ამბაკო ფეხზე წამოდგა, მუჭში ჩაამთქნარა, ხელი ჩაიქნია და ჩაილუღლუღა:

— საფლავს გავჭრი...

თქვა, ბორძიკით წავიდა, ტახტს მიაღწია და წამოიზბლართა.

ბავშვებს ლოყები გამოებუშტათ...

რისიკომ ორივე ხელი წაიშინა ლაწვებზე...

ამბაკომ ხვრინვა ამოუშვა.

..იმ სოფელ-ყურეში მესაფლავეობა საძრახი ხელობა იყო.

სასაფლაოსა და საფლავს, მათი მომავალი სამუდამო ბინადარნი, ძრწოლით უყურებდნენ და სამარის გათხრა, რატომღაც, სათაკილო საქმედ მიაჩნდათ.

მიცვალებული მიწამოუყრელი, რაც მართალია, მართალია, არ რჩებოდა, მაგრამ მესაფლავის გამონახვა, მიუხედავად იმისა, რომ პირის პატივი და ფულადი საზღაური დიახაც კარგი იყო, სოფლისათვის ერთ-ერთ თავსატეხ საქმედ ითვლებოდა.

ადრე ამბაკოს ბევრი უტრიალეს, სიტყვა გადაუკრეს, — ჯანიც მოგხდევს და გაჭირვებაც მოგდევს, ხანდახან სამარხი გათხარე და ხელს წამოგიკრავსო... თავი მოიკლა, გამოტეხილად

უარზე დადგა.. ახლა კი, როცა სარჩო-საბადებელი ხელერთიანად წაილეკა, ხოლო ახალი მოსავლის მოწევამდე ბარე ცხრა პარასკევი ჩამოივლიდა, სხვა გამოსავალი ვერ ნახა და გუნებაში საფლავის გაჭრა გადაწყვიტა.

გუნებაში გადაწყვიტა და ცოლ-შვილს ხმამაღლა ამცნო.

და სამარე გათხარა...

ცალკე დრომ აჯაჯგურა, ცალკე წადილმა აწრთო და გაიწაფა და გაიწვრთნა.

იმ წელიწადს სულთამხუთავმა მიქელ გაბრიელოვიჩმა (როგორც ნაჯარისკაცალი ამბაკო იტყოდა ხოლმე) თავი გამოიდო, ცელი მარჯვედ მოიქნია და მესაფლავეს თავსაყრელი საქმე გაუჩინა.

თავსაყრელი საქმე გაუჩნდა და ამბაკოც საფლავს თხრიდა, ჭრიდა, სასახლეს დგამდა, მიწას აყრიდა, კოკოლს უყენებდა, ტკეპნიდა.

სამუშაოს არ ეპუებოდა და მალიმალ ოფლის წმენდისაგან სახელო გაცრეცილი ჰქონდა, შუბლი — აცრეცილი.

გათხრას მორჩებოდა, წერაქვსა და ბარს ამოისვრიდა, საფეხურებს ამოუყვებოდა, მუხლისთავებს დაიფერთხავდა, ერთი ბუნა, ოფლის შესაშრობლად, გაიარ-გამოიარდა, შემდეგ, სანამ ცხედარს მოასვენებდნენ, საფლავიდან ამოყრილ ბელტებს, აქაოდა, უკან ჩაყრისას კუბოს რახარუხი არ აუყენოს და მიცვალებული არ შეაღონოსო, მიადგებოდა და დააფხვიერებდა.

მერე, როცა სასახლეს ჩაუშვებდა სამარეში, თავქუდმოხდილი ხელს დაიწყრწყავდა და ჩვენს მადლიან, საფიცარ მიწას აყრიდა ღირსსა და უღირსს, ბრუნდსა და მართალს, წალმართსა და უკულმართსა..

ნაწილ დამტირებლებს სასაფლაოდან მგლოვიარე ოჯახში მიაბრუნებდნენ და, აბა, ამბაკოს შინ ვინღა გაუშვებდა.

ნაქელეხარი მესაფლავე მაღალ ვახშმობაზე შინ მიაღწევდა და ენის ბორძიკით, აცრემლებული თვალებითა და ჩარბების კვნეტით რისიკოს იმ დღით ჩავლილ ამბავს უყვებოდა.

გადაშუალამებულს წელს წამოსწევდა, თვალებს ამოიმშრალებდა, ამა სოფლის ამაოებაზე ხელს ჩაიქნევდა, საწოლზე მოეშვებოდა და ძილად მიიქცეოდა.

დილაადრიან დედაკაცი წამოადგებოდა, თავს თავსაფრით წაიკრავდა და ამბავს გააბამდა: უფროს ბალანას, მიშაიას, რა ბიჭი დადგა, დედამისი ენაცვალოს, ფოსტლები შემოეფლითა და თითები გადმოყრილი აქვს, გივიას შარვალი დაეხა და, მოუკვდეს დედა, სასირცხო ვერ დაუმალავს, თინაიას, დედამისი შემოევლოს, კაბაკუბა სულ შემოეკონკა და შემოეძონო, ხოლო მარჩენალ ძროხას არც ჩალა აქვს, არც თივა, არც მუხუდო და ტუ ერთი მუჭისხელა გაუხდაო.

— კაი, კაი, ვიხაშველებ რამეს, რამეს ვიხაშველებ... — პირდებოდა ამბაკო, იარაღს ამოიღლიავებდა და წამის უმალ ჭიშკრის იქით მოექცეოდა.

ჭიშკრის იქით მოექცეოდა, და აჩქარებული, ადლიანი ნაბიჯით სამაროვნის გზას დაუყვებოდა.

ამბაკო დღე და ღამეს ასწორებდა, — ხან ჰენჰყობიან ორმოს თხრიდა და ხან ყანასა და ვენახში იხუხებოდა მზეზე, მაგრამ ოჯახის მოთხოვნილებას პირს ვერა და ვერ უმუწავდა... მართალია, როცა სასაფლაოზე მუშაობდა, სასმელ-საჭმელი თავსაყრელად ჰქონდა, — აკი ღიპი დააჯდა და ხორცშიც ჩაჯდა! — მაგრამ, აბა, მუცლით მოტანილი — მგლები ხომ არ იყვნენ, შე კაცო! — ცოლ-შვილს რას წაადგებოდა... ხოლო ფულად გასამრჯელოს, აქაოდა, სიტყვაუთქმელი, დაუმადლებელი ღვთისნიერი კაციაო, სულ უცოტავებდნენ და სულ უცოტავებდნენ...

ოჯახის უძირო მოთხოვნილებას ხახას ვერ უმუწავდნენ და რისიკო, დროიდან დროზე, ფულის სასესხებლად მეზობლებში ჩამოივლიდა.

— შენი ჭირიმე, ხელი მომინაცვლე, საბაზრო ფული მასესხე, ამ კვირაში საცხა, ვინცხას, რაცხა რავა არ მოუკვდება, ამბაკო სამარეს გაუთხრის, ბუჩუყს ხელს შევავლებთ და ვალს პირიანად გაგისტუმრებთო...

დრო რომ გამოხდა რისიკოს ამ უბრალო ნათქვამს, — ვინცხა მოკვდება, ჩემი კაცი სამარეს გაუთხრის და ვალს გაგისტუმრებთო, აქა-იქა ენატანია და ენაჭარტალა ხალხმა კუდი გამოაბა, რწყილიდან სპილო შექმნა: ამბაკომ მოკვდავთა ნუსხა შეადგინა და საფლავის გაჭრის ფულს წინდაწინ ითხოვსო...

ამბაკომ ამას ყური მოჰკრა, ერთი ამბავი დაათია, მოიშხამა, მოქურუხდა, ეს რა ამოსვლია პირიდან იმ ჩემი ცოდვით სავსე რისიკოს, რავა ლაფში ამოუსვრია ჩემი კაცობა, აწი სად გამოვყო თავი, სირცხვილი როგორ ჩამოვირეცხოო... იარაღი — ბარი, თოხი, წერაქვი, — ხელუკულმა მოიქნია და სოფელკუთხეს გამოუცხადა: დღეის ამას იქით, გამოტეხილად გეუბნებით, ჩემი იმედით სიკვდილი არავინ მოიგუნებოს, ადამის ტომისათვის საფლავის გამჭრელი არა ვარო...

თქვა და ქნა.

შინ დაჯდა.

ფეხი მოირთხა, ხელები გულზე დაიკრიფა, პირში წყალი დაიგუბა... და იყო ოხვრა... და იყო ვაება... და იყო ვალალი... ცოლი თვალს ვერ უსწორებდა, ბასასხარები შორიშორს უვლიდნენ.

...იმ საღამოს ამბაკოსა და რისიკოს კარაბანს მათი შვილების ნათლია და ნათლიჯალაბი, ღუთილსინდისიერი, ქველი მეღვინე კიმოთე ბზიკიძე და მისი კდემით სავსე, თავნიერი მეუღლე იუსტინე მოადგნენ.

ხელები საჩუქრებითა და ძღვენით ჰქონდა დაკაპანებული.

ფრთაშესხმული ბავშვები მიაფრინდნენ, — ზოგმა რა ჩამოართვა და ზოგმა რა.

რისიკომ თავხაფარი გაისწორა, შუაცეცხლთან აკუზულ კატას დაუცაცხანა, კაბის კალთები ჩაიფერთხა და მოწიწებული ხალმით შეხვდა სანატრელ სტუმრებს.

ამბაკო აწრიალდა, წამოდგა, ირგვლივ მიმოიხედა, გასარიდებელი ადგილი ვერსად მიიკვლია და ისევ სტუმრებს მიეგება.

ერთიმეორე მოიკითხეს.

ქალებმა მოიბოდიშეს, სამზადში შევიდნენ და საქალო საქნარს დაეშურნენ.

კაცებმა აქეთურ-იქითური გაიკითხეს.

გარდასული დრო გაიხსენეს.

ლაპარაკით გული რომ შეიჯერეს, კიმოთემ, მუდამ ღიმილმომარჯვებულმა, თაფლიკაცმა სიტყვას მოაყოლა: არგვეთიდან ჩემმა ძველმა მეგობარმა უშანგი ჭურაძემ შტოფით ღვინო მაახლა, ასე და ასე, ერთი ორასი ფუთი ეს ციცქა მიდგას ჭურში, ქვევრაში და ქოცოში, დააჭაშნიკე, ძმაო და, თუ ხელს მოგცემს, წაიღე და ხეირი ნახეო. ჰოდა, ჩემო ამბაკო, ის შტოფი აგერ წამოვიძღვანიე, შენზე უკეთეს გამპირებელს ვისღა ვნახავ, დავჯდეთ, გემოკბილი გავუსინჯოთ და თუ ქე ვარგა, ჩალვადრებსა და მებარგულებს ვაფრენთ.

დაყმედილი ამბაკო გაბუსუნებული იჯდა, თვალები დაეხარა და თავს ხან აკანტურებდა და ხან გარდიგარდმო აქნევდა.

ამასობაში ქალები შემოხმიანდნენ, ტაბლა შემოიტანეს და სუფრა გაშალეს.

ტაბლას ნათლულები, ნათლია, ნათლიჯალაბი, ნათლიმამა და ნათლიდედა შემოუსხდნენ.

მამაკაცები წვრილი ჰიქებით შეუყვნენ.

ღვინო უზადო გამოდგა, მასპინძელსაც კრიჰა გაუხსნა და გულმხურვალედ ადღეგრძელეს უშანგი ჭურაძე, მისი მარჯვენა, მისი ვენახი, მისი ოჯახი და მისი ჭურ-მარანი...

კარგად რომ გადაჰკრეს და შეაყოლეს, ნათლიამ ნათლიმამას სიტყვა სამიკიტნოზე გადაუკრა: ახეთი გამრჯე, მარიფათიანი კაცი ხარ, სახლში უსაქმოდ რა გაჩერებს, ცოტა ფულს მე გასესხებ, ცოტას სხვაგან იშოვი, ხელი გამოიღე, დატრიალდი, ხონქალაქში სამიკიტნო გახსენი და წელს წამოიწევო...

ამბაკო აცქმუტდა, თვალები აუჟუჟუნდა, ულვაშები აიპრიხა, ცოლს ალმაცერად გადახედა.

რისიკოს თვალებზე თბილი ცრემლი მოადგა.

რისიკოს თვალებზე თბილი ცრემლი მოადგა და ამდენ ხანს უმძრახი ცოლ-ქმარი ისე ჩუმჩუმელა ბჭობდა, ისე აზრიან-საზრიანად სჯიდა და ისე მძიმე-მძიმედ წონიდა გადასადგმელ ნაბიჯს, რომ, კაცი იფიქრებდა მათ შორის არასდროს არარა კატას არ გაურბენიაო...

ხანი რომ გამოხდა და სუფრიდან წამოიშალნენ, შეღვინიანებულმა ამბაკომ ჯერ ნათლიჯალაბს დაუკოცნა ხელები, მერე ნათლიას, რისიკოხა და ღლიღვებს რიგრიგობით ტუჩებში ჩაეკრა.

იმ დღიდან შეუჩნდა ამბაკოს ეშმაკი და აღარ მოასვენა: თავი სამიკიტნომ გამოუჭედა, თვალებზე სამიკიტნო ლიბრად გადაეკრა, სამიკიტნომ ფეხებში პალავანდი გაუყარა...

იმ დღიდან ხონქალაქისკენ გაუტია გულმა...

რიხიკო ხომ დაიყოლია და დაიყოლია, ახლა თავის უფროსი ძმა, ლასია, აიბანია: შენ მზარეულად დადექი, მე დახლში დავტრიალდები, ფულს ფულს მოვაგებინებთ, ხეირს ვნახავთ და შავი დედალივით გავკეთდებითო...

— კი, დასტურ, შავი დედალივით გავკეთდებით, — ხანგრძლივი ბოლთას ცემითა და თითის წვერის წუწნის შემდეგ კვერი დაუკრა ლასიამ.

პირ-ხელი დაიბანეს, თმა-წვერი გაიპარსეს, ტან-ფეხი გაისუფთავეს, ჩამოხესხებული ფული ჯიბეში ჩაიდეს, შექუჩებული სურსათ-სანოვაგე და ჯამ-ჭურჭელი მაგიდაზე დაალაგეს, თავადაც დალაგდნენ, წაღმა შეტრიალდნენ და პირი ხონქალაქისაკენ იბრუნეს.

მარჯვე, მოხერხებული, გზების თავშესაყარი ადგილი აირჩიეს, დუქანი დაიქირავეს და სამიკიტნო დაარქვეს.

ძმებმა ეზო-გარემოში მიიხედ-მოიხედეს, სად საწყობი აიგულეს, სად შეშის ხორის ადგილი, სად საქათმე, სად საყოლის სადგომი, სად ჩეჩმის ჩასადგმელი კუთხე.

სამიკიტნოს მომიჯნე მეზობელი, ერთი ვინმე უარარაო, უაღრესად შეჭირვებული, ჩიჩია დედაკაცი ძმებს მოადგა, ბოდიშები აახლა, ეაჯა და ელიჯინა: ჩეჩმა აგერ ა, ჩემს ღობეში ჩადგით, ზურგი ჩემკენ მოუქციეთ და ორივე მხარე ხეირს ვნახავთო, — თქვენ ამ ერთ დაცხინკება ადგილზე ეზო რომ გიქვიათ, ხალვათობა გექნებათ, მე კი ჩეჩმას ქართახს ამიყვულობავ, ძლინკ ნეზვს მივუშვებ შიგ, გოჭებს დავაყრევინებ და ამ ქესატობისას ხელს მოვითბობო...

მოითბეო, — უთხრა ამბაკომ და ლასიას გადახედა.

მოითბეო, — მხრები აიჩეჩა ლასიამ, ცხვირს დააცემინა და დასტური დასცა.

ღმერთმა აგაშენოთო, — ჩაიჩიფჩიფა დედაკაცმა, ტაში შემოჰკრა, ჩამოყრილი მხრები შეარხია და ხანხალით წაცუხცუხდა.

ძმებმა სამიკიტნოს კარები დაალეს და ხელმისაწვდომ, იაფფასიან კერძებსა და სასმელს ფუტკარივით დაესივნენ მუშტრები.

სამიკიტნომ ფეხი წამოიდგა... სამიკიტნომ წელი წამოხწია...

ხამიკიტნო დუღდა და თუმცა, აფხუს, არ გადმოდიოდა!..

---

**ავთანდილ გალდავაძე**

ძრწოლდე მდევართა შიშით

ლასია სამზარეულოში ფუსფუსებდა, ამბაკო დაბლში ტრიალებდა.

ლასია იღიმებოდა, ამბაკო ჭიხვინებდა...

...ამბაკოსათვის ყელის გახველება აღდგომის გათენება იყო, ლასია ნაღვინარ ჭიქასაც კი არ მიიტანდა ტუჩთან.

ეს „ყელის გახველება“ კარგს არაფერს ანათლიდა სამიკიტნოს...

სამიკიტნოს კარგს არაფერს ანათლიდა და, ლასია გუმანით გრძნობდა გულჩაწვეული, მუხთალი ბედის უამურ ქადილს....

გამოეწყობოდა ამბაკო, სარკეში ბრგე ვაჟკაცს თვალს შეავლებდა, საზრეს მოიმარჯვებდა და ნაქირავები ხარ-ურმით ახლომახლო მაზრებში ან გარე-გარე სოფლებში ღვინის, ფქვილის, საკლავისა თუ შეშის საყიდლად გამოემზადებოდა... ჭალებს ჩაეჭიდებოდა ურემზე ასასვლელად, რომ, სად იყო და სად არა, ლასია შემოჩნდებოდა და მკლავში წაავლებდა ხელს:

— ამბაკო, ა. მისხალი არ ჩაუშვა პირში, ცვარი არ ჩაიცდინო ხახაში, ხო იცი ქართველი კაცის ამბავი, დაგაძალებს, დაგახათრებს, დაგაფიცებს, აგი კერიე და ჭერი დამილოცეო, აგი ჯალაბ-ოჯახი მიდღეგრძელეო, აგი მამა-პაპის სული მიცხონეო... მარა შენ, ხო იცი, მაგრად დაუხვდი!...

— ხო, ხო, ხო, არ დავლევ, ადამიანო, არა! — სიტყვას ესროდა თავმობეზრებული ამბაკო და ხელს აუქნევდა.

— აბა, გულზე ხელი დეიდე და კეკალი გულით დეიფიცე!

— ჩემდა თავად ვფიცავარ მაღლა...

— არა, არა, ხო გეყურება, გულზე ხელი დეიდე...

ამბაკოს სახე დაელრიჯებოდა, საზრეს იღლიაში ამოიჩრიდა, ხელს გულზე მიიბჯენდა და იტყოდა:

— ჩემდა თავად ვფიცავარ მაღლა ღმერთსა და მარიამ ღვთიშობელს, დაბლა დედ-მამის საფლავს. ცოლ-შვილს, დან-ძმანს...

— კაი, აპა, კაი, ქრისტიანი კაცი ამდენ ფიცს რავა გადახვალ, წალმა გარებინოს ღმერთმა! — დალოცავდა ლასია ძმას, ხელებზე დაინერწყვებდა და სამიკიტნოში შევიდოდა.

გაემგზავრებოდა ამბაკო, გადაგორდებოდა დროის ბორბალი, გაივლიდა ერთი დღე — არაფერი, გაივლიდა მეორე დღე — არაფერი, გაივლიდა მესამე დღე — ლასია კარისაკენ დაიწყებდა ჭვრეტას, გაივლიდა მეოთხე დღე — თავპირს იმტვრევდა უფროსი ძმა: ნაქეიფარი იქნებოდა, ურემი გადაუბრუნდებოდა, კინჩხს მოიტეხდა, სულს გააცხებდა, დაგვლუპა, დაგვლუპაო, ჩამოდგებოდა მეხუთე დღე და ამბაკო გამოჩნდებოდა ურმის ღრჭიალითა და ხიი-ხიის ძახილით...

ფეშტემალზე ხელების ხოცვით გამოეგებებოდა ლასია, გუნებაში ღმერთს ათას მადლობას უთვლიდა ამბაკოს მშვიდობით დაბრუნებისათვის და თავნება და თავქეიფა ძმისათვის ჩაყვედრების დასაყრელად დოინჯს მოიყრიდა...

ამბაკო ლასიას სახეს არიდებდა, [illegible] ანდა გვერდულად უდგებოდა და ნაწყვეტ-ნაწყვეტ პასუხობდა.

ერთი ჭირი სჭირდა ამბაკოს, — აბა, უერთჭიროდ, თუ მეტით არა, ვინ დადის ამ ქვეყანაზე, — ღვინოს რომ მიეძალებოდა, ცხვირი დაუბუკდებოდა, დაეჯირჯვლებოდა, დაუფიუვნდებოდა და პირსახეზე, ბარე სამი-ოთხი დღე. წითელი ბოლოკივით დააჯდებოდა...

ლასია ირგვლივ უტრიალებდა, უჭვრეტდა და ცხვირის დამზერას ლამობდა.

ბოლოს და ბოლოს მობეზრდებოდა ამბაკოს ამდენი წალმა-უკუღმა ბრუნება და პირისპირ დაუდგებოდა დაყმედილ დამხვდურს:

— ა ჩემი ცხვირი, დეინახე, მორჩი და მოისვენე!

— თფუი, შეგარცხვინოს გამჩენმა, რა საჯაყი, რა სინგურივით წითელი ნიძგვი დაგჯდომია... ჩახეთქე, ჩაიხრჩვი, ჩამუდრეგდი, ხო? გატეხე ხო ფიცი, ხელი ეილე ხო მაღლა მამაუფალსა და მარიამ ღვთისმშობელზე, დაბლა დედ-მამის საფლავზე, ცოლ-შვილზე, დან-ძმანზე... — მიახლიდა გულშემოყრილი ლასია.

— კაი ახლა, თუ ღმერთი გწამს, ნუ გადამაყოლე, მეორეჯერ არ დავლევ, შე კაცო, და გავქვითავ! — წრფელად უპასუხებდა გატანჯული ძმის ცქერით უზომოდ შელონებული, თავის თავზე გაბრაზებული ამბაკო.

— კაი ბატონო, გასათოფი კი ხარ, მარა, კაი ბატონო, მაგიც ვნახოთ, აღდგომა და ხვალეო მაგიც ვნახოთ... — ჩაილაპარაკებდა მომბალი დამხვდური და დოინჯს მოიშლიდა.

ეს ამბავი ასე მშვიდობიანად რომ ჩატარდებოდა, ახლა ნაბახუსევი, მოტეხილი, მოთენთილი ამბაკო თავად გამოიდებდა თავს, დახლისკენ გასწევდა, უჯრას გამოაღებდა, ნავაჭრს დახედავდა და გაოცებული გამოცრიდა:

— რა ვირის ნალები გიყრია ამ ყუთში, არავის არაფერი უჭამია?

...ამბაკომ აჩაბაჩა წაკითხვაღა იცოდა, ლასია მთლად უკითხი გახლდათ, — წიგნის ინჩიბინჩი არ გაეგებოდა... მიკიტანი, მიზეზით თუ უმიზეზოდ, ხშირად არ იდგა დახლში, სამიკიტნო კი, რახან იგი სამიკიტნო იყო, უმისოდ აბა როგორ იქნებოდა?!

— გამარჯობა, ლასია! — შემოვიდოდნენ ეშტრები დუქანში.

— კაი გაგიმარჯოთ! — შეეგებებოდა ლასია.

— ხომ ხარ კარგად! — ზრდილობას მოიხმარდნენ დაქიმითებულები.

— ნამეტნავად, თქვენი კარგად ყოფნით, ნამეტნავად! — შეეღიმილებოდა ხელგაშლილი მასპინძელი.

— კაი დაგემართოს! — ეტყოდნენ, მაგიდას

მიუსხდებოდნენ, ბლომად დაუკვეთავდნენ, მუცელს გადმოიბრუნებდნენ და ქუდს შეიბრუნებდნენ.

ვაჭრობდა ლასია ნისიად, აპურმარილებდა გამვლელ-გამომვლელს, მეორე დღეს კი ნახევარი მოვალეები არ ახსოვდა, — არც გვარი იცოდა მათი და არც სახელი.

ხოლო ნისია რომ სხვისი იყო, ეს მითაყამიდან ითვლებოდა ჭეშმარიტებად, — აბა, ამ ქვეყანაზე შეჭმული და შესმული რომელ ერთს გახსენებია?!

ძმებმა თავი იტეხეს, იფიქრეს, იმსჯელეს და ასეთ გზას დაადგნენ: ლასია ქალაქდსა და ფანქარს მიაწვდიდა მუშტარს, მიუბოდიშებდა და დავმდაბლად სთხოვდა თავად ჩაეწერა თავის გვარ-სახელი, მირთმეული სასმელ-საჭმლის ნუსხა და ნახარჯის ჯამი.

— ნისიად ვივაჭრე! — თავს იმართლებდა ამრეზილი ლასია, გულის ჯიბეს გახსნიდა და ქაღალდის დაჭმუჭნილ ფარატინებს ამოყრიდა.

ამბაკო ამ ნაფლეთებს აქეთ გახედავდა, იქით გალანდავდა და ახო-ახო ამოიკითხავდა: „ვჭამეთ, ვსვით და, რაც შეგვეძლო, პატივი გეცით". „თუ მოგეცით, მოგეცით თვარა..." „საჭმელი ცოტა დაჩმახებული კი იყო, მარა მაინც შეგინდოთ უფალმა..."

— გვიჭამია სირცხვილი და ესაა, — იქედნურად იტყოდა ამბაკო და სიფათი მოელრიცებოდა.

— რავა, ღმერთო კი მომკალი, დაგვიწუნეს საჭმელი თუ? — ყურის ნიჟარა გაუდიდდებოდა მზარეულს.

— ვაი ჩვენს პატრონს, საჭმელიც დაგვიწუნეს, კაცობაც შეგვიგინეს და თავნზედაც ზვიშტი გვიჩვენეს, — არც ერთს შენს ნაფლეთ ქაღალდს მენისიეს გვარი და სახელი არ აჯღაბნია... ვინ მუდრეგები იყვნენ? რა რჯულის ხალხი იყო? სადაურები იყვნენ? — ამჯერად ამბაკო დაუწყებდა ჯუჯღურს სახლიკაცს.

— იმე, ვინ იყვნენ და ქართველები იყვენ, რა რჯულის ხალხი იყო და ქრისტიანები იყვენ, სათათრეთიდან გადმოცვენილები ხო არ იქვნებოდნენ? საჭმელს ჩვენებურად ჭამდენ, სასმელს ჩვენებურად სვამდენ, ჩვენი ენით ამბობდნენ სადღეგრძელოებს... მომშეულები იყვნენ დავაპურე, სული ჩავუბრუნე, მათი მადლი მოვიკიდე... სადაურები იყვნენ და აქაურები იყვნენ, კაცი კაცს ჰგავს, ქალი ქალს ჰგავს, ადამიანი ადამიანს ჰგავს, ყველა ადამიანი ერთი მახალიდან, აყალო მიწიდანაა მოზელილი.

— კი, კი, მამა გიცხონდება, შენ რო სახლ'ში პოლი გიგია, სწორედ იმ აყალო მიწიდანაა...

— გაჩუმდი, გაჩუმდი, პირი ნუ დაალე. ნუ ცოდავ ათორმეტი ხახარების წინაშე, თავი თუ არ გენანება, ცოლ-შვილი მაინც შეიბრალე...

და ახლა ამბაკო აპატიებდა ლასიას...

გამყოლი ვული მოდგმით არ ჰქონიათ...

10

ლასია ზაქარია ცქაფარას, შრომა-გარჯით-იერ-ხიბლითა და სიტყვა-პასუხით განთქმული გლეხის პირველი შვილი, პირმშო იყო, ამბაკო კი სულ ბოლოს შობილი, მისი მრწემი ძმა.

ზაქარიას ძველები და ძველთაძველებიც მიწის მუშები იყვნენ, მიწაზე იდგნენ, მიწას ეჭიდებოდნენ, მიწით სულდგმულობდნენ და, ავად თუ კარგად, მიწა იყო მათი დამპურებელი, მიწა იყო მათი ჩამმოსავი და მიწა იყო მათი დამხურავი...

უმიწოდ, მიწის გარეშე თუ იცხოვრებოდა ამ ქვეყანაზე, წარმოდგენითაც ვერ წარმოედგინათ...

ზაქარიასა და მის მეუღლეს, დესპინეს, ორივე შტოდან ექვსი-შვიდი შვილიანობა მოსდევნებიათ და ზეგარდმო ჩაგონებითა თუ მიწიერი მცდელობის წყალობით, არც თავად ამოსვრილან ლაფში — ბარე რვა ბღარი დაუჩენიათ.

როგორც ამბობენ, ცქაფარა ხანდაზმული მიიცვალა თურმე, ერთი საუკუნე რომ გაუცვეთია, მეორედანაც კაი სამ-ნახევარი ათეული წელი ჩამოუხარჯავს...

ზაქარიას უძრავ-მოძრავი ავლადიდება, გარდა ჯარგვალი სახლისა, პაწაწინა მიწა-წყლისა, გალეული მოსახნავ-მოსათესი იარაღისა და გაწყობილი ხარ-ურემისა, არა დარჩენია რა. — სპეტაკი, ალალმართალი, სინდისნამუსიანი კაცი ყოფილა და კიდევაც დაფასებია: დასაყვედრებელი და დასამუნათებელი ქონებისაგან ღმერთს დაუფარავს...

ხოლო ნაშიერთათვის დოვლათი დიდიც დიდი დაუტოვებია: სათნო გული, მწყაზარი გარეგნობა, მრთელი გონი... და მის შთამომავალთ ისღა დარჩენოდათ, ხელი გამოეღოთ, ფეხი არ ჩაეხარათ, ოფლი არ შეეშროთ და როგორც ბუნების ლაღ შვილებს სჩვევიათ, დღეის ლუკმა დღეს მოეპოვებინათ, ხვალისა — ხვალ და მერმისისა კიდევ მერმისს...

ჰოდა, ლასიას, როგორც ბედმა არგუნა და შთამომავლობით ერგო, არც ხელები დაუკრეფია, არც მუხლი ჩაუხრია, არც ოფლი შეუშვრია და მთელი მისი დღე და მოსწრება არსობის პურის პოვნაში უტარებია.

ყვავილხანობამ ჩაუარა თუ არა, ჯარში უკრეს თავი, როგორც თავად იტყოდა ხოლმე, სამი წელი ერთი ფინჩხა არ უძინია ლოგინზე — ხან მადიარებს ასროლინებდა კუდით ქვას და ხან — გერმანელებს...

ჯარში ლასიასათვის წმინდა გიორგის სამი ჯვარი არ უბოძებიათ, არც ორთავარწივიანი ასიგნაციებით ამოუტენიათ ჯიბე-უბე, სამაგიეროდ სამი თითი წააწყვეტეს, სამხრეები ჩამოხსნეს, თავი მდაბლად დაუკრეს... და თავ-

მდაბალი კაცი ამაზედაც მაღალ მადლობას ხწირავდა წმინდა ხამებას.

ლასია ბავშვობიდანვე მორიდალი, მორცხვი მოშიში კაცი გახლდათ, ხოლო ომიდან შვიდთითიანი დაბრუნდა თუ არა, ეს ზნე უფრორემოეკიდა და დაცოლშვილების ზარმა რომ შემოჰკრა ქალების დიდი ჰვრეტა-ცქერა და ამორჩევა-არჩევა არ დაუწყია, — რახაც ბედი მარგუნებს, ყაბულსა ვართ. ეს ამბავი დაქნოხეს ენაჯბიანმა შუამავლებმა, რომლებსაც როგორც წესი, ყურზე არ ხძინავთ, შავი ძაძაკაბის ჯიბიდან ოთხად გაკეცილი ნუსხა ამოიღეს, დატრიალდნენ და ვიღაც-ვიღაცეების გასაღება განიზრახეს.

მაჭანკლები დატრიალდნენ და ლასიას ერთი ნახარჯი, ნაქმარევი, პირველჭვარგატეხილი, გამწრიტული ქალი შეაძლიეს.

ლასია შეიშმუშნა, ტუჩკილოებზე ჩამოყრილი ულვაშები შეისწორა და ამბაკოსაკენ გააპარა მზერა.

— რა თავში ვიხლი თქვენს ნახარჯ დედაკაცს, ლასიას უბიწო, თავის ჰკუაზე გასახედნი ქალი უნდა! — შეუბღვირა ამბაკომ შუამავალს, ლასიას გადახედა, ცერაშვერილი ხელი მხარუკან მოიქნია, შეტრიალდა, წავიდა და უფროსი ძმაც წაიყოლა.

მერე ის იყო მეზობელსოფლელი, კუხელი, ქვარაჰინა იულია კაკაბეიხე დაებედა და ნავსიც გატყდა.

ნავსი გატყდა და წვრილფეხობაც დაესია.

და საზრუნავმოჭარბებულ ლასიას, ისედაც პირმოკუმულ კაცს, ძვირად ნახავდით გაღიმებულსა და გაცინებულს.

ვისაც იმერელი ხელმოკლე გლეხკაცის ყოფა-ცხოვრება მოეხსენება, არ გაუკვირდება თუ ვიტყვი, რომ ლასიას ოჯახი უმეტესწილად ცარიელ ლობიოზე გადადიოდა და ბედის მორჩილი, ღმერთს ქუდს უხდიდა, — მუცელს ყუათი არ აკლდა და ბასასხები მაძღრისად ჰყავდა.

მაგრამ ასე არ ფიქრობდნენ ბავშვები, რომლებსაც ტუჩ-ნიკაპი, ცხვირის წვერი, სახელოები და ჯიბის პირები სულ ლობიოთი ჰქონდათ მოსვრილ-მოთხვრილი...

ლობიო ყელში ამოსდიოდათ: საუზმე იყო და ლობიო იყო, სადილი იყო და ლობიო იყო, ვახშამი იყო და ლობიო იყო...

მარხვა იდგა, ხსნილი თუ ბედნიერი დღე ხულ ლობიოს სუნი ტრიალებდა მათ ეზო-კარში და პირსახეზედაც ლობიოს ფერი გადაჰკვროდათ.

ერთხელ ძმებმა თავი შეიყარეს და თათბირი ჰყვეს.

— შევიდეთ უკანა ეზოში და ავჭრათ ლობიე! — წინადადება შემოიტანა ბიძინამ.

— რას ამბობ, ლობიე ძაღლია, მოჭრილი ამოიყრის, სჯობია ძირიანად ამოვთხაროთ, — შეედავა აჩიკო.

შეხანდნენ.

შეკამათდნენ.

შეთანხმდნენ.

ხელები დაიკაპიწეს და ღვართ სიცხეში ლობიოს შეუტიეს.

ფენა-ფენა ლაგდებოდა ფრთართულფოთლებიანი, მეტრიან ფესვებზე კოჟრებდაყრილი, ორი-სამი დღის ყვავილებითა და ხმელი, ბაზე და ჰყინტი პარკებით დაკაპაწებული ლობიო.

მზეგადახრილზე, სანამ დედ-მამა ყანიდან დაბრუნდებოდა, მათ არემარეზე ერთი ძირი ლობიო წამლადაც არ ჰაჰანებდა.

საღამოს, ბინდბუნდში, დედამ ბოსტანს რომ მოჰკრა თვალი, ვაიმეო, წამოიძახა, ჩაიმუხლისთავა, ტუჩებზე ხელი აიფარა და ქმარს ირიბად გადახედა.

ლასიამ მიიხედ-მოიხედა, ბუოლას მისწვდა და ტოტი ჩამოგლიჯა.

ბავშვებმა ფეხები გაიკაფეს და მოცოცხეს.

...ვახშამზე ბიძინა და აჩიკო დასთან ერთად, გასუსული ისხდნენ სუფრასთან და ლობიოიან თეფშს ფსკერს ულოკავდნენ.

დედა თავსაფრის ყურით ცრემლს იხოცავდა და აზრებს აწყობდა: ხვალ კი კიტაიე ყვინჩილას დაკლავს, ბლომა წვენს დაუყენებს და შვილებს აღდგომას გაუთენებს... პეტეტინა მამალს მრავალ სულზე გაანაწილებს, თავად თავსა და კანჰებს გადაიღებს და ხან გაწიწკნის და ხან გალოღნის.

— დია, დია, შენ რატომ არ გიყვარს ბარკალი, თეძო, ფეხი, ფენთხი, ფრთა, მკერდი, ფილტვი, კურტუმი, კისერი, ან კუჰი? — შეეკითხება ჩვეულებისამებრ, პირგამოტენილი ერთი ან მეორე.

— არა, დია, არა, არ ვიცი, რატომ, მარა, თავიდან არ შემიყვარდა, აგი თავი და კანჰი ყველაფერს მირჩევნია, — უპასუხებს ნაწყვეტ-ნაწყვეტად.

ფიქრი და დარდი ლასიასაც არ ასვენებდა: იჯდა სუსტი, გაძვალტყავებული მამა, — ღმერთო, შეგცოდე და, რამე რომ მოსვლოდა, კაჰკაჰიც კი ვერარა ჩიჩქს ვერ გამორჩებოდა — ბაბაიებს სიყვარულით შესცქეროდა და თავს იმტვრევდა: ვისგან ესესხა საგაისოდ ათი-თორმეტი ბათმანი ლობიო...

გაგრძელება იქნება

მზია ჭიკლაური

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

სევდამ წაშალა ჩემი გაპარული ბავშვობის ნაფეხურები,
და ცხელი ცრემლები, გზა რომ ვერ იპოვეს, დაგუბდნენ,
ფიქრმა გამოწმინდა წლებით დამტვერილი ლაბირინთები,
თვალებზე ხელი გადაუსვა ლურჯ მოგონებებს,
გზა გაუნათა გატეხილი სარკის ნატეხით,
რომელშიც ჩანდა ცივზე ცივი მზე,
შემდეგ მკლავები შემომხვია ისე ღონივრად,
შეცბუნებულმა მოვისინჯე ორთავე მხარი,
ბავშვობა წამით დამიბრუნეს მოგონებებმა,
და მხოლოდ წამით ვიყავი ბავშვი...
მხოლოდ ის ლურჯი, აცა-ბაცა ნაფეხურები,
ვერ დავინახე მე, იმ ერთ წამში,
ვერ გავიღიმე თეთრი ღიმილით,
ისე სასტიკად წაეშალა სევდას ყოველი.

●

თეთრი ხელისგული გამომიშალა
თვალცრემლიანმა გვირილამ და
მიმარჩიელეო, მთხოვა.

●

გავქრები უმალ, როგორც გაქრა ჩემამდე ბევრი,
ჩემი სიკვდილით შენ თუ რამე შეგემატება...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქეთევან ჯავახიშვილი

# მიხეილ ჯავახიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა

ახალგაზრდა ოდნავ ნიჭიერიც რომ ყოფილიყო, მამა არასდროს ხელს არ ჰკრავდა, იმედს არ დაუკარგავდა, დინჯად ეტყოდა ხოლმე: „ბევრი იშრომე, მუყაითად იმუშავე, რომ მომავალში რამე გამოგივიდეს. შენგან კი, იმედი მაქვს, მწერალი გამოვა". საუბარში ხშირად იტყოდა ხოლმე: „ახალგაზრდობა ბევრს უნდა მუშაობდეს და დაკვირვებას იმარაგებდეს. მომავალში გამოადგება". ახალგაზრდების წარმატება ისე ახარებდა, თითქოს ეს მისი პირადი ამბავი, მისი წარმატება ყოფილიყოს.

გიორგი ლეონიძემ ვანო ურჯუმელაშვილთან საუბარში მოიგონა: „ერთხელ მიხეილ ჯავახიშვილი შემიხირდა, თუ გინდა დაგენაძლევები, გიორგი ლეონიძის ლექსები მე უფრო მეტი ვიცი ზეპირად, ვიდრე შენო. დანაძლევება ვერ გავბედე, ვაითუ, მაჯობოს და სირცხვილი ვჭამო-მეთქი. აი ასეთი იყო მიხეილი. არც ერთ ლექსს, არც ერთ მოთხრობას წაუკითხავს არ ტოვებდა".

მამა დიდ დროს უთმობდა ახალგაზრდა, დამწყებ მწერლების ნაწარმოებების გაცნობას, მათთან მუშაობას. ჩვენთან ბევრი ახალგაზრდა დადიოდა. მამა თავს მოვალედ თვლიდა, ყურადღება მიექცია, ეხელმძღვანელა, სწორი გეზი მიეცა მათთვის. მის საწერ მაგიდაზე მრავლად ეწყო ლექსები და მოთხრობები, რომელთაც, მოიცლიდა თუ არა, ჩაუჯდებოდა და გულდასმით ათვალიერებდა. რამდენჯერ უთქვამს სიამოვნების გრძნობით, რომ ესა თუ ის ახალგაზრდა მომავალში გვასახელებს, გაგვახარებს. მოდის ნიჭიერი ახალგაზრდობა, რომლებმაც უნდა შეგვცვალონო.

მაგრამ ქებასაც ზომიერად ეტყოდა, რომ ზედმეტი ქებით არ გაეფუჭებინა საქმე, ახალგაზრდა ავტორი არ გათამამებულიყო, მუშაობა არ შეენელებინა.

მამასთან მოდიოდნენ ახალგაზრდები, რომლებიც პირველად ცდიდნენ თავიანთ ძალ-ღონეს და პირველივე ნაწარმოები, დიდი მორიდებითა და მოკრძალებით მის სამსჯავროზე გამოჰქონდათ. რამდენს უწინასწარმეტყველა მწერლობა და ნათელი მომავალი, რამდენი გაამხნევა და დააიმედა. რამდენს, მწერლობისკენ გზა დაულოცა. ერთ-ერთი მათგანი იყო ჩვენი შესანიშნავი მწერალი, ჩვენგან ნაადრევად წასული გიორგი შატბერაშვილი.

აი როგორ იგონებს იგი ამ ამბავს: „მაშინ თხუთმეტი წლისა ვიყავი. შინ და სკოლაში უკვე „ცნობილი პოეტის" სახელი მქონდა... პირველმა ადვილმა წარმატებამ გამაბედვინა ჩემი „პოეტური შემოქმედების" ერთ რვეულში თავმოყრა. საკმაოდ მოზრდილი რვეული მალე ჩემი ნათლიის — ცნობილი გენერლის გიორგი მაზნიაშვილის ხელში მოხვდა... მე ამ ქვეყნისა ბევრი არაფერი გამეგებოდა. ვერც იმას წარმოვიდგენ-

---

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ცისკარი", № 7.

დი, თუ ჩემი უმწიფარი ლექსების პირველი მხაჯული ეს მრავალომგადახდილი გენერალი კი არა, ქართული პროზის ერთი გამოჩენილი გენერალი იქნებოდა... რამდენიმე დღის შემდეგ გენერალმა დამიბარა. ალფრთოვანებული დამხვდა, იმდენად გახარებული, რომ გადამეხვია და შუბლზე მაკოცა. უნებურად ხელი დავავლე ჩემს რვეულს და კარისკენ გავიხედე.

— მოიცა, — ღიმილით შემაჩერა გენერალმა. — ლექსები დამიტოვე... მე ამ საქმის სპეციალისტი არ ვარ, ამიტომ საჭიროა ვინმე მწერალს წავაკითხოთ, ჩაფიქრდა, მერე მკითხა:

— კვაჭი კვაჭანტირაძე წაგიკითხავს? ჯაყო წაგიკითხავს?

გამელიმა, მივხვდი, თავი დავუქნიე.

— ჰოდა, ამ რომანების დამწერი ჩემი მეგობარია. მოდი, იმას წავაკითხოთ. თუ მიშას მოეწონა, საქმე გათავებულია, წიგნს დაგიბეჭდავენ!

რამდენიმე დღის შემდეგ ჩემი რვეულის თავფურცელზე კოხტად გამოყვანილი ასოების გვერდით შავი ფანქრით, გაკრული ხელით ნაწერი გაჩნდა. წარწერა მხოლოდ თავფურცელზე კი არა, თითქმის ყველა ლექსის ბოლოში იყო გაკეთებული. ახლა, როცა ამ მოგონებას ვწერ, თვალწინ მიდგება თვალით უნახავი, მაგრამ ადვილად წარმოსადგენი ერთი საღამო ათას ცხრაას ოცდახუთი წლისა.

...გენერალმა ვერის ხიდზე გადმოიარა, აღმართს აუყვა. აი იგი ძველ ცირკს გამოსცდა, ქუჩა გადაჭრა... იქვე, ვერის დაღმართზე, მაღალი სახლის მესამე სართულზე ცხოვრობს მწერალი. საღამოს 7-8 საათია. მიხეილი სამუშაო მაგიდას უზის და ფანქრებს წვერს უთლის. მოჰუტული, ჰკვიანი თვალებით საფიქრალს ულომის, საწერად ემზადება.

ისმის ზარის ხმა და პატარა ქეთინოს ძახილი. მიხეილი ჯიბის დანას მაგიდაზე დებს. შუბლს შეიკრავს, აღარ იღიმება. სიტყვასთან შეურიგებელი ჭიდილისა და ფიქრის ერთი საღამო იკარგება.

ოთახში შედის დაბალი, ჯმუხი გენერალი. ღიმილით, ამაყად მიაბიჯებს მეგობრისკენ. ჯიბეში უდევს... ჩემი ლექსები.

მიხეილიც იღიმება.

— მობრძანდით, გიორგი ივანოვიჩ, მობრძანდით! დაბრძანდით, აი, აქა... აქა სჯობს, გეთაყვა!

მიხეილი იღიმება, იცინის, მასპინძლობს, მაგრამ ეს სხვა ღიმილია, წეღანდელი მარტოობის ღიმილი თვალებს უკან მიიმალა, გულში ჩაბრუნდა, ჩუმად ფათურობს სადღაც, ფიქრის ხვეულებში, თავის საოცნებოს დასტრიალებს. ამიტომაც უშტერდება თვალი. ხანდახან ავიწყდება კიდეც, რომ მის წინ სახელგანთქმული მხედარი ზის.

გენერალი ჯიბიდან ჩემს რვეულს იღებს...

ალბათ, სულ ასე არა, მაგრამ რაღაც მსგავსი იქნებოდა. ის კი ცხადია, მიხეილის ერთი საღამო, საღამოს დიდი ნაწილი მაინც შეეწირა ჩემი რვეულის კითხვას...

შემდეგ გაჩნდა წარწერები ჩემს ფურცელზე, ცალკეული შენიშვნები, წამოძახილები, ხანდახან უკმაყოფილო წამოძახილებიც: „ასე არ ვარგა“! „ეს მეტისმეტია!“ „ამას არა უშავს!“ „ან ერთს უმღერე, ან მეორეს“. ბოლოს კი დასკვნა. დასკვნა რვეულის ბოლოში კი არა, იმ თავფურცელზე, წეღან რომ ვახსენე. ჩემი სახელისა და გვარის გვერდით...

აი დასკვნაც:

„ნიჭი მოსჩანს, მაგრამ ჯერ დიდი გზა აქვს გასავლელი და მრავალი აქვს დასაძლევი. ჯერჯერობით თავი დაანებოს ლექსების წერას და ისწავლოს, იშრომოს, შეისწავლოს პოეზია და მისი კანონები. ეს ლექსები ძველი ტექნიკით არის დაწერილი. ახლა ასე აღარავინ სწერს. თუ იბეჯითა, გაიმარჯვებს, ვინ იცის, შეიძლება პროზაში უფრო იმძლავროს. გულს ნუ გაიტეხს: ჯერ შრომა, შრომა და ისევ შრომა. მ. ჯ. 1925 წ.“

მამამ წინასწარმეტყველურად განსჭვრიტა გიორგი შატბერაშვილის, როგორც მომავალი პროზაიკოსის ნიჭი და ამ მიმართულებით გზა დაულოცა. თავის მოგონებას გიორგი ასე ამთავრებს: „ძველი ლექსები დავხიე, წერას ვუკელი და კითხვას შევუდექი. ამ დასკვნის დახევა კი არ შეიძლებოდა. არ დავხიე, ვუფრთხილდებოდი როგორც ძვირფას სახსოვარს, მაშინაც კი, როცა ამ გახუნებულ ფურცელზე მეტად საჭირო და მნიშვნელოვანი არა ერთი ქაღალდი იხეოდა საქართველოში... მე არასოდეს მივსულვარ მასთან და არ მითქვამს, რომ ჩემმა ლექსებმა მას ერთი საღამო წაართვა... ვინ იცის, რამდენი რვეული წაუკითხავს, რამდენი დასკვნა დაუწერია, რამდენი საღამო დაუკარგავს? არა, დაკარგულად არ ჩაითვლება ის საღამოები, ალბათ არც თვითონ თვლიდა დაკარგულად. ის თავის დიდ რომანებს მათთვის სწერდა, ვინც მისი სახლის კართან გულისცემით მიდიოდა და აკანკალებულ ხელში თავისი ლექსებისა და მოთხრობების პირველი რვეულები ეჭირა“.

მამას ისე მოსწონებია გიორგი შატბერაშვილის ლექსის ერთი ადგილი, რომ თავის უბის წიგნაკში ჩაუწერია: „მხოლოდ ლაჩარნი არ დამხობილან, არ განუცდიათ პირქვე დაცემა“. შატბერაშვილი“.

შემდეგ წლებთან დაკავშირებით გიორგი შატბერაშვილი იგონებს: „მიხეილ ჯავახიშვილს ხშირად ვხედავდი მაჩაბლის ქუჩაზე, მწერალთა კავშირის ბაღში, სადაც დამწყები „ბედის მაძიებლები“ ვიკრიბებოდით, ვსაუბრობდით და

ვკამათობდით. „ახალი ლექსი“ და მისი დაუწერელი კანონები იყო ჩვენი გაუთავებელი პაექრობის საგანი... შემოვიდოდა, გვერდით ჩაგვივლიდა, შუბლქვეშ გადმოგვხედავდა და უცნობებსაც კი უხათუოდ მოგვესალმებოდა... 1933 წლის დეკემბერი იწურებოდა. რუსთაველის თეატრი ჩემ პიესას „დუშმანს“ ამზადებდა დასადგმელად. სპექტაკლის გენერალურ რეპეტიციაზე მეც მიმიწვიეს. ვღელავდი, დამსწრე საზოგადოებას მოვერიდე და უკან, პარტერის ბოლო რიგში მივიკუნტე. წინა რიგებში მხარბეჭიანი და ხუჭუჭთმიანი სანდრო ახმეტელის გვერდით პატარა, მხრებში მოხრილი კაცი იჯდა... მიხეილ ჯავახიშვილი. იგი ჩემი გულისთვის ამ საღამოსაც კარგავდა. სპექტაკლი დამთავრდა... მახსოვს მხოლოდ ერთი: მიხეილმა სიტყვა მთხოვა. ხელში უბის წიგნაკი ეჭირა, მალიმალ ჩახედავდა, თან ლაპარაკობდა. როგორც მახსოვს, ცუდი არაფერი უთქვამს, უმთავრესად ქართულზე ილაპარაკა. მისთვის ხომ ქართული იყო წყალი, ჰაერი, მზე და სიცოცხლე. ქართულით სუნთქავდა და ქართულისთვის იბრძოდა ხმალამოღებული. ახლა ავტორი გაგვაცნობთო, თქვა მიხეილმა... მიხეილმა ხელი გამომიწოდა. გამხდარი, ძლიერი ხელი. დაკვირვებით, ულმობლოდ შემომხედა, მერე, სათვალის მინის იქით დავინახე, როგორ მოხუჭა ცალი თვალი, ოდნავ, შეუმჩნევლად... ჩაფიქრდა, მერე კეთილად გამიღიმა!“.

მიხეილ მრევლიშვილს კი, რომელიც იმ დროს სამწერლო ასპარეზზე გამოდიოდა, მამამ თავისი წიგნი „ჯაყოს ხიზნები“ აჩუქა ასეთი წარწერით: „ეს წიგნი პირველი ეგზემპლიარია. მივიღე სტამბაში. წრფელი გულით ვაძლევ მიხეილ მრევლიშვილს, ახალგაზრდა ნიჭიერ მწერალს, რომლის პირველი რომანი „ინონ“ ძალიან ბევრს მპირდება. 26/V 26 წ. /მიხ. ჯავახიშვილი“.

ერთი თვის შემდეგ მან მეორე წიგნიც აჩუქა მიხეილ მრევლიშვილს, ეს იყო „თეთრი საყელო“. წიგნს ასეთი წარწერა აქვს: „ბევრს მპირდებით, მეც ბევრს ველოდები. იმედი უნდა გამიმართლოთ... 4/VI 26 წ. მ. ჯავახიშვილი“.

წრფელი გულითა და სიხარულით ეგებებოდა ყოველი ნიჭიერი მწერლის გამოჩენას. ამის თაობაზე გიორგი შატბერაშვილი წერდა: „ამ წიგნების სატიტულო ფურცლებზე გამამხნევებელი სიტყვები ეწერა... ეს გაცრეცილი ბევრის ხელსა და თვალში გავლილი [illegible] წიგნები, ძვირფასი მასწავლებლის გულთბილი მინაწერები მწერლობაში პირველი თვალის ახელისა და მღელვარე სიჭაბუკის მოგონება იყო, დიდ მოთხოვნილებას უყენებდა ახალგაზრდა მწერალს, თავისი ქვეყნისა და ქართველი მშრომელი ხალხის სამსახურს ავალებდა“.

და არა მარტო მწერლობის რთული გზის გაკვალვაში ეხმარებოდა მამა ახალგაზრდებს, მას სხვადასხვა საკითხებით მიმართავდნენ ხოლმე. გაჭირვებაში ჩავარდნილ ადამიანს, რომელიც დახმარებისათვის მასთან მივიდოდა, აუცილებლად ხელს გაუწვდიდა და რითაც კი შეეძლო, ეხმარებოდა. ოღონდ კი ახალგაზრდისათვის შეეტყო, რომ მას სწავლისა და შრომის სურვილი ჰქონდა და ამისთანა დროს არაფერს დაიშურებდა მისთვის. ამაზე მეტყველებენ წერილები, რომლებიც პირად არქივს შემორჩა. მას სთხოვდა ყველა: მწერალი, მასწავლებელი, მოწაფე და, მამაც მზად იყო მათ დასახმარებლად ყველაფერი ეღონა. გვინდა მოვიტანოთ ერთი მოგონება, რომელიც მწერლის 80 წლისთავთან დაკავშირებით, ქუთაისის პრესაში გამოქვეყნდა: „საქვაჭრომზმონტაჟის“ ქალაქის კანტორას დღიდან მისი შექმნისა ხელმძღვანელობს სამედიცინო აპარატურისა და მაცივარ-დანადგარების შესანიშნავი სპეციალისტი გრიგოლ ტურაბელიძე, რომელიც მეტად დავალებულია ჩვენი სასიქადულო მწერლის მიხეილ ჯავახიშვილისაგან. მან, შეიძლება ითქვას, ცხოვრების გზა გაუკაფა, ცხრამეტი წლის ახალგაზრდა გრ. ტურაბელიძეს განსაკუთრებით უყვარდა მიხეილ ჯავახიშვილის ნაწარმოებები. ერთ დღეს გაზეთით შეიტყო, რომ თბილისში მუშაობას შეუდგა რენტგენტექნიკოსთა მოსამზადებელი კურსები, მაგრამ ამ კურსებზე შესვლა უკვე დაგვიანებული იყო. ვის მიმართოს ჭაბუკმა? თბილისში არავის იცნობს. და აი მაშინ ყველაზე მახლობლად სცნო საყვარელი მწერალი მიხეილ ჯავახიშვილი და გადაწყვიტა დასახმარებლად მისთვის მიემართა. სჯეროდა, რომ დიდი სულის ადამიანი აუცილებლად დაეხმარებოდა ცოდნის შეძენაში. კითხვა-კითხვით მიაგნო ქუთაისელმა ჭაბუკმა სასიქადულო მწერლის საცხოვრებელ ბინას, ნახა და ჩასვლის მიზანი გააცნო. ყმაწვილის მოფიქრებამ გაახარა დიდი ბელეტრისტი, არც დაუყოვნებია, მაშინვე ასეთი ბარათი მისწერა ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარს: „პატივცემულო ამხ. გრიგოლ! ჩემთან ქუთათური ჭაბუკი გრიგოლ ტურაბელიძე მოვიდა და მთხოვა დავხმარებოდი. მას სურს რენტგენ-ტექნიკოსთა მოსამზადებელ კურსებზე შევიდეს, მაგრამ თურმე დაიგვიანა. მე მას პირადად არ ვიცნობ, მაგრამ მან იმდენად კარგი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე, რომ თავს ვეღარ ვიმაგრებ და გთხოვთ სათანადო მფარველობა გაუწიოთ მას. თუ კურსანტად მიღება აღარ შეიძლება, ნება მაინც მიეცით თავისუფალ მსმენელად დაესწროს. სალამი, ბოდიში, მადლობა. პატივისცემით მ. ჯავახიშვილი. 1927 წ. 27 აპრილი“. მწერლის გულისხმიერებამ თავისი შედეგი გამოიღო. გრიგოლ ტურაბელიძე ახლაც სათუთად ინახავს დიდი მწერლის ამ წერილს“.

ერთ დღეს, მამამ, დუშეთიდან ასეთი ხასიათის წერილი მიიღო: „პატივცემულ მიხ. ჯავახიშვილს (წერილი დუშეთიდან). დიდებულო მწერალო ძია მიხეილ! ღირსი არა ვარ თქვენთან წერი-

ლის მოწერისა და ამითი თავის შეწუხებისა, მაგრამ რაღაცა იდუმალმა ძალამ იძულებული გამხადა, რომ თქვენ გამოგელაპარაკოთ. ჯერ ყრმა ვარ — მცირეწლოვანი. მაგრამ ცხოვრებაში ისე აღშფოთებული, რომ მეტის თქმა არ შეიძლება. წარმოიდგინეთ, კაცი არ შემხვედრია, რომ ჩემი ცხოვრებისა ცოტა რამ გაეზიარებინოს და ამის შედეგად ორიოდე სიტყვით რჩევა-დარიგება მიეცა ჩემთვის. თქვენ კი, როგორც მწერალი და ცხოვრების კარგად მცოდნე, განსხვავდებით სხვა ხალხისაგან, ამიტომ ჩემმა გრძნობამ მიკარნახა, რომ თქვენთვის შემომეჩივლა ყოველივე ის, რაც ასე სასტიკად მსჯის და მაღელვებს მე.

პირადათ არ გიცნობთ, ძია მიხეილ (ან ამდენ ბედნიერებას ვინ მომცემს), მაგრამ კარგათ ვიცნობ თქვენს ნაწარმოებებს. ვიცნობ და სწორედ ამან გამაბედვინა თქვენთვის წერილი მომეწერა...

მე დუშეთიდან გახლავართ. ბაზალეთი „ბიჭი" ვინმე გრიგოლ ილურიძე. თუ მოისურვებთ ჩემს ბედნიერებას და წერილობითი საზრდოს მომცემთ, მაშინ უბედური აღარ ვიქნები... რა გზა მომელის ან როგორ ვიხსნა თავი ამ სულიერი ჩიხისაგან. ამის შესახებ თქვენ უნდა გამიწიოთ ექიმობა..."

მამამ საპასუხო წერილი მისწერა. ეს წერილი ჩვენ არ შემოგვრჩა...

მამა ჩვენი ქვეყნის მრავალი კუთხიდან იღებდა წერილებს. ერთხელ თავისი ლექსები, ერთმა ახალგაზრდა რუსმა ქალმაც გამოუგზავნა. ის მამას არ იცნობდა პირადად, მაგრამ მაინც გადაწყვიტა წერილის მოწერა, მიუხედავად იმისა, როგორც იწერებოდა, „ქუჩაში მკაცრი იერი გქონდათო".

ასე რომ მამას წერილებს სწერდნენ ყველანი, ვინც გაჭირვებაში იყო, ვისაც წერის სურვილი დაებადებოდა, ვისაც თავისი ცხოვრების მოწყობა განეზრახა. ამ წერილების საპასუხოდ მართლაც უამრავი დრო იყო საჭირო და მამა ამ დროს პოულობდა, თავის თავს აკლებდა, რომ უყურადღებოდ არავინ დაეტოვებინა.

ზოგს საფუძვლიანად გაურჩევდა ნაწარმოებს და თავის აზრს დასაბუთებულად და საინტერესოდ ეტყოდა. ასე, მაგალითად, თავის ახალგაზრდა მეგობარს შალვა სოსლანს, მისი მოთხრობის „Конь и Кетевана"-ს თაობაზე ვრცელი წერილი მისწერა და თავისი შენიშვნები მიაწოდა. ის წერდა: „ძმაო შალვა!... თქვენს პირველ წერილზე იმიტომ არ გიპასუხეთ, რომ თქვენს „ქეთევანს" ველოდებოდი. ახლა მივიღე და დიდი სიამოვნებით წავიკითხე, მოთხრობა ძალიან კარგად იწყება: მიმართვის ფორმა და ნასტამბარის აღწერა. კილოც ზომიერი აგილიათ — საშუალოზე ოდნავ მაღალი. მაგრამ გაფრთხილდით. მეტი აღარ აუწიოთ, თორემ ოჩოფეხებზე ახვალთ და წააგებთ. თქვენ უეჭველად გაქვთ მხატვრული თვალი, თქვენი შედარებანი (სახეები) სხარტულია, მკაფიო და ზედგამოჭრილი. მაგრამ შეუყვარებული ჭაბუკივით მფლანგველი ბრძანდებით და ისე იხვრით ამ განძებს, როგორც თქვენი ბონდო იხროდა ნიკოლოზის თუმანიანებს. ფრთხილად იყავით, თორემ გამოგადგებათ. და დაშრებით. აქაც საჭიროა მომჭირნეობა. ამას მოითხოვს მხატვრული მოსაზრებაც (ზომიერება, რათა შთაბეჭდილება ზედმეტად არ ლატვირთოთ) და მატერიალურ დოვლათის გამოზოგებაც (დამეთანხმებით, რომ კარგი თქმა დოვლათია) არ არის საჭირო, თითო გვერდზე ათიოდე სახის დახარჯვა. ზოგი შეინახეთ და სხვა მოთხრობაში გამოიყენეთ, სხვათა შორის, ცეცხლს რომ ანთებთ, წყალს ნუღარ ასხამთ. ქეთევანის თვალებზე წერთ, არ მახსოვს, რა ფერისა იყოო და იქვე უმატებთ „Глаза я выдумал только сейчас: они были... და სხვ. ე. ი. ნუ დამიჯერებთ, მე თვითონ ვიგონებო, ე. ი. თქვენს მოთხრობას დამაჯერებლობას აკლებთ. ერიდეთ, მიმართვა მკითხველისადმი ძველი ფორმაა (მე არ ვხმარობ), მაგრამ თქვენი კალმის ქვეშ მას სიახლის იერი აქვს და არ მეჩოთირება, რაც ძალიან იშვიათად მემართება. მშვენიერია პეიზაჟები, დეტალები და ნამეტნავ კი ფრინველებთან საუბარი. ალაგობრივი ფოლკლორიც ადვილად დაგიძლევიათ (რა ძალა აქვს მშობელ მიწას და ბავშვობის მოგონებას!). ცხენიც გცნობიათ და იგი ცოცხალ ადამიანივით მოდის (ისევ სხვათა შორის — ცხენი მეგრელი მწერლების გენერალური ტემაა და თქვენც ჩაგითრიათ. არც მე ამცდა — „არსენაში" ავწერე). ერთი სიტყვით — ნიჭიც, ცოდნაც, ნაშრომიც — ყველაფერია, მაგრამ მაინც ოდნავ შიში მეპარება: რა ხდება შემდეგ? მოხდება კი რაიმე შესამჩნევი ამბავი? აქვს ამ მოთხრობას მაგარი ღერძი, ე. ი. ფაბულა, თუ ფორმალიზმმა დაგძლიათ? ამაზე მგონი კიდევაც მოგწერეთ და პირადად კი კარგა ხანს გვისაუბრია. მოსკოვში მიიხარით, ღერძიანიაო, თუ აგრეა, გამარჯვება არ აგცდებათ. ჯერჯერობით კი მხოლოდ კარგად აწერილ არეს (фон) და მკითხველის ჩართევას ვხედავ. ერთი სიტყვით, დასაწყისი კარგია და შემდეგ უკეთესს მოველი".

მამას მიაჩნდა, რომ შრომისმოყვარეობისა და ცოდნის გარდა, მწერალს უნდა ჰქონოდა ისეთი თვისება, რომელიც ღვთით იყო მომადლებული და ვერაფრით ვერ გაიზომებოდა. მის უბის წიგნაკში ვკითხულობთ: „ზოგ მწერალს ყველაფერი რომ მივაკუთვნოთ, ის „რაღაც" მაინც არა აქვს, რომელიც ჯერ არავის უნახავს, არც აუწონია, არც გაუგია, არც გაუზომია, მაგრამ მას ყველა გრძნობს, ვისაც ეს ღვთიური მადლი საბოლოოდ დახშული არა აქვს".

მამა მეტად მომთხოვნი იყო და ზარმაცობას არავის აპატიებდა, არც შინაურსა და არც გარეშეს. მწერალთა კავშირში ერთ-ერთ სხდომაზე ასე მიმართა ახალგაზრდობას. „ჩვენი ჭაბუკი თაობა ფეხდაფეხ ვერ მოგვდევს. უფროსი თაობის მწერალთათვის წერა არ უსწავლებიათ. არც მთავრობისაგან მიგვიღია მატერიალური და მორალური დახმარება. სკოლა, ცხოვრება, გაჭირვება და შრომის უნარი — აი რამ გვასწავლა წერა. თქვენ კი, ახალგაზრდებო, მწერალთა კავშირი და ხელისუფლება მრავალს ყველანაირ დახმარებას გიწევენ და დანარჩენი თქვენი საქმეა. დახმარება არც უფროს თაობას აკლია. მიუხედავად ამისა, ჩვენი შრომის უნარი მაქსიმუმამდე ვერ ავწიეთ. ერთხელ კიდევ უნდა გავიხსენოთ, რომ დიდი შრომა საშუალო ნიჭსაც დიდ მწერლად გახდის, ხოლო დიდად ნიჭიერ მწერალს გენიოსად გადააქცევს“.

მწერლის დანიშნულებასა და მოვალეობაზე მას არაერთხელ განუცხადებია მაღალი ტრიბუნიდან. პირად საუბარშიც უთქვამს და თავის უბის წიგნაკშიც ჩაუწერია: „მწერლისათვის საკუთარი დარდის ზიდვა ჯოჯოხეთია, მაგრამ ყოვლად აუტანელია, როცა ქვეყნის ვარამიც ზედ აწვება. ვაი იმას, ვინც ამ ვარამს არ ატარებს გულში. „შედევრებს მასალა კი არა ჰქმნის, არამედ ნიჭი“. „შრომა ახალი დროის ახალი სარწმუნოებაა, ახალი რელიგიაა, ქრისტიანობაზე უფრო მძლავრი, უფრო საჭირო და სასარგებლო“.

მამა თბილი და ალერსიანი ადამიანი იყო, ამასთანავე მკაცრი და მომთხოვნიც, ბავშვობიდანვე მინერგავდა ყოველივე იმას, რაც თვითონ სწამდა. ნერგავდა ჩემში პატრიოტულ გრძნობებს, განსაკუთრებით მიქადაგებდა შრომისადმი სიყვარულს, თავისთავისადმი მომთხოვნელობას მაჩვევდა. ყველაფერ ამას ძალდატანების იერით კი არ აკეთებდა, პირიქით, დარიგებას ხშირად არ მიმართავდა, თავს არ მაბეზრებდა. ერთხელ იტყოდა და საკმარისი იყო. იტყოდა დამაჯერებლად და გასაგებად. იცოდა, რომ მის სიტყვებს უყურადღებოდ არ დავტოვებდი. თქმა იცოდა მოკლედ და გასაგებად. სიზარმაცეს ვერ იტანდა და მე თუ უმიზეზოდ სკოლას გავაცდენდი, ვიზარმაცებდი, სწყინდა. მაგრძნობინებდა, რომ უკმაყოფილო იყო ჩემით. ეს ჩემთვის ყველაზე მტკივნეული რამ იყო.

ჩემს სიზარმაცეში კი გარკვეული წვლილი დედაჩემს მიუძღოდა. ცუდ ამინდში რომ არ გავციებულიყავი, წინასწარ თავს იზღვევდა, სკოლაში არ მიშვებდა და ამიტომ გაკვეთილების გაცდენა ხშირად მიხდებოდა. ამის გამო მამა უსაყვედურებდა ხოლმე დედას; ასეთი აღზრდა არ არის სწორი, საჭიროა, ბავშვი ყველაფერს შეაჩვიოთ, რომ ცხოვრებაში ყველანაირი გაჭირვების ატანა შეძლოს. ცივ ნიავს რომ არ აკარებ, ასე არ შეიძლება ბავშვის აღზრდა. დედას კი აღზრდის თავისი მეთოდი ჰქონდა. სუსტი ბავშვი ვიყავი და ამიტომ გადამეტებით მიფრთხილდებოდა. მამა კი ჩემს გაკაჟებას მოითხოვდა. ცხოვრებამ დამარწმუნა, რომ მამა ცამდე მართალი იყო. მან ცხოვრების ისეთი მკაცრი სკოლა გამოიარა, ამ გზაზე იმდენი რამ ნახა ავიცა და კარგიც, რომ იცოდა, ბავშვი ისე უნდა აღიზარდოს, რომ იყოს ამტანი, გულადი, ცხოვრებასთან ჭიდილში შეუპოვარი.

ერთხელ შალვა ნუცუბიძე შემხვდა და ასეთი რამ გაიხსენა: საუბარში მამაშენმა მითხრა: „ვწუხვარ, რომ ქეთო ისე ალვზარდეთ, მეშინიან, ცხოვრება მკაცრია და ვერ გაუძლებს, დაიღუპება“. აქ კი მამას შიში არ გამართლდა. თურმე სუსტ არსებასაც შესძლებია დიდი ტვირთის ზიდვა! უთუოდ შინაგანმა ძალამ ამატანინა ყველაფერი ის, რაც ჩემი ცხოვრების მანძილზე ბედმა მარგუნა.

მამას სამუშაო ოთახი, სადაც მისი ნაწარმოებები შეიქმნა, მისმა მეგობარმა მწერალმა დავით კასრაძემ ასე აღწერა: „მიხეილის სამუშაო ოთახი საკმაოდ მოჩრდილია. ევროპული ლაზათი სდევს ყოველ წვრილმანსაც. მაგიდაზე უხვად გაწყობილი საჭირო წიგნები, თაბახი ქაღალდი აქ, იქ... კალმები... აუარება ფერადი ფანქრები... კედლები შემკულია მისი რომანების გმირებით: აკვარელით შესრულებული ჯაყო, ყბაჩა. შემდეგ სურათები: გაბაშვილის „მოქალაქე“, გუდიაშვილის ესკიზები, გრინევსკი, სიდამონ-ერისთავი და სხვა. ბიუსტებიდან აღსანიშნავია მის მაგიდაზე ლამაზ გოგონას ქანდაკი — „Soir“, პორტრეტები — აკაკისა, შოთასი... ავეჯეულობის მხრივ ხავერდოვანი სავარძლები, ერთი სიტყვით, პატარა კომფორტი, რაც ასე აუცილებელია ევროპიულ გემოვნებაშეჩვეულ მწერლისათვის. მეორე ოთახიდან პიანინოს ხმა მოისმის. კლავიშების თრთოლვა გამცნობთ პერნეს ლამაზ სერენადას. დამკვრელი მიხეილის ქალიშვილია, 14 წლის ქეთინო“.

მამას ოთახში რომ შეხვიდოდით, უმალ მწერლის გმირების სამყაროში მოხვდებოდით. ვის არ ნახავდით აქ! ცხენზე ამხედრებულ არსენასა და ბრმა თინას, ბოხჩით ხელში, სოლოს საძებნელად ქალაქში რომ მიემგზავრება, მოღიმარი სახით და კეთილი თვალებით გვიყურებს ლამბალო და ყურძენს გვთავაზობს. კვაჭიც ეშმაკურად გვიღიმის და თავის საფიქრალს ფიქრობს. ჯაყოს კი იღლიაში ცხვარი გაუჩრია და კომბლით ხელში ქალაქის ქუჩებში მიაბიჯებს. სხვა გმირებიც კედლებზე განლაგებულან. ყველას ერთად აქ მოუყრია თავი და დიდი ხანია ამ ოთახში ცხოვრობენ. ჩვენ მათ ყოველდღიურად, როგორც კარგ ნაცნობებს ვხვდებოდით. დროდადრო მათ ახალი გმირები ემატებოდა და კედლებზე ტევა აღარ იყო. როცა მწერალი წერდა, ისინი ზევიდან დასცქეროდნენ და ფიქრობდნენ, ნეტა ვის მოგვიყვანს ამჯერად? მამას უყვარდა თავისი გმირები და ზოგჯერ ალერსიანად შეავლებდა კედლებს

თვალს. ეს ის სამყარო იყო, სადაც ისინი დაიბადნენ და მწერლის შემწეობით არსებობდნენ. აქ ყველაფერი მათ ეკუთვნოდა, ამ ოთახში ერთთავად მათი სული ტრიალებდა. მწერლის ჩანაფიქრით, ამ ოთახშივე უნდა შეხვედროდნენ სასაუბროდ თავიანთ ავტორს. ამ საუბრისათვის მწერალი ემზადებოდა. მაგრამ ერთხელ მიატოვა თავისი საყვარელი კუთხე, თავისი გმირები და სამუდამოდ გაეცალა იქაურობას. უეცრად შეწყდა კალმის წრიპინიც და აღარც ის საუბარი გაიმართება, თავის გმირებთან მწერალს ჩაფიქრებული რომ ჰქონდა. ბევრი რამ დაუწერელი და უთქმელი დარჩა, მისი გმირები კი დღესაც ცოცხლობენ და კედლებიდან მდუმარედ შემოგვცქერიან.

ხშირად მაგონდება მამა თავის ოთახში, საწერ მაგიდასთან მუშაობის დროს. ბევრჯერ საათობით ვმჯდარვარ იქვე, კუთხეში და მისი მუშაობისათვის თვალი მიდევნებია. თვალწინ დამიდგება ხოლმე მამას ოდნავ მოხრილი ბეჭები, თავდახრილი საათობით რომ იჯდა და წერდა. საოცრად მშვიდად, ძალდაუტანებლად, ყოველგვარი დაჭიმულობისა და დაძაბულობის გარეშე მუშაობდა. ამ დროს მშვიდი და წყნარი სახე ჰქონდა და მთელი არსებით ღრმად იყო ფიქრებში წასული. წერდა დინჯად, ერთნაირი რიტმით. არასოდეს უწერია გაკრული ან აჩქარებული ხელით. საჭირო არ იყო რაიმე განსაკუთრებული პირობების შექმნა, რომ მას ემუშავნა. ყოველგვარ პირობებში შეეძლო წერა. მიუჯდებოდა თუ არა საწერ მაგიდას და ხელში კალამს მოიმარჯვებდა, გამოთიშებოდა ამ გარემოდან, თავის იდუმალ სამყაროში გადადიოდა და ქაღალდზე განუწყვეტელ ნაკადად გადმოიღვრებოდა ხოლმე დიდი ხნის ნააზრევი და ნაფიქრი. შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს მთელი ნაწარმოები ფიქრად ადრევე ჰქონდა დაწერილი და ქაღალდზე გადატანახლა მოითხოვდა. ამ დროს ის არც ჩემს იქ ყოფნას გრძნობდა და, ჩემს გარდა, იმ ოთახში სხვაც რომ ყოფილიყო და გვესაუბრა, ყურადღებას არც კი მოგვაქცევდა, ოთახში მხოლოდ ფიზიკურად იმყოფებოდა. მთელი თავისი არსებით ძალზე შორს იყო ჩვენგან, ღრმად იყო სხვა სამყაროში შეჭრილი. რასაკვირველია, ჩვენც ვცდილობდით, მისთვის ხელი არ შეგვეშალა.

ეხლაც მესმის ქაღალდის შრიალი და ქაღალდზე კალმის მოძრაობის ხმა. სიჩუმეში ეს განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას ახდენდა ჩემზე. ზოგჯერ მთელ გვერდს ისე დაწერდა, რომ არც კი შეისვენებდა. არც კალამს მოასვენებდა, არაფერს არ გადახაზავდა და არც წაშლიდა. აზრები ისე მოჩქეფდა, კალმის წვერიდან, თითქოს მოზღვავებული ნაკადი მოედინებაო, თანაბარი სიჩქარით და შეუსვენებლად. ამ დროს აუცილებლად გაიფიქრებდით: რა ადვილია წერა! მამას მუშაობას რომ თვალს ვადევნებდი, ასე მეჩვენებოდა, რომ ადვილი იყო ნაწარმოების დაწერა.

წერის დროს არ იცოდა ადგომა ოთახში სიარული და გავლა-გამოვლა. ისე გავიდოდა რამდენიმე საათი, არც კი წამოდგებოდა. ადრე ფანქრით წერდა, დამავალებდა, წვრილად გათლილს რამდენიმე ფანქარი და საწერ მაგიდაზე დააწყო. შემდეგ ფანქარი გადააგდო და მელნით დაიწყო წერა. დილიდან რომ სამუშაოს ჩაუჯდებოდა, შუადღე ისე მოახლოვდებოდა, რომ საჭმელსაც არ მოითხოვდა. შუადღისას ჩვენ თვითონ შევახსენებდით ხოლმე. დრო რომ არ გასცდენოდა, ოთახში შევუტანდით ყავას და იქვე ისაუზმებდა.

ჩემს ბავშვობაში მამას სამუშაო ოთახში პიანინო იდგა, რომელზედაც დაკვრას ვსწავლობდი. შემდეგ იგი ჩემს ოთახში გადავიტანეთ და მამას მოვარიდეთ. სანამ მამას ოთახში იდგა, ვერიდებოდი დაკვრას იმ დროს, როცა ის მუშაობდა. მაგრამ, როცა გაკვეთილები მოსამზადებელი მქონდა და სხვა გამოსავალი არ იყო, ფრთხილად მივმართავდი ხოლმე. ხელს ხომ არ შეგიშლი, რომ დავუკრა-მეთქი?, „პირიქით — მეტყოდა მამა — მე ვიმუშავებ და თან მოგისმენ, დაუკარი". ვიცოდი, რომ მუსიკა უყვარდა და მისი ნებართვით, საკრავს მივუჯდებოდი ხოლმე. კლასიკური მუსიკის თაყვანისმცემელი იყო და ყოველთვის დიდი სიამოვნებით უსმენდა კონცერტებს. ჯაზური მუსიკა კი, რომელიც ის-ის იყო ჩვენში შემოდიოდა, არ მოსწონდა. ვერ გაეგო, რა იზიდავდა ხალხს, რად მოსწონდათ ჯაზი. იტყოდა ხოლმე: „რა ვქნა, ეს მუსიკა ჩემამდე არ მოდის. მისი მოსმენით არავითარ სიამოვნებას არ განვიცდი. მიკვირს, როგორ მოგწონთ ეს გაუთავებელი ბრახაბრუხი. რატომ იფუჭებთ გემოვნებას. ჩვენ შესანიშნავ სიმღერებს ხომ არაფერი შეედრება. ასეთი მდიდარი მუსიკალური კულტურის ქვეყანაში, ვერ გამიგია, რად გიზიდავთ ჯაზი, ყოველგვარ მელოდიას მოკლებული უცხო მუსიკა?"

წერის დროს ზოგჯერ შეკითხვა რომ მიმიცია, მამას არც კი გაუგია ჩემი ხმა, ისე ღრმად იყო ჩაფიქრებული. შეკითხვას თუ გავუმეორებდი, მაშინ თავს მოაბრუნებდა, გაკვირვებული შემომხედავდა, მაგრამ ვგრძნობდი, რომ ვერ მამჩნევდა, ფიქრების სამყაროდან არ იყო გამორკვეული და მისი ხელის შეშლა ასეთ დროს საცოდაობა იყო. შეკითხვის გამეორების შემდეგ გამოერკვეოდა, კალამს გვერდზე გადასდებდა, სათვალეს მოიხსნიდა, შუშებს შუქზე გახედავდა, სუფთაა თუ არაო, და, პასუხსაც გამცემდა. ამისთანა დროს არასოდეს არ გაბრაზდებოდა. მდგომარეობიდან არ გამოვიდოდა, არ დამტუქსავდა იმის გამო, რომ მუშაობაში ხელი შევუშალე, საყვედურს არ მეტყოდა, რომ აზრები დავუფანტე. რამდენიმე წუთს ჩემზე დახარჯავდა, შემ-

დეგ ისევ თავს ჩაღუნავდა და წერას განაგრძობდა. შეწყვეტილი ძაფი უმალ აღდგებოდა ხოლმე.

წერას ისე დაამთავრებდა, რომ ზედმეტ ქაღალდს დაგლეჯილსა და გადახაზულს ვერ ნახავდით. მაგიდის ქვეშ საქაღალდე კალათი არ ედგა. არ სჭირდებოდა. რაც იწერებოდა, ის აღარ იხეოდა და ასევე მაგიდაზე რჩებოდა. მხოლოდ ახალგაზრდობაში დაუხევია უამრავი ნაწერი, ვინაიდან არ მოსწონებია, საკუთარ სტილს ეძებდა. შემდეგ წლებში კი, არ მახსოვს, ქაღალდის ფურცელი გადაეგდოს.

მამას მაგიდა კედელზე იყო მიდგმული, ფანჯარასთან ახლოს. ფანჯრიდან მოჩანდა ამწვანებული ფერდობი და ნაძვნარი, რომელიც ზამთარზაფხულს მწვანედ გამოიყურებოდა. ეს ფერდობი ჩვენი ქუჩის მოპირდაპირე მხარეს იყო. მუშაობის დროს უყვარდა მარცხნივ, ფანჯარაში გახედვა. მიწის ეს პატარა მონაკვეთი თვალს ეალერსებოდა, უთუოდ მის მშობლიურ მხარეს აგონებდა. იყურებოდა სივრცეში, თითქოს იქ უნდა ამოეკითხა თავისი ნაფიქრალის დადასტურება, იქიდან უნდა შეესრუტა აზრების მარაგი, თითქოს იქ ხედავდა სურათებს, რაზედაც იმ დროს წერდა. აზრებს რომ ჩამოაყალიბებდა, კვლავ განაგრძობდა წერას. საწერ მაგიდიდან მაშინ ადგებოდა, როცა დაღლას იგრძნობდა. წელში გაიმართებოდა, შეისვენებდა.

სადილობის დროს სასადილო ოთახში მამა სუფრის თავში, ფანჯარასთან იჯდა. ჩვენი სახლი მტკვარს გადაჰყურებდა. სასადილო ოთახის ფანჯრიდან და ზუზაბანდიდან შესანიშნავი ხედი იშლებოდა, თითქმის ნახევარი თბილისი მოჩანდა. ზაფხულობით მწერლებს უყვარდათ ჩვენს ზუზაბანდში ჯდომა და ბაასი. ტკბებოდნენ ხოლმე თვალწინ გადაშლილი სანახაობით. მით უმეტეს, საღამოობით იქ ჯდომას არაფერი სჯობდა. ხელისგულივით იშლებოდა სინათლის შუქზე გაჩირაღდნებული და მოციმციმე თბილისი.

მწერალთა სასახლეში გამართულ ერთ-ერთ სხდომაზე, რომელიც მწერლების შემოქმედებითი მუშაობის საკითხებს ეძღვნებოდა, მამამ თავის სიტყვაში თქვა: „ვინმე რომ ხანჯლით დამადგეს თავზე და მკითხოს, რა მეთოდით წერთო, მე დავემსგავსები იმ მოწაფეს, რომელიც გაკვეთილის დროს ჩასჭრეს. მე ვკითხე ჩემს თავს, ნეტა რა მეთოდით სწერდნენ მეთქი დიდი კლასიკოსები. გამახსენდა ლენინის შედარება პუშკინის, მაიაკოვსკის და ნეკრასოვისა... მე მგონია, რომ მეთოდის გარდა, მწერლისათვის კიდევ სხვა რაღაცას უნდა ჰქონდეს მნიშვნელობა: ეგრეთ წოდებულ ნიჭს, დაკვირვებას, უნარს, ცოდნას და სხვა. თავი დავანებოთ გენიოსს, რომელიც ძალიან იშვიათად ჩნდება. მე მხედველობაში მყავს საშუალო და მოზრდილი ზომის მწერლები".

მკითხველს კი ასე მოუთხრო თავისი მუშაობის შესახებ: „მაქვს თუ არა წინასწარი გეგმა? ეს მეტად საინტერესო საკითხია: ადრევე ვიცი, რომ ჩემი პასუხი ზოგს ძალიან გაუკვირდება. ამ მხრივ შემოქმედების ორნაირი ტიპი არსებობს. ერთ მათგანს, სანამ წერას დაიწყებდეს, უკვე მთელი რომანი აქვს აზრად დაწერილი, ან ქაღალდზე აქვს გაწვრთნილი ჯარივით გაწყობილ-დალაგებული, მეორე კი ისე მიუჯდება საწერ მაგიდას, რომ მკაფიოდ თვითონაც ვერ ხედავს დასაწერად განზრახულ ამბავს, სახეს, ტიპს, იდეას, ყოველივე ეს ჯერ ბუნდოვანია, მოძრავია განყენებულია. მე მეორე ჯგუფს ვეკუთვნი. რამდენჯერმე მიცდია გეგმის შედგენა, მაგრამ მალე მიღალატნია, დამვიწყებია, დამიხევია. გეგმა წერის დროს მუშავდება. მას ჩემი გმირები და ფაბულის განვითარების პროცესი ამუშავებენ. სანამ წერას შევუდგებოდე, ბინდბუნდად ვხედავ ამბავის ღერძს, მთავარ იდეას და რამდენიმე გმირს. შემდეგ ეს ბინდი თანდათან იფანტება და ყველაფერს თანდათან ეფინება შუქი: ნივთი ხელშესახები ხდება, სახე მიახლოვდება, სურნელი მატულობს, მახვილდება და გამალებით მუშაობს. სადღაა მაშინ გეგმა და წინდაწინვე დალაგებული სქემა! გეგმა იმიტომ ინგრევა, რომ იგი მხოლოდ მშრალი გონების ნახელავია, წერის დროს კი, „ორნი არიან, ძმანი არიან". გონება და გუმანი ყევარივით მუშაობენ ხელიხელჩაკიდებულნი და ორგანულად შედუღებულნი. მათ თავის გზით მიჰყავთ მოთხრობა და წინანდელ გეგმისაგან მხოლოდ მცირე ნაწილსღა სესხულობენ".

ზოგჯერ მწერალი თავისი ცხოვრების მანძილზე ამოწურავს ხოლმე სათქმელს, მასალა გამოელევა და შემოქმედებით მუშაობას ამთავრებს, აღარაფერს წერს. მამის შესახებ ამას ვერ იფიქრებდით. მას უამრავი რამ ჰქონდა სათქმელი, შეიძლება იმაზე მეტიც, რაც 84 წლის მანძილზე დაწერა. მეც ასე მეგონა, რომ ამოუწურავი იყო მისი სამყარო. თვითონ ისიც ამასვე ფიქრობდა თავისი ნიჭისა და უნარის ალმავლობის გზაზე იმყოფებოდა. კარგად გრძნობდა, რომ ბევრი რამ უნდა მოესწრო და გაეკეთებინა. მაგრამ ეშინოდა, ჯანმრთელობას არ ეღალატნა მისთვის და რაც ჩაფიქრებული ჰქონდა, დაუწერელი არ დარჩენოდა. „ოღონდ მოვასწრო", — იტყოდა ხოლმე.

მუშაობა უფრო დღისით უყვარდა, მაგრამ საღამოობითაც ბევრს მუშაობდა. მთელი ღამე კი საწერ მაგიდასთან იშვიათად გაუტარებია. ამის შესახებ თვითონვე წერდა: „დღე მირჩევნია ღამეს. ღამით აზრიც და გრძნობაც ფორიაქიანია, შფოთიანი, მოუსვენარი, დღისით კი დინჯია, ნათელი, დაწმენდილი და მოსვენებული. ღამით დანაწერის რითმი უფრო სწრაფია და მაღალი, მაგრამ ამავე დროს სახიფათოც არის და მავნებელიც. ზოგჯერ ღამე გამიტეხია, სამაგიეროდ მეორე დღეს აღარ ვვარგებულვარ. გმირთა სახე

ლოგინში აგყვება, გჯიჯგნის, გწურავს, გაწამებს. ტვინი მომართული საათივით მუშაობს, აღარ გემორჩილება, ვიღაც თუ რაღაც ტყვედ გიპყრობს და ცოცხივით დაგათრევს. ჯანსაღი შრომა დღისით შეიძლება, ვინაიდან დღისით შენ თვითონ იმორჩილებ იმ ვიღაცას — ქვეშეცნობილს — და მტკიცე ხელით მიგყავს იგი, როგორც გამოცდილ მხედარს თავგამწევი ცხენი, ღამით კი აღვირი მიშვებულია და გიჟი ცხენი უგზოუკვლოდ გაბორიალებს".

მამა ოცნებობდა მთელი დღის განმავლობაში ქუჩაში არ გასულიყო, სხვა საქმეებზე დრო არ გაეცდინა, სახლში მჯდარიყო და ეწერა. მაგრამ, სამწუხაროდ, ბევრ დროს ართმევდა რედაქციებში სიარული და სხვადასხვა ხასიათის საქმეები... ჩემი ნატვრა ის არის, — ამბობდა, — ისე ავაწყო ჩემი სამუშაო დღე, რომ დღისით ვწერო — ღამით ვიკითხო და ქუჩაში რამოდენიმე დღეში ერთხელ გავიდე".

მუშაობის დროს პაპიროსს ეწეოდა, მაგრამ აქაც იცავდა ზომიერებას, გადაჭარბებით ბევრს არ ეწეოდა. ეწეოდა დინჯად, აუჩქარებლად, სვენებ-სვენებით. რა გუნებაზედაც არ უნდა ყოფილიყო, მუშაობას დაიწყებდა თუ არა, იცვლებოდა, მშვიდდებოდა და წყნარდებოდა. წერის დროს არასოდეს არ განერვიულებულა, არ გაბრაზებულა რამეზე. მუშაობა არ იცოდა განწყობილების მიხედვით. მუშაობდა ყოველდღიურად, აგარაკზედაც კი წერდა. მთელ დღეს უქმად არ გაატარებდა. განსაზღვრულ დროს ისვენებდა, დანარჩენ დროს კი სამუშაოს ანდომებდა. დილით ადრე ადგებოდა, რამდენიმე საათს წაიმუშავებდა ნაყოფიერად და მხოლოდ ამის შემდეგ დაისვენებდა. ჩვენ რომ მოგვიანებით ავდგებოდით, გაჯავრებით გვეტყოდა: „რა დაგემართათ, შეიძლება ამდენხანს ძილი. ნახე, მე უკვე რამდენი დავწერე!".

ჩვენ შიში გვქონდა, რომ თუთუნის წევას არ ემოქმედა მის სუსტ ჯანმრთელობაზე და ამიტომ ვცდილობდით პაპიროსისათვის თავი დაგვენებებინა. ბევრჯერ ვთხოვეთ ამის შესახებ, მაგრამ არაფერი გამოვიდა. დათმობაზე არ მიდიოდა. ერთხელ, როგორც იქნა, ბევრი ხვეწნისა და მუდარის შემდეგ, დავიყოლიეთ და სიტყვა ჩამოვართვით, რომ პაპიროსის წევას თავს დაანებებდა. მამას მაგარი ნებისყოფა ჰქონდა. მტკიცე და უდრეკი ხასიათის ადამიანი იყო და ყოველთვის თავის თავს ერეოდა. საკვირველი იყო, რომ ამ საკითხში საოცრად უძლური აღმოჩნდა.

თუთუნის წევას თავი დაანება თუ არა, ბავშვივით ანჩხლი და მოუთმენელი გახდა. საშინლად შეეცვალა ხასიათი. რაც მთავარია, მუშაობაში ხელი შეეშალა. კირვეულობდა, მცირე რამ მოქმედებდა მასზე და აღიზიანებდა. დაანება თუ არა პაპიროსის წევას თავი, იმ დღიდან ვეღარ მუშაობდა. მიუჯდებოდა მაგიდას, ხელში კალმისტარს აიღებდა და იწყებოდა ტანჯვა-წამება. ფიქრი უჭირდა. სადღაც უკვალოდ გაქრა მისთვის ჩვეული სიმსუბუქე, წერის დროს რომ ახასიათებდა, ირღვეოდა ნაწერის რითმი და ყველაფერი ეს, ერთად აღებული, ისე გააანჩხლებდა ხოლმე, ისე აუშლიდა ხასიათს, რომ მთელი დღე უქმად გაატარა და ნაყოფიერი ვერაფერი შექმნა, რომ ვეღარა ვცნობდით. ყველაფერი კი ისევ ჩვენ გვატყდებოდა თავზე. რამდენიმე დღის განმავლობაში დიდი მოთმინებით ვიტანდით მისგან ყველაფერს და ვფიქრობდით, რომ ეს განწყობილება ან დღეს, ან ხვალ გაუვლისო. გვინდოდა როგორმე შეგუებოდა ამ მდგომარეობას. მაგრამ ჩვენმა ცდამ არავითარი ნაყოფი არ გამოიღო. პირიქით, საქმე უარესობისაკენ წავიდა. მაშინ კი გადავწყვიტეთ, ოღონდ ძველებურ კალაპოტში ჩამდგარიყო და ისევ ჩვენ წავსულიყავით დათმობაზე, გვეყიდნა მისთვის პაპიროსი და გვეთხოვა კვლავ დაეწყო წევა.

ერთ დღეს, როცა მამა თავის ოთახში საწერ მაგიდასთან იჯდა და მუშაობდა, მე ჩუმად შევედი და მაგიდაზე უხმოდ პაპიროსის კოლოფი დავუდე. მოიხედა, სათვალეების ზემოდან გადმოხედა კოლოფს, შემდეგ მე ამომხედა. ვიღიმებოდი და ვაგრძნობინებდი, რომ ჩვენ შორის არსებული შეთანხმება დაირღვა და ამ საქმიდან დამარცხებულნი გამოვედით. გაიგო ჩემი ღიმილის აზრი და კოლოფისკენ უხმოდვე ხელი წაიღო. დინჯად და აუჩქარებლად გახსნა კოლოფი, ამოიღო პაპიროსი, მოუკიდა და ისეთი სიამოვნებით მოსწია, ისეთი გამომეტყველებით შემომხედა, რომ მაშინვე ვიგრძენი, რა შვებაც მიეცა. ის კი ისეთი სახით ეწეოდა, გეგონებოდათ, მთელი თავისი გაჭირვება და ტანჯვა-წვალება თუთუნის ბოლს გაატანაო.

იმ წუთიდან ყველაფერი ისევ ჩვეულ კალაპოტში ჩადგა. მცირე ხნის შემდეგ მის სამუშაო ოთახში რომ შევიხედე, ვიგრძენი, რომ ლაღად და თავისუფლად მუშაობდა. ცხადი გახდა, რომ თუთუნის კვამლში გახვეულს, შემოქმედებითი პროცესი უადვილდებოდა და აზრებსაც უფრო თავისუფლად ფლობდა. ამის შემდეგ აღარ გვიცდია მამაზე ასეთი ცდების ჩატარება და პაპიროსის დანებებაზე ფიქრს სამუდამოდ მოვეშვით. თვითონაც უთქვამს ჩვენთვის გაკვირვებულს: „როცა პაპიროსის წევას თავს ვანებებ, არ ვიცი, ამ დროს რა მემართება. მთლიანად შებოჭილი ვარ. ფიქრის თავიც კი არა მაქვს, კალმის წვერზე კი თითქოს ვიღაც ზის და საშუალებას არ მაძლევს, როგორც მინდა ისე მოვიხმარო. ზის მაგრად და ხელს არ მანძრევინებს. ამ დროს მე თვითონ ვეღარ ვცნობ ჩემ თავს. სულ სხვა ადამიანი ვხდები".

მამას ოთახში წიგნებით სავსე ორი დიდი კარადა იდგა. მუშაობის დროს საჭირო წიგნის ძებნაზე დიდი დრო ეხარჯებოდა ხოლმე და ეს ანერვიულებდა. ერთ დღეს დამიძახა და მითხრა: „წიგნების ძებნა დიდ დროს მართმევს და მუშაობაში ხელი მეშლება. მოჰკიდე ხელი ამ წიგნებს, შენ ჩაიბარე, როგორც გინდა, დაალაგე, ოღონდ, რა წუთშიც დამჭირდება საჭირო წიგნი, უმალ მომიძებნე, დრო არ დამაკარგვინო. თანაც თვალი ადევნე, რომ წიგნები არავინ წაიღოს დაუკითხავად. ჩაკეტე და მოუარე".

მამას კარგი ბიბლიოთეკა ჰქონდა და ჩვენი ნაცნობები სარგებლობდნენ წიგნებით, მაგრამ ხშირად ყოფილა შემთხვევა, რომ საინტერესო წიგნი ვინმეს წაუღია წასაკითხად და დროზე აღარ დაუბრუნებია. ასე ბევრი კარგი წიგნი დაგვეკარგა. მამა რომ მოიკითხავდა რომელიმე წიგნს და ვეტყოდით ვიღაცამ წაიღოო, არ სიამოვნებდა, ყველას სთხოვდა, რომ წიგნი დროზე დაებრუნებინათ, მიუხედავად იმისა, რომ მამას დიდი ხათრი და მორიდება ჰქონდათ, ამ წესს იშვიათად თუ ვინმე იცავდა და ჩვენი წიგნები ხელიდან ხელში გადადიოდა. მამამ მითხრა: „დაკეტე კარადა და წიგნს რომ ვინმეს მისცემ, ჩაიწერე, რომ არ დაგავიწყდეს და მისი ძებნა არ დაგვჭირდეს".

ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, მაშინათვე საქმეს შევუდექი. წიგნები მიყვარდა და მათი წესრიგზე მოყვანა და დალაგება დიდ სიამოვნებას მგვრიდა. რაც მთავარია, მიხაროდა, რომ მამამ ასეთი საქმე დამავალა. საშუალება მეძლეოდა მისთვის მცირე რამ სამსახური გამეწია და მუშაობაში ხელი შემეწყო — მისი დრო დამეზოგა. რამდენიმე დღეში წიგნები ისე დავალაგე, როგორც ბიბლიოთეკაში მინახავს. დავნომრე და სია შევადგინე, თანაც ვცდილობდი დამეხსომა, სად იდო ესა თუ ის წიგნი.

წიგნების დალაგება რომ დავამთავრე, მამას დავუძახე და ჩემი ნახელავი დავათვალიერებინე. ყურადღებით გადახედა თაროებს და სიამოვნების ღიმილი აუციმციმდა თვალებში. სახეზეც ღიმილმა გადაჰკრა. მივხვდი, რომ ნასიამოვნები დარჩა. ამის შემდეგ, რომელიმე წიგნი რომ დასჭირდებოდა, დამიძახებდა და მეც უმალ წინ დავუდებდი ხოლმე. ასეთი სისწრაფე ძალზე სიამოვნებდა. მახსოვს, ერთხელ, ვერც კი მოასწრო ბოლომდე წიგნის დასახელება, რომ იქვე მივაწოდე. მან შემომხედა და გამიღიმა.

ბავშვობისას მამა ნებას არ მაძლევდა განურჩევლად ყველა წიგნი წამეკითხა. წლოვანების მიხედვით თვითონ მირჩევდა მხატვრულ ლიტერატურას, ან დედა მაძლევდა ხოლმე წიგნებს. მეც არასოდეს არც ერთი წიგნი დაუკითხავად არ ამიღია და არ წამიკითხავს. მეტყოდა ხოლმე: „წიგნები წლოვანების მიხედვით უნდა იკითხო, თორემ ნაადრევად წაკითხული წიგნი ცუდ დაღს ასვამს ახალგაზრდის გონებას, მის შეგნებას. ვერ შეძლებ სათანადოდ შეაფასო წაკითხული და ნაწარმოებზე წარმოდგენა შეგეცვლება. რა საჭიროა ამის გაკეთება". ჩემთვის ეს ამბავიც დაკანონებული იყო.

კარგად არ მახსოვს რომელ კლასში ვიყავი, ასე, 15-16 წლისა ვიქნებოდი, რომ მამამ წასაკითხავად დოსტოევსკის „დანაშაული და სასჯელი" მომცა. ეს წიგნი დიდი გატაცებით რამდენიმე დღეში წავიკითხე და მახსოვს, ჩემზე ისეთი ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა, რომ რამდენიმე ღამე არ მეძინა. მისი გმირების და სამყაროს შთაბეჭდილებების ქვეშ ვიმყოფებოდი. თვალწინ რასკოლნიკოვი მედგა და მისი სიტყვები მაგონდებოდა. იმ დღიდან დოსტოევსკი ერთ-ერთი საყვარელი მწერალი გახდა ჩემთვის.

მამას რომ ვესაუბრე ამ ნაწარმოების თაობაზე და შემატყო, თუ რა ძლიერი შთაბეჭდილება მოუხდენია ჩემზე ამ წიგნს, ინანა, რომ ნაადრევად წამაკითხა. შემდეგ, მითხრა რომ არ განმეცადა ასე ძლიერად წაკითხული, მცირე ხანს დამესვენა და შემდეგ დოსტოევსკის მეორე ნაწარმოები „ძმები კარამაზოვები" წამეკითხა. „დაკვირვებით წაიკითხე — მითხრა მამამ, — ეს რთული ნაწარმოებია. შემდეგ ვისაუბროთ ამ წიგნზე. ყურადღება მიაქციე წიგნის ერთ-ერთ თავს, რომელსაც ჰქვია „Хлебы". გულდასმით წაიკითხე და შენი აზრი გამიზიარე".

ცოტა ხანში წავიკითხე დოსტოევსკის ეს რომანიც, რის შემდეგ მე და მამამ დიდხანს ვისაუბრეთ. გავარჩიეთ ავტორის ღრმა ფილოსოფიური ჩანაფიქრი. მამა მიხსნიდა დოსტოევსკის შეხედულებებს რწმენის და სხვა სოციალ-პოლიტიკურ საკითხებზე. ძალზე სიამოვნებდა, როდესაც სწორად ვიგებდი მწერლის ჩანაფიქრს, მის სათქმელს, მის მოსაზრებებს. ამისთანა შემთხვევაში მაშინვე დამეთანხმებოდა ხოლმე. ეს იყო დაუვიწყარი საღამო: მე და მამა მის ოთახში მყუდროდ ვისხედით და ვსაუბრობდით. მამამ მითხრა: „დოსტოევსკი ისე ღრმა არის, რომ ყველას ვერ შესწევს უნარი გაუგოს მას. ზოგს არ უყვარს ეს მწერალი, მან კი რუსული ბუნება და რუსი ადამიანის ფსიქოლოგია მთელი თავისი სიღრმით გადმოგვცა".

(გაგრძელება იქნება)

# ხუთწლედის მხარდამხარ

ეროვნული ბიბლიოთეკა

არჩილ ფირცხალავა

## საჩინოელი ლაურეატი

სანამ საკავშირო ლენინური კომკავშირის პრემიის ლაურეატს ჯამბულ ფიფიას ვესტუმრებოდი, ენგურჰესის მშენებელთაგან ამ საპატიო პრემიის პირველი ლაურეატი კარლო კვარაცხელია მოვიკითხე. როგორც ენგურჰესის მშენებლობის კომკავშირის კომიტეტში მითხრეს, მათი ბიოგრაფია ტყუპისცალივით ჰგავს ერთმანეთს: — სოფელი, საშუალო სკოლა, ობლობა, სავალდებულო სამხედრო სამსახური, კომკავშირული საგზური, ახალგაზრდული ბრიგადის თავკაცობა და... მთავრობის საპატიო ჯილდო.

კარლო კვარაცხელია რამოდენიმე დღის წინათ დაბრუნებულა ტურისტული მოგზაურობიდან ზუსტად ეიფელის კოშკის სიმაღლის ყოფილათ ჩვენი კაშხალი, — ალალად მიღიმის პარიზმოვლილი ზუგდიდელი ბიჭი და თავის საყვარელ ტიციანს იშველიებს: „მთა მაღალია, ცა მაღალია და კაციც უნდა იყოს მაღალი".

და კაციც უნდა იყოს მაღალი! ამ სტრიქონების მეგზურობით ჩავედით კაშხალმშენის სამმართველოს პირველ უბანზე. ამ სტრიქონებისა და რწმენის მეგზურობით რომ მართლაც მორალურად მაღალ ახალგაზრდას უნდა შევხვედროდი.

კაშხალი ადგილზე უნდა ნახო. მას ვერც კარგად დაწერილი მოთხრობით წარმოიდგენ და ვერც უშუალოდ ადგილიდან გადმოცემული რეპორტაჟით. ეს არის მსოფლიოს მერვე საოცრება, თავისი სიდიადით, მონუმენტალობით, თავისი სიმაღლით და კონსტრუქციით.

სიმაღლე სიმაღლეა და რად ღირს თუნდაც ის ფაქტი, რომ მეათე ხუთწლედის დამამთავრებელ წელს ენგურჰესის ორ მშენებელს სოციალისტური შრომის გმირის საპატიო წოდება მიენიჭა 297 მშენებელი კი მთავრობის სხვადასხვა, მათ შორის „ოქტომბრის რევოლუციისა" და „ხალხთა მეგობრობის ორდენით" დაჯილდოვდა.

აქ, ამ უძველესი ჯვარის სანახებში თითქოს ადამიანის მრწამსი და სიმაღლე უნიკალური თაღოვანი კაშხალის სიმაღლის ტოლფარდია. არცერთი ჯილდო არ მოსულა ჰაი-ჰარად და დაუმსახურებლად. ათასობით უძილო ღამისა და განუწყვეტელ დაბრკოლებებთან ჭიდილში მიიღეს ჯილდოები მამაცმა ენგურჰესელებმა. ქარსა და წვიმაში, ზღვასა და მეწყერში, მიწისქვეშა კლდეებთან ჭიდილში თუ ციცაბოებზე გამართულ ხარაჩოებზე იჭედებოდა მათი თვითოეული გამარჯვება.

ჯამბულ ფიფიას ახლა მთელი მშენებლობა იცნობს. ეს მაშინ, 1978 წელს იყო სრულიად უსახელო და გამოუცდელი ბიჭი რომ მოვიდა კაშხალმშენის სამმართველოში. კომკავშირული საგზურით მოსული ჭაბუკი ყველაზე საპასუხისმგებლო № 1 უბანზე გაამწესეს. ეს ის უბანია, სადაც გმირობა მიენიჭათ ოთარ ბლიაძესა და ალექსანდრე ოლეინიკოვს, სადაც ორდენოსანთა მთელი არმიაა დარაზმული და არც ისე ადვილია თავის გამოჩენა.

— გამიჭირდა-მეთქი, ვერ ვიტყვი, ისეთ ხალხში აღმოვჩნდი, ასე მეგონა სამხედრო სამსახურიდან კი არა, სხვა, ამის მსგავსი მშენებლობიდან მოვსულიყავი. ვინ გაგრძნობინა გამოუცდელობა! — იხსენებს ახლა.

მას შემდეგ შვიდი წელია უკვე. ამ შვიდი წლის განმავლობაში ბევრი გამარჯვება იზეიმა ობოლმა ბიჭმა. ჯერ იყო და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წევრად მიიღეს, მერმე ახალგაზრდული ბრიგადის თავკაცობა ანდეს და რთულზე რთული სამუშაო უბანი ჩააბარეს. არ შეირცხვინა თავი კვალწესიერ ოჯახში აღზრდილმა, მის მშობლიურ სოფელს საჩინო ჰქვია და მართლაც თვალის ჩინივით მოუფრთხილდა თანასოფლელი ახალგაზრდების ავტორიტეტს.

1976 წელს, ენგურზე ჩამოსვლის სამ წლისთავზე ჯამბულ ფიფიას კომკავშირულ-ახალგაზრდულმა ბრიგადამ თაღოვანი კაშხალის ტანში გე-

გმირი 12600 კუბური მეტრის ნაცვლად 13200 კუბური მეტრი ბეტონი ჩააწყო და გეგმა 112,5 პროცენტით შეასრულა. მეათე ხუთწლედის დამამთავრებელ წელს კი ამ ციფრმა 15500 კუბურ მეტრამდე ააღწია და 2,6 პროცენტით გაიზარდა ახალგაზრდა მებეტონეთა შრომის ნაყოფიერება

უცნაური კია, მაგრამ ძალზე ხშირად შემიმჩნევია, — მებეტონეები, რომელთა შრომითი მაჩვენებელი თუმცა ზუსტ ციფრებში აღნუსხვის შემდეგ პოულობს სათანადო რეაგირებას, სწორედ ციფრების ენით ლაპარაკს ვერ იტანენ.

— ვინ იცის, ამ კუბებისა და მეტრების მიღმა უცხო თვალისთვის შეუმჩნეველი რამდენი რამე იმალება, — გამანდო ერთხელ პირველ უბნელთა მეთაურმა კაპიტონ ხასიამ, — როგორ გინდა პროცენტებში გამოხატო ის დღეები, როცა ენგურის ხეობაში მეტრონახევარ სიმაღლეზე დადო თოვლი და ჩვენი ბიჭები დღე-ღამეს ასწორებდნენ, რომ სტიქიისათვის არ დაენებებინათ ასეულობით ტონა არმატურა და სხვა სამშენებლო მასალები. თუნდაც როგორ გინდა მკითხველს მოუთხრო იმ ჭეშმარიტად ვაჟკაცურ როლზე, რომელიც მოულოდნელი წყალდიდობის ჟამს პირადად ჯამბულ ფიფიამ და მისი ახალგაზრდული ბრიგადის წევრებმა შეასრულეს

— იმ საოცარ დღეს, დიახ, ნამდვილად საოცარ დღეს, — საუბარში სოციალისტური შრომის გმირი ალექსანდრე ოლეინიკოვი ჩაგვერია, — ხერგილიდან გადმოვარდნილი წყალი ლამის იყო წალეკვით დაგვემუქრა. დგახარ და ხედავ — ილუპება მთელი შენი ნაოფლარი, ილუპება ტექნიკა და გულდედალ მამალივით თუ არ გაიძურწე, შენც ილუპები; რისი ტუმბო, რა ტუმბო, შვიდ წუთში დატბორა შვიდივე ტუმბო და ქვაბული ფრთებქვეშ ამოიდო. ოცდაათი მეტრის სიმაღლეზე დადგა წყალი. საჭირო გახდა დამხმარე ტუმბოს ამუშავება, მაგრამ მე შენ გეტყვი და მიუდგებოდი. ათ წუთში მოჭრა ნიაღვარმა ყველა მისასვლელი.

ამგვარი შემთხვევები გამონაკლისი როდია ჯამბულ ფიფიას ახალგაზრდულ ბიოგრაფიაში. ციფრებსა და პროცენტებს კი რაც შეეხება, ჯამბულ ფიფიას პროცენტული მაჩვენებელი არა მარტო კუბურმეტრობით ჩაწყობილი ბეტონია, ახალგაზრდა მშენებლის მთელი ცხოვრებაა, მრწამსია, ლტოლვაა, ყოველდღიური მუხლჩაუხრელი შემართებაა. ამ შემართების საზღაური იყო საკავშირო ლენინური კომკავშირის პრემია — რომელიც მას სწორედ მეთერთმეტე ხუთწლედის მიჯნაზე მიენიჭა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტრისტან ჩინჩილაკაშვილი

# ქედუხრელნი

ერთი საინტერესო მაგალითი მოხდა ამ ოთხიოდე წლის წინათ. სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის და სსრ კავშირის ისტორიის ინსტიტუტის ჟურნალ „ისტორია სსრ“-ის 1976 წლის მე-8 ნომერში გამოქვეყნდა მ. ა. კოროვიაკოვისა და ვ. პ. უდოდის მეცნიერული სტატია „საბჭოთა მეომრები რუმინეთის წინააღმდეგობის მოძრაობაში“, რომელშიაც არა ერთხელ არის ნახსენები ჩვენი თანამემამულის გ. ა. კუხალეიშვილის სახელი. ჩვენ შევეცადეთ რამდენადმე საფუძვლიანად შეგვესწავლა ეს საკითხი და გვეჩვენებინა გ. ა. კუხალეიშვილთან ერთად ის ქართველი მეომრებიც, რომლებიც მონაწილეობდნენ რუმინეთის ტერიტორიაზე განლაგებულ ტყვეთა ბანაკებში, ანტიფაშისტური წინააღმდეგობის მოძრაობის არალეგარულ ორგანიზაციებში და თავიანთი პატრიოტული სულისკვეთებით აქტიურად იბრძოდნენ გერმანელ ფაშისტთა წინააღმდეგ.

●

...1942 წლის აპრილის შუარიცხვებიდან 19 მაისამდე 224-ე ქართული მსროლელი დივიზიის 185-ე მსრ. პოლკის ქვედანაყოფები არაერგარდულ ბრძოლებს ეწეოდნენ მოწინააღმდეგის ჭარბი ძალების წინააღმდეგ ქერჩის მიდამოებში. ამ დღეს, დილაადრიან, ფაშისტთა ავიაციამ ინტენსიური ცეცხლი დაუშინა ქალაქის დამცველებს. ამჯერად ძალზე დიდი იყო მსხვერპლი, ყოველ ნაბიჯზე ისმოდა დაჭრილთა კვნესა და გოდება. ნაღმით მკერდში დაიჭრა და გონება დაკარგა ასეულის მეთაურმა ლეიტენანტმა გრიგოლ კუხალეიშვილმაც. როდესაც გონს მოვიდა, ფურგონზე იწვა. ვიღაცას გაეხადა მისთვის მეთაურის განმასხვავებელი ნიშნებიანი ხალათი. დაჭრილი მეთაურებითა და წითელარმიელებით დატვირთული ფურგონები ტყვე წითელარმიელთა კოლონას მისდევდა, რომელსაც ავტომატმომარჯვებული რუმინელი ჯარისკაცები ბადრაგობდნენ.

აქედან დაიწყო გრიგოლ კუხალეიშვილის ტყვეობის ხანა. რამდენიმე დღის მომქანცველი მგზავრობის შემდეგ ტყვეთა კოლონა ქ. ნიკოლაევში ჩაიყვანეს. სულმოკლე იუდამ გასცა კომუნისტები და გადაცმული მეთაურები. გამყიდველმა კომუნისტ მეთაურთა შორის გრიგოლ კუხალეიშვილიც დაასახელა. ბანაკის ადმინისტრაციამ დატყვევებული საბჭოთა მეთაურები ცალკე გამოჰყო და მალე შორეული რუმინეთის გზას გაუყენა ქ. ბოლგრადისაკენ.

ნამდვილი ჯოჯოხეთი სუფევდა ბოლგრადის ოფიცერთა ბანაკში. სიცივე, შიმშილი, დამცირება, ავადმყოფობა, სიკვდილი აქ ყოველდღიური ცხოვრების ნორმად იქცა. ფაშისტები ცდილობდნენ ყოფილ საბჭოთა მეთაურებში ჩაეკლათ ყოველივე ადამიანური, მოესპოთ მათთვის წინააღმდეგობის უნარი და ცოცხალ ლეშებად ექციათ ისინი.

გაჭირვებამ და შიმშილმა მალე გამოკვეთა ტყვეთა სახე. აქა-იქ თავი წამოყვეს საბჭოთა ხელისუფლებისადმი მტრულად განწყობილმა ელემენტებმა, ზოგმა სულმდაბალმა კი ბალანდის ფასად გაყიდა კაცობა და ფაშისტთა სამსახურში ჩადგა.

ბანაკში დაძრწოდნენ სამშობლოს გამყიდველ ვლასოვის აგენტები და მოუწოდებდნენ ტყვე მეთაურებს ჩაწერილიყვნენ ე. წ. „რუსეთის განმათავისუფლებელ არმიაში“ („როა“), ან რუმინელ ბოიართა სამსახურში ჩამდგარიყვნენ. ვლასოვის აგენტები პროვოკაციულად აწყობდნენ სხვადასხვა ეროვნების ტყვეთა შეხლა-შემოხლას, ხელოვნურად ქმნიდნენ ურთიერთუნდობლობის და გაუტანლობის ატმოსფეროს, ეწეოდნენ ანტისაბჭოთა აგიტაციას.

ტყვეობიდან გაქცევის არა ერთი ცდა მარცხით დამთავრდა. ბანაკის ადმინისტრაციამ იო-

ლად შეიპყრო გაქცეულნი და საჯაროდ დახვრიტა ისინი, ტყვეთა მწყობრის წინ. ტყვეთა ერთ ნაწილში უიმედობამ და სასოწარკვეთილებამ დაისადგურა.

ბანაკის ადმინისტრაცია ყოფილ საბჭოთა მეთაურებზე იოლ გამარჯვებას ზეიმობდა, მაგრამ რა მწარედ ტყუვდებოდნენ ფიურერის ერთგული ლაქიები, რომელთათვისაც ამოუცნობი იყო ლენინური პარტიის მიერ აღზრდილი საბჭოთა ადამიანების შეუდრეკელი ბუნება. მკაცრ კონსპირაციაში დაიწყო არალეგალური ჯგუფების შექმნა, რომელსაც სათავეში კომუნისტები ჩაუდგნენ.

ახე შეიქმნა სლაბოდიის 2400 კაციან ოფიცერთა ბანაკში კაპიტან ი. შამოვის, ლეიტენანტ გ. კუხალეიშვილის, კაპიტან ი. კანაბიევსკის, ლეიტენანტ ვასილიევის და სხვათა პარტიული ჯგუფები, რომელთაც ამოცანად დაისახეს ტყვეთა შორის ფაშისტური პროპაგანდისათვის დაეპირისპირებინათ კომუნისტური პროპაგანდა, ჩაენერგათ მათთვის საბჭოთა კავშირის გამარჯვებას რწმენა, ხელი შეეშალათ კონტრრევოლუციური ელემენტებისათვის ყოფილი საბჭოთა მეთაურების გადაბირებაში.

ამ პარტიულ ჯგუფებს შორის ყველაზე აქტიური იყო სევასტოპოლის გმირულ დამცველთაგან შემდგარი პარტიული ჯგუფი, რომელსაც სათავეში ედგა 25-ე ჩაპაევის სახელობის, ლენინის ორდენოსანი მსროლელი დივიზიის 54-ე მსრ. პოლკის ყოფილი კომისარი ალექსი ეფრემის-ძე რინდინი. მან თავისი არალეგალური პარტიული ჯგუფი ჯერ კიდევ ჩენსტოხოვსკის ტყვეთა ბანაკში ყოფნისას შექმნა 1942 წლის ივნისში. ამ ჯგუფის ბაზაზე მკაცრ კონსპირაციაში შეიქმნა ბანაკის არალეგალური პარტიული ცენტრი, რომელშიაც შევიდნენ ბატალიონის კომისარი ა. ი. რინდინი (პარტიული ცენტრის ხელმძღვანელი), კაპიტანი ვ. ი. ვოლოდარსკი, ლეიტენანტი ფ. პ. პსოლი (სევასტოპოლელი), მაიორი ს. ვ. ჟელეზნიი (სევასტოპოლი), ლეიტენანტი გ. ა. კუხალეიშვილი (224-ე ქართ. მსრ. დივიზია), საიდენდანტო სამსახურის ლეიტენანტი ნ. ა. შევჩენკო, კაპიტანი კ. მ. კლიმენკო (სევასტოპოლელი), კაპიტანი ი. კანაბიევსკი, კაპიტანი ი. ე. შამოვი, კაპიტანი ი. დ. დენისოვი (სევასტოპოლელი), მე-3 რანგის ტექნიკი ნ. ვ. სტოლიარი, უმცროსი პოლიტხელი გ. ნასიკოვი, პოლიტხელი ნ. ა. გლაზკოვი (სევასტოპოლელი), პოდპოლკოვნიკი ი. ა. პლიაკა (სევასტოპოლელი), სახელმწიფო უშიშროების უმცროსი ლეიტენანტი ფ. დიაჩენკო და მაიორი ფედეროვიჩი, სულ 17 კაცი.

პარტიული ცენტრის წევრებს შორის განაწილებული იქნა ფუნქციები. ლეიტენანტ გრიგოლ ალექსის ძე კუხალეიშვილს დაევალა არარუსი ეროვნების ტყვე მეთაურთა შორის პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა. ეს დავალება მან ღრმა კონსპირაციის პირობებში ბრწყინვალედ შეასრულა. თანაპოლკელ საუკეთესო მებრძოლებზე დაყრდნობით შექმნა და ერთ მთლიან, ფარულად მოქმედ ძლიერ ორგანიზმად აქცია ქართველ, სომეხ, აზერბაიჯანელ და სხვა ეროვნების წარმომადგენლებისაგან შემდგარი ცალკეული პარტიული ჯგუფები, რომლებმაც მტრის ხრიკებს მარჯვედ დაუპირისპირეს ხალხთა მეგობრობის დიადი გრძნობა.

გაზეთ „კომუნისტში“ დასტამბულ წერილში სამართლიანად აღნიშნავს პოლკოვნიკი ა. ჩაჩიბაია, რომ გრიგოლ კუხალეიშვილი გაბედულად ხელმძღვანელობდა არარუსი ეროვნების საბჭოთა ოფიცრების პატრიოტულ ბრძოლას ე. წ. „მოხალისეთა და სხვა ანტისაბჭოთა ელემენტების წინაალმდეგ, რამაც განაპირობა მათი შემჭიდროება და დარაზმვა საერთო ანტიფაშისტური ბრძოლის ამოცანების წარმატებით გადაჭრისათვის.

1942 წლის დეკემბრის ბოლოს სლობოძიის ტყვეთა ბანაკიდან 950 ტყვე მეთაური, მათ შორის ა. რინდინის პარტიული ცენტრის წევრები გადაიყვანეს ქ. ტიმოშორას ტყვეთა ბანაკში, სადაც მოთავსებული იყო 2400 ტყვე-მეთაური, 17 ათასი უმცროსი მეთაური და წითელარმიელი.

ბანაკში მკაცრი რეჟიმი სუფევდა. გაძვალტყავებულ, ჩამოძონძილ ტყვეებს, რომლებიც ხის ფარღალალა ბარაკებში ცხოვრობდნენ, შინაგანაწესის ოდნავი დარღვევისათვის საშინლად აწამებდნენ. ბარაკიდან ბარაკში დაძრწოდნენ რუმინეთის უშიშროების სამსახურის აგენტები — ისინი იატაკქვეშელ კომუნისტებს დაეძებდნენ.

ბანაკში ფართო ანტისაბჭოთა პროპაგანდა წამოიწყეს ვლასოველმა სამშობლოს გამყიდველებმა, უკრაინელმა ნაციონალისტებმა, ქართველმა და სომეხმა ემიგრანტებმა, რომლებიც მოუწოდებდნენ ტყვეებს ჩაწერილიყვნენ მოხალისედ გერმანელთა და რუმინელთა არმიებში.

უფრო მეტიც. თეთრი ემიგრანტების ინიციატივით ჩამოყალიბდა ქართულ საეკლესიო მგალობელთა წრე, რომელშიაც 80-მდე კაცი გაერთიანდა. ფაშისტური პროპაგანდა მიზნად ისახავდა წრის წევრთათვის გადაეცათ რუმინელი ოფიცრების ფორმა და გამოეყვანათ ისინი ქ. ტიმოშორას თეატრში.

პარტიულმა ცენტრმა დაავალა გრიგოლ კუხალეიშვილს, რადაც არ უნდა დაჯდომოდა ჩაეშალა ფაშისტთა ხრიკები — მოეხდინა მომღერალთა გუნდის ლიკვიდაცია.

იმავე საღამოს გრიგოლმა ყველასაგან მიტოვებულ ხის ქოხში ფარულად შეკრიბა თავისი აქტივისტები: ვლადიმერ გიორგაძე, გიორგი ბოლქვაძე, ძველი ბოლშევიკი კალისტრატე აბულაძე, ნიკო ივანიშვილი, ვალოდია ბეგალოვი, რომელთაც გააცნო პარტიული ცენტრის დავალება.

იმავე ღამეს მოინახულეს აქტივისტებმა მომღერალთა გუნდის წევრები.

— ჩვენ მოვედით თქვენთან სამშობლოს სახელით და გაძლევთ წინადადებას დაუყოვნებლივ დატოვოთ კონტრრევოლუციურ-მენშევიკური მომღერალთა გუნდი. ამ მოთხოვნის შეუსრულებლობას განვიხილავთ როგორც სამშობლოს ღალატს და ჩაითვლებით როგორც მტრის სამსახურში მყოფნი — განუცხადეს მათ გუნდის წევრებს.

მეორე დღეს რეპეტიციაზე გამოცხადდა მხოლოდ 35 კაცი. ღამით აქტივისტებმა კვლავ მოინახულეს გუნდის წევრები და მკაცრად გააფრთხილეს მომღერლები, რომ თავიანთი უგუნური მოქმედებით არცხვენდნენ სამშობლოს, ქართველ ხალხს და მტრის წისქვილებს უსხამდნენ წყალს.

...მეორე რეპეტიციაზე მხოლოდ 5 კაცი მივიდა. ფეხზე დადგა ბანაკის ხელმძღვანელობა. ატყდა განგაში. დაიწყო სასტიკი რეპრესიები. დაპატიმრებულთა შორის აღმოჩნდნენ პარტიული ცენტრის წევრი გრიგოლ კუხალეიშვილი და პარტიული აქტივისტი ნოვიკოვი.

დაპატიმრებულნი მთელი თვის მანძილზე ვაჟკაცურად იტანდნენ ცემას და წამებას, შემდეგ კი ბრალდების დაუმტკიცებლობის გამო გამოუშვეს კარცერიდან და ბანაკში დააბრუნეს. პარტიული ცენტრის დავალება შესრულებული იქნა. საეკლესიო სიმღერების შემსწავლელმა წრემ არსებობა შეწყვიტა.

მალე აირჩიეს ბანაკის არალეგალური პარტიული ცენტრის ხელმძღვანელი „ექვსეული“, რომელშიაც შევიდნენ ბატალიონის კომისარი ა. რინდინი, კაპიტანი ვ. ვოლოდარსკი, ლეიტენანტი გ. კუხალეიშვილი: ლეიტენანტი ფ. პსოლი, საიდუმლო სამსახურის ლეიტენანტი ნ. შევჩენკო და პოდპოლკოვნიკი ი. პლიაკო. კონსპირაციის მიზნით ბანაკის პარტიული ხელმძღვანელობის შემადგენლობა პარტიული აქტივის წევრებმაც კი არ იცოდნენ. (პარტიულ აქტივში 200-ზე მეტი ტყვე კომუნისტი და კომკავშირელი მეთაური ითვლებოდა).

მრავალმხრივ საინტერესო იყო იატაკქვეშა პარტიული ცენტრის მუშაობა, რომელიც მიზნად ისახავდა ფაშისტური ტყვეობის აუტანელ პირობებში შეენარჩუნებინათ- საბჭოთა არმიის კადრები და მათი მაღალი მორალური თვისებები, განემტკიცებინათ საბჭოთა არმიის გამარჯვების რწმენა, ებრძოლათ სამშობლოს მოღალატეების, გამცემლების, განსაკუთრებით სამშობლოს მოღალატე ვლასოვის აგენტურის აშკარად მტრული, ანტისაბჭოთა პროპაგანდის წინააღმდეგ, დაუნდობელი ბრძოლა გამოეცხადებინათ მოლაყბეებსა და პროვოკატორებისათვის, რომლებიც თავიანთი ცილისმწამებლური გამოსვლებით და გამოთქმებით ჩირქს სცხებდნენ კომუნისტურ პარტიას და საბჭოთა მთავრობას.

პარტიული ცენტრი ბარაკებში ფარულად ატარებდა ლექციებს. საუბრებს. მათ გარედან ყარაულობდნენ პარტიული აქტივისტები.

ლექცია-საუბრებში განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობის თემას. კომუნისტები ამხელდნენ ვლასოველთა და ნაციონალისტთა გამცემლურ პოლიტიკას, რომელთაც სურდათ დაექსაქსათ და მტრულ ურთიერთობაში ყოლოდათ სხვადასხვა ერების შვილები. ამ მუშაობის შედეგად ბანაკში აღსდგა სხვადასხვა ერის წარმომადგენელთა ურთიერთ ნდობა და პატივისცემა.

იმისათვის, რომ გადაგვარებისა და გახრწნის მორევში არ ჩაფლულიყვნენ სამხედრო ტყვეები, პარტიულმა ცენტრმა ბარაკებში შექმნა სხვადასხვა წრეები, რაც გამორიცხავდა ბანქოს თამაშს და სხვა აზარტულ თავშესაქცევებს.

1943 წლის მარტში ტყვეებმა ტრიბუნიდან ჩამოაგდეს და სცემეს ვლასოველთა აგიტატორები, რომლებიც საბჭოთა ტყვე მეთაურებს მოუწოდებდნენ ჩაწერილიყვნენ ე. წ. „რუსეთის განმათავისუფლებელ არმიაში“. პარტიული ცენტრის ინიციატივით ტყვეებმა ბანაკის ხელმძღვანელობას მოსთხოვეს ბანაკის ტერიტორიიდან გაეძევებინათ „მოხალისეები“ (ვლასოველები). ვლასოველებმა მიმართეს რუმინეთის უშიშროების სამსახურს „სიგურანცას“, დახმარებისათვის.

რუმინეთის ხელისუფალთა მოთხოვნით ბანაკის ხელმძღვანელობამ ახალი რეპრესიები დაიწყო. 1943 წლის 28 მარტს დააპატიმრეს 27 კაცი, მათ შორის არალეგალური პარტიული ცენტრის წევრები ა. რინდინი, პლიაკო, კუხალეიშვილი, შამოვი და ჟელეზნოვი. მეორე დღეს დაპატიმრებულთა რიცხვმა 80-ს მიაღწია. დაპატიმრებულნი ჩასვეს სარდაფებში, სადაც მათ ყელამდე წყალი ფარავდა.

ბანაკის ხელმძღვანელობამ მთლიანად შეცვალა ტყვეთა ყველა სექციის და ოცეულის მეთაურები, სამზარეულოში მომუშავე პირნი და მათ ნაცვლად ყველგან ვლასოველები დააყენა.

რეპრესიებმა ვერ გატეხა ქედუხრელთა გულები. იატაკქვეშა პარტიული ცენტრის გარეთ დარჩენილი ნაწილი ახალ სიურპრიზს უმზადებდა ბანაკის ხელმძღვანელობას.

1943 წლის 30 აპრილს დილის შემოწმებაზე გამოიყვანეს ტყვეები და ოცეულებათ მოაწყვეს. შემოწმების შემდეგ ტყვეთა რიგებიდან გაისმა ვიღაცის განკარგულება:

— საზეიმო სვლისათვის, ოცეულებად, ერთი ოცეულის დისტანციით, სწორება მარჯვნივ, პირველი ოცეული პირდაპირ, დანარჩენი მარჯვნისაკენ, ნაბიჯით იარ!

ბანაკმა მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღის 1 მაისის აღსანიშნავად ფეხაწყობილი, გამართული მწყობრით მავთულხლართების გასწვრივ ოთხი წრე ჩამოიარეს. როგორ გაუხალისდათ სახე მწყობრში მყოფთ, წელში გაი-

მართნენ, ძალა და მხნეობა შეემატათ. ისინი აღარ გავდნენ წელანდელ დაუძლურებულ ადამიანებს. მწყობრში კვლავ საბჭოთა არმიის მეთაურები იდგნენ და საზეიმო სვლით გარს უვლიდნენ ბანაკს.

ეკალმავთულით შემოზღუდულ მოედანზე... 

ეკალხლართებს წითელარმიელთა ბანაკის ტყვეები მოაწყდნენ და აღფრთოვანებულნი უყურებდნენ ამ უჩვეულო აღლუმს. რუმინელი მცველები ჯერ გაოგნებით შეყურებდნენ ოფიცერთა საზეიმო სვლას, მერე კი ხელკეტებით დაერივნენ ლარივით გაჭიმულ მწყობრს და ცემა დაუწყეს მათ.

ამ დღეს კიდევ 38 კაცი დააპატიმრა ბანაკის ადმინისტრაციამ. ბანაკი პროტესტით შეხვდა მეგობრების დაპატიმრებას, ოფიცერთა ბანაკს მიბაძა მის გვერდით განლაგებულმა უმცროს მეთაურთა და წითელარმიელთა 17 ათასიანმა ბანაკმა. ტყვეთა ყვირილმა და ყიჟინამ შეძრა იქაურობა. არალეგალური პარტიული ცენტრის ინიციატივით ოფიცერთა ტყვეთა ბანაკში შიმშილი გამოაცხადა და ბანაკის ადმინისტრაციას მოსთხოვა დაუყოვნებლივ გაენთავისუფლებინათ პატიმრობიდან ყველა მათი ამხანაგი. ვლასოველებმა და რუმინელმა მცველებმა მასობრივი ცემა-ტყეპა დაუწყეს ამბოხებულთ, რათა ჩაეშალათ გამოცხადებული შიმშილობა. მესამე დღეს ბანაკში ჩამოვიდნენ სამხედრო გარნიზონის უფროსი და კრაიკოვის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი. დაიწყო დაკითხვები და გამოძიება ამბოხებულთა ხელმძღვანელების გამოსავლინებლად, მაგრამ საწადელს ვერ მიაღწიეს.

1943 წლის 5 მაისს ბანაკის ადმინისტრაცია იძულებული გახდა გაენთავისუფლებინა ყველა პატიმარი. ბანაკი გამარჯვებას ზეიმობდა. ამ გამარჯვებამ საკუთარი ძალების რწმენა განუმტკიცა სამხედრო ტყვეებს და აღაფრთოვანა ისინი საძულველი მტრის წინააღმდეგ მომავალი ბრძოლისათვის. ამ გამარჯვებამ განამტკიცა არალეგალური პარტიული ცენტრის პოზიციები, ახლა ტყვეები იმედის თვალით შესცქეროდნენ პარტიული ცენტრის აქტივისტებს, რომლებიც მათთან მიდიოდნენ პოლიტინფორმაციის ან საუბრების ჩასატარებლად.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ახეთივე საზეიმო სვლა მოეწყო 1943 წლის 7 ნოემბერს. ტყვე ოფიცრებმა მტკიცე მწყობრით, აბსოლუტურ სიჩუმეში, ორი წრე შემოარტყეს ბანაკს და მერე თავიანთი ბარაკებისაკენ წავიდ-წამოვიდნენ. ვლასოველებთან ანგარიშის გასწორების შემდეგ პარტიულმა ცენტრმა მიზნად დაისახა გასწორებოდნენ უკრაინელ ნაციონალისტთა ჯგუფს, ქართველი მენშევიკების და ხომეხი დაშნაკების აგენტებს.

უკრაინელ ნაციონალისტთა ანტისაბჭოთა ჯგუფს ბანაკში მეთაურობდა სამშობლოს გამყიდველი, წითელი არმიის ყოფილი პოდპოლკოვნიკი მიზიაკი, რომელიც უკრაინელი წარმოშობის მეთაურებში ქადაგებდა დამოუკიდებელი უკრაინისათვის ბრძოლას. პარტიულმა ცენტრმა გამოააშკარავა მიზიაკის ჯგუფის გამყიდველური პოლიტიკა და ერთ-ერთი გამოსვლის დროს უკრაინელი წარმოშობის ტყვე ოფიცრებმა თავპირი დაუსისხლიანეს, ამ არამკითხე „პატრიოტს“. მიზიაკის ჯგუფმა არსებობა შეწყვიტა.

1943 წლის აგვისტოში ოფიცრების ტყვეთა ბანაკი ტიმიშოარადან ქ. კალაფატში გადაიყვანეს. აქ სამ რიგად გაყვანილ ეკალბარდებში 2 ათასზე მეტი ტყვე იყო თავმოყრილი, რომელსაც ტყვიამფრქვევით შეიარაღებული ძლიერი ბადრაგი გუშაგობდა. აქ, ძლიერ სასტიკი რეჟიმი იყო დამყარებული. ტყვეებს ყოველგვარი მიზეზის გარეშე სასტიკად ცემდნენ, ყრიდნენ კარცერში, სადაც მხოლოდ ფეხზე დგომელა, ხელებჩამოშვებული კაცი ეტეოდა.

არალეგალურმა პარტიულმა ცენტრმა, ა. რინდინის მეთაურობით, ღრმა იატაკქვეშეთში კვლავ განაახლა თავისი საქმიანობა.

თავისი აქტივისტების მეშვეობით, რომლებიც ქალაქში გადაყავდათ სამუშაოდ, ბანაკში შემოდიოდა ცნობები საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტებზე არსებული მდგომარეობის შესახებ. პარტიული ცენტრის დავალებით ყველა ბარაკში გამოდიოდა კედლის გაზეთი. ინფორმაციის საქმე საგრძნობლად გაუმჯობესდა მას შემდეგ, რაც ბანაკში პარტიული ცენტრის წევრის, კომუნისტ ა. კრავჩუკის უშუალო ხელმძღვანელობით ააწყეს რადიომიმღები (რადიო მიმღების ნაწილები ბანაკში ქალაქიდან შემოზიდეს პარტიულმა აქტივისტებმა). არალეგალური პარტიული ცენტრი ყოველდღე ისმენდა სამშობლოს ხმას. შემუშავდა ლექცია-საუბრების თემატიკა, რომელიც ძირითადად შეიცავდა საბჭოთა საინფორმაციო ბიუროს და უმაღლესი მთავარსარდლის, საბჭოთა კავშირის მარშალ ი. ბ. სტალინის ბრძანებების შინაარსს.

ბანაკის იატაკქვეშა პარტიული ცენტრის საქმიანობა ითვალისწინებდა ინტერნაციონალური პროპაგანდის საკითხებსაც. ის გარკვეულ მუშაობას ატარებდა რუმინელ ჯარისკაცებში და მოსახლეობაშიც. ეს მუშაობა მჭიდროდ იყო დაკავშირებული თვით ბანაკის ცხოვრების ყოველდღიურობასთან. პარტიული ცენტრი რუმინელ ჯარისკაცებთან მუშაობისას ითვალისწინებდა მათ ფსიქიკას, გლეხურ პატრიარქალურ, კერძომესაკუთრულ ბუნებას, პოლიტიკურ ჩამორჩენილობას, რომელიც ხანდახან გულუბრყვილობაშიც გადაიზრდებოდა.

საკმარისი იყო რუმინელ ჯარისკაცთან ჩამოგეგდოთ საუბარი მის ოჯახურ მდგომარეობაზე, მათი ცხოვრების მატერიალურ პირობებზე და ის უკვე ენამოუბარი ხდებოდა.

რუმინელი ჯარისკაცის ყოველდღიური შემოსავალი უდრიდა 2 ლეას, რაც საბჭოთა ფულის ომისდროინდელ კურსის 5 კაპიკს უდრიდა. ჯარისკაცს ეს ფული თამბაქოს ქაღალდის საყიდლადაც კი არ ჰყოფნიდა. რუმინელთა არმიაში

თამბაქოს უსასყიდლოდ არ აძლევდნენ ჯარისკაცებს, უფრო მეტიც — რუმინელ ჯარისკაცს სამხედრო ფორმის ტანსაცმელი თავისი საკუთარი თანხებით უნდა შეეძინა, უფასოდ მათ მხოლოდ ზოგიერთი რამ ეძლეოდათ და ამიტომაც იყო, რომ ტყვეთა მებადრაგენი ხშირად გახუნებულ ფორმის ტანსაცმელს ატარებდნენ. ამას ემატებოდა ბოიარული, ბატონკაცური დამოკიდებულება რუმინელი არმიის ოფიცერთა და ჯარისკაცთა შორის, რომელიც ფარულ მტრობამდე იზრდებოდა. ჯარისკაცები მცირედი „დანაშაულისათვის“ სასტიკად ისჯებოდნენ, იხდიდნენ ჯარიმას მთავრობის სასარგებლოდ და სხვ.

იატაკქვეშა პარტიულმა ცენტრმა მიიღო დადგენილება — ორგანიზებული სახე მიეცა რუმინელ ჯარისკაცებთან და მოსახლეობასთან მუშაობისათვის.

პარტიული აქტივისტები რუმინელ ჯარისკაცებთან ურთიერთობისას, ყოველთვის, მათვის მტკივნეულ ცხოვრებისეულ საკითხებზე საუბრით იწყებდნენ: „როგორია თქვენი ოჯახი“, „რა ქონებას ფლობთ“, „როგორ ხართ უზრუნველყოფილი“. ასეთი საუბრის დაწყება საკმარისი იყო და ჯარისკაცი ენამზე ხდებოდა. გულახდილი ურთიერთობის შედეგად რუმინელ ჯარისკაცსაც ულვივდებოდა სურვილი რამეთი ესიამოვნებინა „ტყვე რუსი ოფიცრისათვის“. გაეგზავნებოდნენ თამბაქოს, პურის, ქაღალდის ან ფანქრის საყიდლად. ეს ურთიერთობა იქამდეც კი მივიდა, რომ იყო შემთხვევები, როდესაც ყინვაში გათოშილი ჯარისკაცი შედიოდა ტყვეთა ბარაკში „გასათბობად“, მიაყუდებდა თოფს და ხვრინვასაც კი ამოუშვებდა.

პარტიულმა ცენტრმა შეიმუშავა რუმინელ ჯარისკაცებთან საუბრების თემატიკა:

„ძველი რუსეთი და ღარიბი მუშებისა და გლეხობის ცხოვრება“, „ოქტომბრის რევოლუცია და მუშურ-გლეხური ცხოვრება“; „რა არის კოლმეურნეობა და როგორია იქ განაწილება“; „საბჭოთა ქალების პოლიტიკური უფლებანი“; „სსრ კავშირის ხალხთა თანასწორუფლებიანობა“; „რა არის რელიგია“; „საბჭოთა კულტურა და მუშურ-გლეხური ინტელიგენცია“; „ომის დაწყების ნამდვილი მიზეზები“ და სხვა.

ასეთმა საუბრებმა და გულახდილმა ურთიერთობამ სასურველი შედეგი გამოიღო. ჯარისკაცებს ხშირად განუცხადებიათ, რომ ამ საუბრების შინაარსს ისინი უყვებოდნენ ამხანაგებს და თავისიანებს. ჯარისკაცებსაც ხშირად შეუჩივლიათ „რუსი ტყვე ოფიცრებისათვის“ თავიანთი ოფიცრების არაადამიანურობაზე და „ძაღლურ დამოკიდებულებაზე“. გახშირდა შემთხვევები, როცა ჯარისკაცები ყრიდნენ იარაღს, ან იარაღით ხელში „ტყვე რუს ოფიცრებთან“ ერთად იპარებოდნენ ბანაკიდან. ჯარისკაცთა შორის გახშირდა გამონათქვამები: „რუსები კულტურული ხალხია“, რომ რუსეთი „მაია მარე“ (ძალზე დიდია), ხოლო „რომანია მაი მიკ“ (ძალზე პატარაა). საბჭოთა არმიის ძლევამოსილი შეტევების შემდეგ ამას მიემატა გამონათქვამი: „რუსეთი ყველაფრის შემძლეა, რუსები მამაცნი არიან“, ან „თუ ფრონტზე გამიშვებ — მაშინვე გადავალ რუსების მხარეზე“ და სხვ.

პარტიული ცენტრი რუმინელ მოსახლეობასთან მუშაობას ატარებდა ტყვე წითელარმიელთა საშუალებით, რომლებიც რუმინელ ბოიარებთან მიწის სამუშაოებზე გაჰყავდა ბანაკის ადმინისტრაციას. ტყვე წითელარმიელთა საშუალებით კონტაქტი დამყარდა რუმინეთის კომუნისტთა პარტიასთანაც, რომელიც ღრმა იატაკქვეშეთში მოღვაწეობდა.

1944 წლის ზაფხულში ტყვეთა ბანაკში ჩამოვიდნენ გერმანელ ფაშისტთა სამსახურში ჩამდგარი ქართველი ემიგრანტი ოფიცრები — პოდპოლკოვნიკი სინჯიკაშვილი და კაპიტანი გვარამაძე, რომლებიც ქართველ თეთრემიგრანტთა პარიზის ცენტრის სახელით მოუწოდებდნენ ქართველ ტყვეთა ოფიცრებსა და ჯარისკაცებს წაჰყოლოდნენ მათ ემიგრაციაში.

პარტიულმა ცენტრმა გრიგოლ კუხალეიშვილს დაავალა თავისი აქტივის საშუალებით ალეკვეთა მოწინააღმდეგის ხრიკები.

მეტად დაძაბული მუშაობა მოუხდათ გრიგოლ კუხალეიშვილს და პარტიულ აქტივისტებს სკკპ წევრს 1918 წლიდან კლიმენტი აბულაძეს, კომუნისტებს: კონსტანტინე ვაშაკიძეს, ვლადიმერ გიორგაძეს, გიორგი ბოლქვაძეს, ნიკოლოზ ივანიშვილს, გიორგი საყვარელიძეს, სერგო მაჭრაქველიძეს, ტრიფონ კობერიძეს, კარლო ბეჟუაშვილს და სხვებს, რათა ცდუნებაში არ შეეყვანათ მტრის პროპაგანდისტებს ქართველი ტყვეები, რომლებსაც ფაშისტთა დაქირავებულნი ემიგრაციაში „ოქროს კოშკებს“ პირდებოდნენ.

კონსტანტინე ვაშაკიძემ და გრიგოლ კუხალეიშვილმა კომუნისტ ი. ვოლოდარსკისთან ერთად შეადგინეს ფაშისტების მოსყიდულთა პროვოკაციული მოქმედების საპროტესტო წერილი, რომელსაც ერთსულოვნად მოაწერა ხელი ბანაკში მყოფმა ყველა 165-მა ქართველმა სამხედრო ტყვე ოფიცერმა, აი ამ დოკუმენტის ასლიც:

„წითელი ჯვრის საერთაშორისო ორგანიზაციას, რუმინეთის სამხედრო ტყვეთა № 6 ბანაკის კომენდანტს, რუმინეთის სამხედრო მინისტრს № 6 სამხედრო ტყვეთა ბანაკის წითელი არმიის სამხედრო ტყვე 165 ოფიცრის

პატაკი

ჩვენი სურვილისა და ნების გაუთვალისწინებლად „ქართველ ემიგრანტთა საზოგადოებამ“ აღძრა შუამდგომლობა, რათა ჩვენ სამხედრო ტყვეთა ბანაკიდან გადაგვცენ ზემოხსენებულ

საზოგადოებას, ვითომდა ტყვეობის მძიმე ხვედრის შესამსუბუქებლად. ამ მიზნით ჩვენს ბანაკში მოვიდა ამ საზოგადოების დელეგაცია, რომლებიც ჩვენი კატეგორიული უარის მიუხედავად აშკარა შანტაჟზე და ძალადობაზე გადავიდნენ და ამ გზით სურდათ გავტარებულიყავით რეგისტრაციაში ემიგრაციაში წასასვლელად.

ჩვენ, ქვემორე ხელისმომწერნი, ქართველი სამხედრო ტყვეები და რუსი ოფიცრები ერთხულოვან, ღრმა პროტესტს ვაცხადებთ „ქართველ ემიგრანტთა საზოგადოების" დელეგაციის მოქმედების მიმართ, მათ ხელყოფას ჩვენს მიმართ და მოგმართავთ თქვენ, ბანაკის ბატონ კომენდატს, რუმინეთის სამხედრო მინისტრს და „წითელი ჯვრის" საერთაშორისო ორგანიზაციას თხოვნით წინაღუდგეთ სამხედრო ტყვეების პოლიტიკურ ემიგრანტებად გადაქცევის ცდას, რითაც სურთ გადაგვაქციონ ჩვენი სამშობლოსადმი ერთგულების ფიცის მოღალატეებად.

ამასთან ერთად გთხოვთ გაითვალისწინოთ შემდეგი:

1. ჩვენ სამხედრო ტყვეები ვართ და არა ემიგრანტები, რომლებიც ამჟამად ვიმყოფებით რუმინეთის მთავარსარდლობის განმგებლობაში. 2. ტყვეთა შენახვის საერთაშორისო კონვენციის თანახმად, ჩვენ უნდა შეგვინახონ როგორც სამხედრო ტყვეები და არა როგორც ემიგრანტები. 3. ჩვენ არ გამოგვითქვამს არავითარი სურვილი ემიგრაციაში წასასვლელად და არ ვიძლევით ხაამისო თანხმობას. 4. ჩვენ სამხედრო ტყვეები ვიმყოფებით კმაყოფის იმ ნორმებზე და პირობებზე, რომელიც დააწესა რუმინეთის თავდაცვის მინისტრმა და არა „ქართველ ემიგრანტთა საზოგადოებამ" და თუ ამ საზოგადოებას სურვილი ჰქონდა მატერიალური დახმარება აღმოეჩინა სამხედრო ტყვეებისათვის, ეს მხოლოდ და მხოლოდ „წითელი ჯვრის" საერთაშორისო საზოგადოების მეოხებით უნდა მომხდარიყო.

ხელმოწერები...

(დედანს ხელს აწერს 165 ტყვე ქართველი საბჭოთა ოფიცერი), 11 ივლისი, 1944 წელი. სწორია: გ. კუხალეიშვილი, ა. რინდინი. კ. ვაშაკიძე"

ქართველ ტყვე ოფიცერთა საპროტესტო წერილის პასუხად ბანაკში ჩამოვიდნენ რუმინეთის სამხედრო ხელისუფალნი და „წითელი ჯვრის" საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენელნი. რომელთაც ქართველმა ტყვე საბჭოთა ოფიცრებმა ერთსულოვნად განუცხადეს, რომ არც ერთი მათგანი ნებაყოფლობით არ იყო ტყვეთ მოხვედრილი, რომ ბრძოლაში ძალას სძლია ძალამ, რომ თითოეული ტყვედქმნილი თავს თვლიდა საბჭოთა სამშობლოსადმი მიცემული ფიცის ერთგულად და მოითხოვდნენ ტყვეთა შენახვის საერთაშორისო ნორმების დაცვას.

ფაშისტთა სამსახურში ჩამდგარი ქართველ ემიგრანტთა ერთი ჯგუფის პოლიტიკური შანტაჟი ჩაიფუშა. პარტიული ცენტრის ინიციატივით ასევე ჩაიშალა სომეხ დაშნაკთა ყოფილი პარტიის ნაძირალების ცდა — ემიგრაციაში წასასვლელად დაეთანხმებინათ სომეხი ეროვნების ტყვე საბჭოთა ჯარისკაცები და ოფიცრები.

რუმინეთის კომპარტიასთან ურთიერთკავშირით ახლა უკვე ა. რინდინის არალეგალური პარტიული ცენტრი თავის გავლენას ახორციელებდა რუმინეთის ტერიტორიაზე განლაგებულ ყველა სამხედრო ტყვეთა ბანაკზე. რუმინელმა კომუნისტებმა რამოდენიმეჯერ მატერიალური დახმარებაც აღმოუჩინეს მძიმე ხვედრში მოქცეულ საბჭოთა მოქალაქეებს.

●

სტალინგრადის რაიონში ჰიტლერელთა ჯარების განადგურებამ საგრძნობლად შეურყია ავტორიტეტი ანტონესკუს რეჟიმს. რუმინეთის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ქვეყანაში გაიშალა ანტიფაშისტური წინააღმდეგობის მოძრაობა. ბუქარესტში, ბრაშოვში, და პლოეშტში დაიწყო მუშათა გაფიცვები. აქა-იქ ადგილი ჰქონდა საბოტაჟისა და დივერსიების აქტებს. რუმინელი მუშები უკვე აშკარად ილაშქრებდნენ ფაშისტური რეჟიმის წინააღმდეგ. ჟანდარმთა აგენტები იტყობინებოდნენ, რომ ფაშისტური რეჟიმის უკმაყოფილონი იყვნენ გლეხებიც.

საბჭოთა არმიის ძლევამოსილი შეტევა კვლავ გრძელდებოდა. ის თანდათანობით უახლოვდებოდა რუმინეთის საზღვრებს. შექმნილ რთულ სიტუაციაში ფიქრს მიეცნენ ბურჟუაზიული წრეები და თვით მეფეც.

მეფის სასახლის წრეებმა და ბურჟუაზიულმა პარტიამ გადაწყვიტეს დანაშაულის მთელი სიმძიმე გადაებრალებინათ ანტონესკუს მთავრობისათვის და დაიწყეს გზების ძებნა ინგლისთან და აშშ-ს მთავრობასთან სეპარატიული ზავის დასადებად. რუმინული რეაქცია იმედს ამყარებდა, რომ რუმინეთის საზღვრებთან საბჭოთა არმიაზე ადრე გაჩნდებოდა ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატების ჯარები. მაგრამ მწარედ ტყუვდებოდნენ დასამარცხებლად განწირულნი. ჯერ კიდევ თეირანის კონფერენციაზე (1943 წლის 28 ნოემბერი — 1 დეკემბერი) საბჭოთა დელეგაციის წინდახედულობით და დაბეჯითებითი მოთხოვნით მიღწეული იქნა შეთანხმება მოკავშირეთა მთავრობის მეთაურებთან, რომ მეორე ფრონტი გაიხსნებოდა დასავლეთ ევროპაში და არა ბალკანეთში, როგორც ამას მოითხოვდა ი. ჩერჩილი.

1944 წლის მარტში უკრაინის მეორე ფრონტის ჯარებმა საბჭოთა კავშირის მარშალ ი. ს. კონევის მეთაურობით გადალახეს მდინარე პრუტი და რუმინეთის ტერიტორიაზე შევიდნენ. 12 აპრილს საბჭოთა მთავრობამ მიმართა რუმინეთის მთავრობას დაუყოვნებლივ „შეეწყვიტა კავშირი ფაშისტურ გერმანიასთან და რუმინეთის დამოუკი-

დებლობისა და სუვერენიტეტის აღსადგენად მონაწილეობა მიეღოთ გერმანელების წინააღმდეგ ბრძოლაში“. ჰიტლერის ყურმოჭრილი ყმის ანტონესკუს მთავრობამ არ მიიღო ეს ჰუმანური წინადადება. სსრ კავშირის თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტმა თავისი დადგენილებით დაავალა უკრაინის მე-2 ფრონტის სამხედრო საბჭოს განემარტათ რუმინელი მოსახლეობისათვის, რომ საბჭოთა არმია რუმინეთში შევიდა როგორც გერმანელ-ფაშისტთა უღლისაგან რუმინელ ხალხის განმათავისუფლებელი არმია და მას არავითარი სხვა მიზანი არა აქვს გარდა გერმანელთ არმიის განადგურებისა და ჰიტლერული გერმანიის მიერ დაპყრობილი ხალხების განთავისუფლებისა. უკრაინის მე-2 ფრონტის სამხედრო საბჭომ მოწოდებით მიმართა რუმინელ ხალხს ყოველნაირად დახმარებოდნენ წითელ არმიას ჰიტლერელების წინააღმდეგ ბრძოლაში.

შექმნილ სიტუაციაში რუმინეთის კომპარტიამ დაიწყო მზადება შეიარაღებული ანტიფაშისტური აჯანყებისათვის, რომლის მომზადებაშიც აქტიურად მონაწილეობდა ა. რინდინის იატაკქვეშა პარტიული ჯგუფიც.

პარტიული ცენტრის წინაშე დაისვა ახალი ამოცანა — მოეწყოთ ბანაკიდან ტყვეთა მასობრივი გაქცევა, რისთვისაც დაიწყეს ბანაკიდან მიწისქვეშა გვირაბების გაყვანა. ამას ხელს უწყობდა თვით რუმინეთში შექმნილი მდგომარეობაც. ადრე ტყვეს რომ მოეხერხებინა ბანაკიდან გაქცევა, ის შორს მაინც ვერ წავიდოდა. მათთვის ასეთივე საშიში იყო ფაშისტური პროპაგანდის ოპიუმით მოშხამული მოსახლეობაც, რომელიც მზად იყო ჯალათთა მიერ დაწესებული ჯილდოს ფასად შეესრულებინა ასეთი დამამცირებელი სამსახური. ახლა კი რუმინეთის კომპარტიის მოქმედების გააქტიურების შედეგად გამორიცხული იყო მოსახლეობის წინააღმდეგობა.

კონსპირაციის მიზნით გვირაბების ასაყვანად მუშაობდა პარტიული აქტივისტთა პატარა ჯგუფი. ერთ დღეს სრულიად შემთხვევით ამ გვირაბს წააწყდა რომელიღაც ტყვე ჯარისკაცი, რომელმაც ნანახი ამხანაგებს გაანდო. ამბავმა „სიგურანცას“ (რუმინეთის საიდუმლო პოლიცია) ყურამდეც მიაღწია. დაიწყო ახალი რეპრესიები და დარბევები. „ბურდენებში“ (წყლით ამოვსებულ ორმოებში) ჩაყარეს რამოდენიმე ასეული კაცი. რომელთა შორის პარტიული ცენტრის ზოგიერთი წევრიც აღმოჩნდა. პარტიულმა ცენტრმა დროებით შეაჩერა თავისი საქმიანობა.

ამასობაში სულ სხვაგვარად განვითარდა მოვლენები რუმინეთში. საბჭოთა არმიის შენაერთემა გაანადგურეს მოწინააღმდეგის საარმიო ჯგუფი „სამხრეთ უკრაინა“, რითაც ამ რაიონში უკანასკნელი დასაყრდენი გამოეცალა ჰიტლერელებს და ანტონესკუს მთავრობას. ძლიერ დაიძაბა ქვეყნის შიგნით შიდაპოლიტიკური მდგომარეობა. ანტიფაშისტურმა განწყობამ თავი იჩინა მოსახლეობაში და არმიაში. კრიზისი გამწვავდა თვით რუმინეთის მართველ წრეებშიც, რომელთაც მიზნად დაისახეს ანტონესკუს მთავრობის თავიდან მოცილება. რუმინეთის კომპარტიამ ისარგებლა ამით და კავშირი დაამყარა ანტონესკუს მთავრობისადმი ოპოზიციურად განწყობილ ოფიცრებთან და მეფის სასახლის წრეებთან. იმისათვის, რომ სასახლის კარს და ბურჟუაზიას შეენარჩუნებია თავისი მდგომარეობა, ისინი დათანხმდნენ ანტონესკუს მთავრობის გადატრიალების გეგმას, რომელიც რუმინეთის კომპარტიამ შეუთავაზა. აჯანყება მიზნად ისახავდა ანტონესკუს ფაშისტური რეჟიმის დამხობას და რუმინეთის ჰიტლერული კოალიციიდან გამოსვლას.

1944 წლის 19-დან 22 აგვისტომდე მიმდინარეობდა აჯანყების საორგანიზაციო კომიტეტის სხდომები, სადაც აჯანყების დღედ დაინიშნა 26 აგვისტო.

რუმინეთის კომპარტიისათვის ცნობილი გახდა, რომ 23 აგვისტოს ანტონესკუ უნდა შეხვედროდა მეფე მიხაის, რათა მისთვის ეთხოვნა ქვეყნის „ყველა ძალების“ მობილიზაცია ომის გასაგრძელებლად. კომუნისტებმა მიიღეს გადაწყვეტილება, რათა ეს მომენტი გამოეყენებინათ ფაშისტი დიქტატორის დასაპატიმრებლად.

მეფის სასახლეში ფაშისტური მთავრობის მეთაური იონა ანტონესკუ და მისი მოადგილე მ. ანტონესკუ მთავრობის სხვა წევრებთან ერთად დააპატიმრეს. მეფე მიხაი და მასთან დაახლოვებული პირნი იძულებული იყვნენ ასეთ ნაბიჯზე წასულიყვნენ. რამდენადაც კარგად ესმოდათ რომ რუმინელი ხალხი მხარს უჭერდა საბჭოთა არმიის განმათავისუფლებელ მისიას. ფაშისტური რეჟიმი დაეცა. იმავე დღეს 23 საათსა და 30 წუთზე რუმინეთის რადიომ გამოაცხადა ანტონესკუს მთავრობის დამხობა, „ნაციონალური ერთობის“ მთავრობის შექმნა, და საბჭოთა მთავრობის მიერ შემოთავაზებული პირობების მიღება. მაგრამ ეს როდი მოასწავებდა აჯანყების დამთავრებას, აჯანყება ფაქტიურად ახლა იწყებოდა.

1944 წლის 24 აგვისტოს დილით გერმანელთა ავიაციამ სასტიკად დაბომბა ბუქარესტი და ვეებერთელა ძალები დაძრა აჯანყების სისხლში ჩასახშობად. ჰიტლერელებმა გადაწყვიტეს პირისაგან მიწისა აღეგავათ რუმინეთი და დედაბუდიანად ამოეხოცათ ყველა რუმინელი, რომ „რუმინელებს, როგორც ერს არსებობა შეეწყვიტათ“.

24 აგვისტოს, დილას სლობოზიის ტყვეთა ბანაკის კომენდატს იატაკვეშა პარტიულმა ცენტრმა მოსთხოვა დაუყოვნებლივ შეეიარაღებინათ სამხედრო ტყვეები ბანაკის დასაცავად. ბანაკის ადმინისტრაციამ უარყო ტყვეთა მოთხოვნა და აღუთქვა მათ, რომ რუმინეთის სარდლობა უზრუნველყოფდა ბანაკის ტყვეთა უშიშროებას.

პარტიულმა ცენტრმა შეკრიბა ოფიცრები და

განუმარტა შექმნილი მდგომარეობა. დამტკიცებულ იქნა. აჯანყების ხელმძღვანელი ცენტრი, რომელშიაც შევიდნენ პოლკოვნიკი ვ. ხაზანოვიჩი (საერთო ხელმძღვანელი), ი. კანაბიევსკი (შტაბის უფროსი), ჯგუფების მეთაურებად დაამტკიცეს ტრიფონ კობერიძე, დევი ნიჟარაძე, შიკინი, ეპიფანოვი, კორშუნოვი და სხვა, ხოლო გრიგოლ კუხალეიშვილს, შევჩენკოს და შამოვს პარტიულმა ცენტრმა დაავალა ეხელმძღვანელათ წითელარმიელთა აჯანყებისათვის ქ. კალაფატში.

1944 წლის 25 აგვისტოს, დილით, აჯანყებულთა ჯგუფმა, ოფიცერ ნოვიკოვის მეთაურობით, გაგლიჯა ეკლიანი მავთულხრათები და მიიჭრა იარაღის საწყობთან, განაიარაღა მისი დამცველები. შემდეგ გაანგრიეს ეს იარაღის საწყობი საიდანაც გამოიტანეს ტყვიამფრქვევები, ახეულობით შაშხანა, ხელყუმბარები და სხვ. ეს ისე უცებ მოხდა, რომ ბანაკის ადმინისტრაციამ ვერც კი მოასწრო განგაშის ატეხა — ისინი საბჭოთა ტყვე ოფიცრებმა განაიარაღეს. ამბოხებულებმა გატეხეს შტაბის სეიფები და თან წამოიღეს საიდუმლო დოკუმენტები, მათ შორის საიდუმლო პოლიციის „სივირანცას" მიერ შედგენილი 659 ტყვე ოფიცრის სია — საველე სამხედრო ტრიბუნალისათვის გადასაცემად, რომელთა შორისაც იატაკქვეშა პარტიული ცენტრის წევრებიც იყვნენ (შემდეგში ეს დოკუმენტები გადაეცა უკრაინის 2-ე ფრონტის 46-ე არმიის შტაბს).

25 აგვისტოს აჯანყების ცენტრმა ტყვე საბჭოთა ოფიცრებისაგან და წითელარმიელებისაგან დააკომპლექტა ოცეულები, ასეულები და ბატალიონები, რომელთაც სათავეში კომუნისტი მეთაურები ჩაუდგნენ. იმავე დღეს ქალაქში გაისმა მძლავრი რუსული „ურა". აჯანყებულთა ბანაკი ქალაქის ქუჩებისაკენ გაიჭრა. რკინიგზის სადგურში ყოფილმა ტყვეებმა იარაღით დატვირთული ვაგონი აღმოაჩინეს, რაც ახლად ფორმირებული ქვედანაყოფების შესაიარაღებლად გამოიყენეს. დღის ბოლომდე საბჭოთა ამბოხებულებმა გერმანელ-ფაშისტთა ათასზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი დახოცეს. ტყვე მეომრებს ახლა თვითონ აჰყავდათ ტყვეები. საღამოხათვის მათ 500-ზე მეტი ტყვე გერმანელი ჯარისკაცი შეუარეს თავიანთ ყოფილ ბარაკებში და წითელარმიელები დაუყენეს მათ ბადრაგად. ასეთივე გამარჯვებით დამთავრდა ქ. კალაფატის სამხედრო ტყვეთა აჯანყებაც, რომლის ერთ-ერთი ორგანიზატორი იყო გ. კუხალეიშვილი.

სამშობლომ ღირსეულად შეაფასა მტრის ღრმა ზურგში არალეგალური პარტიული ცენტრის მუშაობა. პარტიული ცენტრის წევრები იმავე დღეებში ჩარიცხულნი იქნენ საბჭოთა არმიის რიგებში თავიანთი სამხედრო წოდებებით.

ჩვენი სახელოვანი თანამემამულე გრიგოლ კუხალეიშვილი სარდლობამ აღადგინა თავის სამხედრო წოდებაში და დანიშნა მის მშობლიურ საქართველოში ადრე ფორმირებულ და შემდეგ რუმინეთში მოქმედ 46-ე არმიის ერთ-ერთი ასეულის მეთაურად, ხოლო პოლიტგანყოფილებამ შუამდგომლობა აღუძრა ზემდგომ პარტიულ ინსტანციაში აღედგინათ მისთვის პარტიული ბილეთი ძველი სტაჟით.

ლეიტენანტმა გრიგოლ კუხალეიშვილმა ბრძოლებით ჩაიყვანა თავისი ასეული ბუდაპეშტამდე და ვენამდე. ქვედანაყოფის უნარიანი მეთაურობისათვის და ამასთან ვაჟკაცობისა და მამაცობის გამოჩენისათვის სარდლობამ ის დააჯილდოვა „წითელი ვარსკვლავის" ორდენითა და მედლით „საბრძოლო დამსახურებისათვის".

1946 წელს, რუმინეთში ანტიფაშისტური მოძრაობას ერთ-ერთი თვალსაჩინო ხელმძღვანელი, გ. კუხალეიშვილი სამშობლოში დაბრუნდა და იმავე წლის 1 სექტემბერს კვლავ შეაღო მშობლიური უნივერსიტეტის კარი, საიდანაც ის მოხალისედ წავიდა ომის დაწყების პირველსავე დღეებში. 1948 წელს მან წარჩინების დიპლომით დაამთავრა იურიდიული ფაკულტეტი და აგერ 30 წელზე მეტია ემსახურება მართლსაჯულების საქმეს.

რუმინეთის ანტიფაშისტურ მოძრაობაში საბჭოთა ადამიანების მონაწილეობა და რუმინელ პატრიოტებთან ერთად დაღვრილი სისხლი ადუღაბებს ამ ხალხების ურყევ, მარადიულ მეგობრობას. რუმინეთის ტერიტორიაზე მოწყობილი ეს აჯანყება სახელოვან ეპიზოდად შევიდა ევროპის ხალხების ანტიფაშისტური მოძრაობის გმირულ მატიანეში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ივანე გიგინეიშვილი, გენადი ბურჭულაძე

# სასიქადულო მეცნიერი

იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების თვალსაჩინო წარმომადგენელს, ქართველურ და აფხაზურ-ადიღურ ენათა გამოჩენილ მკვლევარს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, პროფესორ ქეთევან ლომთაძეს დაბადების 70 და სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 45 წელი შეუსრულდა.

ქ. ლომთათიძე დაიბადა 1911 წ. 9 თებერვალს ჩოხატაურის რაიონის სოფ. ხიდისთავში, გლეხის ოჯახში; პირველდაწყებითი განათლება მიიღო ხიდისთავში შვიდწლიან შრომის სკოლაში. 1924 წ. კი გადმოვიდა თბილისის მე-8 შრომის სკოლაში. რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1926 წ.

1927 წ. ქ. ლომთათიძე ჩაირიცხა თბილისის უნივერსიტეტის ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტის ენათმეცნიერების დარგზე. რომელიც წარჩინებით დაასრულა 1931 წ.

ქ. ლომთათიძეს წილად ხვდა ბედნიერება ყოფილიყო ჯერ სტუდენტი, ხოლო შემდეგ — კოლეგა ქართული მეცნიერების ისეთი კორიფეებისა, როგორიც იყვნენ და არიან ივანე ჯავახიშვილი, სიმონ ჯანაშია, გიორგი ახვლედიანი, ვარლამ თოფურია, აკაკი შანიძე, არნოლდ ჩიქობავა.

უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე იწყებს ქ. ლომთათიძე აქტიურ მეცნიერულ მუშაობას. 1931—1932 წ. იგი საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ნაბეჭდ წიგნთა განყოფილების უმცროსი მეცნიერი თანამშრომელია, ხოლო 1932-34 წ. ამავე თანამდებობაზეა მაშინდელი ქართული დიდი საბჭოთა ენციკლოპედიის რედაქციაში.

ქ. ლომთათიძის მეცნიერული მოღვაწეობის დასაწყისი დაემთხვა ჩვენში ახალჩამოყალიბებული იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების გეგმაზომიერი, ინტენსიური მუშაობის გაშლას.

ცნობილია, რომ თბილისის უნივერსიტეტს „დაარსების პირველი დღითგანვე, თავის მიზნად და მოვალეობად, ქართულისა და ქართველურის გარდა, კავკასიური ენებისა და კულტურის, ისევე, როგორც მახლობელი აღმოსავლეთის მეცნიერული შესწავლა ჰქონდა დასახული".

ამიტომაც ქართველ ენათმეცნიერთა კვლევის სფეროში ქართველურ ენათა გარდა იმთავითვე მთის იბერიულ-კავკასიური ენებიც შემოვიდა, ასე, მაგალითად, ა. შანიძე იკვლევდა წოვათუშურს, ს. ჯანაშია — აფხაზურს, არნ. ჩიქობავა — ხუნძურს, ვ. თოფურია — ლაკურს.

ეს იყო პერიოდი ამ თაობის ენათმეცნიერთა არა მარტო მუხლჩაუმდგარი შრომისა, კავკასიოლოგიაში ადრე მოპოვებული შედეგების კრიტიკული გადახედვისა და ახლის მოპოვებისა, არამედ, იმავდროულად, სათანადო სამეცნიერო კადრების აღზრდისაც.

ამ მხრივ უდიდესი როლი შეასრულა არნ. ჩიქობავას თაოსნობით 1933 წ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩამოყალიბებულმა კავკასიურ ენათა კათედრამ (თავდაპირველად კავკასიურ და აღმოსავლურ ენათა კათედრად წოდებულმა) და 1936 წ. არნ, ჩიქობავასავე ინიციატივით შექმნილმა მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა განყოფილებამ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტში (მაშინდელ საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტში).

ქ. ლომთათიძე ერთი პირველთაგანი იყო, ვინც ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტე-

ტის ასპირანტურაში კავკასიური ენების (აფხაზურის) სპეციალობით. მან 1934-37 წლებში წარმატებით გაიარა ასპირანტურის სრული კურსი პროფ. ს. ჯანაშიას ხელმძღვანელობით. ასპირანტურის დამთავრებისთანავე, 1937 წლიდანვე, იგი ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის უმცროსი მეცნიერი თანამშრომელია; ამ დროიდან მოყოლებული დღემდე ქ. ლომთათიძე კითხულობს აფხაზური ენის კურსს (რომელიც მანამდე ებარა პროფ. ს. ჯანაშიას) თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

1938 წ. ქ. ლომთათიძემ წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „ძირითად დროთა წარმოებისათვის აფხაზურში“, ხოლო 1945 წ. — სადოქტორო დისერტაციაც; სადოქტორო დისერტაციად მეცნიერმა წარადგინა თავისი მონოგრაფია „აფხაზური ენის ტაპანთური დიალექტი“.

ეს იყო პირველი სადოქტორო დისერტაცია ჩვენში — დაცული მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა მასალაზე, ხოლო დისერტანტი — პირველი ქალი, რომელსაც წილად ხვდა პატივი საქართველოში სადოქტორო დისერტაციის დაცვისა ენათმეცნიერებაში.

ქ. ლომთათიძე 1940 წლიდან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტია, ხოლო 1952 წლიდან — პროფესორი.

1953-68 წ. ქეთევან ლომთათიძე საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორია. ამ წლებში დაიბეჭდა პროფ. არნ. ჩიქობავას ხელმძღვანელობით და საერთო რედაქციით III-VIII ტომები ქართველი ხალხის ეროვნული საუნჯის — რვატომიანი „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონისა“, რომლის მთავარი რედაქციის წევრი და VII ტომის ერთ-ერთი რედაქტორიც ქ. ლომთათიძე იყო. სწორედ ამისათვის მიენიჭა მას სხვა რედაქტორებთან ერთად 1971 წ. საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემია მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში.

ქ. ლომთათიძე იყო რედკოლეგიის თავმჯდომარე სამტომიანი აკადემიური რუსულ-ქართული ლექსიკონისა, რომელიც 1956-59 წ. გამოსცა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიამ. იგი იყო სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის მიერ 1967 წ. ქ. მოსკოვს გამოცემული იბერიულ-კავკასიური ენების (რომელიც წარმოადგენს სსრკ ხალხთა ენების IV ტომს) სარედაქციო კოლეგიის წევრი და თანარედაქტორი (ამ ტომშია მოთავსებული მისი ორი გამოკვლევა: „აფხაზური ენა“ და „აბაზური ენა“). მისივე რედაქტორობით გამოვიდა და გამოდის „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების“ ტომები. ქ. ლომთათიძე კავკასიოლოგთა საერთო-საკავშირო ორგანოს — „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წელიწდეულის“ — მთავარი რედაქტორის მოადგილეა.

ქ. ლომთათიძე, როგორც საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენი მუდმივი სახელმწიფო კომისიის წევრი, დიდ ყურადღებას აქცევს ქართული მეტყველების კულტურის ამაღლების, ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა მოწესრიგებისა და დაცვის სახელმწიფოებრივ საქმეს.

ქეთევან ლომთათიძე მუდმივი კონსულტანტია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის დ. გულიას სახ. აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტისა. მასთან საკონსულტაციოდ ჩამოდიან არა მარტო სპეციალისტები ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან, არამედ — უცხოელი ლინგვისტი-კავკასიოლოგები საფრანგეთიდან, ჰოლანდიიდან, ინგლისიდან, ამერიკის შეერთებული შტატებიდან.

ქ. ლომთათიძე დიდ დროსა და ენერგიას ახმარს ახალგაზრდა მეცნიერთა კადრების აღზრდას როგორც ჩვენი აკადემიისა და უნივერსიტეტისათვის, ისე საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკების სამეცნიერო თუ სასწავლო დაწესებულებებისათვის. სად არ ნახავთ მის აღზრდილებს — მოსკოვსა თუ ლენინგრადში, სოხუმსა თუ მაიკოპში, ჩერკესკსა თუ ყარაჩაევსკში... ქეთევან ლომთათიძის აღზრდილებს შორის 20 მეცნიერებათა კანდიდატი და სამი დოქტორია. და ამიტომაც მას მინიჭებული აქვს საქართველოს სსრ და აფხაზეთის ასსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდებანი.

1955 წ. ქ. ლომთათიძეს ირჩევენ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, ხოლო 1979 წ. — ნამდვილ წევრად.

ქ. ლომთათიძე სკკპ წევრია 1952 წლიდან. 1976 წლიდან იგი საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სარევიზიო კომისიის წევრი იყო, ხოლო 1981 წლიდან — საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატია.

ქ. ლომთათიძე არჩეული იყო სსრკ უმაღლესი საბჭოს IV და V, ასევე თბილისის მშრომელთა საქალაქო საბჭოს II, III და IV მოწვევათა დეპუტატად. 1955-62 წ. იგი სსრკ საპარლამენტო კომიტეტის წევრია. ქალბატონი ქეთევანი მონაწილეობდა მშვიდობის მომხრეთა II და IV საკავშირო კონფერენციების მუშაობაშიც.

პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ სათანადოდ დააფასეს ქ. ლომთათიძის სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობა. იგი დაჯილდოებულია ლენინის (1960 წ.), ოქტომბრის რევოლუციისა (1981 წ.) და საპატიო ნიშნის (1953 წ.) ორდენებით, ოთხი მედლითა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელებით (1961, 1965 წ.).

ქ. ლომთათიძის პირველი ნაშრომი „ნაშთები მესამე პირის ობიექტური პრეფიქსისა გურულ-

სა და აჭარულში“ ეყრდნობა ავტორისავე ადგილზე, საველე დიალექტოლოგიური მუშაობის შედეგად მოპოვებულ სათანადო მასალას. ახალგაზრდა მკვლევარმა ნათლად წარმოაჩინა ძველი ქართულისათვის დამახასიათებელი მოვლენების ნაშთები აღნიშნულ დიალექტთა ცოცხალს მეტყველებაში. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ქ. ლომთათიძე იყო მონაწილე 1935 წ. აკად. ი. ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით მოწყობილი ექსპედიციისა, რომელსაც მიზნად ქართველი ხალხის სოფლის მეურნეობის, შინამრეწველობისა და წვრილი ხელოსნობის ყველა დარგის შესახებ ცნობების შეგროვება ჰქონდა დასახული. ქ. ლომთათიძე მასალებს სწორედ აჭარაში კრებდა (ისიცაა აღსანიშნავი, რომ ექსპედიციის წევრები მასალას იწერდნენ თითოეული კუთხისათვის დამახასიათებელი ენობრივი თავისებურებების დაცვით).

იმ დროიდან დღემდე მკვლევარმა გამოაქვეყნა ასოცზე მეტი შრომა, ამათგან — სამი მონოგრაფია. ესენია: „აფხაზური ენის ტაპანთური დიალექტი“ (1944 წ.), „აშხარული დიალექტი და მისი ადგილი სხვა აფხაზურ-აბაზურ დიალექტებს შორის“ (1954 წ.), „აფხაზური და აბაზური ენების ისტორიულ-შედარებითი ანალიზი“ (1976 წ.).

ქ. ლომთათიძე აფხაზურსა და აბაზურ ენებს იკვლევს 1935 წლიდან; მრავალი წლის განმავლობაში სწავლობდა იგი ამ ენებს ადგილზე — დიალექტების, თქმებისა და კილოკავების მიხედვით. მას აღნიშნული ენები სოფელსოფელ აქვს ნაკვლევი; გათვალისწინებულია ამ ენათა მეტყველება ასაკობრივი თვალსაზრისითაც. ამიტომაცაა მის მიერ ჩაწერილი და გამოქვეყნებული გაბმული მეტყველების ნიმუშები მეტად ფასეული — იქ ფიქსირებული ენობრივი მოვლენები ხშირად თანამედროვე დიალექტებში არცაა ხოლმე შემონახული. ამდენად, ქ. ლომთათიძის მიერ ამ ორმოცდახუთიოდე წლის წინ ჩაწერილი ტექსტები დღეს აფხაზური ენის ისტორიული დოკუმენტაციაცაა.

აფხაზური ენის შესახებ პირველი მონოგრაფია ეკუთვნის ცნობილ კავკასიოლოგ პ. უსლარს. ოღონდ იგი მხოლოდ ერთ დიალექტს — ბზიფურს — ეყრდნობოდა. ქ. ლომთათიძემ გამოიკვლია აფხაზური ენის როგორც სამხრული დიალექტები (აბჟუური და ბზიფური), ასევე — ჩრდილოური (ტაპანთური და აშხარული); მკვლევარმა ცალკე აწარმოვა გაფანტვით მოსახლე აშხარელთა მეტყველებაზე დაკვირვება. ამ სახის კვლევა კი აუცილებელი წინაპირობაა უმწერლობო და ახალი დამწერლობის მქონე ენათა მეცნიერული შესწავლისა და მათი ნამდვილი ისტორიის დადგენისათვის.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ არც ერთი მთის იბერიულ-კავკასიური ენა ასეთი გამოწვლილვითი შესწავლის საგანი ჯერ არ გამხდარა.

ქ. ლომთათიძემ აფხაზური და აბაზური ენები გამოიკვლია როგორც სინქრონიული, ასევე დიაქრონიული თვალსაზრისით; არ არსებობს აფხაზური და აბაზური ენების ფონეტიკის, ფონოლოგიის, გრამატიკისა და ლექსიკის კერძობითი თუ ზოგადი საკითხი, რის შესახებაც მას გადამწყვეტი სიტყვა არ ეთქვას.

ჯერ კიდევ 1938 წ. გამოქვეყნებულ ნაშრომში „ძირითად დროთა წარმოებისათვის აფხაზურში“ მკვლევარმა ნათლად წარმოაჩინა, რომ აფხაზურში ზმნა — ეს მორფოლოგიის ღერძია: „აფხაზური ზმნა არის მთელი წინადადება“ და რომ იგი „იმდენად მორფოლოგიური კატეგორია არაა, რამდენადაც რთული სინტაქსური მთლიანობა, მთელი წინადადება“, ეს გასაგებიცაა, რადგან მისივე თქმით, „აფხაზურ ზმნაში შეიძლება მოცემული იყოს როგორც პირი, ისე ადგილი, დრო, ვითარება და სხვა“.

ამ ნაშრომიდან მოყოლებული ქ. ლომთათიძემ დაადგინა ან დააზუსტა აფხაზურ და აბაზურ ენათა ზმნისა თუ სახელის ისეთი კარდინალური საკითხები, როგორიცაა: სტატიკურობა და დინამიკურობა, ფინიტობა და ინფინიტობა, განსაზღვრულობა-განუსაზღვრელობა სახელებში, გარდამავლობისა და გვარის კატეგორიის საკითხები, რთულფუძიან ზმნათა აგებულება, ზმნის უარყოფით ფორმათა წარმოება და ბევრი სხვა.

ხუთიოდე წლის წინ დასტამბული მონოგრაფია „აფხაზური და აბაზური ენების ისტორიულ-შედარებითი ანალიზი“ ავტორს ჩაფიქრებული აქვს აფხაზურ და აბაზურ ენათა ისტორიულ-შედარებითი შესწავლის პირველ წიგნად, მეორეში უნდა შევიდეს ამ ენათა გრამატიკული წყობის საკითხები.

მონოგრაფიაში გამოწვლილვითი შესწავლის საგანია აფხაზური და აბაზური ენების ხმოვანთა სისტემა და მასში მომხდარი ფონეტიკური ცვლილებები, მახვილი, თანხმოვანთა სისტემა და მასში მოქმედი ფონეტიკური პროცესები. ცალკეა განხილული ბგერათკომპლექსები და აფხაზურ-აბაზურ ძირთა და ფორმანტთა ამოსავალი ტიპი.

ქ. ლომთათიძემ ნათლად აჩვენა, რომ აფხაზურისა და აბაზურ ენათა თანხმოვანთა სისტემა ამოსავალში ისეთივეა, როგორიც ბევრ სხვა იბერიულ-კავკასიურ ენაში. კერძოდ, ცალეულებს ქმნიან სონორები, წყვილეულებს — სპირანტები, ხოლო სამეულებს — ხშულები. დღევანდელი სირთულე ამ ენათა კონსონანტიზმისა მეორეულია — შედეგი გარკვეული ფონეტიკური პროცესებისა. ასეა წარ-

---

ივანე ბიგინეიშვილი,
გენადი ბურჭულაძე
სასიქადულო მეცნიერი

მოქმნილი, მაგალითად, ამ ენათა სპეციფიკური ფონემები — ლაბიალიზებული,ველარული, პალატალიზებული თუ სხვ...

ეს ნაშრომი სპეციალისტთა მიერ სამართლიანადაა აღიარებული არა მარტო როგორც დიდი მოვლენა აფხაზურ-ადიღურ ენათა შესწავლაში, არამედ მიჩნეულია საერთოდ იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების თვალსაჩინო მიღწევად. სწორედ ამ სახის გამოკვლევები განსაზღვრავენ დღეს იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების მაღალ დონესა და ავტორიტეტს.

მეტად საყურადღებოა აღნიშნულ მონოგრაფიაში წამოყენებული ზოგადი სახის დებულება: აფხაზურ-აბაზურში „ხმოვანს ცალკე ფონემური მნიშვნელობა არ ჰქონდა; იგი თანხმოვნის თანმხლები იყო“. იქვე ნაჩვენებია ხმოვნის, როგორც ფონემის ჩამოყალიბების გზაც. ასევე მეტად საინტერესოა ავტორის მიერ დადასტურებული სპონტანური ფონეტიკური პროცესის შედეგად მიღებული ახალი ფონემა (და არა მისი ვარიანტი), როცა მისსავე გვერდით შემონახულია ამოსავალი ფონემა.

აქ გამოთქმულ მოსაზრებებს პრინციპული მნიშვნელობა აქვს ზოგადენათმეცნიერული თვალსაზრისითაც. კერძოდ, თეორიული ფონოლოგიის რიგი პრობლემის გადასაწყვეტად. მაგალითად:

ინდოევროპულ ენათა ძირის მონოვოკალურ თეორიას, რომლის ფუძემდებელი ფ. სოსიურია, ამოწმებენ ხოლმე სწორედ აფხაზურ-ადიღურ ენათა სამყაროს მონაცემებით. მართალია, ფ. სოსიურის თეორია შემდგომ გარკვეულად დაზუსტდა: ფ. სოსიურის სონანტური კოეფიციენტები (სონანტურ კოეფიციენტებს ფ. სოსიური ეძახდა ინდოევროპულ ძირში არსებული ე ხმოვნის მომდევნო რომელსამე სონანტს) შეიცვალა ლარინგალური თეორიით (მაგ., ე. ბენვენისტთან), მაგრამ ძირითადი მაინც რჩება: მონოვოკალიზმი. ე. ბუნვენისტის აზრით, ამ ერთადერთ ე ხმოვანს ინდოევროპულში ლარინგალურ თანხმოვნებთან სხვადასხვა კომბინაციაში მოუცია მოკლე და გრძელი ხმოვნები. მაშასადამე, აქაც თავდაპირველად ხმოვანი თანხმოვნის თანმხლები გამოდის (რაკი იგი ამოსავალში ერთი უნდა ყოფილიყო.)

აქვე უნდა ითქვას ქ. ლომთათიძის ზოგადენათმეცნიერული ხასიათის ნაკვლევებზეც (იგი 1951-57 წლებში ენათმეცნიერების ინსტიტუტში განაგებდა ზოგადი ენათმეცნიერების განყოფილებას), რომლებიც, როგორც წესი, კონკრეტულ ენათა მასალის ანალიზზეა დაფუძნებული. ასეთებია: „ენის განვითარების კანონზომიერების შესახებ“, „ბგერათშესატყვისობათა საკითხისათვის უველაზე მცირე ენობრივი კოლექტივის მეტყველებაში“, „დიალექტთა გამოყოფის კრიტერიუმთა საკითხისათვის“, სახელთა განსაზღვრული ფორმის ისტორიიდან აბაზური ენის აშხარულ დიალექტში“ და სხვ.

აფხაზურ-ადიღურ ენათა სტრუქტურისა და ისტორიის კვლევა ქ. ლომთათიძისათვის არასოდეს ყოფილა თვითმიზანი. იგი იმავე თვლასაზრისზე დგას, რაც ჯერ კიდევ ამ ოთმოცდახუთი წლის წინ წამოაყენა დიდმა ივანე ჯავახიშვილმა.

„ქართულისა და ქართველურ ენათა მეცნიერულს კვლევა-ძიებასთან ერთად მთავარი ყურადღება ე. წ. კავკასიური ენების საფუძვლიანსა და გაღრმავებულს შესწავლას უნდა მიექცეს, თუნდაც იმიტომაც, რომ ამას უაღრესი მნიშვნელობა თვით ქართულის თავდაპირველი ბუნებისა და მერმინდელ ცვლილებათა გასაგებადაც აქვს. საქართველო უნდა ამ ენების კვლევა-ძიების უმთავრეს ცენტრად ვაქციოთ“.

ამიტომაა, რომ იმ მრავალრიცხოვან გამოკვლევებში, რომლებიც ქ. ლომთათიძემ ქართველურ ენათა ფონეტიკის, მორფოლოგიის, სინტაქსისა თუ ლექსიკის საკითხებს უძღვნა, ხშირია აფხაზურ-ადიღურ ენათა სათანადო მოვლენებთან პარალელები.

ნაშრომებში „ლ||რ-ს მონაცვლეობისათვის ქართველურ ენებში“, „წინაენისმიერ სპირანტთა უძველესი სისტემისათვის ქართველურ ენებში“, „ხშულ-ლაბიალურ კომპლექსთა შერწყმით მიღებული ბ ფ პ ქართველურ ენებში“ და სხვ. ქართულისა და ქართველური ენების ფონემატურ სტრუქტურაში მომხდარი ცვლილებანი გაანალიზებულია სხვა იბერიულ-კავკასიურ ენათა (განსაკუთრებით აფხაზურ-ადიღურ ენათა) სათანადო მასალის გათვალისწინებით. აქ მიღებულ დასკვნებს მნიშვნელობა აქვს არა მარტო კონკრეტულ ენათა ფონოლოგია-ფონეტიკის საკითხთა რკვევისას, არამედ საერთოდ — იბერიულ-კავკასიური ენების ფონოლოგია-ფონეტიკისათვის. მაგალითად:

ქართველურ ენათა უძველესი სისტემისათვის სპირანტთა რიგში ʒ-ს გვერდით ქ. ლომთათიძემ ზ-ც მეორეულად მიიჩნია: „ზ ბგერა ქართველურ ენებში უნდა გვქონდეს მხოლოდ მეორეული წარმოშობისა“ — სამართლიანად დაასკვნის მკვლევარი. იქვე იმავე საკითხს სვამს იგი სხვა იბერიულ-კავკასიური ენების მიმართაც.

მართლაც, ეს დასკვნა რეალურ ვითარებას უნდა შეესაბამებოდეს. მაგალითად, დაღესტნურ ენათა სინამდვილე ამას დაუჭერდა მხარს (რის ზოგ უდავო ფაქტზე მკვლევარი მიუთითებს კიდეც).

ასევე მეტად ფასეულია ქ. ლომთათიძის მიერ გამოვლენილი ქართველურ ენათა ზოგი ბ ფ პ მიღების გზაც — ისინი ხშულ-ლაბიალურ კომპლექსთა შერწყმით ყოფილა მიღებული: ბვ — ბ, ქვ — ფ, კვ — პ, ყვ — პ...
მკვლევარი ანალოგიურ პროცესზე მიუთითებს როგორც აფხაზურ-ადიღურ ენებში, ასევე — დაღესტნურ ენებში...

ქ. ლომთათიძის მიერ აფხაზური ენის გრამატიკული სტრუქტურის გარკვევამ ისიც ცხადყო, თუ რა პრინციპული მნიშვნელობა აქვს ამას იბერიულ-კავკასიურ ენებში რიგი საკითხის დასმისა თუ ახსნისათვის. ეს განსაკუთრებით წარმოჩნდა ქართველურ და აფხაზურ-ადიღურ ენათა ისტორიულ-გენეზისური საკითხების ურთიერთმიმართებათა კვლევისას. მხოლოდ რამდენიმე ნიმუში:

შრომაში „თბება ტიპის ზმნათა ისტორიისათვის ქართულში“ დადგენილია, რომ ამ რიგის ზმნები ქართულში ისტორიულად დინამიკური, უგვარო ზმნებია ისევე, როგორადაც გვაქვს დღეს სათანადო შემთხვევაში აფხაზურ-ადიღურ ენებში.

გამოკვლევაში „ზმნის ინფინიტური წარმოების კვალი ძველ ქართულში“ ნაჩვენებია, რომ ქართული ენის განვითარების უძველეს საფეხურზე უნდა გვქონოდა ინფინიტობა-ფინიტობის გარჩევა ისევე, როგორცაა დღეს აფხაზურ-აბაზურ ენებში. ინფინიტური წარმოების კვალი ჩანს ძველი ქართული ენის ზმნაში ჩართული სხვადასხვა საგარემოებო ნაწილაკების სახით. კვლევის ეს შედეგები დაედო საფუძვლად, მაგალითად, ფინიტობის ჩვენებას ლაკურ ზმნაში. მაშასადამე, კატეგორია, რომელიც ადრე ოდენ აფხაზურ-ადიღურ ენათა კუთვნილი ჩანდა, ქ. ლომთათიძის შრომათა წყალობით იბერიულ-კავკასიურ ენათა სხვა ჯგუფებშიც გამოვლინდა. რასაც არც თუ მცირე მნიშვნელობა აქვს იბერიულ-კავკასიურ ენათა ისტორიულ-შედარებითი მორფოლოგიის ამ კერძოობითი საკითხის კვლევისას.

სტატიაში „სუპლეტურ ზმნათა წარმოება-გამოყენების საერთო პრინციპი ქართულსა და უბიხურში“ გარკვეულია, რომ უბიხურსა და ძველ ქრთულში: ა) „...მხოლოდ ნომინატივის რიგის სახელთა (ე. ი. გარდაუვალი ზმნის სუბიექტის, გარდამავალი ზმნის უახლოესი ობიექტის) მრავლობითობის ასახვა ხდება მონაცვლე ფუძით“, გ) ნომინატივის რიგის სახელები ზმნას აუცილებლად ითანხმებენ მრ. რიცხვის სამსავე პირში.

ქართველურ და აფხაზურ-ადიღურ ენათა ურთიერთმიმართება სხვადასხვა ასპექტშია წარმოდგენილი შრომებში: „ბგერათა პროცესებისა და ბგერათა შესატყვისობების ზოგი საკითხი იბერიულ-კავკასიურ ენებში“. „პოტენციალისის კატეგორია ქართველურსა და აფხაზურ-ადიღურ ენებში“, „ქართულ-აფხაზური ბგერათფარდობიდან: ქართ. წ. აფხ. შ,“, და ბევრი სხვა.

ქ. ლომთათიძის ამ სახის გამოკვლევები იმისი ნათელი ნიმუშია, თუ როგორ უნდა ვიკვლიოთ იბერიულ-კავკასიურ ენათა ჯგუფთაშორისი მიმართებანი.

ასეთ მიმართებათა კვლევა კი შესაძლებელი გახდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც საფუძვლიანად იქნა შესწავლილი თვით ჯგუფებში შემავალი ენები. დღეს, როცა ქართველ კავკასიოლოგთა მიერ თითქმის ყველა იბერიულ-კავკასიური ენაა შესწავლილი, სხვა ჯგუფებს შორის მიმართებათა კვლევაც რეალურია.

ამ ოცდახუთზე მეტი წლის წინათ ჟურნალ „ვოპროსი იაზიკოზნანიე“-ს ფურცლებზე გამართულ დისკუსიაში იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების შესახებ ზოგმა მკვლევარმა იბერიულ-კავკასიურ ენათა ნათესაობა სარწმუნოდ არ მიიჩნია. ამ ენათა ნათესაობისა და იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების პრინციპების ერთ-ერთი დამცველი მაშინ ქეთევან ლომთათიძე იყო. მან სტატიაში „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების ზოგი საკითხი“ ნათლად აჩვენა, რომ იბერიულ-კავკასიურ ენათა ნათესაობა რეალობაა იმ მუშაობის შედეგად, რაც ჩატარდა ქართველურ, აფხაზურ-ადიღურ, ნახურ და დაღესტნურ ენათა მასალის მიხედვით. მართლაც, კვლევის შემდგომმა წლებმა მეცნიერულად დასაბუთებული ეს თვალსაზრისი კიდევ ერთხელ დაადასტურეს.

და ბოლოს, არ შეიძლება არ აღინიშნოს ქ. ლომთათიძე როგორც ლექტორი.

ამ წერილის ავტორთაგან ერთ-ერთს ბედნიერება ჰქონდა ყოფილიყო პროფ. ქ. ლომთათიძის სტუდენტი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის კავკასიურ ენათა განყოფილებაზე. ქ. ლომთათიძე აფხაზური ენის კურსს გვიკითხავდა ორი სემესტრის განმავლობაში და ჩვენდა შეუმჩნევლად ისე შევყავდით აფხაზური ენის სამყაროში, რომ ვერც კი ვამჩნევდით, თუ რა რთულ ენობრივ ფენომენთან გვქონდა საქმე (სირთულეს მხოლოდ ზოგი სპეციფიკური აფხაზური ბგერის წარმოთქმისას თუ ვგრძნობდით); ამაში იყო ლექტორის ოსტატობა — რთული საკითხების მარტივად და გასაგებად გადმოცემა. დღეს, როცა ამის შესახებ ვფიქრობ, ცხადი ხდება, რომ ქალბატონი ქეთევანი ჩვენთან ამყარებდა კონტაქტს არ იმიტომ როგორც მის მსმენელებთან, არამედ — ჩვენს, სტუდენტების ცოდნასთანაც.

1975 წლიდან ქ. ლომთათიძე კვლავ უდგას სათავეში ენათმეცნიერების ინსტიტუტს. იმ დიდ ამოცანათა განხორციელებაში, რაც ენათმეცნიერების ინსტიტუტის კოლექტივს ეკისრება დღეს, თვალნათლივ ჩანს, და, უეჭველია, მომავალში გაათკეცებული ძალით გამოჩნდება ქეთევან ლომთათიძის დიდი მეცნიერულ-ორგანიზატორული როლი და ასევე დიდი ნიჭი და ფართო ენათმეცნიერული ერუდიცია: ჩვენს იუბილარს „ძალი შესწევს ქადილსა“. იგი თავისი შემოქმედებითი ნიჭიერებისა და ინტელექტუალურ შესაძლებლობათა გაფურჩქვნის ხანაშია და, ბუნებრივია, ქართული მეცნიერული საზოგადოებრიობა მისგან ახალ გამარჯვებებს და ახალ წარმატებებს მოელის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლალი ავალიანი

# «შუბლმთვარიანი»

თამაზ ბიბილური პოეტური პროზის ოსტატია. პოეტურია მისი სტილი სხარტი დიალოგებით დაყურსულ მომცრო ჩანახატებში („მყუდროზე“, „დამშვიდობება“), „ეპიკური სიდარბაისლით“ ალსავსე ვრცელ მოთხრობასა და რომანში („ჩივილი, „ჟამი კითხულისა“). პროზის პოეტურობას მრავალი კომპონენტის ერთობლიობა განაპირობებს (რიტმულობა, მუსიკალობა, ხატოვანი და ემოციური ენა, ამაღლებული განწყობილება, პოეტური სიუჟეტი და ა. შ.), და, რაღა თქმა უნდა, თამაზ ბიბილურის სტილის პოეტურობაც განსაკუთრებით მაშინ მჟღავნდება, როცა მის თხზულებებში ზემოხსენებულ ნიშან-თვისებათაგან რამდენიმეა წარმოჩენილი („ყველაწმინდა“, „ნილაბი“, „ნისლაური“ და სხვ.).

თუ ვირწმუნებთ სომერსეტ მოემის სიტყვებს, „გამძლეა ის, რაც პოეტურია“, უნდა ვიწამოთ თამაზ ბიბილურის მოთხრობის „მთვარის შვილის“ განსაკუთრებული ცხოველმოსილება.

„პოეტურია“ მოთხრობის თემა — ის პოეტს ეხება, ავტორი გადმოგვცემს ოდინდელ კონფლიქტს ხელოვანსა და მარტივ პრაგმატიკოსს შორის, პოეტურია თვით სათაურიც მოთხრობისა ის ამთავითვე მიგვანიშნებს ამაღლებულთან თანაზიარობას.

ქართველი ხალხის შეგნებაში „მთვარის შვილობას“ უძველესი მითოლოგიური ფესვები დაეძებნება. სწორედ ამ ფესვებზეა ამოზრდილი თამაზ ბიბილურის მოთხრობაც, რომელშიც თანამედროვეობის შესატყვისად ტრანსფორმირებული მთვარე კვლავ ინარჩუნებს იდუმალ ძალას, ყოველ შემთხვევაში — პოეტებისათვის მაინც. ამაზე ქვემოთ უფრო დაწვრილებით მომიხდება საუბარი, აქ კი მხოლოდ იმის გახსენებით დავკმაყოფილდები, რომ „ქართველი ხალხის აზროვნებაში წმინდა გიორგის ძველი წარმართობისდროინდელი ქართველების მთავარი ღვთაების, მთვარის ადგილი უკავია“ (ივანე ჯავახიშვილი) და, რომ თამაზ ბიბილურის მთვარის შვილს გიორგი ჰქვია.

ამაღლებულთან მდაბალი მოკალათებულა, კეთილის გვერდით ბოროტება ბუდობს, რთულის გვერდით — მარტივი; ერთად სახლობენ მშვენიერება და სიმახინჯე, ცისკენ მომზირალი და მიწაში თავჩარგული... ასე იყო ოდითგანვე და ასეც იქნება.

„ვარდთა და ნეხვთა ვინათგან მზე სწორად მოეფინების“ განგებამ ღრჯუ, ბოროტ და მარტივ კაცს შვილად იდუმალებასთან წილნაყარი, „სიფრიფანა, ლილისფერ თოვლზე ენძელასავით ამოსული“ ბიჭი მოუვლინა.

ამგვარი კონტრასტულობა იშვიათ სიმკვეთრეს სძენს მამა-შვილის ოსტატურად გამოკვეთილ სახეებს.

მამას — გოროზ, უჯიათ მიზანტროპს, რომელსაც მოყვასისათვის ხელის გამართვა კი არა ტკბილი სიტყვაც არ ემეტება, სოფელიც არ წყალობს: „კაცს ქვეყნიერება არ უყვარდა ...სოფლის ხათრი არ ჰქონდა, სოფელი არ სჭირდებოდა და არც სოფელს სჭირდებოდა იგი“. მამა მიწის კაცია, დილიდან მზის ჩასვლამდე ვენახში ტრიალებს, მაგრამ ეს მუხლჩაუხრელი ჯაფა ოდენ პრაქტიკულ მიზნებს ემსახურება. შრომა-გარჯა მას ვერ ჰგვრის სიამესა და კმაყოფილებას, მხოლოდ წვალებად, სატანჯველად წარმოუდგება. დღენიადაგ ვენახში მომუშავეს ქართველი კაცის სათაყვანებელი ვაზის სიყვარულიც არ დაჰყოლია, არც ღვინოს წყალობს მაინცდამაინც: ეგ არის მხოლოდ, რომ ვახშამზე ერთ ბოთლს დალევს, არც მეტს, არც ნაკლებს („ერთ ბოთლზე მეტს, იქვე ქვევრიც რომ ყოფილიყო მოხდილი, კაცი პირს არ დააკარებდა“).

მისთვის ყველაფერ ამას — მიწას, ვაზს ღვი-

ნოს — პრაქტიკული, უტილიტარული დანიშნულება აქვს. მისებრი ყოფილან მამა-პაპანიც: „კაცის მამაც უჯიათი და კერპი ყოფილა, კაცის პაპაც შვილის და შვილიშვილის მინამგვანი“.

გლეხს ერთადერთი სურვილი აქვს — ვაჟი თავის ორეულად, ეგულებოდეს: მაშინ ამ უინტერესო ქვეყნიდან, სადაც მთელი ცხოვრება შიშში გაატარა, კაცი დამშვიდებული წავიდოდა და ყველაფერს, რისთვისაც მზის ამოსვლიდან მზის ჩასვლამდე ირჯებოდა, ბიჭს — იმ თავის ორეულს დაუტოვებდა, მაგრამ ბიჭი არ იყო ორეული“, სწორედ აქ ისახება მამა-შვილის კონფლიქტის სათავე — „კაცს ეშინოდა ბიჭისა, იმიტომ რომ ბიჭი უცხო იყო, იზრდებოდა და უფრო და უფრო უცხო ხდებოდა“

შვილი — მამის სრული ანტიპოდი — კაცს გაუმხელელი, მტანჯველი გრძნობით უყვარს: „იყო ამქვეყნად ერთი ვინმე, რომელიც ხელადებით მეფობდა კაცზე. ის მეფე ბიჭი იყო. მაგრამ ეს არავინ იცოდა. ეს არ იცოდა ბიჭმა. ეს არ იცოდა სოფელმა. ეს არ იცოდა თვითონ კაცმაც“.

მამამ ვერ მიაღწია საწადელს, ვერ შექმნა ბიჭი თავის სახედ და ხატად, ვერ დაეპატრონა მის ნაოცნებარს, მის ფიქრს („კაცს სურდა გაეგო, — რაზე ფიქრობდა ბიჭი, ეშინოდა ამ ფიქრისა“...), და, მის უცხოობაში საბოლოოდ დარწმუნებულმა, ხელი აღმართა შვილზე. აქამომდე კაცს არასოდეს გაურტყამს ბიჭისათვის, რომელმაც, ღირსებაშელახულმა და შეურაცხყოფილმა, უყოყმანოდ ზურგი შეაქცია მას.

უეცარი ელდისაგან შეძრწუნებული კაცი ჯერ, ანგარიშმიუცემლად, წალდით ხელში ვაზს ღაერია და, რასაც მისწვდა, აჩეხა (ვაზი ხომ მხოლოდ ქონება იყო მისთვის, ბიჭისთვის რომ უნდა დაეტოვებინა); შემდეგ კი, ძეხორციელისაგან მოშორებულმა, აქვითინებულმა კაცმა პირველად გაუმხილა გულისხნადები საკუთარ თავს: „კაცი ტიროდა, სოფელი შორს იყო და კაცს არ ეშინოდა ცრემლებისა.

— ყველაფერი შენთვის მინდოდა... შენ არაფერი არ გინდა“...

მოთხრობის ფინალში კაცის „გაადამიანურების“ მოწმენი ვხდებით: „ახლა დედამიწა გადაიქცა უკაცრიელ, გადამწვარ პლანეტად, სადაც მარტო ერთი გზა დარჩა. გზაზე მიდიოდა ის თავჩაღუნული ბიჭი და, თუ კაცი დროზე არ დაეწეოდა, სრულიად მარტო დარჩებოდა ამ უკაცრიელ პლანეტაზე“.

შვილის სიყვარულმა და სიმარტოვის შიშმა აიძულა მამა დაეთრგუნა უჯიათი სიკერპე და უდანაშაულო შვილისათვის პატიება ეთხოვა, ამაზე მწერალი მხოლოდ მიგვანიშნებს, მაგრამ ეს მინიშნებაც საკმარისია იმისათვის, რომ მკითხველში აღძრას თანალმობა კაცის მიმართ.

„მთვარის შვილში“ ერთმანეთს ენაცვლება მაგრამ საბოლოოდ ჰარმონიულ მთლიანობაში წარმოგვიდგება თხრობის ორი განსხვავებული მანერა: ერთის მხრით — რომანტიკუ[illegible]ლებული, მეორეს მხრით — ყოფ[illegible]ბით აღსავსე, თითქმის ნატურალისტური. პირველი მთვარის შვილის (ზოგადად — პოეტის) წილხვედრია, მეორე მამამისის — მიწის კაცისა

„მთვარის ავსების ღამეს ბიჭი საკუთარ თავს აღარ ეკუთვნოდა. მთელ მის არსებას თითქოს იდუმალი ძალა, სხვა სამყაროდან ჩამოსული სული განაგებდა. ბიჭს ეშინოდა იმ სულისა, მაგრამ ეს იმგვარი შიში იყო, რომელიც სხეულს საამო ნეტარებით უვსებდა. ამგვარ ღამეს ბიჭი ვეღარასოდეს ივიწყებდა, მაგრამ არც არავის უმხელდა, ყველასაგან განრიდებული მიეცემოდა უსაზღვრო სამყაროსთან შერწყმის ვნებიან ექსტაზს და მოუთმენლად ელოდა მთვარის ამოსვლას“.

მამის სახის წარმოსაჩენად სულ სხვა სტილია მოხმობილი: „შუა სოფელში უსალმოდ და პირქუშად ჩამოივლიდა დ წყაროსთან მივიდოდა.

წყაროსთან შეგროვილი ხალხი ერთბაშად გვერდზე მიდგებოდა. კოკაც რომ ჰქონოდათ შედგმული, კოკასაც გვერდზე გადადგამდნენ და გზას უტევდნენ, ის მაინც ხმას არავის გასცემდა, საბოდიშოდ თავს არ გაიხდიდა, წყაროსთან მივიდოდა და მუჭას შეუშვერდა. პირს დიდხან, გულმოდგინეთ, ფშვინვით, ხველებ-ხველებით დაღანძლვით იბანდა. ნავში აპურჭყებდა. თან შორიახლოს მდგარ თვალგაშტერებულ ხალხს უჭვრეტდა. და მართალია, შიში არა ჰქონდა, — ვინმე რამეს შემომბედავსო, მაინც გამომწვევად მიიხედ-მოიხედავდა, სვენებ-სვენებით რამოდენიმე პეშვ წყალს დალევდა, რაღაცას ჩაილაპარაკებდა და შინისაკენ გასწევდა.

მიდიოდა, მიაცილებდა კაცების დუმილი და დედაკაცების ჩუმი წყევლა“.

მსგავსი მაგალითების მოტანა მრავლად შეიძლება, მაგრამ ეს ვიკმაროთ; მით უმეტეს, რომ თხრობის ამ ორ, თითქოსდა განსხვავებულ მანერას აერთიანებს ავტორის რეალისტური ხედვა, ნათელი და სადა სტილი. ეს ძნელად მისაღწევი სისადავე მოთხრობის სიმბოლიკას ბუნებრივ, ნათელი ფერებით აღსავსე ფონს უქმნის.

„მიწის კაცის“ უკიდურესი შეჭირვების ჟამს ავტორი ღალატობს (უფრო სწორად, შეგნებულად უარყოფს) ზემოხსენებულ ხერხს და შესანიშნავ „მხედველობით ხატს“ ქმნის გიორგის მამის უბედურების გადმოსაცემად (ტანჯვა ხომ განწმენდას, კათარსისს იწვევს და კაციც ამ შემთხვევაში „ღირსია“ ამაღლებული სტილისა):

ბიჭის მიერ მიტოვებული „მამა უცებ ძრწოლამ აიტანა უცებ თითქოს ერთი მუჭა გახდა და ასე, დაჩიავებული, ლოდზე ჩამოჯდა, ამ წუთში ქვეყნიერება თვალშეუდგამი, ბნელი ტაძარი

გაბდა, სადაც ცოდვილმა ერთადერთი სანთელი ჩააქრო, რომელიც მის წინ მკრთალად ანათებდა.

ტაძარში წყვდიადი ჩამოდგა“.

ეს თავისთავად ჩინებული მეტაფორა ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსის რემინისცენციად მესახება (ვპოვე ტაძარი შესაფარი, უდაბნოდ მდგარი; მუნ ენთო მარად უქრობელი წმინდა ლამპარი; ...განქრა ტაძარი — და უდაბნო ჩემდა მდუმარებს... ...დამშთა მე მხოლოდ მის ლამპრისგან ცეცხლი დამქრალი!“), რაც ბუნებრივია, სრულიადაც არ ბღალავს მის ღირსებას.

მამის ერთადერთი სიამე და სიხარული, მისი „წმინდა ლამპარი“ — მისი ვაჟია.

„ბიჭი პოეტი იყო. მართალი რომ ითქვას, მერე უნდა გამხდარიყო პოეტი“.

თამაზ ბიბილურისათვის პოეტობა პროფესია კი არა, ზეგარდმო ნიჭია. ის კარგად განასხვავებს პოეტსა და ლექსების მწერალს. გავიხსენოთ მისივე მოთხრობიდან — „საწყალი დედაბრისასა“ — ბერიკებს მინამგვანი გოგნიაურების შუათანა ძმა: „შუათანა, სულ ჩონგური რომ ეჭირა და მღეროდა, აქ არის, ქალაქში და ლექსებს წერს“ (პოეტიაო, ამას არ ამბობს ავტორი!)

ბიჭი არა მხოლოდ მამისაგან, თანასოფლელებისგანაც გამოირჩევა; ხალხი მას სულეთიდან გამოგზავნილს ამსგავსებს.

მამის სამყარო ბიჭისათვის მოსაწყენი და უინტერესოა. ბიჭსა და კაცს შორის უხილავი ზღვარია და ამ ზღვარის გადაბიჯება მამას არ ძალუძს. ბიჭისათვის კი ნათელია თავკერძა მამის საზრუნავი; ნათელია, მაგრამ მიუღებელი.

ბიჭი უსიტყვოდ მორჩილებს მამას, უდრტვინველად იხდის ყოველდღიურობის ვალს — მზის ამოსვლიდან მზის ჩასვლამდე თავაუღებლად მუშაობს. მამაც, მუდამჟამ მის ფიქრზე „ჩასაფრებული“, ოცნებაში დანთქმულ ბიჭს განგებ ახალ-ახალ საქმეს გამოუჩენს ხოლმე.

ბიჭს ეცოდება უნდო და გზააბნეული, სულით ღატაკი მამა, ამიტომაც მორჩილებს უსიტყვოდ. მაგრამ დადგა ბავშობასთან დამშვიდობების დროც, ის დრო, როცა ბიჭს თავისი ნამდვილი არსება უშიშრად უნდა დაენახვებინა ყველასათვის.

„ბიჭში ღვივდებოდა მორჩილებიდან გამოსვლის გრძნობა, მამისადმი სიბრალული მტრობით ეცვლებოდა და ეშინოდა ამგვარი მტრობისა. მან იცოდა, რომ ეს მიუტევებელი მტრობა მალე გაუვლიდა, მაგრამ მაინც ეშინოდა ამ დამამცირებელი გრძნობისა“...

მამას კი მხოლოდ ის სურს, რომ შვილი მას თუ არა, სხვა, თავის თანატოლ ბიჭებს მაინც ჰგავდეს; რომ ჩრდილში მყოფს, ნაზს და უმწეოს, არავინ გაჰკრას მუჯლუგუნი, არავინ გაუსწროს წინ. მამა შიშობს შლეგად, მთვარეულად არ მიიჩნიონ მისი შვილი. მაგრამ ის კი არ უწყის უგუნურმა, რომ სიხარული მართებს რამეთუ ბიჭის ცხოვრება სხვა სამყაროდან არის ნაკურთხი. მისი შვილი გიორგი მთვარის რჩეულია, მთვარის შვილია.

მთვარე, რთული სახე-სიმბოლო, ერთის მხრით, ქართული ფოლკლორული წარმოდგენებით არის ნასაზრდოები, მეორეს მხრით კი ესთეტიკურ ფენომენად წარმოგვიდგება.

მთვარე ხომ ამაღლებულის კატეგორიას განეკუთვნება.

ამაღლებულზე კანტის თვალსაზრისის განმარტებისას („ამაღლებული შეიძლება ეწოდოს ბუნების გრანდიოზულ საგნებს თუ მოვლენებს“). ბაჩანა ბრეგვაძეს მოხმობილი აქვს ამერიკელი მწერლისა და ფილოსოფოსის რალფ ემერსონის სიტყვები: „კაცმა შეიძლება იფიქროს, რომ ატმოსფერო იმიტომაა გამჭვირვალე, რათა, ციური მნათობების სახით, ადამიანს წარმოუჩინოს ამაღლებულის მარადიული პრეზენცია... მშვენიერების ეს მოციქულნი ყოველ ღამე გვევლინებიან და თავიანთი გრძნეული ღიმილით აცისკროვნებენ სამყაროს“ (ბ. ბრეგვაძე, „ფსევდო-ლონგინე და მისი ტრაქტატი“).

ყოველ ღამეს, მშვენიერებით ტკბობისათვის გაჩენილი ბიჭი როგორც მხრებიდან მძიმე ტვირთს, ისე ჩამოიხსნის ყოველდღიურობას და მთვარესთან შეხვედრას ეშურება.

ავტორი განგვაცდევინებს ზაფხულის ღამის ექსტაზს და, გოეთეს კლასიფიკაციას თუ მოვიშველიებთ, „თბილი“ ფერების (ყვითელი, ნარინჯი, წითელი) ოსტატური შეხამებით მთვარის ამოსვლის თითქოსდა ფერწერულ ტილოს ქმნის: „ქედის წვერს უკვე სიყვითლე მოსდებოდა, მიმქრალი სიყვითლე. ეს დასაწყისი იყო მთვარის ამობრძანებისა. მერე ქედის თავი ნელ-ნელა უფრო ყვითლდებოდა, სიყვითლე ოქროს ფერში გადადიოდა, ბოლოს ოქროს ფერი — ნაღვერდლის ფერში და სისხლივით წითელი, ცეცხლმოდებული ფარდის წინ მშვიდად გამოდიოდა მთვარე“ (ეს პასაჟი კიდევ ერთხელ მიგვანიშნებს ავტორის უნარს დასამახსოვრებელი „მხედველობითი ხატების“ შექმნისა).

მშვენიერებასთან ზიარება „კი არ თრგუნავს ადამიანს, არამედ ამაღლებს, სამყაროს გრანდიოზულობის თანამოზიარედ აქცევსა და საკუთარი ბუნების ზნეობრივი სიდიადის შეგნებითა და თვითპატივისცემის გრძნობით გამსჭვალავს მთელ მის არსებას“ (ბ. ბრეგვაძე, დასახელებული ნაშრომი).

გავიხსენოთ, რომ „თვითპატივისცემის გრძნობა“ მსჭვალავს განთიადისწინა დიად სიჩუმეს ზიარებულ ბიჭსაც: „ბიჭი იდგა და სიჩუმეს უსმენდა. მიხვდა, რომ თურმე სიჩუმის მოსმენაც შეიძლებოდა. ეს იყო განთიადისწინარე სიჩუმე და გაახსენდა დიდედას ნათქვამი: განთიადის წინ ერთი პირობა მდინარესაც ჩაეძინებაო.

...და ამ სიჩუმეში ბიჭს უცებ გაუგებარი სიამაყე დაეუფლა“.

ამიტომაც არის ასე სანუკვარი ბიჭისათვის მთვარის მარადიული მშვენება და იდუმალებით დამუხტული ღამე. მთვარე ბიჭს უმახვილებს მშვენიერების შეცნობის უნარს, აზიარებს ბუნების რიტმებს, გამოკვეთს მის ნამდვილს მეობას.

„ბიჭმა იცოდა, რომ იქ, მთვარეზე ეხლახანს კაცი იყო, მაგრამ მთვარე ამით არც იდუმალებას კარგავდა და არც მქრალ სილამაზეს. ბიჭი მონუსხულიყო მისი ჭვრეტით, როგორც მონუსხულია ხოლმე მაყურებელი თეატრისა, რომელმაც კარგად იცის, რომ წყვდიადში გახვეულ სცენაზე არც ნამდვილი მთვარე ამოდის და არც ნამდვილი ხეები ჰფენენ ზაფხულის ღამის სიზმარეულ ჩრდილებს. იცის და მაინც ელის იმ წყვდიადში განათებულ სასწაულს. ბიჭისათვისაც ამღამინდელი მთვარე არ იყო ნამდვილი მთვარე და არც ხეები — ნამდვილი ხეები. ყველაფერი თითქოს შეთხზული იყო, ნამდვილზე უფრო ლამაზად, შორეულად და მიუწვდომლად.

...და რასაც ყველაზე უფრო ელტვოდა ბიჭი, რასაც ვერაფრით ვერ შელეოდა, ეს იყო ფიქრი, მთვარის ფიქრი.

...მთვარის ფიქრი სულ სხვა იყო, ისეთივე იდუმალი ფერისა, როგორც თვითონ მთვარე, ისეთივე ჩაბინდული ჩრდილები, ისეთივე გულუბრყვილო და წარმავალი, როგორც მთვარიანი ღამე“.

თამაზ ბიბილური გადმოგვცემს ბიჭის პოეტად ჩამოყალიბების პროცესს; მიგვანიშნებს მასზე, რამაც გიორგის ხელოვანის სული ჩაუდგა („ბიჭმა ჯერ არ იცოდა, მასთან დარჩებოდა ეს ღამე, როგორც დიდი რამ საიდუმლო, თუ ხვალვე ვინმეს გაუმხელდა, ვინმეს დაუხატავდა“). ბიჭი ჯერ არ არის პოეტი, მაგრამ პოეტურად აღიქვამს ისეთ „პროზაულ“ ამბებს, როგორიცაა ღამის მატარებლის ჩავლა ანდა ნაქარი მსხლების ჩამოცვენა ბაღში.

„შორიდან ისე გამოჩნდებოდა მატარებლის გავლა, თითქოს ველი უხილავ ძაფზე აკინძულმა ციცინათელებმა გადაკვეთესო. ბიჭის ხსოვნიდან წამით გამოკრთა ეს ნაცნობი სურათი — ჩაბნელებულ ველზე ციცინათელების გადარბენა. მაგრამ ეხლა ციცინათელების შორიდან დანახვა არ უნდოდა. სხვა რამ მოუნდა — იმ მატარებელთან ახლოს მისვლა. ... ბიჭის გულში დარჩებოდა ჩავლილი მატარებლის პატარა სევდა“.

ზემოხსენებულ პასაჟში, რომელიც ავტორის პოეტური ხედვის ჩინებული გამოხატულებაა. მოულოდნელი შედარების გარდა (მატარებლის ჩავლა ჩაბნელებულ ველზე — უხილავ ძაფზე აკინძული ციცინათელების გადაფრენა), ჩემი ყურადღება მიიპყრო „ჩავლილი მატარებლის პატარა სევდამ“, რომელიც ალბათ ყველა ჩვენთაგანს გამოუცდია. ამ ფრაზამ ჩემში ერთი ფრანგი სიმბოლისტი პოეტის საოცარი ლექსის სათაურის „აგვისტოს პატარა უბედურების“ ასოციაცია გამოიწვია; ლექსისა, რომელიც ბეღურა-ჩიტის დაღუპვაზეა დაწერილი.

ღამის მდუმარებაში დარხეული რიტმების მხატვრული ფიქსაციისათვის ავტორი თითქოსდა მიმართავს მუსიკისა და სიტყვის სინთეზს:

„ხევიდან ნიავი წამოვიდა. იქვე, ბაღჩაში ერთი ნაქარი მსხალი ჩამოაგდო. მერე ორი ჩამოვარდა ზედიზედ. ბიჭს ბევრჯერ ენახა დილაადრიან ბალახზე მოფენილი მსხლები, მაგრამ არასოდეს მოესმინა, როგორ ცვიოდა ეს მსხლები მიწაზე და როგორ ისმოდა ეს დაფდაფი ღამის სიჩუმეში. კვლავ წამოვიდა ნიავი და კვლავ ჩამოცვივდა მსხლები. თითქოს ვიღაცა დოლზე უკრავდა მონოტონურ რიტმებს. რიტმი... სიჩუმე... კარგი ხნის სიჩუმე. რიტმი — ერთი, ორი, სამი... ისევ სიჩუმე... ბოლოს ქარმა ჩაიარა და ყველაფერს კვლავ დუმილი დაეუფლა“.

ამაღლებულის ჭვრეტამ, მის საფუძველზე აღძრულმა თვითპატივისცემის გრძნობამ და სიამაყემ დათრგუნა ბიჭის უსაფუძვლო შიში — ღამეული ტყისა და სასაფლაოს მიმართ. ასე გამოეთხოვა ბიჭი ბავშვობას. სასაფლაოსთან შემოფეთებული ბოხოხიანი, ბანჯგვლიან ქურქიანი არსება ჩვეულებრივი მეღორე გამოდგა და ეს იმ ძველი ზღაპრების განქარვებაა, ბალღობისას ძრწოლას რომ გვრიდა ხოლმე. ბიჭმა დასძლია მამის შიშიც და მოიპოვა პიროვნული თავისუფლება.

ნატიფი სულის გიორგიმ, რაღა თქმა უნდა, შეუნდო უბირ მამას. ამაზე მეტყველებს მოთხრობის ფინალი:

„-ეხლა რა ვქნათ? — თქვა კაცმა.

— ჯერ ქოხი დავდგათ, — უპასუხა ბიჭმა.

ისინი ზურგშექცევით იხსდნენ“.

ეს სურათი გარკვეული აზრით სიმბოლურია. აქვე ავღნიშნავ, რომ მთვარის შვილისა და მიწის კაცის შერიგება არ ეწინააღმდეგება პოეზიის ტრადიციულ ქართულ გაგებას:

მე ცა მნიშნავს და ერი მზრდის,
მიწიერი ზეციერსა...“
„ხან მიწისა ვარ, ხან ცისა...

ილიასა და აკაკის პოეტურ სტრიქონებს კიდევ ერთ გამონათქვამს დავუმატებ. ეს ტიციან ტაბიძის სიტყვებია: „საქართველოში „ცისფერ ყვავილებს“ ღერო წითელი ჰქონდა. ქართველებისათვის ცა და მიწა სამუდამოდ არასდროს არ გაყრილან...“

მოთხრობის ბოლო სტრიქონები სწორედ „მიწისა“ და „ცის“ ჰარმონიულ მთლიანობაზე, ამასთან, გამარჯვებული პოეტის თავისუფალ ნებაზე მეტყველებს:

---

ლალი ავალიანი
„შუბლმთვარიანი“

„მერე ბიჭი მზის ამოსვლიდან მზის ჩასვლამდე თავაუღებლივ თოხნიდა. ბინდისას შინისკენ გასწია. ბექობის თავზე, ლოდთან ჩამოჯდა...

ბიჭი მთვარის ამოსვლას ელოდა...“

ბოლომდე გულწრფელი არ ვიქნები, თუ იმ ერთადერთ, ჩემი აზრით, ყალბ ფრაზამდე არ მივუთითებ მკითხველს, ამ მოთხრობაში რომ აღმოჩნდა.

ავტორმა თვალნათლივ დაგვანახა ზაფხულის ღამეული ექსტაზის განცდა პოეტის მიერ (ღამის სურათის ბოლო, ბრწყინვალე აკორდი: „მატარებელი გადაჰკიოდა ველს და ბიჭის წინ ქოთქოთით გარბოდნენ ვაგონები. ზანზარებდა მთვარიანი ღამე“). ამიტომ მოულოდნელად, ფსიქოლოგიური თვალსაზრისით გაუმართლებლად გიორგის არსებობისათვის სრულიად მიუღებლად მიმაჩნია მისი ნატვრა: „ოდესმე მაინც გავფრინდები მთვარეზე“.

კოსმონავტების ეპოქაში ეს სტერეოტიპული ნატვრა იქნებ ყველა ჩვეულებრივი ბიჭის სანუკვარი ოცნება იყოს, მაგრამ გიორგი ხომ ჩვეულებრივი ბიჭი არ არის (მამამისის საწუნარიც ხომ ეგ არის)! განა თვით ავტორმა არ გაამხილა ბიჭის გულისნადები — „იქ ადამიანი იყო და მაინც ბიჭის თვალში მთვარე არ კარგავდა მიუწვდომელი და შორეული ღვთაების სახეს!“ ესაა მშვენიერების გამძაფრებული გრძნობა, ასე უხვად რომ მიამადლა ავტორმა თავის გმირს.

ჩვენი თანამედროვე „შუბლმთვარიანი“ გიორგი იმ ხევსურის ჩამომავალია, მთვარეს რომ შემღეროდა:

ა ბედიანა მთვარეო,
შენ იგებ ხმელეთისასა,
რო გკითხა, არ მიამბობა
ამბავსა ერთის მხრისასა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

სულხან ქეთელაური

# ჩვენ და ბუნება

როგორც ყველა სულდგმული, ადამიანიც ბუნების პირმშოა, მისი სისხლი სისხლთაგანი და ხორცი ხორცთაგანი. მაგრამ არა მგონია, ბუნებას სხვა რომელიმე ნაშიერზე ჰქონდეს იმდენი ღვაწლი და სიკეთე დათესილი, რამდენიც ადამიანზე. მარტო ის რად ღირს, რომ ბუნებამ თავისი ყველაზე დიდი ნიჭი და სიბრძნე — სიყვარული მხოლოდ ადამიანისათვის გაიმეტა. ბუნებამ ასევე ასწავლა ადამიანებს გარჯა, მოქმედება, ჩაუნერგა რწმენა, გულუხვად გადაუხსნა თავისი მდიდარი უბე-კალთა და უსუსური არსება ყველაფრის ბატონ-პატრონად აქცია. თუ ადამიანი შრომამ შექმნა, შრომა ბუნებამ შექმნა და მისი პირველი ბიძგიც ადამიანს თვითონვე მისცა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ადამიანი ბუნების ზემოქმედებით ყალიბდებოდა და თავისი არსებობის ჰარმონიულ განვითარებასაც ბუნებასთან ურთიერთობაში იძენდა.

ბუნებისა და ადამიანის ეს ოდინდელი ურთიერთკავშირი არც დღეს შეწყვეტილა, მაგრამ ჰარმონიული წონასწორობა კი საგრძნობლად დაირღვა. სწორედ ამ საჭირბოროტო საკითხებს ეხება ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის ალ. არაბულის მცირე მოცულობის წიგნი „საქართველოს სამონადირეო ფაუნა და მისი დაცვა“, რომელიც ამას წინათ „საბჭოთა საქართველომ“ გამოსცა.

წონასწორობის დარღვევის ერთი უმთავრესი მიზეზთაგანი, რასაც წიგნის ავტორი არაერთი კონკრეტული მაგალითით ადასტურებს. ბუნების არცოდნა და მისდამი უსულგულო დამოკიდებულება ყოფილა. დღევანდელი ადამიანი ბუნებას უმეტესწილად გამორჩენის თვალით უყურებს და მის დაცვა-განახლებაზე კი ნაკლებად ზრუნავს. მან ან არ იცის, ანდა განგებ ივიწყებს, რომ ბუნებაც, ადამიანთა საზოგადოებრივი ცხოვრების მსგავსად, მუდმივ ცვალებადობასა და დიალექტიკურ განვითარებაში იმყოფება — დაუსრულებლად კარგავს ძველ ნიშან-თვისებებს, ძველ მაორგანიზებელ მიკროორგანიზმებს და იძენს და ითვისებს ახალს. ამდენად, მისი ცოდნა და ათვისებაც მისივე განვითარების შესაბამისად უნდა ხდებოდეს.

ოდესღაც მართლაც ასე იყო. ჩვენში საწარმოო ძალთა და საშუალებათა სოციალური დონის შესაბამისი ბუნების საყოველთაო ცოდნაც არსებობდა. იგი ზეპირი საშუალებით გადადიოდა თაობიდან თაობაზე და ბუნების წონასწორობას საკმაოდ მიზანშეწონილადაც არეგულირებდა. ამის ნიმუშად ერთი ნიამორიც კმარა. როგორც სპეციალისტები ამბობენ, ნიამორი წინათ მთელს მსოფლიოში ყოფილა გავრცელებული. მაგრამ გემრიელი ხორცის, მაღალხარისხოვანი ტყავისა და უფრო კი ლამაზი რქების გამო, იგი ყველგან პირწმინდად გაუნადგურებიათ. დღეისათვის მხოლოდ ხევსურეთის მთებშიღა შემორჩა — ხალხმა შემოინახა: ხალხმა რაკი მისი მოსპობის საშიშროება იგრძნო, ადგა და სალოცავ ხატს შესწირა, ღვთის საკუთრებად აქცია და მისი მონადირება სასტიკად აკრძალა. ეს ტრადიცია ახლაც უცვლელად მოქმედებს: არც ერთი ხევსური მონადირე არ მოკლავს ნიამორს და არც თოფს გაისვრის იქ, სადაც მისი ადგილსამყოფელია. ასევე აკრძალული იყო ხევსურეთში ვეფხვის, ჯიქის, არწივის, შევარდნისა და ბუნების სხვა იშვიათი ეგზემპლარების მოკვლა.

ჩვენი წინაპრების ბუნების დიდ ცოდნასა და ყაირათიან დამოკიდებულებაზე ერთი ისტორიული წერილობითი დოკუმენტიც მეტყველებს: 1758 წელს ქართლის მეფე თეიმურაზ მეორე თბილისიდან თელავში წერილს სწერს თავის შვილს — კახეთის მეფეს ერეკლე მეორეს რომ ნაგიორგობევს ჯეირანზე სანადიროდ მივდივართ ყარაიაში, შენც მანდედან კახი

მონადირეები წამოიყვანე, ოღონდ ნადირობა მშვილდ-ისრით გვექნება და ყველას მშვილდ-ისრები წამოაღებინე, ვისაც მშვილდი არ აღმოაჩნდება, მუხისა გაათლევინეო. გარდა ამისაო, დასძენს ბოლოს თეიმურაზი, ხალხი ამთავითვე გააფრთხილე, რომ ნადირობა მხოლოდ ვაცებზე გვექნება და თხის მოკვლა არავინ გაბედოს, რადგან ნერბობა უკვე ჩათავებულია, პირუტყვი მაკეა და ჯოგი დაზარალდებაო.

ბუნებაში დაშვებული შეცდომა ადვილი გამოსასწორებელი არ არის. იგი ათეულ, ოცეულ და ხშირად ასეულ წლებსაც მოიცავს. ამისი თვალსაჩინო მაგალითია ომისშემდგომ წლებში ყამირი და ნასვენი მიწების ათვისების საბაბით ალაზნის ველზე ჭალის ტყეების, წარაფებისა და ცალკეული საუკუნოვანი ხეები — კაკლების, მუხების ხელაღებით გაკაფვა-ამოძირკვა. რის შედეგადაც ისე დავზარალდით, რომ აგე უკვე სამი ათეული წელი გავიდა და ამ რეგიონში ხორბლისა და სხვა მარცვლოვანი კულტურების საჰექტარო მოსავლიანობის სასურველი დონისათვის ჯერაც ვერ მიგვიღწევია.

ბუნების მეცნიერული შეცნობისა და ამ ცოდნის ხალხის ფართო მასებში გავრცელების თვალსაზრისით დღეს ჩვენში საკმაოდ ბევრი ღონისძიება ტარდება: მრავლად იწერება სტატიები ჟურნალ-გაზეთებში, იცემა პოპულარული წიგნები, ეწყობა რადიო და ტელეგადაცემები და გარკვეულწილად სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებშიც ისწავლება. ეს ძალიან კარგია, მაგრამ მაინც ცოტაა. განსაკუთრებით სასურველია. რომ ბუნების თემა სასწავლო დაწესებულებებში საფუძვლიანად, მთელი პასუხისმგებლობით ისწავლებოდეს. იმიტომ რომ, დღევანდელი ეკრის ბავშვი ხვალინდელი სამეურნეო-პარტიული ხელმძღვანელი მუშაკია და მის საუწყებო უბანში ბუნების გონივრული დაცვა-ათვისებაც მის ცოდნაზე ბევრად არის დამოკიდებული.

თუ რა სავალალო შედეგი მოსდევს ხელმძღვანელ მუშაკთა ბუნების არცოდნას, სარეცენზიო წიგნში ამის მრავალი მაგალითია მოყვანილი. აი ერთი მათგანი: „ლაგოდეხის ერთ-ერთმა კოლმეურნეობამ ჭიაურის სახობზე მეურნეობის შუაგულში მეფრინველეობის ფერმა ააშენა, საიდანაც ხოხბებს ქათმის დაავადება გადაედოთ და მასიურად ამოწყდნენ“ (გვ.18). აქედან სავსებით ცხადია: რაგინდ მომგებიანიც არ უნდა იყოს ზემოაღნიშნული ფერმა, მისგან გამოწვეულ ზარალს მაინც ვერ ანაზღაურებს.

ბუნებას ჯერ კიდევ საფუძვლიანად არ იცნობენ ის სახელმწიფო ორგანიზაცია-დაწესებულებებიც, რომელთაც მისი მოვლა-პატრონობა ევალებათ. სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ საქართველოს მონკავშირის გამგეობის პრეზიდიუმმა 1958 წლის 9 მაისს ყველა მტაცებელი ნადირ-ფრინველის სრული განადგურება დაადგინა და ამისათვის სათანადო ჯილდოებიც დააწესა, ამ დადგენილებით წახალისებულმა მონადირეებმა მარტო ერთ წელიწადში (1962 წელს) 1.154700 სასარგებლო ფრინველი მოსპეს, რითაც ჩვენს სოფლის მეურნეობას ხანგრძლივი და აუნაზღაურებელი ზარალი მიაყენეს (გვ.10).

სამწუხაროდ, ჩვენში ასეთი ქმედებისათვის თითქმის არავინ ისჯება. საჭირო და სასურველი კია, რომ ასეთები კანონის მთელი სისასტიკით ისჯებოდნენ.

სარეცენზიო წიგნში ასევე მრავლადაა ფიქსირებული სამონადირეო მეურნეობების გამდიდრება-გაუმჯობესების მიზნით ჩატარებული მცდარი და მავნე ღონისძიებები. მაგალითად, 1971-1976 წლებში ყირგიზეთიდან, ყაზახეთიდან, ბრიანსკიდან, ლიტვიდან და სხვა მოძმე რესპუბლიკებიდან, აგრეთვე სოციალისტური ქვეყნებიდან ხოხბის, კაკბის, კურდღლისა და გარეული ღორის შემოყვანაზე 233040 მანეთი გახარჯულა, „ხოლო მათზე გაცემული ლიცენზიებით კი მიღებულია 15.745 მანეთი“. (გვ.28) ამ ზარალს დაემატება ისიც, რომ სხვადასხვა ჯიშის სახეობათა და ქვესახეობათა ადგილობრივ ჯიშთან არამეცნიერულმა აღრევამ, ბიოლოგიური თავისებურებების გაუთვალისწინებლობამ ცხოველთა პოპულაცია დააქვეითა და უნაყოფო თაობა განავითარა, რის შედეგადაც ზოგი სახეობა უკვე მოისპო, ზოგი გადაგვარების გზაზეა დამდგარი. ეს მით უფრო სავალალოა, რომ ამგვარი ღონისძიებები ოცი წლის წინ დაიწყო და, მიუხედავად ამდენი და ამდენჯერ გამეორებული შეცდომებისა, დღევანდლამდე უცვლელად მეორდება.

ასევე მეორდება ნადირ-ფრინველთა უდროო დროს შემოყვანაც. ანგარიში არ ეწევა შემოყვანილ სახეობათა ასაკსა და შესაფერისი არეალის შერჩევას, რის გამოც აკლიმატიზაციის ყველა ცდა უშედეგოდ მთავრდება. ასე დაემართა, მაგალითად, 1961 წელს ჩეხოსლოვაკიიდან შემოყვანილ და ალაზნის ველზე გაშვებულ კურდღელს, აქ ზამთარ-ზაფხულ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები მიმდინარეობს, მოწამლული თესლი ითესება და კურდღლის მოშენების არავითარი პერსპექტივა არ არსებობს. ასევე დაემართა 1975 წლის თებერვალში ალმა-ატიდან შემოყვანილ 420 ფრთა კაკაბს. ეს სიმშრალის მოყვარული ფრინველები ენგურისა და წყავაშის ჭარბტენიან სამონადირეო მეურნეობებში გაუშვეს და უმოკლეს დროში აკლიმატიზაცია მთლიანად მოისპო. ამავე მიზეზებით-შეუფერებელი საბინადრო პირობებისა და საკვების უქონლობის გამო, პირწმინდად მოისპო 1971-72 წლებში აზერბაიჯანიდან, როსტოვიდან და ვილნიუსიდან შემოყვანილი და საგარეჯოს რაიონის წყაროსთავის სამონადირეო მეურნეობაში გაშვებული 400 კურდღელი და 700 ხოხბის წიწილა და საბოლოოდ მეურნეობაც გაუქმდა.

და ასე დაუსრულებლად: ვლებულობთ დად-

გენილებებს, ვატარებთ ღონისძიებებს, ვაყალიბებთ ბუნების დაცვისა და მისი რესურსების რაციონალურად გამოყენების ახალ-ახალ საუწყებო თუ არასაუწყებო ორგანიზაციებს და ხაქმეს კი ძვრას ვერ ვუშვრებით; ანდა ბოლომდე ვერ მიგვყავს, მაგალითად, ოციან-ოცდაათიან წლებში ჩვენში დაიწყო ბეწვეულის მომცემი ცხოველების მოშენება, ნუტრიებისა — ჯანდარის, იმნათისა და ბებესირის ტბებთან, ჯილდაო მელიებისა — პანტიანის სამონადირეო ფერმაში, და პირველ ხანებში საქმე კარგადაც წარიმართა — მოგებამ თავნს გადააჭარბა, მაგრამ მერე — რასაკვირველია დაუდევრობით — მდგომარეობა თანდათან გაუარესდა და ფერმაც და საშენიც ორივე გაუქმდა.

ყოველივე ზემოთქმულიდან დასკვნასავით გამომდინარეობს ერთი ფრიად საყურადღებო ცნობა, რომელიც ავტორს წიგნში აქვს დამოწმებული:

„1937 წელს ბეწვეულის დამზადების გეგმა საქართველოსათვის დამტკიცებული იყო 551 540 მანეთის რაოდენობით და სრულდებოდა კიდეც, მაგრამ ცხოველთა არამეცნიერულმა მოპოვებამ ეს რიცხვი თანდათან შეამცირა და ამჟამად, შინაური ცხოველების ჩათვლით, 95 ათასი მანეთის ბეწვეულსღა ვამზადებთ. ესე იგი, რასაც მაშინ ერთ წელიწადში ვამზადებდით, ახლა იმდენს ექვს წელიწადშიც ვერ ვასრულებთ“ (გვ. 59).

გარდა ზემოგანხილული საკითხებისა, წიგნში მეცნიერულად არის გაანალიზებული და დასაბუთებული ჩვენი დედაბუნების დღევანდელი მდგომარეობა, ასევე მეცნიერული სიზუსტით არის ნაჩვენები სასარგებლო ნადირ-ფრინველის მოშენებისა და ერთობ ბუნების სისტემატური განახლების გზები და საშუალებები, და აქედან გამომდინარე რესპუბლიკის სახალხო დოვლათისა და ეროვნული შემოსავლის ზრდის პერსპექტივები.

დასანანი მხოლოდ ის არის, რომ ასეთი პროფილის წიგნები რატომღაც ძალიან მცირე ტირაჟით გამოდის. აბა ვის ერთს უნდა ეყოს ათასი ცალი, მით უფრო, საწარმოო ძალთა და მატერიალურ მოთხოვნილებათა განვითარების დღევანდელ ეტაპზე, როცა გარემომცველი ბუნება და მასში მიმდინარე პროცესები ყოველმა მოქალაქემ კარგად უნდა იცოდეს. ახლა კი განა ყველამ იცის, რომ ჩვენში ათი წლის მანძილზე კვერნის მოპოვება 5576-დან 2225-მდე შემცირდა, გარეული კატისა ხუთი წლის მანძილზე — 2858-დან 1112-მდე. ასეთივე მდგომარეობაა მელიის, მაჩვისა და სხვა ბეწვეულის მომცემი ცხოველების მოპოვების რიცხობრივობის მხრივაც. ხოლო ყაირათიანი დამოკიდებულების წყალობით სამხრეთ რუსეთის უნაყოფო ველებისა და შუააზიის ნახევარუდაბნოების მკვიდრი საიგაკი ორ მილიონამდე მომრავლდა და ამჟამად მისი შემოსავალი 140-მდე მესაქონლეობის საბჭოთა მეურნეობის შემოსავალს უტოლდება.

ბუნების კარგი ცოდნა განსაკუთრებით სჭირდებათ მონადირეებს. იმიტომ რომ, ბუნების გამდიდრებასა და მოვლა-პატრონობის საქმეში მონადირეს ყველაზე დიდი როლი და მოვალეობა აკისრია. ზარალიც უმეტესად მათ წილად მოდის. ასეთი ცოდნით აღჭურვილი მონადირე კი, უეჭველია, მეტ გულისხმიერებას გამოიჩენს, ბუნებისაგან შეუძლებელს აღარ მოითხოვს და თოფსაც მხოლოდ იქ და მაშინ გაისვრის, როცა ამის საჭიროებასა და სარგებლობას დაინახავს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საზღვარგარეთული ქრონიკა

უკანასკნელ წლებში მსოფლიოს უდიდესი კომპანიები საერთაშორისო ტერორისტული ბანდების სამიზნედ იქცნენ. 10 წლის მანძილზე ტერორისტებსა და განგსტერებს გატაცებულ ხელმძღვანელთა გამოსასყიდათ კომპანიებმა 300 მილიონ დოლარამდე გადაუხადეს. მიუხედავად იმისა, რომ მსხვილ კომპანიათა ხელმძღვანელებს დიდი გულმოდგინეობით იცავენ, ტერორისტულ აქტთა რიცხვი განუხრელად იზრდება.

დამტკიცებულია, რომ ყოველი ოთხი ტერორისტული თავდასხმიდან სამი წარმატებით მთავრდება. უკანასკნელ პერიოდში შეიქმნა და წარმატებით ფუნქციონირებს მოტაცების შემთხვევაში დამზღვევ კომპანიათა და გამტაცებლებთან მოლაპარაკების კონსულტანტთა ქსელი და სპეციალიზირებული კომპანიებიც კი. ასე მაგ: უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში 60 შემთხვევაში იყო შუამავალი გამტაცებლებსა და დაზარალებულთა შორის ინგლისური კომპანია „კონტროლ რისკი". საინტერესოა, რომ 70-იანი წლების დასაწყისში არც ერთი ტერორისტული ჯგუფი არ მოითხოვდა 1 მილიონ დოლარზე მეტს გამოსასყიდად, ახლა ჩვეულებრივი მოვლენაა 5-10 მილიონიანი გამოსასყიდი. რეკორდი ეკუთვნის ხანავთობო ფირმა „ექსონს", რომელმაც 14,2 მილიონი დოლარი გადაუხადა არგენტინელ ტერორისტებს თავისი ერთ-ერთი ხელმძღვანელის გამოსასყიდად.

როგორც წესი, ასეთი გზით ნაშოვნ ფულს ტერორისტები ახალი ოპერაციების ორგანიზაციისათვის იყენებენ.

„ნიუ-იორკ ტაიმსი"

●

დღეს მსოფლიოს მეცნიერთა ერთ-ერთ მთავარ ამოცანას ნავთობპროდუქტთა შემცვლელ ნივთიერებათა შექმნა წარმოადგენს. სადღეისოდ ყველაზე ოპტიმალურ ალტერნატივად სპირტს მიიჩნევენ. მაშინ, როდესაც ევროპაში ჯერ მხოლოდ ლაბორატორიული ცდები მიმდინარეობს სპირტისა და ბენზინის შენაერთთა პროპორციებზე, ბრაზილიაში 1979 წლიდან სერიულად უშვებენ 100 პროცენტიან სპირტზე მომუშავე ავტომანქანებს (აქ სპირტს შაქრის ლერწმის, მანიოკისა და პროსოს გადამუშავებით იღებენ) ბრაზილიის მთავრობამ სპეციალური დადგენილება გამოსცა, რომლის მიხედვითაც ქვეყანაში სუფთა სპირტზე უნდა მუშაობდეს ყოველი მეათე მანქანა.

„დი ველტი"

●

ამერიკელთა აზრით ყოფილი პრეზიდენტის ჯ. კარტერის დედა, 83 წლის ლილიანი, ქვეყანაში ერთ-ერთი ყველაზე უიღბლო დედაა, რომელსაც დიდი უსიამოვნება მიაყენეს შვილებმა (ჯერ უმცროსმა ბილიმ თავისი მაქინაციებით, მერე უფროსმა, როდესაც სკანდალურად დამარცხდა პრეზიდენტის არჩევნებში). ამიტომ გასაკვირი არაა, რომ ერთ-ერთ უკანასკნელ ინტერვიუში მან გასაქანი მისცა თავის გრძნობებს — „როდესაც მე ჩემს შვილებს ვუყურებ, საკუთარ თავს ვეუბნები: „ლილიან, უმჯობესი იქნებოდა, ქალწულად დარჩენილიყავი."

(„შპიგელი")

●

უკანასკნელ პერიოდში აშშ-ში მუსიკის მოყვარულთა შორის დიდი პოპულარობით სარგებლობს გრამ-ფირფიტა (მიუხედავად იმისა, რომ 19 დოლარი ღირს), რომელზეც ხმა დაფიქსირებულია ციფრული ჩაწერის მეთოდით. კომპიუტერის ანალოგიური მოწყობილობა სეკუნდის მეათედ ნაწილში ადგენს ყოველ ბგერით ტალღას და მის ყოველ უმნიშვნელო რხევას იმწამსვე უფარდებს სათანადო ციფრულ ექვივალენტს. ჩანაწერის დაკვრისათვის მანქანა

„იხსენებს“ ციფრებს და მათემატიკური სიზუსტით აღადგენს ჩაწერილ ხმას. ახალი მეთოდი ჩაწერისა და აღდგენის ფანტასტიკური სიზუსტის საშუალებას იძლევა, ვინაიდან აბსოლუტურად გამორიცხულია მაგნიტური ფირისა და ფირფიტისათვის დამახასიათებელი ყოველგვარი დამახინჯებები (ჩვეულებრივ მექანიკური დეფექტები რომ იწვევს). აღნიშნული მეთოდის უპირატესობა იმაშიც მდგომარეობს, რომ აქ პრაქტიკულად არასოდეს ცვდება და ძველდება ჩანაწერი.

„ნიუსუიკ“

●

სპეციალისტთა აზრით, რევმატული ართრიტისაგან სრული განკურნებისათვის საკმარისია ავადმყოფი ყოველწლიურად ყლაპავდეს ორ გრამ სუფთა ოქროს. ვერონის (იტალია) კონფერენციაზე სპეციალისტი-რევმატოლოგები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ოქროს ულუფა სახსრების ანთების ეფექტური მკურნალობაა.

„დი ველტი“

●

კემბრიჯიის უნივერსიტეტის სამი წამყვანი ფსიქოლოგი კარგა ხანს ატარებდა ცდებს, რათა დაედგინათ, დღის რომელ მონაკვეთში ფუნქციონირებს უკეთესად ადამიანის მეხსიერება, გამოირკვა, რომ რაც უფრო გვიან — მით უკეთესად. ყველაზე კარგი დროა დილით ათ საათამდე.

„დი ველტი“

●

ქ. ლას-ვეგასის კაზინოში 30 წლის კაცი შევიდა ორი ჩემოდნით. ერთი ცარიელი იყო, მეორეში 777 ათასი დოლარი აღმოჩნდა. კაზინის მფლობელის ნებართვით მან 1554 ათასი დოლარის ექვივალენტის სათვალავი („ფიშკა“) შეიძინა და მთელი თავისი თანხა დადო ბედის სასწორზე. ფორტუნა მის მხარეზე აღმოჩნდა; სალაროში მიღებული 1554 ათასი დოლარი აუღელვებლად ჩაალაგა ორ ჩემოდანში და დამშვიდობებისას კაზინოს მფლობელს უთხრა: „რა ვქნა, ამ წყეული ინფლაციის გამო ფული თვალსა და ხელს შუა მიქრება. აი, მეც გადავწყვიტე ან გამეორკეცებინა ჩემი ქონება, ან სულ წამეგო“.

„ტაიმი“

●

33 წლის ამერიკელმა კასკადორმა ჯონ ჯოუნსმა გადაწყვიტა მსოფლიოში პირველს გადაეცურა ლა-მანში შეკრული ხელ-ფეხით. მას შემდეგ, რაც 4,5 საათში 7,5 კმ. გასცურა, ჯოუნსი იძულებული შეიქნა შეეწყვიტა სტიქიასთან ბრძოლა.

„ინტერნეშნლ ჰერალდ ტრიბუნი“.

●

გაეროს მსოფლიოს ფონდის მონაცემებით ჩვენი პლანეტის მოსახლეობა ყოველ ორ სეკუნდში 5 ადამიანით იზრდება. ე. ი. დღეში მეოთხედი მილიონით. მილიონი წელი იყო საჭირო, რათა პლანეტის მოსახლეობას მილიარდამდე მიეღწია. მეორე მილიარდს ას ოცი წელი დასჭირდა, მესამეს, — 32, ხოლო მეოთხეს — სულ 13.

„ნიუ-იორკ ტაიმსი“

●

ცნობილი საბალეტო დასის, „ნიუ-იორკ სიტი ბალეტის“ ხელმძღვანელმა 77 წლის ჯორჯ ბალანჩინმა (ბალანჩივაძე), რომელიც დღეს აშშ-ს წამყვან ბალეტმეისტერად ითვლება, გასულ წელს თავისი განახლებული პროგრამის შემოსავალი (70 ათასი მარკა) საჩუქრად გადასცა ნიუ-იორკის პოლიციას, პოლიციელთათვის ტყვიაგაუმტარი ჟილეტების შესაძენად.

„შპიგელი“

●

აშშ-ის მთავრობამ გადაწყვიტა, ალკოჰოლიანი სასმელების მწარმოებლებს დაავალოს მომხმარებლებს გააცნოს სასმისის ქიმიური შემადგენლობა, რათა ყველამ იცოდეს, რას სვამს. 1983 წლიდან ყოველი ბოთლის ეტიკეტზე ზუსტად უნდა იყოს აღნიშნული შემადგენელი ნივთიერებანი (საღებავი, ქიმიური რეაგენტები და სხვა შენაერთები).

„ლოს ანჯელეს ტაიმსი“.

●

ვერსალის სასახლეში დამთავრდა საფრანგეთის მეფის ლუი მეთოთხმეტის საძინებელი ოთახისა და სარკეებიანი დარბაზის რესტავრაცია, რომელიც 27 წელს მიმდინარეობდა და სა-

ხელმწიფოს 31 მილიონი დოლარი დაუჯდა. ორი თერძი 20 წლის განმავლობაში ქმნიდა ქსოვილს, რომლითაც მეფის საძინებელი ოთახი იყო მორთული.

„ასოშიეიტედ პრესი“

●

აშშ-ის ქ. უესტ პალმ ბიჩის მცხოვრებ ედვინ უილიამსს ერთი თირკმელი დაბადებიდან განუვითარებელი ჰქონდა, მეორე ქრონიკული დაავადების შედეგად დაუზიანდა. მას დაღუპვა ელოდა. ერთად-ერთი გამოსავალი იყო ძმის ჯონის ერთი თირკმელის გადანერგვა. ოპერაციისათვის მზადების პროცესში გამოირკვა, რომ ჯონის „სათადარიგო“ — მესამე თირკმელიც ჰქონია. როგორც ექიმები ამტკიცებენ, ყოველი 250 ათასი ადამიანიდან ათს გააჩნია სავსებით ნორმალური მესამე თირკმელი.

„ინტერნეშნლ ჰერალდ ტრიბუნი“.

●

ლონდონში გამოცემული ერთი ცნობარის მიხედვით, მაროკოს სულთან მულაი ისმაილს (მეფობდა სამასი წლის წინ) ჰყავდა 525 ვაჟი და 342 ქალიშვილი

„დი ველტი“

●

ჰოლივუდის „მუდმივი ვარსკვლავი“ მონიკა ვან ვოორენი ნიუ-იორკის ერთ-ერთ დისკოტეკაში 27 ბრილიანტიანი აჟერელიით დამშვენებული გამოცხადდა. როგორც გამოირკვა, ბრილიანტები მას საუდის არაბეთის პრინცმა აბდულა ბენ საიდმა აჩუქა. „პრინცი შემეკითხა, რამდენი წლისა ხარო. მე ვუთხარი, ოცდაშვიდის-მეთქი. როგორ ვნანობ, რომ სიმართლე დავუმალე, თორემ ხომ მივიღებდი 42 ბრილიანტს“ — სინანულით განაცხადა მონიკამ.

„დი ველტი“

ეროვნული ბიბლიოთეკა

# იუმორი

## გაუთხოვართა და უცოლოთა საყურადღებოდ!

გაერთიანება „ცოლქმარმულმაზლწიოკბდღვნაპუტვის“ სამაჭანკლო სასწავლებელი დასაქორწინებელთა მოსამზადებლ კურსებზე აცხადებს იმ მოქალაქეთა მიღებას, რომლებმაც, ოჯახური პირობებისა და სხვა ხელშემშლელი მიზეზების გამო, გათხოვება და ცოლის შერთვა კატასტროფულად დააგვიანეს. სასწავლებელი დევიზით „სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს“ თეორიულად ამზადებს დამწყებ მშობლებს, მომავალ ენადათაფლულ ცოლებს, ერთგულ ქმრებსა და პროფესიონალ, მაღალკვალიფიციურ შუამავლებს.

შემსწავლელებმა სიხარულითა და გულისფანცქალით უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები: ცნობა ხელფასის შესახებ; დახასიათება მეზობლებისაგან, ნათესავებისაგან და ამხანაგებისაგან; მარტოობის სტაჟი; ცნობა ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ; შემნახველი სალაროს წიგნაკი (ახლი ან ძველი); კარდიოგრამა, ჯანმრთელობის ცნობა ფსიქიატრიულ საავადმყოფოდან; ცნობა სოფლიდან უძრავმოძრავი ქონების რეალურად ქონების ან არქონების შესახებ; ექვსი გადიდებული სურათი (ორი — წელს ზემოთ, ორი — მთელი ტანით, ერთი — ქუდით, მეორე — უქუდოდ); ცნობა ნათესაობაში ყველაზე დიდი თანამდებობის პირის რკინისებური ჯანმრთელობის შესახებ, მისი სამსახურის, ბინისა და სიდედრ-სიმამრის მისამართი, ტელეფონისა და მანქანის ნომერი).

გამოცდები ჩატარდება შემდეგ საგნებში:

ქალებისათვის — მეოჯახეობა (რეცხვა, ოთახების დალაგება, იატაკის წმენდა, თეთრეულის გაუთოება, კერძების დამზადება, სიმღერით);

ნებისყოფა (ენის ქრონიკულად დამოკლება და მასზე სისტემატურად კბილის დაჭერა, ზეპირი — მუნჯურად);

დედამთილოლოგია (სადედამთილოს მოკლე შინაარსი, მოყოლით).

მამაკაცებისათვის — სიდედრ-სიმამრის მოვლა-პატრონობის ტექნოლოგია (შესავალი ცეკვით);

ოჯახის რჩენის ეკონომიკური საფუძვლები (თხრობა, საანგარიშოსა და შემნახველი სალაროს წიგნაკის გამოყენებით);

სიდედრის ანატომია (პირველი ნაწილი, სუფთა წერა);

ხელფასის შინ მიტანის ფილოსოფია, (წერა-ზეპირი);

გაუთხოვარი ცოლისდების რეალიზაციის ხერხები და მეთოდები (კარნახით);

ცოლის ფსიქოლოგია (ცეკვა-სიმღერით).

50 წელს გადაცილებული შინაბერები გამოცდებზე არ დაიშვებიან!

ორჯერ, სამჯერ და მეტჯერ ნაქმარევი ან ნაცოლარი პირები ჩაირიცხებიან უგამოცდოდ!

სტიპენდია მიეცემათ მხოლოდ ალიმენტის გადამხდელებს!

ჩვენი მისამართია:

უცოლნაცოლარათ დასახლება, პაემნის უბანი, ალიმენტის ქუჩა, 8 მარტის I ჩიხი, „ცოლქმართმულმაზლრძალქვისლთა“ გაერთიანების სამმართველო.

განცხადება წაიკითხა ვანო ცინცაძემ.

# ცისკრის ფოლიანტი

## გასწორება

მიმდინარე წლის ჟურნალ „ცისკრის“ მეორე ნომერში გამოქვეყნდა ჩვენი ერთობლივი სტატია სათაურით: „წამალთმცოდნეობის და მკურნალობის საკითხები „ვეფხისტყაოსანში“, სადაც ჩვენ შევეცადეთ პროვიზორის პოზიციებიდან გაგვეშუქებინა ზოგიერთი დეტალი. ვსარგებლობდით საიუბილეო გამოცემის ქარაგმებიანი ტექსტით. 928-ე და 931-ე სტროფების მესამე სტრიქონების ქარაგმებიანი გამოთქმა „ღოთი“ ამოვიკითხეთ არასწორად. ვინაიდან „რაცა მიწვართნიხარ იწვართე: გკადრო უწვრთელი ვირია“ ვიფიქრეთ, რომ ფრაზის „უწვრთელი ვირის“ წინ ნახსენები არის „ლოთი“... სინამდვილეში კი ტექსტში ყოფილა „ღმერთი“, რის გამოც სტრიქონის ახსნა სინამდვილეს აღარ შეესაბამება. ჩვენ ეს მხედველობიდან გამოგვრჩა.

პროვიზორები: გივი საყვარელიძე, სოკრატ სალუქვაძე.

---

რედაქციაში შემოსული მასალები ერთ საავტორო თაბახამდე ავტორებს არ უბრუნდებათ

ჩვენი მისამართი: თბილისი, 380007, დადიანის ქ. № 2.

ტელეფონები: მთავარი რედაქტორი — 99-85-81. მთ. რედაქტორის მოადგილე—72-26-30. მდივანი — 72-44-78, განყოფილებათა გამგეები—72-26-35, პროზის — 72-26-30, ლიტერატურული თანამშრომლები — 72-47-62, „ცისკრის“ დამატება — 72-17-01, საკორექტორო — 72-48-75.

გადაეცა ასაწყობად 23. 6. 81 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 24. 7. 81 წ., ქაღალდის ზომა 70×108, ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობით ფორმათა რაოდენობა 14, სააღრ.-საგ. თაბახი 15.85. შეკვ. № 1731. უე 08529. ტირაჟი 44.000.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის 14.
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

61/126

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფასი 60 კაპ.

ინდექსი 76236

*ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-
ХУДОЖЕСТВЕННЫЙ И
ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ
ЖУРНАЛ*

# «ЦИСКАРИ»

ИЗДАТЕЛЬСТВО
ЦК КП ГРУЗИИ